114
1949

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

12

დეკემბერი

1949

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად-საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის უოველთვიური სალიტერატურო
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

135943
Y573

წელიწადი ოცდამეექვსე

Библиотека

12

დეკემბერი

★

19 სახელგამი 49
თბილისი

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამხანაგ სტალინს — დიდ ბელადსა და მასწავლებელს, ლენინის უკვდავი საქმის განმგრძობს

★

ძვირფასო მეგობარო, მებრძოლო ამხანაგო,
მასწავლებელო და ბელადო!

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დაბადების სამოცდაათი წლისთავის დღეს, მხურვალედ მოგესალმებიან შენ, ლენინის დიდ თანამებრძოლსა და მეგობარს, მისი უკვდავი საქმის გენიალურ განმგრძობს, კომუნიზმის დაუღალავ მშენებელს, ჩვენს ბრძენ მასწავლებელსა და ბელადს!

ლენინთან ერთად შენ, ამხანაგო სტალინ, ქმნიდი ბოლშევიკების პარტიას, ლენინთან მჭიდრო თანამეგობრობით ამუშავებდი ბოლშევიზმის იდეოლოგიურ, ორგანიზაციულ, ტაქტიკურ და თეორიულ საფუძვლებს, აწრთობდი პარტიას მშრომელთა განთავისუფლებისათვის მკაცრ ბრძოლებში, გადააქციე იგი მსოფლიოში ყველაზე მძლავრ რევოლუციურ პარტიად. უშიშარ რევოლუციონერს, გენიალურ თეორეტიკოსს, დიდ ორგანიზატორს, შენ ლენინთან ერთად გადაჭრით და გაბედულად, მტკიცედ და ფრთხილად მიგყავდა პარტია, მუშაობა კლასი შეიარაღებული აჯანყებისაკენ, სოციალისტური რევოლუციისაკენ.

ლენინთან ერთად შენ, ამხანაგო სტალინ, იყავი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სულისჩამდგმელი და ბელადი, მსოფლიოში მუშათა და გლეხთა პირველი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელი. სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის წლებში შენმა ორგანიზატორულმა და მხედართმთავრულმა გენიამ საბჭოთა ხალხი და მისი გმირი წითელი არმია სამშობლოს მტრებზე გამარჯვებამდე მიიყვანა. შენი, ამხანაგო სტალინ, უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელდა უდიდესი მუშაობა ნაციონალური საბჭოთა რესპუბლიკების შესაქმნელად, ერთიან საკავშირო სახელმწიფოში — სსრ კავშირში მათ გასაერთიანებლად.

როცა სიკვდილმა შეწყვიტა დიდი ლენინის სიცოცხლე, შენ, ამხანაგო სტალინ, მაღლა ასწიე ლენინის სახელოვანი დროშა, გაბედულად და მტკიცედ წაიყვანე ჩვენი პარტია ლენინის გზით. ბოლშევიკების პარტია, რომელიც ძლიერია ლენინიზმისადმი თავისი ერთგულებით, იკაფავდა კაპიტალისტური სახელმწიფოებით გარემოცულ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის გზას, რომელიც ჯერ კიდევ გაუკვალავი იყო ისტორიაში.

სოციალიზმის გამარჯვებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის ლენინურ თეორიას, რომელიც შენ, ამხანაგო სტალინ, განავითარე და გაამდიდრე. სოციალიზმის მტრები, საბჭოთა ხალხისა და კომუნისტური პარტიის მტრები ამაოდ ცდი-

ლობდნენ აეცდინათ ჩვენი პარტია ლენინურ-სტალინური გზიდან, გაეთიშათ იგი შიგნიდან, მოესპოთ ბუშათა კლასისათვის თავისი ძალების, სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის რწმენა. შენ ულმობლად ამხელდი ხალხის მტრების ავაზაკურ, დანაშაულებრივ ცდებს — იდეურად განეიარაღებინათ პარტია, დაემსხვრიათ მისი ერთიანობა, დაეღუპათ საბჭოთა ხელისუფლება და სოციალისტური რევოლუცია. გამცემლებისა და სოციალიზმის საქმის მოღალატეების წინააღმდეგ, ტროცკისტების, ბუხარინელების, ბურჟუაზიული ნაციონალისტებისა და სხვა მტრების წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლაში შენს გარშემო, ამხანაგო სტალინ, ჩამოყალიბდა ჩვენი პარტიის ის ხელმძღვანელი ბირთვი, რომელმაც დაიცვა ლენინის უძლეველი დროშა, უფრო მჭიდროდ შეაკავშირა კომუნისტური პარტია და გამოიყვანა საბჭოთა ხალხი სოციალიზმის მშენებლობის ფართო გზაზე.

საბჭოთა ხალხმა, რომელიც ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის შენს მიერ შემუშავებულ დიად პროგრამას ახორციელებს, ტექნიკურ-ეკონომიურად ჩამორჩენილი რუსეთი უმოკლეს ისტორიულ ვადაში მოწინავე ინდუსტრიულ სახელმწიფოდ გადააქცია. შენს სახელთან დაკავშირებულია ხუთწლედების მძლავრი სოციალისტური მშენებლობანი, ინდუსტრიის გიგანტები, მრეწველობის ახალი დარგები, რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში.

შენი ბრძნული ხელმძღვანელობით, ამხანაგო სტალინ, 1929 წელს სოფლად მოხდა ისტორიული გადატრიალება, რომელიც თავისი შედეგებით 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციური გადატრიალების თანაბარი იყო. კომუნისტურმა პარტიამ გაატარა სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაცია და ამ საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებისა და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის შედეგად საბჭოთა სოფელში დამკვიდრდა ახალი, სოციალისტური ცხოვრება, რომელმაც მშრომელი გლეხობა იხსნა მონობისაგან, გაჩანაგებისა და სიღატაკისაგან.

ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით, საყვარელი სტალინის მეთაურობით, საბჭოთა კავშირი გახდა მძლავრი ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფო, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა. საბჭოთა ხალხმა, რომელმაც სოციალიზმი ააშენა, სამუდამოდ მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, შექმნა კრიზისებისა და უმუშევრობისაგან თავისუფალი ახალი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება, რომელიც უზრუნველყოფს მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის განუხრელ აღმავლობას. სსრ კავშირის კონსტიტუციამ, რომელსაც ხალხმა სამართლიანათ უწოდა სტალინური კონსტიტუცია, განამტკიცა სოციალიზმის დიადი გამარჯვებანი, გახდა მიმზიდველი ძალა, შუქურა მთელი მშრომელი კაცობრიობისათვის.

საბჭოების ქვეყნის არსებობის უმდიდრეს გამოცდილებაზე დაყრდნობით, შენ, ამხანაგო სტალინ, შექმენი მთლიანი და დამთავრებული მოძღვრება სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ. განავითარე რა ლენინიზმი, შენ მიხვედი გენიალურ დასკვნამდე ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ და კომუნიზმის დროს სახელმწიფოს შენარჩუნების აუცილებლობის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ დარჩება კაპიტალისტური გარემოცვა. ამ დასკვნამ პარტიასა და ხალხს მისცა კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის ნათელი პერსპექტივა.

შენს სახელთან, ამხანაგო სტალინ, დაკავშირებულია რევოლუციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხის — ნაციონალური საკითხის გადაწყვეტა. წინათ ჩაგრულმა ერებმა საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში მიაღწიეს უმაღლეს-თო პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ აყვავებას. შენს მიერ შთაგონებული სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა რევოლუციის დიადი მონაპოვარი, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების ერთ-ერთი წყარო გახდა. სოციალიზმის გამარჯვებით უძლეველი გახდა ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო მჭიდროდ დარაზმული საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. ჩვენი ხალხი გამსჭვალულია მხურვალე და ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმით. შენი ხელმძღვანელობით ბოლშევიკების პარტიამ სსრ კავშირში ნამდვილი კულტურული რევოლუცია განახორციელა.

თვითეულ დიდსა თუ მცირე გარდაქმნაში, რომელიც უფრო და უფრო აშაღლებს ჩვენს სამშობლოს, შენ ჩააქსოვე შენი სიბრძნე, დაუცხრომელი ენერგია, რკინისებური ნებისყოფა. ჩვენი ბედნიერებაა, ჩვენი ხალხის ბედნიერებაა, რომ დიდი სტალინი, რომელიც, პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელია, წარმართავს და აღაფრთოვანებს საბჭოთა ხალხის შემოქმედებითს შრომას ჩვენი სახელოვანი სამშობლოს ასაყვავებლად. შენი წინამძღოლობით, ამხანაგო სტალინ, საბჭოთა კავშირი გადაიქცა დიდ და უძლეველ ძალად.

როცა ჰიტლერულმა გერმანიამ საბჭოთა კავშირს თავს მოახვია ომი და ჩვენს სამშობლოს დაემუქრა მომაკვდინებელი საფრთხე, შენ, ამხანაგო სტალინ, სათავეში ჩაუდექი საბჭოთა ხალხის შეიარაღებულ ბრძოლას ფაშიზმის — კაცობრიობის უბოროტესი მტრის წინააღმდეგ, დარაზმე ყველა საბჭოთა ადამიანი დიდი სამამულო ომისათვის, აღაფრთოვანე საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები ლეგენდარული საქმეებისა და გმირობისათვის. ლენინ-სტალინის პარტიამ გააერთიანა ფრონტისა და ზურგის ღონისძიებანი. შენმა მხედრულმა და ორგანიზატორულმა გენიამ მოგვიპოვა გამარჯვება ფაშისტურ გერმანიაზე და იმპერიალისტურ იაპონიაზე.

დიდმა მხედართმთავარმა და გამარჯვების ორგანიზატორმა, შენ, ამხანაგო სტალინ, შექმენი მოწინავე საბჭოთა სამხედრო მეცნიერება. ბრძოლებში, რომლებსაც შენ ხელმძღვანელობდი, განხორციელებულია სამხედრო ოპერატიული და სტრატეგიული ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები. შენ მიერ აღზრდილი პირველხარისხოვანი სამხედრო კადრები ღირსეულად ახორციელებდნენ ჭტრის განადგურების სტალინურ გეგმებს. ყველა პატიოსანი ადამიანი მსოფლიოში, ყველა მომავალი თაობანი ხოტბას შეასხამენ საბჭოთა კავშირს, შენს სახელს, ამხანაგო სტალინ, როგორც ფაშისტ დამრბევთაგან მსოფლიო ცივილიზაციის მხსნელისას.

ომისშემდგომ პირობებში, ხელმძღვანელობს რა შენი მითითებებით, ბოლმა საბჭოთა ხალხმა თავისი შემოქმედებითი ინიციატივა მიმართა ომის შედეგების უსწრაფესი ლიკვიდაციისაკენ, სოციალიზმის ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარების გრანდიოზული გეგმების განხორციელებისაკენ, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ. სოციალისტური შეჯიბრების ლენინურ-სტალინური იდეები საბჭოთა პატრიოტებს აღაფრთოვანებენ ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის, მათ უდიდესი ენერგია გააღვიძეს მილიონობით საბჭოთა ადამიანების გულში დიადი მიზნის — კომუნიზმის გამარჯვების განსახორციელებლად.

უდიდესი სიმტკიცითა და შორსმჭვრეტელობით წარმართავ შენ, ამხანაგო სტალინ, საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას, იბრძვი დიდი და მცირე

ხალხების მშვიდობისა და უშიშროებისათვის. განუზომლად გაიზარდა საერთაშორისო ავტორიტეტი სსრ კავშირისა, როგორც მშვიდობისა და დემოკრატიის დასაყრდენისა. კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების მშრომელები შენში ხედავენ მშვიდობისათვის ერთგულ და მტკიცე მებრძოლს და ყველა ქვეყნის ხალხთა საარსებო ინტერესების დამცველს. მსოფლიოს ყველა უბრალო ადამიანის გულში შენ აღანთე მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის, ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ხალხთა შორის მეგობრობისათვის ბრძოლის სამართლიანი საქმის ურყევი რწმენა.

საბჭოთა კავშირმა შენი ხელმძღვანელობით, ამხანაგო სტალინ, გადამწყვეტი როლი შეასრულა ფაშისტ დამპყრობელთაგან, კაპიტალისტთა და მემამულეთა უღლისაგან სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელთა განთავისუფლებაში. ამ ქვეყნების ხალხები გამსჭვალული არიან მადლობის გრძნობით შენდამი იმ უანგარო ძმური დახმარებისათვის, რასაც საბჭოთა კავშირი მათ უწევს ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში.

მეცნიერების დიდო კორიფეე! შენი კლასიკური ნაშრომები, რომლებიც ავითარებენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას ახალი ეპოქის, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების ეპოქის შესაბამისად, კაცობრიობის უდიდეს კუთვნილებას, რევოლუციური მარქსიზმის ენციკლოპედიას წარმოადგენენ. ამ ნაწარმოებებში საბჭოთა ადამიანები და ყველა ქვეყნის მშრომელთა მოწინავე წარმომადგენლები იძენენ ცოდნას, რწმენას, ახალ ძალებს მუშათა კლასის საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, პოულობენ პასუხს კომუნიზმისათვის თანამედროვე ბრძოლის ყველაზე მწვავე საკითხებზე. შენი ნაშრომები ნაციონალურ-კოლონიურ საკითხზე ბრწყინვალე შუქურასავით ანათებენ კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გზას. მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალების გიგანტური წარმატებანი გაცისკროვნებულია ლენინურ-სტალინური რევოლუციური აზრით.

კომუნიზმის დიდო ხუროთმოძღვარო! შენ ყველა ბოლშევიკს ასწავლი უდიდეს ბომთხოვნელობას საკუთარი თავისა და სხვებისადმი, ნაკლოვანებათა გაბედულ კრიტიკას და აფრთხილებ, რომ არ შეიძლება თავი დაიმშვიდონ მიღწეულით, თვითკმაყოფილებას მიეცენ წარმატებათა გამო. შენ გვასწავლი, რომ კრიტიკა და თვითკრიტიკა ქმედითი იარაღია კომუნიზმისათვის ბრძოლაში, რომ პარტიული და საბჭოთა კადრების განუყრელი ღირსება უნდა იყოს ბოლშევიკური თავმდაბლობა, გულისხმიერი და ყურადღებიანი დამოკიდებულება ხალხის საჭიროებისადმი, მაღალი იდეურობა და პრინციპულობა ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყველა გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ძვირფასო ამხანაგო სტალინ! შენ მუდამ გვასწავლიდი და გვასწავლი ჩვენ, ბოლშევიკებს, ვიყოთ ისეთნი, როგორიც იყო დიდი ლენინი, ძალების დაუზოგავად ვემსახუროთ ჩვენს ხალხს, ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი ჩვენი საყვარელი სამშობლოს შემდგომ აყვავებას, ყველაფერს ვაკეთებდეთ კომუნიზმის გამარჯვებისათვის. ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა ხალხი, მთელი მოწინავე კაცობრიობა შენში ხედავენ მასწავლებელსა და ბელადს, ლენინის უკვდავი საქმის გენიალურ განმგრძობს. სტალინის სახელი ყველაზე ძვირფასია ჩვენი ხალხისათვის, მთელი მსოფლიოს უბრალო ადამიანებისათვის. სტალინის სახელი—ეს არის კომუნიზმის მომავალი გამარჯვების სიმბოლო. საბჭოთა ადამიანებისა და მსოფლიოს მილიონობით მშრომელთა გული აღსავსეა მხურვალე სიყვარულით შენდამი—დიდო სტალინ!

დიდი ბედნიერებაა, რომ ვცხოვრობთ და შემოქმედებითს მუშაობას ვეწევით ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში, ვეკუთვნით ლენინ-სტალინის პარტიას, საბჭოთა ადამიანების გმირ თაობას, რომლებიც სტალინურ ეპოქაში იბრძვიან კომუნიზმის გამარჯვებისათვის, სტალინის ხელმძღვანელობით!

სულითა და გულით გისურვებთ შენ, ჩვენო მასწავლებელო და ბელადო, ჩვენო საუკეთესო მეგობარო და მებრძოლო ამხანაგო, მრავალ წელს ჯანმრთელობას და ნაყოფიერ შრომას ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, მთელი მსოფლიოს მშრომელთა საბედნიეროდ.

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ სტალინს!

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მხურვალე, გულითად სალამს გითვლით თქვენ, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბრძენ ბელადს, ყველა ქვეყნის მშრომელთა მამასა და მასწავლებელს, თქვენი სახელოვანი სამოცდაათი წლისთავის დღეს.

მთელი თქვენი ცხოვრება და მოღვაწეობა მუშათა კლასის საქმისათვის, მისი ამაღლებისათვის თავდადებული ბრძოლაა, სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის დიად საქმეთა მატიანეა, საბჭოთა სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცების, ჩვენი ქვეყნის სოციალისტური საზოგადოების გამარჯვების მატიანეა.

გენიალურ ლენინთან ერთად თქვენ, ამხანაგო სტალინ, შექმენით და გამოზარდეთ ბოლშევიკების მძლავრი პარტია, ახალი ტიპის პარტია, რომელიც დგას თავისი ისტორიული ამოცანის — კაპიტალისტური მონობისაგან მშრომელთა განთავისუფლებისა და კომუნიზმის აშენების ამოცანის სიმაღლეზე.

ლენინთან ერთად თქვენ წინ წაიყვანეთ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი, მშრომელი გლეხობა და უზრუნველყავით მათი გამარჯვება კაპიტალისტებსა და მემამულეებზე 1917 წლის ოქტომბერში.

ლენინთან ერთად თქვენ მოაწყეთ ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის თავდაცვა, გაანადგურეთ ჩვენი სამშობლოს შინაური და გარეშე მტრები, განამტკიცეთ სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარნი.

ლენინიზმის ყველა მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში თქვენ დაიცავით მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სიწმინდე, განავითარეთ და უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანეთ ეს მოძღვრება კომუნიზმისათვის ბრძოლის ახალ პირობებში.

თქვენ შეიმუშავეთ და გააშუქეთ ეროვნულ საკითხზე მარქსისტულ-ლენინური თეორიის ყველა მხარე. თქვენ შეჰქმენით ისტორიაში უმაგალითო ძმური მეგობრობა ჩვენი დიდი მრავალეროვანი სახელმწიფოს ხალხებისა, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული ცხოველმყოფელ საბჭოთა პატრიო-

ტიზმის გრძნობით, ბოლშევიკური პარტიის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების გრძნობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ ჩაუნერგეთ საბჭოთა ადამიანებს სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების ურყევი რწმენა და სათავეში ჩაუდექით მათ ბრძოლას სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის. თქვენმა გენიამ, ურყევმა ნებისყოფამ და ბრძნულმა შორსმჭვრეტელობამ უზრუნველყვეს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენება.

თქვენი სახელოვანი ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა დიდ სამამულო ომში გაანადგურა გერმანელი ფაშისტები და იაპონელი იმპერიალისტები, ღირსეულად დაიცვა თავისი ქვეყნის თავისუფლება და იხსნა კაცობრიობა ფაშისტური ბონობის საფრთხისაგან. ეს მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება სტალინური სამხედრო მეცნიერების ზეიმი, თქვენი, ამხანაგო სტალინ, სტრატეგიული და მხედართმთავრული გენიის უდიდესი ზეიმი გახდა.

დღეს ჩვენი ქვეყნის მშრომელები თქვენი ბრძნული წინამძღოლობით თავდადებულად იბრძვიან ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის, სრული კომუნისტური საზოგადოების აშენების დიადი ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის.

თქვენი სახელი, ამხანაგო სტალინ, აღაფრთოვანებს საბჭოთა ხალხს კომუნიზმისათვის ბრძოლაში, ენერგიასა და ძალას მატებს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებს, რომლებიც დაადგნენ სოციალიზმის მშენებლობის გზას. უდიდესი მადლიერებისა და იმედის გრძნობით შემოგყურებს თქვენ მთელი კაცობრიობა, ვინაიდან თქვენ ხართ მშვიდობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის დაუღალავი მებრძოლი, ყველა ქვეყნის მშრომელთა დიდი მეგობარი.

თქვენი დაბადების სამოცდაათი წლისთავის დღეს, რომელსაც დიდი ზეიმით და სიხარულით აღნიშნავენ ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა კავშირის ხალხები და სოციალიზმისა და დემოკრატიისათვის ყველა მებრძოლი მთელ მსოფლიოში, საქართველოს ბოლშევიკები და მთელი ხალხი მტკიცე, ბოლშევიკურ სიტყვას გაძლევენ, ამხანაგო სტალინ, კვლავაც თავდადებულად იბრძოლონ ყველა თქვენი მითითების შესრულებისათვის, ჩვენი დიადი სამშობლოს ეკონომიური და სამხედრო ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

სულით და გულით გისურვებთ, ძვირფასო ბელადო და მასწავლებელო! ჯანმრთელობასა და მრავალ წლის სიცოცხლეს საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საბედნიეროდ, მთელი მსოფლიოს მშრომელთა საბედნიეროდ.

გაუმარჯოს ჩვენს დიდ საბჭოთა სამშობლოს — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და დიდების ბურჯს!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის გმირულ პარტიას, ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

ცოცხლობდეს და მრავალ წელს დღეგრძელობდეს ჩვენი საყვარელი მამა და მასწავლებელი, ყველა ქვეყნის მშრომელთა დიდი და ბრძენი ბელადი იოსებ ბესარიონის-ძე ს ტ ა ლ ი ნ ი!

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხალხთა დიდ ბელადს მშობლიურ სტალინს

★

შენ, ჩვენო დიდო იმედო, სწორუპოვარო სარდალო,
ჩვენო მამავ და ბელადო, სიტყვით და საქმით მართალო,
შენდამი მიძღვნილ ზეიმზე, შენგან გამთბარი გულები
ამღერდნენ, როგორც მთებიდან ხმატკბილი სალამურები.
გორშიც შრიალებს დროშები, დროშები შუქის მთოველი,
სადაც ქართველი მწერლები შენს სადიდებლად მოველით,
სადაც დგას შენი აკვანი, სად დედის ნანა ჩაგესმა,
სადაც გაგათბო პირველად ქართული სიტყვის ალერსმა,
სად შენი სიყრმის ბუდეა, ბუდე აფრენილ არწივის,
სად საქართველოს ფუძეა და ქვეყნის გულის ნაწილიც, —
ყოველ კუთხიდან მოსულა, ხალხი მრავალზე მრავალი,
გორიდან, გულის სიღრმიდან რომ გიძღვნას წრფელი სალამი.
ქართლის ლამაზი სოფლები და გორის ყველა უბანი,
დიდი სამშობლოს ნაწილი ლაღი და თავისუფალი,
დღეს უერთდება ზეიმზე საბჭოთა კავშირს მადლიერს
და შენ გიმღერის, შეგძახის: იცოცხლე მრავალჟამიერ!

დიდი გზა განვლო სამშობლომ, დიდი გრიგალი, ქარბუქი,
წინ წარუძეხი მშრომელებს გულით მგზნებარე ჭაბუკი!
საიერიშოდ პარტიას როცა რაზმავდა ლენინი,
შენი დროშებიც გამოჩნდნენ მთებიდან ამოფრენილი!
თქვენი ძახილით აღვსდექით, თქვენ შეგვაგებეთ განთიადს,
თქვენ გამოსჭედეთ მედგარი ბოლშევიკური პარტია.
თქვენ სახელმწიფო ააგეთ შრომის და ბედნიერების —
ძლევამოსილი ერთობა ბორკილაყრილი ერების!
ასეთი მტკიცე კავშირი ქვეყნად არასდროს ყოფილა, —
ჩვენ რუსმა ხალხმა სტალინურ სიმტკიცით დაგვაძმობილა!
ყოველი სიტყვა, ბელადო, შენი ნათელი გენია,
ნამდვილი გაზაფხულია, ზღვა სიხარულის მფენია.
გაზაფხულია სოფლების და ქალაქების შენება,
გმირული შრომით შექმნილი ცისა და მიწის მშვენება!..
თავისუფალ საქართველომ ვაჟკაცური გაქანებით
მინდვრის მებრძოლ ხომალდებად სოფლად დასძრა მანქანები.
შუქმა სითბო მიაწვდინა ყოველ მხარეს, ყოველ ბინას

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ილიჩის ნათურები ვარსკვლავებად მიმოფინა.
სტალინური ხუთწლედებით ავაყვავეთ მინდორ-ველი,
გმირულ შრომით ავაშენეთ კომუნიზმის საძირკველი.
ეს პარტიის გეზი იყო, გზა სწორი და განუხრელი,
განუმტკიცდა გლეხს და მუშას მეგობრობა განუყრელი.
ეს დიადი გამარჯვება, როგორც ჰიმნი და სიმღერა,
დიდ სტალინურ ქარტიაში ბრძენის ხელით ჩაიწერა.
ინდუსტრიის კერად იქცა საყვარელი საქართველოც,
აღორძინდა, გაიფურჩქნა მისი ტურფა მთა და მდელო...

მაგრამ, როდესაც დაენთო ომის მრისხანე ხანძარი, —
მტარვალთა შესამუსრავად როცა ლაშქარი დასძარი.
თავგანწირულად იბრძოდნენ ქართველი ხალხის შვილებიც,
შენი ერთგული არწივის ფრთების ქვეშ გამოზრდილები.
ზღვები გადასჭრეს ლაშქრულით, ბრძოლები განვლეს ფიცხელი,
ქართველმა კაცმაც ამართა ბერლინში დროშა წითელი!
ჩვენ გავიმარჯვეთ, რადგანაც წინ შენ უძღოდი ვაჟკაცებს,
მზე ჩაესვენა მტრებისა, ჩვენი მზე უფრო კაშკაშებს!
თავისუფლება გადარჩა, დაემხო უსამართლობა, —
რადგან გვრაზმავდა სტალინის სწორუპოვარი სარდლობა.
მინდორში ღელავს ჯეჯილი, ღუმელში ცეცხლი ელვარებს,
კვლავ ეუფლება მშრომელი ახალ ხუთწლედის მწვერვალებს!
თეელი საბჭოთა ქვეყანა დიად შრომაში გართულა,
ჩაქუჩს ნამგალი ამშვენებს, ძნა-ძნაზე გადახლართულა,
ხარაჩო მისდევს ხარაჩოს, ტყესავით დგანან კედლები,
ქვას თლიან, რკინას ადნობენ ხუთწლედის ოქრომჭედლები.
სდუღს საქართველოს დოვლათიც, ქვა რომ ქვა არის, — აყვავდა,
ღვინო დაღვინდა მარნებში, ბეღლებში პური დახვავდა.
ქვესკნელი გახსნა მადანმა, დღემდე რომ უქმად ეძინა,
შავ-შავი, ფერად-ფერადი, მიწის გულს გადმოედინა.
ჩაღდება ქართლის სამჭედლო, პირველი ცეცხლის აკვანი,
ახლაც ატყვია სარკინეთს ამირან-გმირის ნაკვალი.
შენ გააღვიძე ის ცეცხლი, ზედ რომ ეყარა ნაცარი,
შენი მარჯვენის მადლია, ახლა რუსთავში რაც არი!
გაცოცხლდა ბოსტან-ქალაქის ფერფლად ქცეული ალაგი
და ხალხის შრომით წამოდგა მტკვარზე ფოლადის ქალაქი,
რომ ეყოს მშობელ ქვეყანას, უწინ რაც სისხლით ინამა
და სჭედოს ჩვენი სიმტკიცე ჩვენმა ცეცხლმა და რკინამა!

აი მტკვარი, შენი ყრმობის მეგობარი ადრიანი,
ზოგჯერ წყნარად მოდუდუნე, ზოგჯერ კუშტი, ავდრიანი, —
როცა კლდეებს აპობს მკერდით და ხმაურით ავსებს ხრამებს,
ცეცხლს უჩენს და შუქით ფანტავს ქართლის ცაზე მოსულ ღამეს,
მტკვარს რიონი ეშველება, ენგური და ხრამი — რიონს
ლამის შუქად იქცეს, რაც კი მდინარე აქვს კავკასიონს.
ღღეს იორსაც ეშურება, დაეკარგა მასაც თმენა —
სურს სამგორის დამწვარ ველზე უკვდავებამ იწყოს დენა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ყამირებს ასვას წყალი, რომ ისუნთქოს მიწამ ლაღად,
და თბილისი გადაიქცეს საქართველოს უჭკნობ ბაღად.
ქუთაისიც დღე ცისმარი ეჯიბრება რუსთავს ძმურად,
განა ერთი დაზგა შრომობს, განა ერთი ღვივის ქურა!
ქურა დაზგას ეჯიბრება, დაზგა გრდემლს და გრდემლი ყროს,
რომ შენს საქმეს, დიდო სტალინ, ღირსეულად ემსახუროს!
ეშურებათ, შენს დევ-გმირებს არ სჩვევიათ დახანება, —
უნდათ ამერ-იმერეთი ქსელონ ავტომანქანებმა.
სტალინ, გლეხს, უწინ დაჩაგრულს, გზა გაუხსენი მზიური,
გულს უტკბობს და თვალს უხარებს დოვლათი კოლექტიური.
ქართლი ბაღებმა დაფარეს, ყველა ხე იქცა ხეხილად,
იმ დღეს ნატრობენ, — ამ ბაღში შენი ჩამოსვლა ეხილათ!
კახეთი ზვრებით აივსო, ჩაის ბუჩქებით გურია,
იმერეთს — ვაზიც, ნარინჯიც, მხარ-ბეჭზე მოუხურია.
ჰყვავის კოლხეთის ბაღნარი, შენი მარჯვენით ნახატი,
შორს ხედავ, ქვეყნის თვალია, — კრემლიდან დაინახავდი!
შენა ხარ, დიდო ბელადო, მზრუნველი ყველა ბაღისა,
ეს დღე დიდებით მოსილი შენმა ნათელმა გვაღირსა!
კაცს დაუბრუნე კაცობა, შრომას მიეცი ღირსება,
ჩვენი სოფელიც, ქალაქიც შრომის გმირებით ივსება!

ნშობელი ხალხის ფიქრის და გრძნობების გამომხატველი
უმღერს და ხატავს შენ სახეს შთაგონებული ქართველი.
საბჭოთა ხალხი მონავალს იმედიანად გაჰყურებს,
შრომობს, აშენებს კომუნიზმს, ხალისით აწყობს აგურებს.
მთელმა მსოფლიომ გაიგო ჩვენი მიზანი მაღალი,
მრავალი ხალხი დაადგა ჩვენი ხალხების მაგალითს.
ადრინდებულად გარს მარტო მტერი როდი ღა გვარტყია,
დღეს ჩვენს მეზობელ ქვეყნებშიც ზეიმობს დემოკრატია.
კაპიტალისტურ სამყაროს საძირკვლებს გააქვს ზანზარი,
ჯერ იყო, შუა ევროპის დაკარგვამ დასცა თავზარი,
ახლა ჩინეთიც დაჰკარგა, შემოელეწა ფარხმალი,
წინ მიდის, ყველგან იმარჯვებს დემოკრატია ახალი.
წინ მიდის, რა შეაჩერებს შეუდრეკლებს და გულადებს,
მათაც ხომ მომავლისაკენ გზას შენი სიბრძნე უნათებს.
შენ სარბიელი მოგვეცი, შრომის, აზრის და ნებისა.
ლაღად გავშალეთ, ბელადო, ჩვენ ფრთები შთაგონებისა!
გორში მოვსულვართ და ვკოცნით შენს ტურფა ყრმობის ყვავილსა.
გილოცავთ სამოცდაათ წელს დიად ბრძოლებში გავლილსა!
გილოცავთ გამარჯვების გზას, შენ რომ გმირულად გვატარე,
გვაწრთე და შენი ფოლადის სიმტკიცე გამოგვატანე!
აქ შენი ყრმობა ხარობდა, როგორც ყვავილი მდელოსი,
შენ დაამკვიდრე დიდება მშობლიურ საქართველოსი.
გახსოვს? დაჭრილი არწივი, ყორნებს რომ ეომებოდა,
გნირი-ვაჟკაცის წუხილი ისმოდა საქართველოდან,
დღეს ის წუხილი წასულა და მზე დაგვნათის მაღალი,
დღეს ჩვენს ლექსებში ამღერდა სხვა საქართველო ახალი.

ჩვენი მზე თავათ შენა ხარ, გული ამ მზეში ციალებს,
მოფრინავს ლექსი გორიდან, შენსკენ ფრთებს მოაშრიალებს,
და ჩვენც, ქართველი მწერლები ერთხმად გიმღერით დიდებას,
დიდება იმას, ვინც ცაზე დილის მზესავით ბრწყინდება,
ჩვენს ბელადს, მამას, წინამძღოლს,

ს ტ ა ლ ი ნ ს

სიცოცხლე,

დიდება!

მიმართვა მიღებულია საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის საზეიმო პლენუმზე, ქ. გორში, 1949 წლის 22 დეკემბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გალაკტიონ ტაბიძე
საქართველოს სახალხო პოეტი

სტალინს

70 წლის შესრულების გამო

★

გმირული ხალხის, საყვარელ ხალხის,
ჩვენი ქართველი ხალხის სახელით,
სტალინ! გილოცავთ წელთა სიახლის
დაწყებას, გულის მთელის ძახილით!
სივრცენი ველთა და კლდეთა ქიმნი
ბუნება—სახე ყოველი ტანის—
ეს არის ჰიმნი, ეს არის ჰიმნი,
ვუმღეროთ ჰიმნი ჩვენს ძვირფას სტალინს!
გმირული ხალხის, საყვარელ ხალხის,
ჩვენი საყვარელ ხალხის სახელით,
სტალინ! გილოცავთ წელთა სიახლის
დაწყებას, გულის მთელის ძახილით!

კრემლის საათი! რა მხნედ, რა მარჯვედ
სამამულო ომს ხვდებოდა წუთი:
„ჩვენ გავიმარჯვებთ, ჩვენ გავიმარჯვეთ,
ჩვენ გავიმარჯვეთ! სალუტს—სალუტი“!
დიდებულია კრემლის საათი!
იმით დღეს რეკავს კოშკი და ველი;
სამოცდაათი, სამოცდაათი,
სამოცდაათი შესრულდა წელი!
გმირული ხალხის, საყვარელ ხალხის,
ჩვენი ქართველი ხალხის სახელით,
სტალინ! გილოცავთ წელთა სიახლის
დაწყებას, გულის მთელის ძახილით!

ერთა ძმობაა პირველი მცნება,
ვინც შეჰქმნა იგი პირველად, წრფელად,
ქებათა-ქება, ქებათა-ქება,
ქებათა-ქება ჩვენს ძვირფას ბელადს!
ჰხამს შეტევა და არდარიდება
რვაას მილიონ კაცთ ერთად მკრებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდება, კიდევ ქება-დიდება
ამფეთქებელს და შემკავშირებელს!
გმირული ხალხის, საყვარელ ხალხის,
ჩვენი ქართველი ხალხის სახელით,
სტალინ! გილოცავთ წელთა სიახლის
დაწყებას, გულის მთელის ძახილით!

გზით, გაკვალულით თამამად მიდის
სამოცდაათი წელი დიდებით—
ბებრძოლის დიდის, გენიის დიდის
სასწაულების მაგალითებით!
სტალინი ყოველ მხნე კომუნისტის
უმშვენიერეს მიმართავს სახელს:
ეპოქა გვიცდის, ეპოქა გვიცდის
და ითხოვს საქმეს სულ ახალ-ახალს!
გმირული ხალხის, საყვარელ ხალხის,
ჩვენი ქართველი ხალხის სახელით,
სტალინ! გილოცავთ წელთა სიახლის
დაწყებას, გულის მთელის ძახილით!

აჰა, გაისმა ასეთ დღისათვის
სიტყვა, სიმართლის სივრცედ შემდგარი:
მშვიდობისათვის, მშვიდობისათვის,
მშვიდობისათვის ბრძოლა მედგარი!
ის დღეა, ოდეს მსოფლიო მხატვრებს
აღფრთოვანება შემატებს თემას,
თავისუფლების იდეებს, ნატვრებს,
ნიჭის, ღირსების პატივისცემას.
გმირული ხალხის, საყვარელ ხალხის,
ჩვენი ქართველი ხალხის სახელით,
სტალინ! გილოცავთ წელთა სიახლის
დაწყებას, გულის მთელის ძახილით!

და იქაც ხალხის დიდი იერი
შალე ამაყად დროშებს ჩაუვლის:
მონახოს ფერი, შეიგრძნოს ფერი,
ფერი საბჭოთა დღესასწაულის!
და სიამაყე სიახლეთ ტალღის
კაცობრიობის ხმად გასწვდენია—
გმირული ხალხის, საყვარელ ხალხის,
ჩვენი საბჭოთა ხალხის გენია!
გმირული ხალხის, საყვარელ ხალხის
ჩვენი ქართველი ხალხის სახელით,
სტალინ! გილოცავთ წელთა სიახლის
დაწყებას, გულის მთელის ძახილით!

———.———

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსი სურკოვი
რუსეთი

ხალხთა ბელადს

★

გაშლილ ზღვაზე და ხმელეთზე,
გაშლილ მინდორ-ველადა,
ოკეანეთა მთების მწვერვალებზე
ცამდი ასასვლელადა,—
რასაც შორით თვალი ვკიდეთ,
გავხდით რისმე მნახველი,—
ამხანაგო სტალინ, ყველგან
ისმის თქვენი სახელი!

დღეს აქ, თქვენი მშობლიური
ზრუნვით ფრთებ-აშლილები
თქვენს სიცოცხლეს შეჰხარიან
თქვენი ღვიძლი შვილები!
ეგ სამოცდაათი წელი
ძგერა ძვირფას გულისა,—
ქვეყნად გამომხატველია
შენი საუკუნისა!

თქვენი ღვაწლი, დიდო სტალინ,
არის ისე დიადი,
როგორც ნათელ მზის ამოსვლა,
როგორც თვით ვანთიადი!

ჩვენი დროშა თქვენი მკლავით
არის ცადაფრენილი,
თქვენ ხართ ჩვენი გამარჯვება,
მხოლოდ თქვენ და ლენინი!

თქვენმა დიდმა სახელებმა
მარად ერთად გვინათოს,
რომ ცხოვრება კომუნიზმის
შუქით გამოგვიხატოს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თქვენ ბნელეთის ძალებს სძლიეთ
თქვენი მტკიცე გულითა,
მტკიცე არის ხალხის გულიც
თქვენი სიყვარულითა...

სტალინ, ჩვენი მაჯისცემა,
სითბო სისხლის წვეთისა,—
ვფიცავთ, რომ არ დავიშუროთ
არასოდეს თქვენთვისა!
კომუნიზმი სიხარული
არის ყველა ერების,
დრო სტალინურ გამარჯვების—
დროა ბედნიერების!

თარგმანი **კარლო კალაძისა**

—— . ——

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაქსიმ რილსკი
უკრაინა

სიმღერა სტალინზე

★

ცამდე აზიდულ მთებიდან
ლაღი არწივი აფრინდა,
მძლავრად გაშალა ფრთები და
წავი ღრუბელი დაფლითა.

დაგვზარდა, ფრენას გვასწავლის
მისი უკვდავი სიმართლე.
როგორც შუქურა ვარსკვლავი,
ბელადი გზაკვალს გვინათებს.

უფრო გაბრწყინდა ყვავილი,
ვარსკვლავიც უფრო კაშკაშებს,
ნება და სიბრძნე სტალინის
გვათბობს სტალინურ ვაჟკაცებს.

Библиотека

წყალი მორჩილი გამხდარა
ყანას ბარაქა ეღირსა,
ყველგან გუგუნებს ქარხანა
განახლებული ქვეყნისა.

წინსვლაში ძალას იმატებს
ჩვენი გაშლილი მხარ-მკლავი,
ბელადი გზაკვალს გვინათებს,
როგორც შუქურა ვარსკვლავი.

ნათელი, მრავალფერადი
ჩვენი ცხოვრება კაშკაშებს.
ნება და სიბრძნე ბელადის
გვათბობს სტალინურ ვაჟკაცებს.

თარგმანი **კონსტ. ლორთქიფანიძისა**

———.———

2. „ენათმცოდ", № 12.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იაკუბ კოლასი
ბელორუსია

სჯალინი

★

დღე მძვინვარებდა, სწუხდა ტრამალი,
წვიმის ნაღველი გულს გვიღარავდა,
ცეცხლს იტაცებდა ქარი ფრთამალი
და ბნელ ღრუბლებით ზეცას ფარავდა.

სწუხდა მიდამოც, გრგვინავდნენ მთები,
და მოსვენება არ გვქონდა წამით,
მიწას არყევდა ყუმბარის ხმები,
მდელო ბრწყინავდა სისხლიან ნამით.

გამოდი მინდვრად, —ნამდვილს და მართალს
მზე გეტყვის, ქარიც გიამბობს თანა,—
მტერს მკაცრი ბრძოლა ვინ გაუმართა,
ვინ დაგვიბრუნა სახლი და ყანა.

და მზე წარმოთქვამს—ლენინ და სტალინ!
ქარიც მას იტყვის დანამდვილებით.
ხალხთა უფლებას სიმართლის ძალით
სჭედენ პარტიის მტკიცე შვილები.

ბრწყინავს ცხოვრება მზითაღბეჭდილი,
შემოქმედებით, ფიქრით, ლაღობით,
ღელავს, შრიალებს ოქროს ჯეჯილი,
ლენინურ თესვის უხვი ნაყოფი.

გამოდი მიდვრად: მცენარეების
და თავთავების თბილი ქარია,
შეერთებულან მდინარეები,
არხში სიმღერით მიიჩქარიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითმფრინავები ჰაერს არწევენ,
ისმის გუგუნი განუწყვეტელი,
ვის ჰყავს ამდენი გუნდი არწივის,
ასეთი სწრაფი და შორსმჭვრეტელი?

ღვას უძლეველი ჩვენი არმია,
ხალხის, პარტიის მტკიცე კედელი,
მტრის ურდოები მიმოარბია,
გვიცავს მშვიდობის გამომჭედელი.

ვინ გაგვითენა დრო სანატრელი,
მზე და სიცოცხლე ბედნიერების?
ბოლშევიკური დროშის ნათელით
დიდმა სტალინმა დასძრა ერები.

სტალინ! შენ ჩვენი გაზაფხული ხარ,
თავისუფლების აზრის მთესავი,
მთელი ქვეყნის და კრემლის გული ხარ,
მუდამ იცოცხლებ ხალხში მზესავით.

თარგმანი **ალიო მირცხულავასი**

——.——

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰამიდ ალიმჯანი
უზბეკეთი

ბელადის დედას

★

ო, დედის გულო! ო, დედის სახევ!
შენში რამდენი სიკეთე ვნახე!
შვილთან აკვანზე გითენებია
და სიამაყით გული გგზნებია,
რომ იშვა ქვეყნად, იშვა ხალხისთვის
მშვენიერება მნათობის მსგავსი,
ლამაზი ბავშვი! ლამაზი ბავშვი!

ზღაპარი ძველი და ბევრისმთქმელი
შენთან ხმატკბილად, წყნარად, გულთბილად
არწივს პატარას უმღერდა ნანას!
მთების მწვერვალებს, უცქერდი ღელვით
და ჯერ არ სჩანდა გულში ნახული;
თითქოს გამცნობდა თოვლი ციალით:
მოვა სიამე და გაზაფხული!

შენ, ბედნიერო! თუ ჰნახე, იმ დროს,
როგორი გედგა ვარსკვლავი თავზე?
არ გიფიქრია, რომ შენი ბიჭი
გაანათებდა მთელს ქვეყანაზე?
რომ იქნებოდა ის წინამძღოლი
ბრძენთა-ბრძენების, ვაჟკაცებისა?
რომ იქნებოდა შენგან გაზრდილი
მაშვრალთა სუნთქვა აღტაცებისა?

ან თუ იცოდი, დაბადებისას
მოსწყდა მდინარე ყინულს მთებისას!
რომ არწივებმა შეინავარდეს,
შეიძრა პირი ზღვა-ხმელეთისა!
მიწის წიაღში ასტყდა გუგუნი!
ის კი ამაღლდა აზრით და გულით!
დადგა დარაჯად ჩვენთვის მოსული,
მთელის დიდებით, ძლევითმოსილი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო, ქვეყნის შვებავ! ბედნიერებავ!
მცირე აკვანში როგორ ეტიე?
პატარა ბავშვო, პირმოცინარევ,
თითქოს მოხველ და სხივებს ეწვიე;
ბილიკზე მიხვალ ხალისიანი,
მიწა გიღიმის, მშობელი მიწა,
ბალახი გკოცნის ცვარნამიანი!

ო, ქვეყნის გულო! გამხარებელო!
კაცო სპეტაკო! სულით ძლიერო!
მთების გაზრდილო, მთებზე მაღალო,
მთების გოდების გულისხმიერო!
შენ, საქართველოს პირმშო რჩეულო,
ყველა ქვეყნისთვის გულხელგაშლილო!
სამშობლოს ჯანღმა იდუმალ გითხრა
წმინდა ანდერძი საშვილიშვილო!
მშობლიურ ხალხის სევდით მწუხარე,
სოსო, შენ წახველ შორეულ მხარეს!

ო, დედის გულო, მას ელოდები!
ის კი არა ჩანს, როგორ ჰღონდები!
ფანჯრიდან გასცქერ და მას ვერ ჰხედავ!
ტანჯვას განიცდი, მაგრამ შენ სდუმხარ...
სდუმხარ შენ, რადგან ხარ სოსოს დედა!

შვილო, ძვირფასო, რომელ გზით მოხვალ?
ან დასვენება შენი სად არი?
შენ ბინა სად გაქვს მარად მოგზაურს,
ან ვინ კეთილმა მოგცა საფარი?
რომელ არეში, რომელ მხარეში
შენ ებრძვი სიკვდილს, განიცდი გზნებას?
ქედმოუხრელი და უშიშარი
სად მისცემიხარ თავდავიწყებას?

მე იმ თოვლიანს გზას ვერ გავიკვლევ,
ვერც დავძლევ მანძილს, მუდამ ვღონდები;
ძილი აღარ მაქვს ზამთრის ღამეში,
ვზივარ ბუხართან და გელოდები!
მაგრამ მე გულში ერთი მაქვს რწმენა,—
ეს იმედია ორბისფრთიანი:
რომ საპყრობილემ, გადასახლებამ
ვერ მოგაყენოს, შვილო, ზიანი!
ბოლოს აღსრულდა!..
მოიცა მზეო!
რად უნდა შენი შემონათება?
უშენოდ სხივთა ზიმზიმი არის...
ლოდინის შემდეგ დედა შვილს ხვდება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზეო, შენ შესდექ! იყავ დარაჯად...
მარტოდ სდგას შვილი დედის წინაშე;
ქვეყნის იმედი! ხალხთა მშვიდობა!
შენებრ ბრწყინვალე და მოკაშკაშე!

და რარიგ მძიმედ, მიდიოდა შვილისკენ დედა!
მთლად მოკრძალებით და აღსავსე მთლად სიხარულით!
ბოლოს მიაყრდნო თავი მკერდზე შვილს ფარაჯიანს...
და შვილიც სდუმდა, სდუმდა დიდხანს ადამიანი,
მკაცრი თვალებით თავდახრილი, გრძნობით მღელვარე...
და ბოლოს დედის ალერსისგან გაბრწყინვებულმა
ბავშვივით სათნოდ გაიღიმა და გაკრთა შუქი!

და იგი ასე სდგას მზის ქვეშეთზე
სულ მოღიმარი, სახელგანთქმული;
თვითონ მნათობი ბრძენის ჭაღარით,
ის ხალხის გულში ძეგლადჩადგმული!

მის შუბლს შეხედე მაღალს და ნათელს!
იქ წაიკითხე: იბრძოდა რამდენს!
და დაითვალე ბრძოლა მის გზაზე,
როგორც ვარსკვლავნი მოწმენდილ ცაზე!

მიაპყარ თვალი მის თვალთა მზერას!
შენი სამშობლო რად იწყებს მღერას?
ომის ქარცეცხლში გამოიარა,
დღეს მისგან არის აშენებული!
მოგვირჩა მისგან მძიმე იარა,
დღეს მისგან არის დამშვენებული!
და იხარებდე! მისგან გვრჩენია,
ეს ცა, ხმელეთი მისგან ჩვენია!

თარგმანი **სანდრო შანშიაშვილისა**

——— . ———

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯამბული
ყაზახეთი

სიმღერა სტალინზე

★

შემოვიარე ტრამალები, კლდენი, ქედები
სახე დამწვარმა, ქარდაკრულმა და თმებჭაღარამ.
ოთხმოცდაათი წელიწადი მზეს დავეძებდი,
ბოლოს შემომხვდა და სხივები შემომაყარა.

ვიდექ იმის წინ; დამაცქერდა და გამიცინა,
მომიალერსა, მომაფინა სინათლე ლბილი.
ვიდექ უსიტყვოდ მე იმის წინ, ჩემი მზის წინა, —
თითქოს ვიხილე ჯადოსნური სიზმარი ტკბილი.

სტალინ! შენა ხარ გაზაფხულის ეს მზე ცხოველი!
გადმოიხედავ, და მხურვალე სხივების ძალით
ყანა პურდება, გაიშლება კვირტი ყოველი,
ცხელდება სისხლი, გიზგიზებენ გულები ალით.

ვერ აჰყვავდება სიჭაბუკით ორჯერ სხეული,
მაქვს შევერცხლილი მოხუცებულს თმები და წვერი.
მაგრამ, შეხვედრის მოლოდინით გულგალეული,
შეგხვდი თუ არა, გარდავიქეც ჭაბუკად ბერი.

სასწაულებრივ გაჯეელდა ჯამბული კვალად,
თითქოს ყუმისით აბუყბუყდნენ სისხლის მილები,
თითქოს გასწორდა ხერხემალი მოხრილი რკალად,
თითქოს ხელახლა მეზრდებიან თეთრი კბილები.

ოთხმოცდაათის წლის ყმაწვილმა გიხილე თვალით,
გზა სილატაკის რომ გავლილ ეკლით ფარული,
და მოგიტანე შენ სალამი ხალხისა, სტალინ,
თავათ შენს მიერ განახლებულ კაცთ სიყვარული.

რა გამოვსცადეთ? მწუხარება, შიმშილი, დაღლა.
რა ვნახეთ ჩვენა? შოლტი, ხიშტი და ბორკილები.
მდიდარს ყოველი ჩვენთაგანი მიაჩნდა ძაღლად,
მწარედ ვგმინავდით დღის სინათლეს მოწყვეტილები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ გამოჩნდა მზე ბრწყინვალე წყვდიადის რღვევით,
თავისუფლება მოიტანე მრავალ ერისა,
გავჭედეთ ღერბი და აღვმართეთ ალამი ზევით
ქვეყნის—ყველაზე ნათელის და ბედნიერისა.

მზეო—სტალინო! იბრწყინვალე მზისავე მსგავსად.
კრემლში მოგართვით სიმღერები, გულნი, იანი.
არ იმყოფება ქვეყანაზე სრულიად არსად
შენზე საჭირო ხალხისათვის ადამიანი.

თარგმანი **კონსტანტინე ჯიჯინაძისა**

———.—.—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამედ ვურგუნი
აზერბაიჯანი

სალამი ბელადს

★

ბაქოს ცაზე რომ მთვარეა ბადრი,
ქალის სახე,—რომ არ იცის ჩადრი,
წერო, ლაჟვარდს რომ ლალად გასცურავს,
ლექსი, რომელიც სჭექს ვაჟკაცურად,
მზე, აღმოსავლეთ კარს რომ დარაჯობს,
ქვეყანა ჩემი, სხვა რომ არა სჯობს,
შენ გესალმება, შენით ამაყობს,
ბოლშევიკთაგან უპირველესო.

ჰყვავის უდაბნო, ჰყვავის უღრანი,
გადაჭდობია შირვანს მუღანი.
მთაში და ბარში მწიფდება ხილი,
ლენქორანს ჰფარავს ნარინჯთა ჩრდილი.
დარბაზებს ამკობს ნოხები ნუხის,
ქსოვილი მწვანე, თეთრი თუ რუხი.
სავსეა: მიწის წიაღი მადნით,
მამული ჩემი მშრომელის შადლით.
მხარდამხარ მისდევს, როგორ არ ვაქო,
მშრომელთა მოსკოვს მშრომელი ბაქო.
ეს ცაც ჩვენია, ეს მთაც, ეს ველიც.
ღიადი კრემლი იყოს დღეგრძელი.

ჩვენ ქარავანი მზისკენ დავძარით,
მზის სხივი გვიძღვის, ვძლიეთ ავდარი.
და სახეები მზისგან დამწვარი
შენ გიგზავნიან, ბელადო, სალამს,
თან ვატანთ ჩვენს მზეს, ჩვენს გულს და ძალას.
ყოველმხრივ ისმის შენი დიდება,
ხალხს შენი ქება არ მოწყინდება.
ეს სიტყვა გულებს ეხმატკბილება:
ბელადს დიდება! ბელადს დიდება!

თარგმანი **გრიგოლ აბაშიძისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სალომეა ნერისი
ლიტვა

სჯალინისადმი

★

უძლეველ მკერდით გაჰკვეთა ქარი,
იქცა გუშაგად მამულის, ხალხის.
და ანარეკლით ომის ხანძარის
აენთო მშვიდი იერი სახის.

ბნელა. ცეცხლი ჰქუხს თავზარდამცემი,
მძვინვარებს მტერი—რისხვადქცეული.
მაგრამ საჭესთან საბრძოლო გემის
დგას გულმაგარი გმირი რჩეული.

თვალში უბრწყინავს შუქი მთიების,
მზე გზას უნათებს—მტერი ღრუბლების.
გვერდს უდგას—სავსე შურისძიებით—
ხალხი ტრფიალი თავისუფლების.

მალე ჩადგება გრიგალი მკაცრი,
დაშრება სისხლის ტბა მეწამული.
აღმშენებელი ჩვენი მამულის
მტკიცედ დგას გმირი—გიგანტი კაცი,
მზის ქვეყნის შვილი — ურყევ ნებისა —
სად კრთის ცისკარი გამარჯვებისა!

თარგმანი ხარიტონ ვარდოშვილისა

—— . ——

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლეონიდ კორნიანუ
მოლდავეთი

ხალიჩა

★

ლურჯს და წითელ ძაფებს ვახვევთ
საქსოვ ნართის მისაღებად.
ჩვენს ნაქსოვზე, ერთი ნახეთ,
რა კარგი რამ ისახება.

ერთი ართავს ფერად ძაფებს
და მეორე აწყობს სამფად.
ლაჰქრის მაქო სხივებს აფრქვევს,
ხელი ფრინავს უფრო სწრაფად.

ხალიჩაზე, ერთი ნახეთ,
როგორ ბრწყინავს ვარდის თვალი.
ზედ სტალინის ძვირფას სახეს
მოლდაველი ჰქარგავს ქალი.

გავაგზავნოთ მოსკოვს გვინდა
ეს ხალიჩა მოქარგული,
რომ სტალინმა ნახოს წმინდა
გრძნობით სავსე ჩვენი გული.

გავუგზავნით ჩვენ მას ბარათს
და გულითადს ვუძღვნით სალამს.
ჩვენი გულის გასახარად
მან მჩაგვრელთა დასცა ძალა.

ლურჯს და წითელ ძაფებს ვახვევთ,
ვარდისფერიც იშოვება.
დღიდან დღეზე, ერთი ნახეთ,
რა კარგი რამ იქსოვება.

თარგმანი **ალექსანდრე აბაშელისა**

——— . ———

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იან სუდრაბკალნი
ლატვია

ბელადს

★

ჩვენ მუდამ გვძაგდა უცხოელი
დამპყრობელები,
მზად გვქონდა მათთვის ამართული
სახრჩობელები.

თავისუფლებას ხალხი ჩვენი
ნატრობდა ხშირად,
შენ დაიხსენი ის, დამდგარი
სიკვდილის პირად.

ქერივებს და ობლებს, როგორც მამამ,
გული გაუთბე.
გვწამდა: სტალინი თავის სიტყვას
არ გადაუხვევს.

შენ წყვდიადიდან აგვამაღლე
დიდების მზემდის,
კვლავ გამოცოცხლდა დაუგავა,
მდუმარე დღემდის.

შავი სვასტიკით გადაშენდნენ
ბავშვთამკვლელები,
ისევ ავავსეთ ოქროს ხორბლით
ჩვენი ბეღლები.

სალამი წრფელი! დღეგრძელობდეს
საბჭოთა ჯარი,
ბედნიერების ვინც გაუხსნა
სამშობლოს კარი!

როდესაც ვხვდები შეუდრეკელ,
ბუმბერაზ მხედრებს—
მე მათ ვუწოდებ შენი გმირულ
ოჯახის წევრებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენ და შენს მხედრებს ადიდებენ
პოეტის ხმები,
დიად სტალინურ გამარჯვებას
ამკობენ ქებით .

ნათელ მხარეში წინ მიგვიძღვი
ურყევის ძალით,
ვერაგი მტრების გამქრობელო,
ბელადო სტალინ!

შენი სახელი ჩვენს გულშია,
და დაფნის გვირგვინს
სურნელოვანი ჩავაქსოვეთ
ყვავილი მინდვრის.

და მით სურს მორთოს შენი შუბლი
ნათელმოსილი
მშრომელს, რომელმაც დაამსხვრია
მონის ბორკილი.

დე, ჩრდილოეთის დაფნის—მუხის—
ოთოლი სუფთა
აგვირგვინებდეს გაუჭკნობელს
შენს სახელს უკვდავს!

თარგმანი **ᲕᲐᲡᲝ ᲒᲝᲠᲒᲐᲫᲘᲡᲐ.**

—— . ——

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მირზო ჯურსუნ-ზადე
ტაჯიკეთი

წერილი ამხანაგ სტალინს

★

სტალინ!
ქვეყანა შენ გიგალობს დაუსრულებლად
და მასში ხალხის სიყვარული მე მეგულება.
რამდენიცაა მიწის ზურგზე ტომი ხალხისა,
იმდენივეა შენს შესახებ მათი თქმულება!

შუქმადლიანი მზე სიცოცხლის, სტალინ, შენა ხარ,
ლაჟვარდოვანი ცა უსაზღვრო, სტალინ, შენა ხარ!
თვალშეუდგამი მწვერვალი ხარ კაცთა გონების,
გულკეთილობის გაზაფხულის აღმოვლენა ხარ!

სტალინ, შენი ხმა ყველას გულში მძლავრად ხმიანობს
და გვირჩევს: — „მუდამ გამარჯვების გზებით ვიაროთ,
იყავ მამაცი და მებრძოლი შეუდრეკელი,
ჩვენ ხომ მსახურნი ვართ ხალხისა, ადამიანო!“

ჩვენ აღარ გვინდა უწინდელი ცხოვრება მწარე.
როგორც სიმღერა, შრომაც ყველას დღეს გულს უხარებს.
გთხოვ მოისმინო, საყვარელო მასწავლებელო,
პამირის მკვიდრთა ეს მოთხრობა ეგრეთ მწუხარე:

სალ კლდეთა შორის ქვეყნისაგან დავიწყებული,
მშიერ-მწყურვალი, უძლური და ატირებული
ტაჯიკი, ნამდვილ ცხოვრების გზას გადაცდენილი,
წვალობდა მუდამ ტანჯული და სვეუბედური.

ის ლუკმა-პურის საშოვნელად შორს მიდიოდა,
უცხო ქვეყნებში, თვის ძალ-ღონეს არა ზოგავდა,
შინდარჩენილი ცოლი დიდხანს მწარედ ტიროდა,
ხან თუ მღეროდა, ეს სიმღერაც კვნესას მოგავდა:

„მაისი დადგა, — მეგობარო, შენ როდის მოხვალ?
უკვე აყვავდა ბროწეული, შენ როდის მოხვალ?
შენ ხომ მითხარი, დავბრუნდები თოვლის მოსვლამდე,
თოვლი ჩამოდნა... მეგობარო, შენ როდის მოხვალ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედნიერებას დაეძებდა ადამიანი,
კბილების ღრჭენით ცოდვილობდა ადამიანი,
საუკუნეთა გრძელ მანძილზე ტანჯულ ცხოვრებას
ჩვენ ვატარებდით ტაჯიკები გულდარდიანნი.

და ჩვენი ტანჯვა, შენ ბელადო, პირველმა იგრძენ.
დიდება შენს თვალს ყოვლისმხედველს, შენს ნათელ სიბრძნეს!
მფრინავებს ჩვენი მთებისაკენ გზა მოასწავლე
და ჩვენს საშველად ინჟინრები უმალვე იხმე.

პამირის მთებში სიბნელეში მარტოდ მყოფელი
დაუკავშირა ახალმა გზამ ქალაქს სოფელი.
შემოგრიალდა სალ კლდეებში რკინის მერანი
და ტაჯიკია მისი მძღოლი, მარჯვე შოფერი.

აჰა, აღსრულდა პამირელთა ძველი ოცნება,—
გავიგეთ უკვე, როგორ ზრუნავს ჩვენზე ბელადი:
პირველად ნახეს მთიელებმა, ვით საოცრება,
ნავთი, მარილი, ქსოვილები ფერად-ფერადი.

აგერ, მოვიდნენ მუშაობის ჩვენთან მსურველნი:
უმამაცესი ჭაბუკები და ქალწულები:
აგრონომები, ინჟინრები, მასწავლებლები,
და ექიმები—თეთრ-ხალათებ-გადაცმულები.

გმირული შრომის დრო დაგვიდგა შუქმოციმციმე
და ბოროტებას ამ მიწაზე აღარ აქვს ძალა.
შრომამ დაკარგა უწინდელი ტანჯვის სიმძიმე,
უკუნი ღამეც უკვე ნათელ დღედ შეიცვალა.

ძველად სიმღერა იყო სევდა—ნაღველით სავსე:
„ჩემო ძვირფასო, სალი კლდე დგას ჩვენს შორის გზაზე;
არ მიშვებს იგი, საყვარელო, მოვიდე შენთან!
ო, სიყვარულმა ჩემი გული დატანჯა ასე“...

ახალგაზრდობა ახლა სულ სხვა სიმღერას მღერის:
„მთაზე გზა მიდის, მეგობარო, აწ მშვენიერი!
შორს გადვისროლე იგი კლდე, ჩვენ რომ დაგვაშორა.
ო, მალე, მალე, საყვარელო, შენ ჩემთან მოხვალ!“

სტალინ, განთქმულა შენი საქმე გამოუთქმელი.
დაე, იდიდოს ქვეყანაზე სიმართლე შენი!
ჩვენც გვინდა გითხრათ წრფელი სიტყვა პამირის მთიდან:
დაე, იდიდოს ქვეყანაზე სიმართლე შენი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვებს ანბანი შევასწავლოთ,—აი, რა გვინდა!
სიცოცხლის წიგნი გადავშალოთ, — აი, რა გვინდა!
ხალხთ დიდების და ნეტარების ჟამი დადგება!—
მიწა ჩვენს შვილებს რომ გადავცეთ,—აი, რა გვინდა!

დე, მათ სწავლის გზით მოიპოვონ ბედნიერება!
დე, შეითვისონ ჭეშმარიტი მეცნიერება,
რომ ჩვენც გავიგოთ აზრნათელი შრომები ბრძენთა,
რომ გავაშენოთ მთის კალთებზე ხილის—ბაღები,
რომ ელექტრონის ვარსკვლავები მიწაზე შევქმნათ,
დავიმორჩილოთ მთის მდინარის შმაგი ტალღები.

აჰა, დამდგარა გმირულ შრომის დიადი ჟამი!
აჰა, ნათელ დღედ გარდაქმნილა უკუნი ღამე!

* * *

სტალინ, ყველაზე უკეთესო ადამიანო,
შენი ხმა, როგორც ზარი, ყველას გულში ხმიანობს;
„იყავ მამაცი და მებრძოლი შეუდრეკელი,
ჩვენ ხომ მსახურნი ვართ ხალხისა, ადამიანო!“

შუქმადლიანი სიცოცხლის მზე,—
სტალინ, შენა ხარ,
ლაჟვარდოვანი ცა უსაზღვრო,—
სტალინ, შენა ხარ,
თვალშეუდგამი მწვერვალი ხარ კაცთა გონების,
ქველმოქმედების გაზაფხულის აღმოვლენა ხარ!

თარგმანი **შალვა ფოლრჩხიძისა** და **ვახტანგ გეწუკელისა.**

—— . ——

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თემირყული უმეზალიევი
ყირგიზეთი

დიადი წიგნი

★

ის წიგნი სტალინის ხელით დაიწერა,
შიგ ხალხთა სიკეთის გაისმის სიმღერა,
როგორც მზემ სიამით გული აგვიჟღერა,
მოჰფინა ქვეყანას შუქი ამ წიგნმა.

გადავშლი პირველ გვერდს ჯადოსნურ წიგნისა
და ვხედავ ჩემს მხარეს მილები ქარხნისა
ფარავენ. სიმდიდრე მახარებს ხალხისა,
„შრომა ჰქმნის სიუხვეს“ მითხრა ამ წიგნმა.

გადავშლი შემდეგ გვერდს მე, გაკვირვებული,
ყველგან სჩანს სკოლები, მზით გაჩაღებული,
„სიბნელე იქნება ცოდნით დარბეული,
ბატირი გახდები“,—მიამბო წიგნმა!

ჰა გვერდი მესამე. უკვდავი ბუნება
მარადი სიტურფით გულს ესალბუნება.
„ყველას აქვს უფლება, როს მოესურვება,
აქ დასვენებისა“, — მითხრა ამ წიგნმა.

რუსი და ქართველი, ყირგიზი, თათარი
მხარდამხარ არიან, ყველა ერთად არი.
„ვინც გინდა იყავი, მხოლოდ შენი არი!
შენი მიწა-წყალი“, მახარა წიგნმა.

დგას ჩემს წინ ლენინი, მთებზე უმაღლესი,
გულს ატკბობს მაისის ყვავილთა ალერსი,
ბულბულთა გალობა მალხენს უნაზესი,—
ეს ბედნიერება მარგუნა წიგნმა.

ვძლიე განსაცდელი, ჭმუნვა და წამება,
ნამულს თავს შევწირავ, არ დამენანება.
მტერმა თუ გაბედა ჩვენზე მოძალება,—
მტერს გულს გაუგმირავს დიადი წიგნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრთხილად ვარ—გუშაგი, მხეცი ვერ დამესხმის;
მტკვრად ვაქცევ წუთში მას,—როგორც ხმა მომესმის.
ყორნებთან საომრად ორბის ფრთა ამესხმის,
როგორც სულს საკუთარს მე ვიცავ ამ წიგნს.

ვარღვევდი წყვდიადს, თუ შორს სადმე ვლაშქრობდი,
მტრის ცეცხლის ქარიშხალს, თუ ზვირთებს ვაპობდი,
ან თავგანწირულად „წინ გასწით“! ვამბობდი—
ყოველთვის ჩემს გულში იდვა ეს წიგნი.

მოძულეს დამხობით წიგნი ემუქრება,
ბორგავენ გრიგალნი,—მზე ნათობს უკლებლად.
მზეს მომავალისა ვინ დაეუფლება?!
მარად უძლეველია სტალინის წიგნი!

თარგმანი **ნიკოლოზ ნადირაძისა**

—— . ——

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსეი ისაკიანი
სომხეთი

დიდ სვალინს

★

ჩაგვრის სამყაროს თავზე აღმართე
შენ ისტორიის დამსჯელი ხმალი,
დიად ბრძოლების ცეცხლი აღანთე
შენი სიტყვების უწმინდეს ალით.

ზღვას ზღვა შეერთო, ღრუბლებს ღრუბლები,
აღსდგნენ, გამოგყვნენ ქვეყნის ერები,
სადაც მზე ბრწყინავს თავისუფლების
ახალ სამყაროს ბედნიერების.

ისევ ომის ზარს მტერი არისხებს,
დღესაც არ სძინავთ პირშავ ბანაკებს,
მაგრამ მსოფლიოს ნათელ ხვალის დღეს
შენი ფოლადის მკლავი განაგებს.

გამარჯვებიდან სჭედ გამარჯვებას,
მორჩა წყლული და სასოწარკვეთა;
იყავ დღეგრძელი, ლხენავ და შვებავ,
დიდო მოძღვარო დიდთა საქმეთა.

თარგმანი **ირაკლი აბაშიძისა.**

—.—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯანმურად მონგოონი
თურქმენეთი

სტალინი

★

ჩვენს გამარჯვებას ბრძოლით სჭედდი შავბნელ ხანაში,
შენ ხარ მზის შუქი და სიმართლის ელვარე ხმალი.
ვისაც არ უნდა შეეკითხო ჩემს ქვეყანაში:
„ვინ არის შენი მზე და მთვარე?“—მოგიგებს: სტალინ!

შენ ხარ წყვდიადით მოცულ ცაზე რიჟრაჟის ფენა,
მთელი მსოფლიო ბრძოლის ხმებით შესძარი შენა,
უსინათლოებს მიეც მზერა და მუნჯებს—ენა,
ყველა ჭრილობის განკურნება შენა ხარ, სტალინ!

შენი ნაწრთობი მეომარი ვეფხვივით იბრძვის,
შენმა ყანებმა ოქროს უხვი ხორბალი იცის,
ძევ საყვარელო, საზეიმოდ მორთული მიწის,
რაზედაც მუდამ გამარჯვებით დადიხარ, სტალინ!

დაჩაგრულს ბრძოლით მოუპოვე თავისუფლება,
შენზე ერთგული ხალხისათვის არ მეგულება,
აღსდგა მშრომელი და, ვით გმირმა, მიმართულება
შენის ბრძანებით შეუცვალა მდინარეს, სტალინ!

ასეთ გმირის წინ ლერწამივით გადატყდა მტერი,
შენთან შებმული, არაერთხელ დამარცხდა მტერი,
ახლაც ბუმბერაზს კემირ-კიორს[1] წააწყდა მტერი.
მხნე ვაჟკაცები შვილებივით შენ გიყვარს, სტალინ!

მამამ მოუხმო, შვილმაც ხმალი, მტრის გულის მკვეთი,
აიღო, ომში აღიმართა ფოლადის მკერდით.
ჩემს მშობელ ხალხსაც ამ ბრძოლაში გზა ჰქონდა ერთი:
და იგი ჩვენი გამარჯვების გზა იყო, სტალინ!

თარგმანი ვასო გოგრგაძისა.

---

[1] კემირ-კიორი — თურქმენეთის სახალხო გმირი, რომელიც მე-18 საუკუნეში ებრძოდა ნადირშაჰს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარჯ რაუდი
ესტონეთი

დიდება სტალინს!

★

სადაც ბალტიის ნაპირია, რკალად მოხრილი,
იქ ცა აენთო, და მშრომელთა ურყევის ნებით
დღეს წინ მიდიხარ, ესტონეთო, სხივშემოსილი,
თავისუფლების ბედნიერი ახალი გზებით.

ქვა ქვას მივუდგათ. ბალნარებად ვაქციოთ მიწა,
დაუზოგავად ხალხს შევწიროთ ძალღონე ჩვენი.
ურღვევი ძმობით შემტკიცულებს, მტრისაგან გვიცავს —
მძლავრი საბჭოთა კავშირი და ბელადი ბრძენი.

გმირებს, დალუპულს სამართლიან ომში, დიდება!
დიად პარტიის, სიმღერებში, ვადიდოთ ძალი.
უკვდავი საქმე სტალინისა წინ მიგვიძღვება,
დიდება სტალინს!

თარგმანი ვასო გოლგაძისა.

— . —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ემი სიაო
ჩინეთი

სიმღერა სტალინზე

★

სიბნელე ჩამოწვა მრუმე,
გაუვალ, დაბურულ ტყეში.
დაებნა ბილიკი უცებ,
შეშინდა პატარა მწყემსი.

ბრდღვინავდნენ ვეფხვები ქარში,
საზარლად ღმუოდა მგელიც.
და ბიჭმა იფიქრა მაშინ:
უთუოდ სიკვდილი მელის!

მაგრამ ცას როს ჰკიდა თვალი,
ვაბრწყინდა ვარსკვლავი მზისებრ.
მიეცა შვება და ძალი,
გზა მედგრად განაგრძო ისევ.

ულრანი ტყე განვლო მშვიდად,
ვერ მიწვდა ნადირის კბილი...
მხარმკლავებს ხალისით შლიდა,
დასძახა სიმღერა ტკბილი:

მადლობა, მადლობა ზეცას,
ღამითაც შუქი რომ აკრავს,
მადლობა შრიალა ტყესა,
მადლობა კაშკაშა ვარსკვლავს!

გახსოვდეს, ჩინელო ბიჭო,
შენ რომ გზა გიჩვენა ღამით,—
ის მნათი ვარსკვლავი თვითონ
დიადი სტალინი არის!

თარგმანი **გრიგოლ იმედაძისა.**

——— . ———

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იოჰანეს ბეხერი
გერმანია

სტალინის სიტყვა

★

„ძმებო და დებო! მეგობრებო ჩემო!“ სთქვა ასე
და მოგვიწოდა საბრძოლველად. ის იყო ჩვენთან
და მისი სიტყვა იმედების ნაკადად ჩქეფდა, —
მაღალ გრძნობებით და შეგნებით ვიყავი სავსე.

მძიმე წუთებში მისმა ძალამ შესძრა სამყარო,
უძლევ ბელადის სიტყვის ძალას ზღვარი არ ჰქონდა, —
დიად საქმისთვის მისი სიტყვა ყველგან დაჰქროდა, —
ყველა ჩვენგანში იგი იქცა გმირობის წყაროდ.

მას მიყვებიან მეგობრები, ძმები და დები
და თითოეულს ემატება უძლევი ძალა,
ბელადის სიტყვით საბრძოლველად წინ იწევს, — ილტვის,

ყველა ჩვენგანი მისი სიტყვით მტრის წინ არ ვდრკებით, —
მტერი გაცოფდა, — ჩვენმა ძალამ ის გაამწარა, —
ჩვენში განმტკიცდა ძლიერება სტალინურ სიტყვის.

თარგმანი **ს. ეული-ჟურიძისა.**

——— . ———

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრანტიშეკ ბრუბინი
ჩეხოსლოვაკია

პრალის მაისი

★

შენს ვაჟკაცობას, შენს გატაცებას
ჩემი მშფოთვარე სული უმღერის.
დედა — სამშობლო, შენ მგელკაცებმა
ქედზე დაგადგეს მძიმე უღელი.
შენს უკვდავებას, შენს გატაცებას
ჩემი სიმღერა ქედმოუხრელი!

ო, როგორც მეხი ვერ დაიძინებს,
ვერ დაიძინებს შენი ნაღველი.
ექვსი წელია ბნელში ციმციმებს
შენი კეთილი, წმინდა სახელი.
და როგორც მეხი ვერ დაიძინებს,
ვერ დავიძინებ შენი მნახველი.

მიწაში მოსთქვამს შენი სახნისი,
დადუმებულან ქარხნის თაღები.
ექვსი წელია ოხვრად გაისმის
ჩუმი შრიალი შენი ბაღების...
მაგრამ მოვიდა ერთი მაისი,
ქუჩებს მოჰფინა ბაირაღები.

შურისძიება დადის პრაღაში
და სარდაფებში არიგებს თოფებს.
დროშების ალი, როგორც განგაში
ეძახის ქალაქს, ეძახის სოფელს.
შურისძიება დადის პრაღაში
და სარდაფებში არიგებს თოფებს.

ექვსი წელია, ექვსი წელია
იმ არაკაცმა არ გამახარა,
თვალებში ცრემლი გამომელია
და მომემატა თმაში ჭაღარა.
ექვსი წელია, ექვსი წელია
ექვსი გოლგოთა აღარ მაკმარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა-სამშობლოვ, ცამდე მართალო,
დროშების ცეცხლი პრაღას ანათებს.
დღეს აჯანყებამ უნდა დათვალოს
რამდენი მართებს ჩვენი ჯალათებს.
სახლიდან სახლზე ცეცხლი გადადის
და გუგუნებენ ცეცხლში ზარები:
უნდა მოისპონ აწ და მარადის
განა კაცები? — ნაკაცარები...

. . . . . .

უთანასწორო ბრძოლა გაჩაღდა,
გვახრჩობს ღალატის შავი ხელები,
ისევ გერევა ურდო ყაჩაღთა
და ჩვენ გვეძებენ სახრჩობელები.
უთანასწორო ბრძოლა გაჩაღდა,
გვახრჩობს ღალატის შავი ხელები.

მაგრამ ესმოდათ სტალინგრადელებს
ჩემი მდუღარე გულის ძახილი:
ჩემი სამშობლო როგორ გათელეს
და როგორ ჩასცეს მტრებმა მახვილი.
ეწოდათ გული სტალინგრადელებს,
რომ ჩემი დროშა იყო დახრილი.

არა ვარ მონად დაბადებული
და, დიდო სტალინ, შენ გევედრები:
ხალხთა ძმობაში თავდადებული,
დღეს მომაშველე შენი მხედრები,
არა ვარ მონად დაბადებული,
დამიხსენ, სტალინ, შენ გევედრები!

განა ამაოდ შევთხოვდი შველას —
გულმა დარეკა იმედის ზარი.
აგერ ნაცნობი ვარსკვლავი ელავს,
პრაღისკენ მოდის სტალინის ჯარი.
განა ამაოდ შევთხოვდი შველას —
არ შეარჩინა მტერს ჩემი ჯავრი.

„სტალინს მადლობა!“ გუგუნებს ლაღად
ჩემი — ქარხანა, ჩემი სახნისი.
«სტალინს დიდება!» გუგუნებს პრაღა, —
„მან გამითენა მართლა მაისი“.

თარგმანი **კონსტანტინე ლოლთქიფანიძისა.**

——.——

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანაგოლ გიდაში
უნგრეთი

ჩემო უნგრეთო!

★

ხალხის მშვიდობას
ხვალ ვინ დაიცავს—
ჰქონდეს ცხოვრება შუქმოფენილი
ხალხი გუგუნებს წმინდა საფიცარს:
— დიდი ლენინი,
დიდი ლენინი!

ვინ მოგვაშორა
მძიმე ნაღველი,
ვინ აძლევს შრომას ძალას და ხალისს!!
ხალხში გუგუნებს ერთი სახელი:
— დიდება სტალინს,
დიდება სტალინს.

ვინ ჩაურაზავს
მტერს სახლის კარებს,
ვინ არის შენი მხსნელი-მფარველი!!
— საბჭოთა მხარე,
სტალინის მხარე,
გესმის, გუგუნებს შენი მთა-ველი!

თარგმანი კ. ლოლრთქიფანიძისა.

——— . ———

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პედრო გარფიასი
ესპანეთი

სტალინი

★

მუდამ ნათელი
შენი სახელი
ცხოვრების გზაზე ღამეს გვინათებს...
ჩვენი ოცნების გამომსახველი
ის ყველგან არის, როგორც სიმართლე.

ყანის შრიალში,
ჩარხის ტრიალში,
გუთნის კვალში და მხატვრის ფერებში...
როგორც ვარსკვლავი ღამის წყვდიადში,
ის ყველგან არის ჩვენს სიმღერებში.

ის არის,
მუშას რომ მატებს ძალას,
ტყეში პარტიზანს სიხარულს მოჰფენს...
შენი სახელი ახარებს ქალაქს,
შენი სახელი ახარებს სოფელს.

სტალინ!
ამ სახელს რომ გაიგონებს
ქვეყანა, წელში სწორდება მაშინ...
იგი ამღერებს ლაღად სტრიქონებს,
იგი მეტყველებს უბრალო ქვაშიც.

თუ არა შენი სიტყვა დიადი,
შენი უკვდავი სიბრძნე, სიმართლე, —
ვის გაეფანტა შავი წყვდიადი,
ვის მოეტანა ჩვენთვის სინათლე!

მან მისცა ძალა
სიმართლის მახვილს
და ხალხს მშვიდობა ისევ ეღირსა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სტალინ,
შვილი ვარ მეც შენი ხალხის,
სტალინ,
მამა ხარ მთელი ქვეყნისა!

ვიცი, დახავსდა ძველი ქვეყანა,
ქვეყანა სავსე ცოფით და შხამით,
და ჩვენც გვწყურია თავისუფლება,
მაგრამ მოვიდა დუმილის ჟამი...

ისევ ლოდინი...
ისევ ლოდინი...
ჯერ ჩემმა გულმა ვერ გაიხარა...

გაფიცებ იმ სისხლს,
ომის დღეებში
შენს მიწაწყალზე რომ დაიღვარა...

გაფიცებ ტრაქტორს,
ტანკად რომ იქცა, —
გაფიცებ თავთავს,
ტყვიად რომ იქცა...

მითხარ, ოდესმე ჩემს სამშობლოში
თუ მეღირსება მე დაბრუნება!
როდის გამითბობს გულს გამწარებულს
ჩემი ლამაზი ქვეყნის ბუნება.

ო ესპანეთი,
სამშობლო ჩემი
იმ ძველ ბორკილებს როდის დალეწავს...
როდის აღსდგება დამცირებული
და მოიშორებს ქვეყნის გარეწარს.

და როდის, როდის მოისვენებენ
საფლავში ძვლები ვაჟკაცებისა,
ვინც შეგეწირა, ჩემო ქვეყანავ,
და გამარჯვებას აღარ ეღირსა.

ო, მითხარ, სტალინ...
შენ შემოგცქერის.
მილიონების გული მართალი,
ვისაც სწყურია თავისუფლება,
შენ ხარ დიადი მათი სარდალი.

თარგმანი **კონსტანტინე ლორთქიფანიძისა**

——. ——

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პაბლო ნერუდა
ჩილი

იოსებ სტალინი

★

ძველისძველ კრემლის სამს ოთახში
ცხოვრობს ბელადი,
მას სიამაყით ეძახიან
იოსებ სტალინს...
გვიან ღამითაც მის ფანჯრებში არ ჰქრება შუქი,
ქვეყნიერების მომავალზე ის ზრუნავს მაშინ
და თავის ქვეყნის სასიკეთოდ ათენებს ღამეს.
მან თვითონ შეჰქმნა ეს ქვეყანა, თვითონ აღზარდა,
თვითონ დაიცვა არა ერთი განსაცდელისგან.
ის არის ამ დიდ ქვეყნისაგან განუყოფელი,
ჯანმოუღლელი,
როგორც მისი მშობელი ხალხი.
წლები გავიდნენ, ნამქერმა და თოფის წამალმა
რაც დაუსუნთქეს სახე მტკიცე, მოუღრუბლავი,
როდესაც ქვეყნის ყაჩაღებმა მოიწადინეს
კვლავ მოეხდინათ (ისე, როგორც ახლა სწადიათ),
დამცირებულთა, წამებულთა მილიონების
მონურ უღელში შებმა შავის აპეურებით.
სტალინმა მათი შემოტევა მოიგერია,
ვრანგელს, დენიკინს აწყევლინა ბედი, შავბედი,
(ქვეყნად „კულტურის დასაცავად“ რომ გამოგზავნეს).
რადგან თავს იდვეს მათ ჯალათის გამოსარჩლება,
მწარედ ინანეს, საზღაურიც ზღეს ღირსეული!
დღესა და ღამეს
ასწორებდა დიდი სტალინი
შრომაში, თავის თვალუწვდენელ ქვეყნის მიწაზე,
როდესაც ომის შავი ცეცხლი ისევ აენთო.
დაიძრა ტალღა, ფაშისტების ველური ტალღა,
მათ ჩემბერლენმა ცოფიანი ძუძუ აწოვა;
მაგრამ სტალინმა დაამარცხა იგი ყოველგან,
ყველა საზღვარზე, თავის მიწის ყველა მეჯნაზე.
და მისი ლაღი არწივები, —
მისი შვილები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით ხალხთა რისხვის ქარიშხალი ეკვეთნენ ბერლინს;
თან მიიტანეს საბჭოების დიადი ქვეყნის
მაღალი დროშა და საქვეყნო დიდი მშვიდობა!
სტალინის გვერდით მოლოტოვი, ვოროშილოვი
და უძლეველი გენერლები ერთგულად სდგანან.
მათში ძალაა, თოვლიანი ულრანი ტყისა,
მადლიან შრომით ომგადახდილ საბჭოთა მიწას,
თვალუწვდენელს და უნაპიროს კვლავ რომ აშენებს...
სადაც სიკვდილი დაამარცხა უკვდავმა საქმემ,
და განთიადი რეკავს როგორც დიდების ჰიმნი!

მათ „ამხანაგი“ გულხმიერად უწოდეს ქვეყნად
ყველა დაჩაგრულ ადამიანს, ტომებს და ხალხებს.
მათს სამშობლოში აღარ არის სადმე მდიდარი,
არც მათხოვარი და არც მონა გაწვდილი ხელით,
ხალხს მისცეს მიწა და ბნელ ღამეს შუქი მოჰფინეს.
ყური დამიგდეთ, გული ამბობს თვითეულ სიტყვას!
აი ამიტომ გეუბნებით ყველას საქვეყნოდ,
შენ—არკანზასში, აჩრდილივით მდგარო გოგონავ,
ვესტ-პოინტელო ახალგაზრდავ, ოქროსთმიანო,
შენც, დეტროიტში რომ მისტირი დღეებს, ხარატო,
და ძველ ორლეანს რომ აკვდები, ტვირთმძიმე მუშავ,—
თქვენ გეუბნებით, გიმეორებთ კიდევ ათასჯერ:
ნაბიჯი მტკიცედ! მოუსმინეთ, ქვეყნიერების
ხალხი რას ამბობს, რაზე ფიქრობს ადამიანი!
არა ჭაბუკი უსაქმური, ქუჩას რომ სტკეპნის,
არც აქციების მესაკუთრე გაცოფებული, —
გესაუბრებათ მეგობარი, ძმა და პოეტი,
შორს სამხრეთიდან აქ, ჩრდილოეთს გადმოხვეწილი.
პატაგონიის რკინიგზაზე დავტოვე მამა,
სხვის სამსახურში ათენებდა უძილო ღამეს.
ვართ თქვენი კაცი და თქვენსავით ამერიკელი,
ანდის მთიანი ჰაერივით თქვენთან მყოფელი.
ვაი, რომ ახლა დევნილი ვარ მშობელ ქვეყნიდან,
სადაც კვლავ მეფობს საპყრობილე, გვემა-წამება
(იქ უცხოელი სოვდაგრების ჯიბეებს ავსებს,
კრიალა ნავთი ოქროსფრად რომ სდის დედა-მიწას!).
შენ კერპი არ ხარ, ცალ ხელში რომ ოქრო უჭირავს
და მეორეში — ჩუმად ბომბი აქვს ჩაბლუჯული.
შენ ის ხარ, რაც მე, რაც ვიყავი, რაც ახლა გავხდი,
რისთვისაც ორთავ ბრძოლა გვმართებს ამ ქვეყანაზე;
ჩვენ ამერიკის მიწაწყალზე, უბრალო ხალხთან, —
ჩვენსავით ხალხთან საერთო გვაქვს გზაც და მიზანიც.
იქ, შორს, ჩემი ძმა სხვისთვის ჰკერავს მოსირმულ ჩექმას,
შენი ძმა ჯონიც თავწახრილი სხვისთვის მუშაობს.
ჩემი ხუანა, — საყვარელი და, უბედური,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც შენი და, სხვის ნასუფრალს მისჩერებია.
და მეც იმავე სისხლისა ვარ, როგორც შენ, ძმაო,
როგორი სისხლიც აქვთ ქვისმთლელებს, მემაღაროებს,
როგორი სისხლიც მეზღვაურებს უდუღთ სხეულში.
გავაღოთ კარი, ერთად გავხსნათ სინათლის კარი,
რომ ურალიდან წამოსულმა ძლიერმა ქარმა
ნაყიდი მელნით შეღებილი ფარდა დაგლიჯოს.
გავაღოთ კარი, შევუყვიროთ ცოფიან მგელკაცს:
„ქმარა, ძმობილო! არ გაგივა შავი განზრახვა!
დღეს დედა-მიწა ჩვენ გვეკუთვნის კიდით-კიდემდე
და აღარ გვინდა ტყვიამფრქვევის ხროტინს ვუსმინოთ!
ჩვენ სიმღერები გვინდა მხოლოდ, მღელვარე გულით
მილიონები რომ იტყვიან წარმტაც სიმღერებს!“
მაგრამ იცოდეთ,
ვაშინგტონო,
ნიუ-იორკო,
თუ ლეგიონებს კვლავ აასხამთ საომარ ჯავშანს,
დიდი ქვეყანა სინათლისა რომ დაანგრიოთ;
თუ ჩიკაგოელ მსუქან ყასაბს საყმოდ გადასცემთ,
რაც გვწამს და გვიყვარს, ჩვენს სიხარულს და ჩვენს სიცოცხლეს, —
მაშინ ამოვალთ ქვესკნელიდან, რომ გზა შეგიკრათ
და სასიკვდილოდ დაგიკოდოთ ბოროტი გული.
ჩვენ ქოხებიდან, ტყეებიდან გამოვალთ ერთად,
ზღვიდან ამოვალთ, მდინარიდან, მიწის გულიდან,
ხანძარს გაგიჩენთ და ხიშტებზე აგაგებთ მკერდით.
ჩვენ ნახნავებშიც გამოვჩნდებით,
რომ თქვენმა თესლმა,
ბოროტი ხელით რაც დაჰთესეთ დედა-მიწაზე,
თქვენვე შეგმუსროთ უძლეველი კოლუმბის მუშტით.
პურს არ გაღირსებთ,
წყალს წაგართმევთ,
ჰაერს არ მოგცემთ,
და ჯოჯოხეთურ ცეცხლში, ქვეყნად რომ გააჩაღეთ,
თქვენვე დაგბუგავთ!

თარგმანი **ილო მოსაშვილისა.**

— . —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭორჭი ამაღუ
ბრაზილია

სიმღერა საბჭოეთზე

★

ბოეტო, ნახე თვალისმომჭრელ ალმასთა შორის
უფრო ძვირფასი, ბრწყინვალებით გამორჩეული.
სულის ბაღნარში აკოკრებულ ყვავილთა შორის
მოსწყვიტე ვარდი ალისფერად ღიმმორეული,
სურნელოვანი, ყველა ვარდთა თვალი რჩეული.
მონახე პური არსობისა — ბარაქა შრომის,
მედგარი ხელით მოზელილი წუთებში ბრძოლის,
აინთე გული მოწკრიალე სიმღერის ხმებით —
ცისკრის სხივებით მოვარვარე დილის მოსვლის ჟამს,
რომ გიმღერია აღტაცებით, თავდავიწყებით,
როს დედამიწა მოელოდა ახალ მზით გზნებას,
ახალ სიცოცხლეს, განახლებას, თავისუფლებას.

მოსტაცე ზეცას მოციმციმე ვარსკვლავი ლურჯი,
ქალწულის ბაგეს — ბედნიერი ღიმილი მწველი,
ქორწინების ჟამს ნეტარების გამომსახველი —
და სიყვარულით მოათავსე სიღრმეში გულის:
ალმასი, ვარდი — დილის სხივით აკოკრებული,
პური, ვარსკვლავი, ტკბილი ჰანგი სულში გზნებული,
და საბჭოეთის მიწას უძღვენ ეს გული შენი,
სადაც ელვარებს დიადი მზე სტალინის ბრძენის!

მასზე მშვენიერს ამა ქვეყნად რას ნახავს თვალი!
მან არ გაჩუქა შენ სიცოცხლე, ყოფნა ახალი?
ის არ გმფარველობს, როცა მტკიცედ, მთელ მსოფლიოში,
იცავს, ატარებს დიდ იდეას, ურყევი ძალით,
თანასწორობის, მშვიდობისა და სამართალის?

საბჭოთა მიწავ, საყვარელი დედა ხარ ჩვენი,
ჩვენი დაი ხარ, ერთადერთი — მსოფლიოს მხსნელი.
შენ ხარ ქვეყანა, — ჩაგვრისა და ყვლეფის მსპობელი,
სიყვარულის და იმედების გულში მშობელი.
დიად საქმეთა შემოქმედი და მშენებელი —
ნათელ მომავლის რწმენის ცეცხლის გამჩაღებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი მთა-ველი, მიწის გული უხვია, ლაღი,
ბევრია მასში პური, ხილი, მთის იალაღი.
შავი ქვა, ნავთი, მადნეული სხავდასხვაგვარი,
ფერად-ფერადი ყვავილები — წარმტაცი თვალის.
შენს ვრცელ მიწაზე ღვივის შრომა კოლექტიური,
ისმის სიმღერა სიხარულის — კილო მზიური.
ახალ სკოლებით სავსე არის კუთხე ყოველი,
მრავლდება წიგნი განახლების სხივის მთოველი.
ბედნიერია, შენს წიაღში ვინც იბადება,
ის ნიადაგდღე ძლიერი და სვიანი ხდება!

ო, გწამდეს — შენი გულის სიღრმით, მგზნებარე ღვარად,
სითბო სტალინურ სიყვარულის რომ მოჰქუხს მარად —
და სისხლით, რითაც დაიხსენი მსოფლიო მთელი, —
ღვივდება სულში სასოება ჩაუქრობელი!
ღვივდება ცეცხლი, დიდი რწმენა გამარჯვებისა,
არ გვეშინია ომის ლანდის შავი ფრთებისა
და არც ღმუილის უოლ-სტრიტის ქოფაკ-მგლებისა!

შენ მთელი ქვეყნის მშვიდობა ხარ, ურყევი, მტკიცე,
ომის აჩრდილნი შენს წინაშე ჰქრებიან მყისვე —
და გული შენი ფოლადისა — ნაკვეთი არის
დიდი სტალინის ფოლადისგან, ვით კლდე მაგარი!
იგი მსოფლიოს საიმედო, მტკიცე გულია,
ხალხთა იმედი — მისი მზე და სიხარულია!

თარგმანი **ხარიტონ ვარდოშვილისა.**

———.———

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაულ გონსალეს ჯუნიორი
არგენტინა

სჯალინი

★

სად ვნახო წმინდა მარმარილო ისე ნათელი,
საუკუნეებს რომ გადასცეს შენი სახება,
შენი დიადი, შენი ბრძნული სახის ნაკვთები,
როგორც დიდების უქრობელი გამონათება.
ხალხთა ბელადო, ხარ ბედნიერ დღეთა მჭედელი,
ქვეყნად სისხლიან ძალადობის რისხვად გვეგულვი;
შენით იზრდება, შენით ხარობს ველში ჯეჯილი,
იწვის ნახშირი შენის სუნთქვით გულანთებული.
ბომავალ დღეთა ხარ დარაჯი. შენზე ოცნებობს
ყველა, ვინც გულით არის წმინდა, არის ალალი.
როდესაც ქვეყნად აღიმართა ომის კოცონი
და ალბატროსი ცად აიჭრა უცებ ფრთაძალი,
მეხში, გრიგალში აღიმართე, გმირი ტიტანი
და ეს ქვეყანა დალუპვისგან შენ იხსენ, სტალინ!
საქართველოდან გვესმა შორით შენი სახელი
და უძლეველმა ოკეანეს გადმოუარე;
მთელს ქვეყანაზე ხალხებს ზრდიან შენი საქმენი
და შენი სიტყვა უმტკიცესი, სიტყვა მხურვალე.
გაყოფილია ეს ქვეყანა ორ მტრულ ბანაკად,
კვლავ ახალ ომებს ჯოჯოხეთურს ფაშიზმი ანთებს,
კვლავ ატრიალებს კალიბანი სისხლიან თათებს,
სადაც ნათელი არიელი[1] სუნთქავს ამაყად.
მაგრამ შენი ხმა თავისუფალ გულებს უყივის,
აღვიძებს გმირებს, ხალხის შვილებს, ხალხის მსახურებს.
გამარჯვებათა შემოქმედი მკლავდაუღლელი

---

[1] კალიბანი და არიელი — შექსპირის კომედიის „ქარიშხლის“ პერსონაჟებია. პირველი მხეცური საწყისის განხორციელებაა, მეორე კი — ნათელი საწყისისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგას შენი ხალხი და მშვიდობის საზღვრებს დაჰყურებს.
შენ ქედს გიხრიან ყველა დროის გამარჯვებანი,
საუკუნენი მუხლს იყრიან შენს ფერხთა წინა,
ამაყ დიდებით იქარგება შენი გვირგვინი,
შიგ სხივმოსილი უკვდავების ვარსკვლავი ბრწყინავს.
ვიცით, შენ მოსპობ ქვეყანაზე ომების კერას,
ვიცით, ჩვენ ვიცით, სულ ახლოა ომების ბოლო;
თავისუფლება იზეიმებს, ჩვენ ასე გვჯერა,
აღსდგება შრომა, გაიხარებს მშრომელი მხოლოდ,
შრომის ქვეყანას დაუმკვიდრებ მშვიდობის ერას
შენ, დიდო სტალინ, შენ მესაჭევ, შენ წინამძღოლო!

თარგმანი **ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡᲐ.**

——— . ———

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲙᲐᲠᲚᲝᲡ ᲐᲣᲒᲣᲡᲢᲝ ᲚᲔᲝᲜᲘ
ᲕᲔᲜᲔᲪᲣᲔᲚᲐ

ᲚᲔᲜᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ

★

ის იყო სულით უფრო ნათელი,
ვიდრე ტალღები სუფთა მდინარის,
მუდამ ბავშვების გულს იზიდავდა
ალერსიანად პირმოცინარი.

უყვარდა მზე და დღის ბრწყინვალება,
მძლავრი სიმღერა და სილამაზე,
და მეგობარზე ჰფიქრობდა მუდამ,
ზრუნავდა, როგორც საკუთარ ძმაზე.

დიახ, მას მკერდში უცემდა გული,
სამყაროსავით დიდი, მღელვარე
ზღვა ნიაღვარმაც ვეღარ დააცხრო
ცეცხლში ნაწრთობი და მოელვარე.

ის იყო როგორც გრიგალი მკვეთრი,
მან დაბრკოლება სძლია მრავალი,
ის იყო, როგორც მძლავრი მდინარე,
სწორი მიზნისაკენ მშვიდად მავალი.

მან, ვით ზღვაურის ძლიერი სუნთქვა
ვით განმკურნელი სიცოცხლის ძალა, —
გულში აინთო რისხვა ქვეყნისა,
გადაქცეული ქარცეცხლის ალად.

ლენინ! შენ მუდამ იცოცხლებ ხალხში,
ჩემი ქვეყანაც შვებას მოელის,
მაგას გეძახის: რუსი, ქართველი,
ფრანგი, ჩინელი თუ ინდოელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა, არ გძინავს! შენ ცოცხალი ხარ,
მავზოლეუმში შენ ისმენ ახლაც:
თუ როგორ დრტვინავს კიდიდან-კიდით
აღშფოთებულთა მრისხანე ტალღა.

ფხიზლობს სტალინი, შენი მემკვიდრე,
რომ სისხლისმღვრელი აგვცდეს ომები,
მან, თავის დიად ერებთან ერთად,
ზღვად შეგვაერთა უცხო ტომებიც.

თუმცა სხვადასხვა სახის ხალხი ვართ,
სხვადასხვა ენის გამომსახველი,
მან მთელი ქვეყნის გულისთქმა იცის.
მისი ნუგეში, მისი ნაღველიც.

მას გულით ესმის: მიწაში როგორ
ღვივის მარცვალი გაზაფხულისა,
მისი გულისხმა სიცოცხლის ხმაა,
მილიონების უკვდავ გულისა.

დიახ, ერთია თქვენი სახელი,
დამტკიცებული სიმართლის ძალით,
შენ გადიდებენ ლენინთან ერთად,
დიადო სტალინ!

თარგმანი **ალიო მირცხულავასი.**

——.——

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით ფანჩულიძე

ი. ბ. სტალინი ლიტერატურის შესახებ

★

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები მხატვრულ ლიტერატურას დიდ როლს აკუთვნებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მასების აღზრდის საქმეში. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მხატვრული ლიტერატურის დამრაზმავ ძალას, მის მებრძოლ ხასიათს.

მოწინავე მწერლების მხატვრული შემოქმედება მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელთა—მარქსისა და ენგელსის—ყურადღების საგანი იყო.

პოლ ლაფარგი თავის მოგონებებში მარქსის შესახებ სწერს: „მარქსმა ზეპირად იცოდა ჰაინე და გოეთე, საუბარში ხშირად მოჰყავდა ციტატები მათი ნაწერებიდან. მარქსი მუდამ კითხულობდა პოეტებს და მათ ევროპის ყველა ლიტერატურიდან ირჩევდა, ყოველ წელს კითხულობდა იგი ესქილეს, ბერძნულ დედანში, ის და შექსპირი მას უყვარდა, როგორც უდიდესი დრამატურგი გენიოსები, რომლებიც კი კაცობრიობას წარმოუშვია“ [1].

მარქსს და ენგელსს არაერთხელ აღუნიშნავთ ევროპის ერთ-ერთი უდიდესი რეალისტი მწერლის ბალზაკის მხატვრული შემოქმედების მნიშვნელობა. მარქსი მას „სოციალურ მეცნიერებათა დოქტორს“ უწოდებდა. დიდ ფრანგ განმანათლებელს დენი დიდროს და მის ნაწარმოებს „რამოს ძმისწულს“ აღფრთოვანებაში მოჰყავდა მარქსი და ენგელსი. მარქსი დიდროს საყვარელ პროზაიკოსად თვლიდა. ერთ-ერთ ბარათში ენგელსი სწერდა მარქსს: ...„ჩვენს სახლში აღმოჩნდა „რამოს ძმისწულის“ ორი ეგზემპლარი. გიგზავნი ერთ მათგანს. ეს შეუდარებელი ნაწარმოები ერთხელ კიდევ მოგცემთ საშუალებას დატკბეთ მით“.

მარქსი და ენგელსი რუსი მწერლების შემოქმედებას მაღალ შეფასებას აძლევდნენ. ისინი დიდ ინტერესს იჩენდნენ რუსი პოეტებისა და პროზაიკოსებისადმი, განსაკუთრებით კი პუშკინის, გოგოლისა და შჩედრინისადმი. პუშკინის „ევგენი ონეგინის“ მიხედვით სწავლობდნენ რუსულ ენას. პუშკინის გენიამ „კაპიტალის“ ავტორის ყურადღება მიიქცია ეკონომიური პრობლემების გაშუქებაშიც. მარქსი თავის შრომაში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, აკრიტიკებს რა რიკარდოს, პუშკინს იმოწმებს და წერს: პუშკინს თავის პოემაში (იგულისხმება „ევგენი ონეგინი, დ. ფ.) გამოყვანილი ჰყავს თავისი გმირის მამა, რომელსაც ვერასგზით ვერ გაუგია, რომ საქონელი ფულია. მაგრამ რომ ფული საქონელია, რუსებმა ეს იმთავითვე შეიგნეს, რასაც ამ-

[1] კარლ მარქსი. რჩეული ნაწერები. 1935 გვ. 71.

ტკიცებს არა მარტო ხორბლის იმპორტი ინგლისში, 1838 წლიდან 1842 წლამდე, არამედ მათი ვაჭრობის მთელი ისტორიაც".

პუშკინის ღრმა განსწავლულობაზე, ენგელსიც მიუთითებს. 1891 წლის 29 ოქტომბერს დანიელსონისადმი გაგზავნილ წერილში ენგელსი, არჩევს რა პოლიტიკური ეკონომიის საკითხებს, აღნიშნავს, რომ „ყოველივე ეს თქვენმა პუშკინმა უკვე იცოდა".

მარქსმა და ენგელსმა დაადგინეს ცნობიერების დამოკიდებულება ყოფიერებისაგან, ზედნაშენისა და ბაზისისაგან, თეორიისა პრაქტიკისაგან, ხელოვნებისა სინამდვილისაგან. მარქსის შესანიშნავი განმარტებით, „...საწარმოო ურთიერთობათა ერთობლიობა შეადგენს საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურას, რეალურ საფუძველს, რომელზედაც იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენი აღიმართება და რომელსაც ცნობიერების განსაზღვრული საზოგადოებრივი ფორმები შეესაბამება. მატერიალური ცხოვრების წარმოების წესი განსაზღვრავს სოციალური, პოლიტიკური და გონებრივი ცხოვრების პროცესს საზოგადოდ. ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათს ყოფიერებას, არამედ პირიქით, მათი საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათს ცნობიერებას".[1] მარქსი და ენგელსი ლიტერატურას განმარტავენ, როგორც ობიექტიური სამყაროს მხატვრული შემეცნებისა და წარმოსახვის სპეციფიკურ ფორმას.

„პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის" შესავალში მარქსი სწერს: „ხელოვნების საგანი,—და აგრეთვე ყოველი სხვა პროდუქტი,—ჰქმნის საზოგადოებას, რომელსაც ესმის ხელოვნება და შეუძლია დატკბეს სილამაზით. წარმოება აწარმოებს ამიტომ არამარტო საგანს სუბიექტისათვის, არამედ აგრეთვე სუბიექტსაც საგნისათვის".

დიდია უკვე წარმოშობილი და განვითარებადი იდეების როლი, ისინი გავლენას ახდენენ ბაზისის განვითარებაზე, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ამნაირად ლიტერატურა არის არამარტო სინამდვილის ასახვის ფორმა, არამედ მისი გარდაქმნის მძლავრი იარაღიც.

ფრ. ენგელსი მიუთითებდა რეალიზმისა და პროგრესული ტენდენციურობის შერწყმაზე. ის არ იყო წინააღმდეგი ტენდენციური პოეზიისა, მაგრამ გაფრთხილებას იძლეოდა, რომ ტენდენცია თავისთავად გამომდინარეობდეს მდგომარეობიდან და მოქმედებიდან, მასზე საგანგებო მითითების გარეშე, რომ მწერალი ვალდებული არ არის მკითხველს მზა სახით მისცეს მის მიერ გამოსახული საზოგადოებრივი კონფლიქტების მომავალი ისტორიული გადაწყვეტა. მხატვრულ ქმნილებაში მწერლის ტენდენცია უნდა გამომდინარეობდეს ცხოვრების სწორად, რეალისტურად ასახვიდან, ნაწარმოების შინაარსიდან.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ახალგაზრდა მარქსი „რაინის გაზეთს" რედაქტორობდა, თავის „დებატებში ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების" შესახებ აშკარად იბრძოდა პრესის თავისუფლების ბურჟუაზიული გაგების წინააღმდეგ. იმ დროის პოეტებს ფრეილიგრატსა და გერვეგს შორის პარტიულობისა და პოეტური შემოქმედების შესახებ დისკუსია რომ გაიმართა, „რაინის გაზეთმა" მხარი დაუჭირა პარტიული პოეზიის მქადაგებელ გერვეგს და აქტიურად დაიცვა ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი. მარქსმა პრესის თავისუფლების ბურჟუაზიულ იდეას დაუპირისპირა რადიკალურ-დემოკრატიული იდეა. მან

[1] კარლ მარქსი. რჩეული ნაწერები. 1935. გვ. 317.

მკაცრად ამხილა პრუსიული მთავრობის ფარისევლობა, მისი ფეოდალურ-ბიუროკრატიული ცენზურა. ყოველივე ეს ნიშნავდა ერთი პარტიის ბრძოლას მეორის წინააღმდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ პერიოდში „რაინის ახალი გაზეთი“ მარქსისა და ენგელსის რედაქტორობით ყველაზე მებრძოლი გაზეთი იყო. მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლებმა ამ ორგანოს მუშაობაში ჩააბეს პარტიული მისწრაფების მოწინავე პოეტები, ჰაინე, გერვერტი, ვეერტი და სხვები. ისინი ხელმძღვანელობდნენ და ნათელ გეზს აძლევდნენ ამ პოეტებს, მოითხოვდნენ მათგან მტკიცე პარტიულობას, აქტუალურ პოლიტიკურ თემატიკას, მახვილ სატირას, მქუხარე ლექსს, საინტერესო ფელეტონს. ასეთი პარტიულობა კი არ ამცირებდა მათი ნაწარმოებების მნიშვნელობას, პირიქით ამაღლებდა მათ ღირსებას. ყველაზე საუცხოო და მაღალიდეური ნაწარმოებები ამ პოეტებმა სწორედ მაშინ შეჰქმნეს, როცა ისინი ახლო იდგნენ მარქსთან და ენგელსთან.

მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელთა შეხედულებანი შემდგომ, ყოველმხრივ განვითარებას პოულობენ ლენინისა და სტალინის შრომებში. ლენინი მიუთითებდა, რომ მარქსისა და ენგელსის მოძღვრებამ მხოლოდ საფუძველი ჩაუყარა იმ მეცნიერებას, რომელიც სოციალისტებმა უნდა წასწინონ წინ ყოველი მიმართულებით, თუ მათ არ სურთ ჩამორჩნენ ცხოვრებას.

„ლენინი იყო და რჩება,—გვასწავლის ამხანაგი სტალინი,— მარქსისა და ენგელსის ყველაზე ერთგულ და თანმიმდევარ მოწაფედ, რომელიც მთლიანად და სავსებით ემყარებოდა მარქსიზმის პრინციპებს. მაგრამ ლენინი მარტო შემსრულებელი როდი იყო მარქს-ენგელსის მოძღვრებისა. ამასთან ერთად ის იყო მარქსისა და ენგელსის მოძღვრების გამგრძელებელიც“. ლენინისათვის მარქსიზმი იყო არა დოგმა, არამედ მოქმედების სახელმძღვანელო, მან დაიცვა, გაღრმავა და განავითარა მარქსიზმი საერთოდ, მარქსისტული ესთეტიკა კერძოდ.

ლენინის ლიტერატურულ შეხედულებებს საფუძვლად უძევს მისი მატერიალისტური ფილოსოფია, აქედან გამომდინარეობს ასახვის ლენინური თეორია. ლენინი მიუთითებს რომ ლიტერატურა მჭიდროდ არის დაკავშირებული მატერიალურ სამყაროსთან, საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, რომ ლიტერატურის წყარო არის არა „სული“, არა ფორმალური კანონები, არამედ საზოგადოების ეკონომიური ბაზისი. ლენინი თვლის, რომ მწერალს შეუძლია შეიცნოს და მხატვრულად წარმოსახოს ობიექტური სინამდვილე, ბუნება, ადამიანთა ურთიერთობა, კლასთა ბრძოლა და სხვა.

ასახვის თეორიაში ლენინი გულისხმობს არა მარტო ეპოქის თემების ასახვას, არამედ იმასაც თუ როგორ გამოვლინდება ნაწარმოებში ეპოქის თავისებურებანი. ლენინმა ტოლსტოის რუსეთის რევოლუციის სარკე იმიტომ უწოდა, რომ მის ნაწარმოებებში რევოლუციის თავისებურებანი გამოვლინდა. ლენინი გორკის „დედას“ იმიტომ აძლევდა მაღალ შეფასებას, რომ მასში ნათლადაა წარმოსახული 1905 წლის დროინდელი რუსეთის მუშათა კლასის ყოფაცხოვრება და შეგნებულობა. ლენინი ჭეშმარიტ ნაწარმოებად თვლის ისეთ ქმნილებას, რომელშიც სინამდვილე ასახულია სწორად, უტყუარად, ძლიერად.

ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მხატვრულ ლიტერატურას, ის იყო რუსული და მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო მცოდნე და დამფასებელი.

პარტიულობის პრინციპი ლენინმა წამოაყენა 1895 წლის დამდეგს დაწერილ თავის შრომაში „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში“. „როცა ობიექტივისტი,—წერდა ლენინი ამ წიგნში—

ამა თუ იმ ფაქტთა წყების აუცილებლობას ამტკიცებს, მას ყოველთვის შეიძლება ფეხი დაუსხლტდეს და აღნიშნული ფაქტების აპოლოგეტის თვალსაზრისზე დადგეს; მატერიალისტი ააშკარავებს კლასობრივ წინააღმდეგობებს და ამით განსაზღვრავს თავის თვალსაზრისს... მატერიალისტი, ერთი მხრით, ობიექტივისტზე უფრო თანმიმდევარია და უფრო ღრმად, უფრო სრულად ატარებს თავის ობიექტივიზმს. ის არ კმაყოფილდება პროცესის აუცილებლობაზე მითითებით, არამედ არკვევს, სახელდობრ რომელი საზოგადოებრივ—ეკონომიური ფორმაცია აძლევს შინაარსს ამ პროცესს, სახელდობრ რომელი კლასი განსაზღვრავს ამ აუცილებლობას... მეორე მხრივ, მატერიალიზმი შეიცავს, ასე ვთქვათ პარტიულობას, რაც ნოვლენათა ყოველი შეფასების დროს სავალდებულოს ხდის პირდაპირ და აშკარად დადგომას განსაზღვრული საზოგადოებრივი ჯგუფის თვალსაზრისზე". [1].

თავის შემდგომ წიგნში „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან" ლენინი აღნიშნავდა, რომ ბეჭდვითი სიტყვა პარტიული (და არა საწრეო) საქმეაო", პარტიის მესამე ყრილობაზე ლენინი ამბობდა,—„ლიტერატურას პარტიის გარეშე არაფრის გაკეთება არ შეუძლიაო".

ლენინმა პირველმა თავის მრავალ შრომაში, კერძოდ—სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა" ჩამოაყალიბა მოწინავე საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულება ლიტერატურისადმი. მან წამოაყენა და თეორიულად დაასაბუთა ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი. ამით ლენინმა ძვირფასი განძი შეიტანა ლიტერატურათმცოდნეობაში. ლენინი წერდა:

„ლიტერატურა პარტიული უნდა გახდეს. წინააღმდეგ ბურჟუაზიული ზნეჩვეულებებისა, წინააღმდეგ ბურჟუაზიული სამეწარმეო, ჩარჩული ბეჭდვითი სიტყვისა, წინააღმდეგ ბურჟუაზიული ლიტერატურული კარიერიზმისა და ინდივიდუალიზმისა, „ბატონკაცური ანარქიზმისა" და მოგებისადმი გამოდევნებისა, — სოციალისტურმა პროლეტარიატმა უნდა წამოაყენოს პარტიული ლიტერატურის პრინციპი, განავითაროს ეს პრინციპი და ცხოვრებაში გაატაროს იგი რაც შეიძლება სრული და მთლიანი ფორმით.

რაში მდგომარეობს პარტიული ლიტერატურის ეს პრინციპი? ეს პრინციპი მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ სოციალისტური პროლეტარიატისათვის ლიტერატურული საქმე არ შეიძლება პირთა თუ ჯგუფთა მოგების იარაღი იყოს, იგი საზოგადოდ არ შეიძლება იყოს ინდივიდუალური საქმე, საერთო პროლეტარული საქმისაგან დამოუკიდებელი. ძირს უპარტიო ლიტერატორები! ძირს ზეკაცნი ლიტერატორები!.. ლიტერატურული საქმე უნდა გახდეს საერთო-პროლეტარული საქმის ნაწილი, „პატარა ბორბალი და ხრახნი" ერთი მთლიანი, დიდი სოციალ-დემოკრატული მექანიზმისა, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს მთელი მუშათა კლასის მთელ შეგნებულ ავანგარდს. ლიტერატურული საქმე უნდა გახდეს შემადგენელი ნაწილი ორგანიზებული, გეგმაშეწონილი, გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული პარტიული მუშაობისა"[2].

ლენინმა დაამტკიცა, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში არ შეიძლება არსებობდეს ლიტერატურის ნამდვილი თავისუფლება, ვინაიდან ფულის ბატონობაზე დამყარებულ საზოგადოებაში სადაც მშრომელები სიღატაკეში არიან

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. 1. გვ. 481.

[2] ლენინი. ლიტერატურის შესახებ. წერილებისა და ნაწყვეტების კრებული. 1945. გვ. 8.

ან ერთი მუჭა მდიდრები მუქთახორობენ, შეუძლებელია იყოს „თავისუფლება“ რეალური და ნამდვილი. „განა თქვენ თავისუფალი ხართ თქვენი ბურჟუაზიული გამომცემლისაგან, ბატონო მწერალო?,—კითხულობდა ლენინი,—თქვენი ბურჟუაზიული საზოგადოებისაგან, რომელიც თქვენგან მოითხოვს პორნოგრაფიას ჩარჩოებსა და სურათებში, პროსტიტუციას „წმინდა“ სასცენო ხელოვნებისადმი „დამატების“ სახით?.. არ შეიძლება საზოგადოებაში ცხოვრობდე და საზოგადოებისაგან თავისუფალი იყო. ბურჟუაზიული მწერლის, მხატვრის, მსახიობი ქალის თავისუფლება — ეს არის მხოლოდ შენიღბული (ანდა ფარისევლურად ნიღაბაფარებული) დამოკიდებულება ფულის ქისისაგან, მოსყიდვისაგან, ხასობისაგან“[1].

ლენინმა განავითარა ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი, ერთი მხრით, როგორც ლიტერატურის ისტორიის შესწავლის მეთოდი, მეორე მხრით, როგორც სოციალისტური ლიტერატურის განვითარების პროგრამა. აღნიშნულ სტადიაში მოცემულია წარსულის კულტურის მეცნიერული ანალიზი და დასახულია მომავლის დიად კულტურის გზები.

პროლეტარიატის გენიოსი ბელადები მარქსი, ენგელსი, ლენინი, სტალინი სიტყვის გენიალური ოსტატები არიან. ცნობილია რომ მარქსის პირველი ლიტერატურული ცდა ლექსები იყო. ჭაბუკობისას იოსებ ბესარიონის-ძე ჯუღაშვილი შესანიშნავ ლექსებს სწერდა, ამ ლექსების მაღალიდეურობასა და მაღალმხატვრულობაზე ის ფაქტიც ნათლად მიუთითებს, რომ ისინი პირველად ჩვენი დიდებული მწერლის ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ დაიბეჭდნენ.

ქართველი ხალხი მღეროდა და კვლავაც მღერის ჭაბუკი სტალინის მუდამ სამახსოვრო ლექსს—„დილა“, რომელიც მთლიანად იაკობ გოგებაშვილმა თავის „დედა ენაში“ დაბეჭდა, და რომლის ერთი სტროფი შესულია საბჭოთა საქართველოს ჰიმნში.

რა ოპტიმისტურად ეღერს ჭაბუკი სტალინის ლექსიდან „მთვარეს“ შემდეგი გულში ჩამწვდომი სიტყვები:

> კარგად იცოდე, რომ ერთხელ
> ძირს დაცემული, ჩაგრული,
> კვლავ აღემართვის მთას წმინდას,
> იმედით აღტაცებული“.

„სოსელოს“ ფსევდონიმით ამხანაგ სტალინს მოწაფეობისას გაზ. „ივერიაში“ დაბეჭდილი აქვს ლექსები: „დილა“, „როდესაც ბადრად მნათობი მთვარე“, „მთვარეს“, „თ. რ. ერისთავს“, „ამ ქვეყნად იგი ვით ლანდი“, და „კვალში“ — „მოხუცი ნინიკა“.

აღსანიშნავია, რომ ილია ჭავჭავაძეს, მხატვრული პროდუქციის ამ მეტად მკაცრ შემფასებელს, იმდენად მოსწონდა ჭაბუკ „სოსელოს“ ლექსები, რომ მათ თავისი გაზეთის პირველ გვერდზე ათავსებდა.

ლენინის შესანიშნავი სტატია „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ დაიბეჭდა 1905 წლის 13 ნოემბერს ბოლშევიკურ გაზეთ „ნოვაია ჟიზნში“. ამ სტატიას პირველი გამოეხმაურა ამხანაგი სტალინი. სტალინურმა ყოველდღიურმა ლეგალურმა გაზეთმა „კავკასიის მუშათა ფურ-

[1] იქვე. გვ. 11.

ცელმა“ პირველსავე ნომერში 20 ნოემბერს მიუთითა, რომ „ნოვაია ჟიზნის“ მეთორმეტე ნომერში მოთავსებულია ლენინის წერილი, რომელიც ახალ ამოცანას აყენებს სახელდობრ—პარტიასთან მჭიდროდ დაკავშირებულ და მისი კონტროლით მომუშავე ლეგალური პარტიული პრესის შექმნას. გაზეთს მოჰყავს ლენინის სიტყვები. „პროლეტარიატმა უნდა წამოაყენოს პარტიული ლიტერატურის პრინციპი“ და შემდეგ იქვე დასძენს, რომ იდეური ყმობის წყეულ დროს პროლეტარიატმა ბოლო მოუღოო.

საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში ლენინური იდეების დამცველი და თანმიმდევრულად განმავითარებელი იყო ახალგაზრდა სტალინი. ამხანაგი სტალინი მტკიცედ იცავდა ლენინის დებულებას იდეოლოგიის კლასობრიობის შესახებ, ლიტერატურის პარტიულობის შესახებ, იგი ნათლად მიუთითებდა, რომ მარქსიზმი არის პროლეტარიატის ცოცხალი მოძღვრება. თავის კლასიკურ ნაშრომში „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“. ამხანაგი სტალინი სწერდა: „... მარქსიზმი და ანარქიზმი სრულიად სხვადასხვა პრინციპებზეა აშენებული, მიუხედავად იმისა, რომ ორივე სოციალისტური დროშით გამოდის ბრძოლის ველზე. ანარქიზმის ქვაკუთხედი პიროვნებაა, რომლის განთავისუფლება, მისი აზრით უმთავრესი პირობაა მასის, კოლექტივის განთავისუფლებისა. ანარქიზმის აზრით, მასის განთავისუფლება შეუძლებელია მანამდე, სანამ პიროვნება არ განთავისუფლდება, რის გამოც მისი ლოზუნგია: „ყველაფერი პიროვნებისათვის“. მარქსიზმის ქვაკუთხედი კი მასაა, რომლის განთავისუფლება, მისი აზრით, უმთავრესი პირობაა პიროვნების განთავისუფლებისა, ე. ი. მარქსიზმის აზრით, პიროვნების განთავისუფლება შეუძლებელია მანამდე, სანამ მასა არ განთავისუფლდება, რის გამოც მისი ლოზუნგია: „ყველაფერი მასისათვის“ [1].

1912 წელს გამოქვეყნებულ შესანიშნავ წერილში—„უპარტიო აზირებულნი“ — სტალინი სწერდა:

„რა არის უპარტიობა?

რუსეთში არსებობენ მემამულეები და გლეხები, მათი ინტერესები საწინააღმდეგოა, მათ შორის ბრძოლა გარდუვალი მოვლენაა. მაგრამ უპარტიობა გვერდს უვლის ამ ფაქტს, იგი მიდრეკილებას იჩენს მიაფუჩეჩოს ინტერესთა წინააღმდეგობა.

რუსეთში არსებობენ ბურჟუები და პროლეტარები, ერთ-ერთი ამ კლასის გამარჯვება მეორის დამარცხებას ნიშნავს. მაგრამ უპარტიობა ჩქმალავს ინტერესთა წინააღმდეგობას, იგი თვალს ხუჭავს, რომ ვერ შეამჩნიოს მათი ბრძოლის ფაქტი.

ყოველ კლასს ჰყავს განსაკუთრებული პროგრამის, განსაკუთრებული სახის მქონე თავისი პარტია. პარტიები ხელმძღვანელობენ კლასთა ბრძოლას: უპარტიებოდ—ბრძოლა კი არ იქნებოდა, არამედ ქაოსი, გაურკვევლობა, ინტერესთა აღრევა. მაგრამ უპარტიობას არ უყვარს სიცხადე და გარკვეულობა, იგი ამჯობინებს ბუნდოვანებასა და უპროგრამობას.

კლასობრივ წინააღმდეგობათა მიფუჩეჩება, კლასთა ბრძოლის მიჩქმალვა, ფიზიონომიის უქონლობა, პროგრამულობასთან ბრძოლა, ქაოსისა და ინტერესთა აღრევისაკენ მისწრაფება — ასეთია უპარტიობა.

რის მიღწევას ცდილობს უპარტიობა?

---

[1] ი. სტალინი, თხზ. ტ. 1. გვ. 278.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იმის გაერთიანებას, რის გაერთიანებაც შეუძლებელია, იმის განხორციელებას, რის განხორციელებაც შეუძლებელია.

ბურჟუებისა და პროლეტარების შეკავშირება, მემამულეებსა და გლეხებს შორის ხიდის გადება, გედის, კიბოს და ღლავის დახმარებით ურმის დაძვრა — აი საითკენ მიისწრაფის უპარტიობა.

უპარტიობა გრძნობს თავის უძლურებას იმის გაერთიანების საქმეში, რის გაერთიანებაც შეუძლებელია, და ამიტომ ოხრავს:

„ნეტავი ნატვრა მანატრა,
ეს ნატვრა ამისრულაო!“

მაგრამ ნატვრა არა სრულდება, და უპარტიობა ყოველთვის ხახამშრალი, პირში ჩალაგამოვლებული რჩება.

უთავო კაცი, ან—უფრო ზუსტად—მხრებზე თავის ნაცვლად თალგანის მქონე—აი უპარტიობა“ [1].

კავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანოები: „ბრძოლა“, „პროლეტარიატის ბრძოლა“, „კავკასიის მუშათა ფურცელი“, „ელვა“. პარტიულობის ლენინურ-სტალინურ პრინციპს ახორციელებდნენ. ამავე პრინციპს ავითარებდა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაცია თავის პროკლამაციებში, რომლებიც ფართოდ ვრცელდებოდა ხალხში. სოციალისტური ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ოპტიმიზმით იყო სავსე მკვეთრად დაწერილი პროკლამაცია „ჩვენ და ტირილი“. მასში სასტიკად გაკრიტიკებულია და დაგმობილი მენშევიკთა სილაჩრე მათი „ჩვილი გრძნობიერება“.

გაზეთ „პრავდის“ პირველ ნომერში დაბეჭდილ თავის საპროგრამო წერილში „ჩვენი მიზნები“ ამხანაგი სტალინი მიუთითებდა: „დაე ნუ იტყვიან მუშები, რომ მწერლობა მათთვის „უჩვეულო“ სამუშაოა: ლიტერატორი მუშები მზაზზარეულად როდი ცვივიან ზეციდან, მათი გამომუშავება ხდება მხოლოდ თანდათანობით, ლიტერატურული მუშაობის მსვლელობაში. ოღონდ საჭიროა უფრო გაბედულად მოჰკიდო ხელი საქმეს: ორიოდეჯერ წაიბორძიკებ, და ამასობაში წერასაც ისწავლი“... [2]

ამხანაგი სტალინი, სასტიკად ჰგმობდა რა უპარტიო დამოკიდებულებას სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებისადმი, ბრწყინვალედ ასაბუთებდა ლიტერატურის პარტიულობის ლენინურ-სტალინური პრინციპს. ის მუდამ იმ აზრს ავითარებდა, რომ საერთო — პროლეტარული საქმისაგან მოწყვეტა, კარჩაკეტილობა ლიტერატურისათვის დამღუპველია, რომ ხელოვნება და ლიტერატურა უნდა იყოს პარტიული და ხალხური, ისინი თავის ძალებს უნდა იკრეფდნენ ხალხთა ფართო მასებისაგან, უნდა გამოდიოდნენ ხალხიდან და ემსახურებოდნენ ხალხს.

ამხანაგმა სტალინმა მისთვის დამახასიათებელი ძლიერებით ნათელჰყო, რომ ლიტერატურა არ შეიძლება იყოს უპარტიო, არამედ იგი უნდა წარმოადგენდეს საერთო პროლეტარული საქმის დიდმნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს, რომ იგი უნდა ანხორციელებდეს მოწინავე, პროგრესულ როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სტალინი ნათლად ხედავდა კლასიკური ლიტერატურის შესანიშნავ ტრადიციებს და აქტიურად იცავდა მას ბურჟუაზიული ესთეტიკოსების მიერ გაყალბების ცდისაგან.

1924 წელს დემიან ბედნისადმი გაგზავნილ წერილში სტალინი აღნიშნავდა:

[1] ი. სტალინი. თხზ. ტ. 2. გვ. 244 — 245.
[2] ი. სტალინი. თხზ. ტ. 2. გვ. 266.

„ძალიან კარგია, რომ თქვენ „ხალისიანი განწყობილება“ გქონიათ. „მსოფლიო სევდის“ ფილოსოფია ჩვენი ფილოსოფია არ არის. დაე ისევდიანინ ძიმაკუბმა და დრომოჭმულებმა. ჩვენი ფილოსოფია საკმაოდ მოხდენილად გადმოსცა ამერიკელმა უიტმანმა: „ჩვენ ცოცხლები ვართ, დუღს ალისფერი ჩვენი სისხლი დაუხარჯავი ძალების ცეცხლით“[1].

ლენინის შეხედულებებმა ლიტერატურის შესახებ შემდგომი გაღრმავება და განვითარება ჰპოვეს ამხანაგ სტალინის შრომებში. ამხანაგმა სტალინმა მწერალს „ადამიანის სულის ინჟინერი“ უწოდა. ამ განსაზღვრას ღრმა აზრი აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ ღრმად იცნობდე ცხოვრებას, თამამად შეგეძლოს მართლად, მაღალიდეურად, მაღალმხატვრულად წარმოსახო იგი, წარმოსახო, არა უბრალოდ, არა სქოლასტიკურად, არამედ წარმოსახო სინამდვილე მის რევოლუციურ, დიალექტიკურ განვითარებაში.

მწერალი უნდა იდგეს რეალური ცხოვრების ნიადაგზე, ის საფუძვლიანად უნდა ფლობდეს ლიტერატურული საქმის ტექნიკას, აქტიურად უნდა იბრძოდეს ენის კულტურისათვის, ნაწარმოების ხარისხისათვის. „მწერალი არ შეიძლება უკან მისჩანჩალებდეს მოვლენებს, იგი ვალდებულია ხალხის მოწინავე რიგებში იყოს და უჩვენებდეს ხალხს მისი განვითარების გზას“ (ჟდანოვი).

ამხანაგმა სტალინმა მოგვცა სოციალისტური რეალიზმის გენიალური ფორმულა. სოციალისტური რეალიზმი წარმოადგენს საბჭოთა მხატვრული ლიტერატურისა და ლიტერატურული კრიტიკის მეთოდს. იგი დოგმა კი არ არის, ანდა კრებული კანონებისა, რომლებიც ზღუდავენ შემოქმედებით გაქანებას, პირიქით, ეს არის მეთოდი, რომელიც უზრუნველჰყოფს მხატვრის ჭეშმარიტ თავისუფლებას, მეტ გასაქანს აძლევს პირად ინიციატივას, ინდივიდუალურ მიდრეკილებებს, აზრსა და ფანტაზიას, ფორმასა და შინაარსს. სოციალისტური რეალიზმი მოითხოვს კაპიტალიზმის ნაშთების დაუნდობელ მხილებას და ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყველა გამხრწნელი გავლენის გამოაშკარავებას.

სოციალისტური რეალიზმი პრინციპულად განსხვავდება ძველი ტიპის რეალიზმისაგან. ის წარმოადგენს სრულიად ახალს, მაღალ საფეხურს კაცობრიობის მხატვრული ლიტერატურის განვითარებაში. ლენინი და სტალინი მუდამ ჰკიცხავდნენ ობივატელურ „რეალიზმს“, „რეალიზმს“, რომელიც ეშვება უმწეო ემპირიზმამდე, „ხვოსტიზმამდე“, სიბეცემდე. „რეალიზმს“, რომელიც გადმოგვცემს არა ცხოვრების ტიპიურ და დამახასიათებელ მოვლენებს, არა ეპოქის დიდ იდეებს, არამედ კმაყოფილდება სინამდვილის წვრილმანების პასიური „ფოტოგრაფიული“ ასახვით. ლენინის ნაშრომში „რა ვაკეთოთ?“ და ამხანაგ სტალინის მიერ ლენინისადმი მიწერილ წერილში „გოელროს“ გეგმის შესახებ მკაცრადაა გაკრიტიკებული ასეთი „რეალიზმი“. მართალია, აქ ლაპარაკია პოლიტიკურ პრობლემებზე, მაგრამ მათ მნიშვნელობა აქვთ ლიტერატურული საკითხების გასაშუქებლადაც.

კრიტიკული რეალიზმისათვის დამახასიათებელი იყო სახელმწიფოს გაბატონებული ფორმისაგან გამოთიშული პიროვნება, კერძო მესაკუთრე, ეგოისტი, ინდივიდუალისტი. სოციალისტური რეალიზმის დადებით გმირს წარმოადგენს ახალი ადამიანი — კომუნისტური საზოგადოების მშენებელი, კომუნისტური

[1] ი. სტალინი. თხზ., ტ. 6. გვ. 312.

მორალისა და ესტეთიკის ადამიანი, რომლისთვის მთავარი მცნებაა—ყველაფერი საშრომლოსათვის, ყველაფერი ხალხისათვის.

ჩვენი რეალიზმი სწორედ იმიტომ არის სოციალისტური, რომ იგი გამოხატავს და განამტკიცებს ახალ სოციალისტურ სინამდვილეს, მაშინაც, როცა იგი მიმართავს ისტორიულ წარსულს და მაშინაც, როცა განიხილავს, სწავლობს და კრიტიკულად ითვისებს ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი იზრდებოდა და იზრდება სხვა ხალხებისადმი პატივისცემისა და მათი დამოუკიდებელი განვითარების უფლების აღიარების სულისკვეთებით. ჩვენ არ უარვყოფთ სხვა ხალხების დამსახურებას, მაგრამ სულ სხვაა გმირი საბჭოთა ხალხის დამსახურება კაცობრიობის ისტორიის წინაშე.

მუდამ უნდა გვახსოვდეს ამხანაგ სტალინის ბრძნული სიტყვები... „ყოველ ერს, — სულ ერთია — დიდსა თუ მცირეს, თავისი თვისებრივი თავისებურებანი, თავისი სპეციფიკა აქვს, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნის და რომელიც სხვა ერებს არ მოეპოვებათ. ეს თავისებურებანი ის წვლილია, რომელიც ყოველ ერს მსოფლიო კულტურის საგანძურში შეაქვს და ავსებს, ამდიდრებს ამ საგანძურს. ამ აზრით ყველა ერი—მცირეც და დიდიც—თანაბარ მდგომარეობაშია და თვითეული ერი სხვა ერის თანაბარ მნიშვნელოვანია“.

ლიტერატორები წარმატებით რომ დაეუფლონ სოციალისტური რეალიზმის მეთოდს, ამისათვის მათ კიდევ უფრო მეტად უნდა შეითვისონ პირველ რიგში, მოწინავე რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურის, რუსული და მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის გამოცდილება, აგრეთვე მსოფლიოს ლიტერატურის გამოცდილება, აიღონ ყოველივე ის, რაც მოწინავე პროგრესული და დემოკრატიულია.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, ვიყურებოდეთ წინ და არა უკან. ეს საბელმძღვანელო მითითება—ვიყუროთ მომავლისაკენ და მომავლის სინათლით გავაშუქოთ აწმყო—უძევს საფუძვლად რევოლუციურ რომანტიკას, რომელიც სოციალისტური რეალიზმის ორგანიული ნაწილია. რევოლუციური რომანტიკა სავსებით ეთიშება პასიურსა და რეაქციულ რომანტიზმს, რომელიც გვიხატავს არარსებულ ცხოვრებას, არარსებულ გმირებს, მიჰყავს მკითხველი ცხოვრების წინააღმდეგობიდან იდეალიზირებულ წარსულში, ან განუხორციელებადი უტოპიების სამეფოში. რევოლუციური რომანტიკა აშუქებს ხვალინდელი დღის პერსპექტივებს, რომელსაც ამზადებს საბჭოთა ხალხის დღევანდელი გეგმაშეწონილი მუშაობა.

სოციალისტური სინამდვილე დიადი და მდიდარია. დღევანდელს სცვლის კიდევ უფრო მშვენიერი და დიადი მომავალი, ეს მომავალი ფანტაზია როდია, იგი მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკულად დამტკიცებული შესაძლებლობაა, რომელსაც უკვე ვგრძნობთ დღეს.

შეთხზვა ნიშნავს რეალურ მონაცემთა ჯამიდან მათი ძირითადი აზრის ამოღებას და მის სახეში განსახიერებას,—ასე ჩვენ მივიღებთ რეალიზმს. მაგრამ თუ რეალურ მონაცემთაგან ამოღებულ აზრს, ჰიპოთეზის ლოგიკის მიხედვით, დავუმატებთ სასურველ ვარაუდს, რითაც შესაძლოა სახის კიდევ უფრო შევსება,—მივიღებთ იმ რომანტიზმს, რომელიც უაღრესად სასარგებლოა იმით, რომ ხელს უწყობს სინამდვილესადმი რევოლუციური დამოკიდებულების აღგზნებას.

რევოლუციური რომანტიზმი არსებითად, ფსევდონიმია სოციალისტური რეალიზმისა, რომლის დანიშნულებაა—არა მარტო წარსულის კრიტიკულად

ასახვა აწმყოში,—არამედ უმთავრესად, რევოლუციურად მიღწეულ თანადროულობის დამკვიდრებისათვის ხელის შეწყობა და სოციალისტური მომავლის მაღალი მიზნების გაშუქება[1] (მ. გორკი).

ლიტერატურას ყოველთვის ტენდენციური ხასიათი აქვს. მსოფლიო ლიტერატურის ისტორია ამას ადასტურებს. წარსულ ეპოქებში იდეოლოგიის სხვადასხვა დარგებში, კერძოდ ლიტერატურაში არსებობდნენ ერთი მეორის წინააღმდეგ მებრძოლი ჯგუფები და ლიტერატურაც გამოდიოდა კლასობრივი ბრძოლის აქტიურ მონაწილედ.

მხატვრულ ნაწარმოებში პროგრესული ტენდენცია, პარტიულობა, შიშველ, დიდაქტიკურ ფორმაში კი არ უნდა ვლინდებოდეს, არამედ იგი უნდა გამომდინარეობდეს მდგომარეობიდან და მოქმედებიდან, ცხოვრების რეალისტურად ასახვიდან, ნაწარმოების შინაარსიდან.

ლენინისა და სტალინის მითითებების მიხედვით, მწერლის სუბიექტიური ტენდენცია, პათოსი, ჯანსაღი ოცნება დამყარებული უნდა იყოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების შინაგანი ტენდენციების რეალისტურ გაგებაზე.

ამხანაგი ა. ა. ჟდანოვი საბჭოთა მწერლების პირველ სრულიად საკავშირო ყრილობაზე ამბობდა: „ჩვენს საბჭოთა ლიტერატურას არ ეშინია იმის, რომ მას ბრალს დასდებენ ტენდენციურობაში. დიახ, საბჭოთა ლიტერატურა ტენდენციურია, ვინაიდან არ არის და არც შეიძლება იყოს კლასობრივი ბრძოლის ეპოქაში არაკლასობრივი, არატენდენციური, ვითომდა აპოლიტიკური ლიტერატურა.

და მე ვფიქრობ, თითოეულ საბჭოთა ლიტერატორს შეუძლია უთხრას ყველა გონებადაჩლუნგებულ ბურჟუას, ყველა ფილისტერს, ყველა ბურჟუაზიულ მწერალს, რომელიც რამეს იტყვის ჩვენი ლიტერატურის ტენდენციურობის შესახებ. „დიახ, ჩვენი საბჭოთა ლიტერატურა ტენდენციურია და ჩვენ ვამაყობთ მისი ტენდენციურობით, რადგან ჩვენი ტენდენ'ია მდგომარეობს იმაში, რომ გავათავისუფლოთ მშრომელები—მთელი კაკობრიობა—კაპიტალისტური მონობის უღლისაგან“.

სოციალისტური რეალიზმით შეიარაღებული საბჭოთა მწერალი კეთილსინდისიერად და დაკვირვებით უნდა სწავლობდეს ჩვენს სოცალისტურ სინამდვილეს, უნდა ცდილობდეს უფრო ღრმად გაიგოს ჩვენი განვითარების პროცესები, ზრდიდეს ხალხს საბჭოთა სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის სულისკვეთებით.

სოციალისტური რეალიზმის მეთოდი მწერალს ავალებს, ხელი შეუწყოს საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცებას, დაეხმაროს პარტიას აღზარდოს მტკიცე ნებისყოფის თავდადებული საბჭოთა პატრიოტები, მხნე თაობა, რომელსაც არ ეშინია დაბრკოლებებისა, გაბედულად მიდის ამ დაბრკოლებათა წინააღმდეგ და უნარი შესწევს გადალახოს ისინი.

საბჭოთა ლიტერატურის ერთერთი მთავარი ამოცანაა, მხატვრულ სახეებში მოგვცეს საბჭოთა ადამიანების შრომითი გმირობა. მაქსიმ გორკი ჩვენი მწერლებისაგან მოითხოვდა ედიდებინათ სოციალისტური შრომა და თვითონ იყო საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი შრომის მგზნებარე მომღერალი. შრომის პოეზია ფართოდ არ განვითარებულა და არც შეიძლებოდა განვითარებულიყო წარსული დროისა და თანამედროვე ბურჟუაზიული მწერლების შემოქმედება-

[1] М. горкий, „О литературе“, 1935. стр. 376.

ში, ვინაიდან შრომა უსამართლო ექსპლოატაციის პირობებში არის მხოლოდ მწარე და მძიმე მოვალეობა. წინათ თვით ცნებას „შემოქმედება“ არასოდეს არ ხმარობდნენ მუშის და გლეხის შრომის მიმართ. შემოქმედებას უწოდებდნენ მეცნიერის, ხელოვანის, პოეტის მოღვაწეობას. ბურჟუაზიულ ლიტერატურაში იშვიათად შეხვდებით ისეთ ნაწარმოებს, რომელშიც გამოხატული იყოს შრომის სილამაზე. ანას თავისი მიზეზები აქვს: შრომის იძულებითი ხასიათი შეუთავსებელია სიხარულის გრძნობასთან, შრომით მიღებულ კმაყოფილებასთან, საკუთარი შრომით წარმოშობილ სიამაყესთან. ამიტომაა, რომ ხელოვნებაში იშვიათად ვხვდებით შრომის თემას. მართლაც მუშის რა შემოქმედებითი შრომაზე შეიძლება ლაპარაკი იმ საზოგადოებაში, სადაც კაპიტალისტები შრომის ელემენტარულ უფლებებსაც კი ართმევენ მილიონობით ადამიანებს, უმუშევრებად და მათხოვრებად აქცევენ მათ?

სულ სხვაა ჩვენში. საბჭოთა ადამიანებმა მოიპოვეს არა მარტო შრომის უფლება, არამედ შრომის ისეთი უფლება, რომელიც ნამდვილად ამაღლებს ადამიანს და აძლევს მას სიამაყის საფუძველს. ჩვენმა სტახანოველებმა მთელ მსოფლიოს უჩვენეს, რომ თავისუფალი ადამიანების თავისუფალი შრომა ნამდვილი შემოქმედებაა. ჩვენში შრომა წარმოადგენს ღირსების, დიდების, სიმამაცისა და გმირობის საქმეს.

საბჭოთა მწერლების ვალია მხატვრულად განაზოგადონ, წარმოსახონ ჩვენი ხალხის გმირობა, მათი თავდადებული შრომა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის.

საბჭოთა მწერლის ნაწარმოებიდან მკითხველმა უნდა მიიღოს არა მარტო ესთეტიკური სიამოვნება, არამედ განიმსჭვალოს საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების სიდიადის შეგნებით, თავისი სოციალისტური სამშობლოსათვის სიამაყის გრძნობით.

ყოველი საბჭოთა შემოქმედი უნდა ხელმძღვანელობდეს იმით, რაც შეადგენს საბჭოთა წყობილების საფუძველს—მისი პოლიტიკით.

სოციალისტური რეალიზმი მწერლისაგან მოითხოვს მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმა შეთვისებას. მწერალი უნდა დაეუფლოს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ფილოსოფიას, კაცობრიობის ამ უმაღლეს მიღწევას, ვინაიდან მხოლოდ იგი უზრუნველჰყოფს საზოგადოებრივი განვითარების კანონების ნამდვილ შეცნობას, ადამიანთა ფსიქოლოგიისა და იდეოლოგიის შეცნობას.

მარქსიზმ-ლენინიზმის ფილოსოფიის ცოდნა ეხმარება მწერალს აჩვენოს ახლის გამარჯვება ძველზე, წინ წამოსწიოს „არა ის, რაც ამჟამად მტკიცედ გვეჩვენება, მაგრამ უკვე კვდომას იწყებს, არამედ ის, რაც წარმოიშვა და ვითარდება“ (სტალინი).

ლასალთან გაგზავნილ წერილში ენგელსი სწერდა:

„თქვენ სრულიად სამართლიანად ილაშქრებთ ამჟამად გაბატონებული ცუდი ინდივიდუალიზაციის წინააღმდეგ, რომელიც წვრილმან ბრძნობაში მდგომარეობს და ეპიგონთა მომაკვდავი ლიტერატურის არსებით ნიშანს შეადგენს“ [1]: „რეალიზმი გულისხმობს, გარდა დეტალების უტყუარობისა, ტიპიური ხასიათების ტიპიურ მდგომარეობებში სწორად გადმოცემას“ [2].

ენგელსის ეს მითითება იმის შესახებ, რომ ტიპიური ხასიათები გამოსახულ იქნას ტიპიურ მდგომარეობებში, უნდა შეივსოს დებულებით, რომ აუცილებე-

---

[1] К. Маркс, Ф. Энгельс, соч., т. XXV. стр. 259.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс об искустве, стр. 163.

ლია გამოსახულ იქნას ახალი, მზარდი, ის, რაც ჯერ კიდევ დღეს ტიპიური არ არის, მაგრამ ასეთი გახდება ხვალ უეჭველად. საბჭოთა მწერალმა ეს ეს მხატვრულ ნაწარმოებში უნდა გვიჩვენოს არა მარტო გარემოებებზე დამოკიდებული ადამიანები, არამედ როგორც ნოვატორებიც, როგორც ისტორიის შემოქმედნიც.

ამხანაგ სტალინის განმარტებით ლიტერატურა წარმოადგენს სინამდვილის სპეციფიკურ შემეცნებას.

ლიტერატურა მხატვრულად განაზოგადებს სინამდვილეს. იგი ცხოვრებას შეიგრძნობს, შეიმეცნებს მხატვრულ სახეებში წარმოგვისახავს მას, მაგრამ ლიტერატურა არ არის სინამდვილის პასიური მეკვრეტელობა, ობიექტური საყარაოს მარტოოდენ შემეცნება ან შეგრძნობა. იგი ამასთანავე აქტიური კატეგორიაა, რომელიც ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივ ყოფიერებაზე. „ახალი საზოგადოებრივი იდეები და თეორიები სწორედ იმიტომ წარმოიშვებიან,— გვასწავლის ამხანაგი სტალინი,—რომ ისინი აუცილებლად საჭირონი არიან საზოგადოებისათვის, რომ მათი მაორგანიზებელი, დამრაზმავი და გარდამქმნელი მუშაობის გარეშე შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების მომწიფებული ამოცანების გადაჭრა... აღმოცენდებიან რა საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების, საზოგადოებრივი ყოფიერების განვითარების მომწიფებული ამოცანების ბაზაზე, — შემდეგ თვითონ ახდენენ ზემოქმედებას საზოგადოებრივ ყოფიერებაზე, საზოგადოების მატერიალურ ცხოვრებაზე, ჰქმნიან რა იმისათვის აუცილებელ პირობებს, რომ ბოლომდე მიყვანილ იქნას საზოგადოების მატერიალური ცხოვრების მომწიფებული ამოცანების გადაჭრა და შესაძლებელი გახდეს მისი შემდგომი განვითარება“ [1].

ასეთი როლი აქვს ლიტერატურასაც. იგი დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ყოფიერებაზე, აქტიურად მოქმედებს ადამიანთა გრძნობებზე, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ამის გამოა, რომ დიდი ლიტერატურული ძეგლები ყურადღებასა და პატივისცემას იმსახურებენ. ამ მხრივ უაღრესად საინტერესოა მაქსიმ გორკის მხატვრული შედევრები.

ლენინი და სტალინი დიდად აფასებდნენ მაქსიმ გორკის, უყვარდათ იგი და დიდმნიშვნელოვნად თვლიდნენ როგორც მის მხატვრულ შემოქმედებას, ისე მის პრაქტიკულ რევოლუციურ საქმიანობას. მაქსიმ გორკის ბიოგრაფიაში სამაგალითო ეპიზოდებად შევა ბოლშევიკური პარტიის ბელადებთან — ლენინთან და სტალინთან ურთიერთობა, ვინაიდან ლენინი და სტალინი გორკის იდეურად ხელმძღვანელობდნენ.

1912 წელს მუშათა მოძრაობის აღმავლობის პერიოდში, პირველი მსოფლიო ომის წინ, ლენინი სწერდა მაქსიმ გორკის:

„სამაისო ფურცელს ხომ არ დასწერთ? ან ასეთივე სამაისო განწყობილების პატარა ფურცელს? მოკლე ფურცელს „სულის ამამაღლებელს“ ჰა ? გაიხსენეთ წარსული—გახსოვთ 1905 წელი, კარგი იქნებოდა გვქონოდა „ზვეზდას“ ზოაპრების ტიპის რევოლუციური პროკლამაცია“.

ლენინს ახსოვდა, მოსწონდა გორკის გონებამახვილი „ზღაპრები“, ბოლშევიკურ „ზვეზდაში“ რომ იბეჭდებოდა.

გორკი უმღეროდა ხალხს, რევოლუციას, მის ცხოველმყოფელობას. იგი უ-

[1] ი. სტალინი. „ლენინიზმის საკითხები“, მეთერთმეტე გამოცემა, გვ. 679 — 680.

ღეროდა სიყვარულის ძალას. ჯერ კიდევ 1892 წელს დაწერილ ზღაპარში „ქალიშვილი და სიკვდილი“, რომელიც პირველად 1917 წელს გამოქვეყნდა „ნოვაია ჟიზნში“, დიდმა მწერალმა ქებათა-ქება შეასხა ამ კეთილშობილურ ადამიანურ გრძნობას. როცა 1931 წლის 11 ოქტომბერს ამხანაგმა სტალინმა ეს ნაწარმოები წაიკითხა, წიგნის გვერდზე წააწერა:

„ეს ნაწარმოები უფრო ძლიერია, ვიდრე გოეთეს „ფაუსტი“ (სიყვარული ამარცხებს სიკვდილს).

ნაწარმოების შინაარსი ასეთია: ომგადახდილი მეფე მოდის სოფლად. გზაზე მას შემოესმა ქალიშვილის კისკისი. მეფე გაჯავრდა, ჰკრა დეზი ცხენს და ფიცხელ მიუვარდა ქალიშვილს, დაუყვირა: როცა ასე სასტიკად დამამარცხა მტერმა, შენ, ბრიყვო, მითხარ, რა გახარებს? ქალიშვილმა გაისწორა მკერდზე ღილები და მეფეს მოახსენა—მიჯნურთან ვარ ბატონო, გთხოვთ დაგვაცალოთ. როცა გული სიყვარულთან საუბრობს, მაშინ მას მეფისათვის აღარ სცალია.

მეფე განრისხდა და თავის მხლებლებს უბრძანა: ქალიშვილი, ეხლავე ჩამოახრჩეთო. მათ ქალიშვილი სიკვდილს გადუგდეს. ცისფერთვალება, ამაყი გოგონა სიკვდილს შეებრალა, მაგრამ გაუწყრა მაინც, როგორ გაბედეო,—მეფის გაბრაზება. რა მექნა, ბატონო, პირველი კოცნით მეხვეოდა ვაჟი და ხელმწიფისათვის სადა მცხელოდა. სიკვდილო, გემუდარები, მომეც ნება მიჯნურთან ალერსის. სიკვდილმა უთხრა: კარგი, წადი, ღამით იალერსე, იცოდე კი—განთიადზე მოგკლავ. ქალიშვილი წავიდა. სიკვდილს იქვე ქვაზე მიეძინა. გამოიღვიძა რა, დაინახა, რომ იგი არ ჩანს. დაელოდა, თავის გასართობად კი დაჰღიღინა მწარე სიმღერა, დაღამდა, ქალიშვილი კვლავ არა ჩანს, სიკვდილმა ფეხს მოირგო ქალამანი და მთვარის ამოსვლისთანავე გაუდგა გზას. გაიარა რამდენიმე მანძილი. თავს წაადგა ქალიშვილს, კაკლის ხის ქვეშ თავის სატრფოსთან მკერდ გაღეღილს. სიკვდილი გაუწყრა,—რატომ მემალებიო. ქალიშვილი არ შედრკა. არ დაიბნა, მან ამაყად უპასუხა, წამოვალ, შეიწირეთ ჩემი თავი. მხოლოდ, გთხოვთ, ეს ვაჟი შემინახოთ. სიკვდილს შერცხვა, ქალიშვილი შეებრალა, აჩუქა მას სიცოცხლე და თან დასძინა: მოხდეს სასწაული, წადი, იხარე, ვარდო, მაგრამ იცოდე, სადაც იქნები, შენს სიყვარულთან ივლის ჩემი ლანდიც. ამიერიდან სიკვდილი ხელს უწყობს სიცოცხლისა და სიყვარულის ზეიმს.

გოეთეს „ფაუსტში“ საწინააღმდეგო ამბები ხდება. პირველ ნაწილში მარგარიტა იღუპება. სიკვდილი იმარჯვებს სიყვარულზე. ხანგრძლივი ტანჯვისა და თავის თავთან მუდმივი ბრძოლის შედეგად ღონიმიხდილი ფაუსტი, ბოლოს (მეორე ნაწილში) თითქოს აღწევს მიზანს. იგი გადაწყვეტს ამოაშროს ჭაობები და მის ადგილზე შეიქმნას ადამიანთა ბედნიერი ცხოვრება, მაგრამ სწორედ ამ დროს სწვდება მას სიკვდილი და იგი იღუპება. სიცოცხლისადმი ტრფობას, ნათელ მიზანს, სიყვარულს „ფაუსტში“ სიკვდილი ამარცხებს. ასევე იღუპებიან შილერის ლუიზა, შექსპირის რომეო და ჯულიეტა, დეზდემონა და სხვა მრავალი დასავლეთ ევროპულ რომანებსა და დრამებში.

სიყვარულისა და სიკვდილის თემა გორკიმ სრულიად ახლებურად გააშუქა. სიყვარულს მან სრულიად ახალი ძალა მისცა. გორკის ქალიშვილი იმარჯვებს სიცოცხლისადმი ტრფობაში, თამამად ამარცხებს სიკვდილს, აღწევს მიზანს—მოიპოვებს სიყვარულს და ინარჩუნებს მას.

ლიტერატურული ნაწარმოების სტალინური ანალიზი მუდამ ღრმა არის და მეცნიერულად ზუსტი, სწორად. ნამდვილად გამოხატავს პოეტური ქმნილების ფილოსოფიურ აზრს და შემეცნებით ღირებულებას.

უტყუარი მხატვრული ალღო ამხანაგ სტალინს საშუალებას აძლევს სწრაფად შეამჩნიოს შემოქმედებითი ტალანტი, როგორც, მაგალითად, მან სწრაფად გამოიცნო მაქსიმ გორკის ნიჭი და ვლადიმერ მაიაკოვსკის პოეტური ტალანტი. ამხანაგმა სტალინმა მაიაკოვსკი დაახასიათა, როგორც „საბჭოთა ეპოქის საუკეთესო, უნიჭიერესი პოეტი". ბელადის ამ სიტყვებში ზუსტად არის გამოხატული ის უდიდესი სიყვარული და დაფასება, რომლითაც სარგებლობს მაიაკოვსკის შემოქმედება მშრომელი ხალხის ფართო ფენებში.

მაიაკოვსკი იყო ახალი გზების გამკაფავი საბჭოთა პოეზიაში. მან დამსხვრია ძველი ისთეტიკური ნორმები, შექმნა სრულიად ახალი სამყარო პოეტური მიტყვლებისა. რუსული პოეზია გაიყვანა ფართო გზაზე. თავისი დიადი პოეტური ნიჭი, შემოქმედებითი პათოსი და რევოლუციური აღტყინება მან მთლიანად მუშათა კლასის საქმის ინტერესებს დაუმორჩილა. მან გამოამეღავნა თავისი წრფელი პატრიოტიზმი. ის მაღლა ამართავდა საბჭოთა მოქალაქის პასპორტს და მტრების გასაგონად აცხადებდა: „წაიკითხეთ, აღივსეთ შურით; საბჭოთა ქვეყნის ვარ მოქალაქე".

ამხანაგი სტალინი თავის შრომებში მოხსენებებსა გამოსვლებსა და სტატიებში ფართოდ იყენებს ლიტერატურულ ნიმუშებს. მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს.

1927 წელს უცხოელ მუშათა დელეგაციის კითხვაზე, თუ როგორია სტალინის დამოკიდებულება ოპოზიციისადმი და მისი აგენტურისადმი გერმანიაში, ამხანაგმა სტალინმა უპასუხა: „ჩემი დამოკიდებულება ოპოზიციისადმი და მისი აგენტურისადმი გერმანიაში ისეთივეა, როგორიცაა ცნობილ ფრანგ რომანტიკოს ალფონს დოდეს დამოკიდებულება ტარტარენ ტარასკონელისადმი. თქვენ, ალბათ, წაკითხული გექნებათ ალფონს დოდეს ეს შესანიშნავი რომანი ტარტარენ ტარასკონელზე. ამ რომანის გმირი ტარტარენი იყო, არსებითად, ჩვეულებრივი „კეთილი" წვრილი ბურჟუა. მაგრამ მას ჰქონდა ისეთი დიდი ფანტაზია და „კეთილსულოვანი ცრუობის" ნიჭი იმდენად განვითარებული იყო მასში, რომ ის ბოლოს და ბოლოს გახდა ამ იმვიათ თვისებების მსხვერპლი. ტარტარენი ტრაბახობდა და არწმუნებდა ყველას, რომ ატლასის მთებში მან მოჰკლა აუარებელი ლომი და ვეფხვი. ამისათვის ტარტარენის გულუბრყვილო მეგობრებმა მას უწოდეს მსოფლიოში პირველი მონადირე ლომებზე. ამავე დროს კი ალფონს დოდემ დანამდვილებით იცოდა, ისე როგორც დანამდვილებით იცოდა თვით ტარტარენმა, რომ ტარტარენს თვალითაც არ უნახავს არც ლომები და არც ვეფხვები. ტარტარენი ტრაბახობდა და ყველას არწმუნებდა, რომ ის ავიდა მონბლანზე. მისმა გულუბრყვილო მეგობრებმა ამისათვის მას უწოდეს პირველი ალპინისტი მსოფლიოში. ამავე დროს კი ალფონს დოდემ დანამდვილებით იცოდა, რომ ტარტარენს არავითარი მონბლანი არასოდეს არ უნახავს, ვინაიდან ის იყო მხოლოდ მონბლანის კალთებზე. ტარტარენი ტრაბახობდა და ყველას არწმუნებდა, რომ მან დააარსა უდიდესი კოლონია საფრანგეთიდან დაშორებულ ქვეყანაში. გულუბრყვილო მეგობრებმა ამისათვის მას უწოდეს პირველი კოლონიზატორი მსოფლიოში. ამავე დროს კი ალფონს დოდემ დანამდვილებით იცოდა, ისე როგორც თვით ტარტარენს უნდა ეცოდინა, რომ ტარტარენის ფანტასტიური ზრახვებიდან კონფუზის გარდა არაფერი გამოვიდოდა.

თქვენ იცით, რა კონფუზში და სკანდალურ მდგომარეობაში ჩაგდო ტარასკონელები ტარტარენის ფანტასტიურმა ტრაბახმა.

მე ვფიქრობ, რომ ოპოზიციისათვის ასეთივე კონფუზით და სკანდალით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამთავრდება ოპოზიციის ლიდერების ტრაბახი და აურზაური, რომელიც მა-ასტეხეს მოსკოვსა და ბერლინში“ [1].

ყოველივე ეს ისე ნათლად და მოხერხებულად არის ნათქვამი, რომ ლეგაციისათვის ყველაფერი ცხადი შეიქნა.

ცნობილია, თუ რა შესანიშნავად გამოიყენა ამხანაგმა სტალინმა საკ. კ. პ. (ბ) XVI ყრილობაზე თავის საბოლოო სიტყვაში მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერთა გასაკიცხავად ჩეხოვის მოთხრობა „კაცი ფუტლარში“. დასცინოდა რა მათ, ამხანაგი სტალინი ამბობდა, რომ „ისინი დაავადებული არიან იმავე ავადმყოფობით, რომლითაც ავად იყო ჩეხოვის ცნობილი გმირი ბელიკოვი, ბერძნული ენის მასწავლებელი, ფუტლარის კაცი. გახსოვთ ჩეხოვის მოთხრობა, — „კაცი ფუტლარში?“ ეს გმირი, როგორც ცნობილია, ყოველთვის, სიცხესა თუ სიცივეში, დადიოდა კალოშებში, დაბამბულ პალტოში და ქოლგით. „რათ გესაჭიროება, გეთაყვა, კალოშები და დაბამბული პალტო ივლისში, ასეთ პაპანაქებაში?“—ეკითხებოდნენ ბელიკოვს. „ყოველ შემთხვევისათვის,—უპასუხებდა ბელიკოვი,—ვაი თუ რამე მოხდეს: ერთბაშად ყინვები რომ დაიჭიროს, მერე რაღა ვქნა?“. მას შავი ჭირივით აშინებდა ყოველი ახალი, ყოველი ის, რაც გამოდის უფერული ობივატელური ცხოვრების ჩვეულებრივი ფარგლებიდან. გახსნეს ახალი სასადილო,—ბელიკოვი უკვე ძრწის: „ეს, რა თქმა უნდა, შეიძლება კარგიც იყოს სასადილოს გახსნა, მაგრამ ფრთხილად, ვაი თუ ცუდი რამე გამოვიდეს“. მოაწყვეს დრამატიული წრე, გახსნეს სამკითხველო,—ბელიკოვი კვლავ ძრწის: „დრამატიული წრე, ახალი სამკითხველო,—რა საჭიროა ეს? ფრთხილად, ვაი თუ ცუდი რამე გამოვიდეს“.

იგივე უნდა ითქვას მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილ ლიდერების შესახებ“.[2]

სამეურნეო მუშაკთა ამოცანების შესახებ, სოციალისტური მრეწველობის მუშაკთა პირველ სრულიად-საკავშირო კონფერენციაზე 1931 წლის 4 თებერვალს ამხანაგმა სტალინმა მოხდენილად გამოიყენა რუსი პოეტის ნეკრასოვის მხატვრული სიტყვა.

„ხომ გახსოვთ რევოლუციის წინადროის პოეტის სიტყვები „შენ უხვიცა ხარ, თან უბადრუკიც, შენ ძლიერი ხარ, თანაც უძლური, დედავ რუსეთო“. ძველი პოეტის ეს სიტყვები კარგად დაისწავლეს, ამ ვაჟბატონებმა. ისინი სცემდნენ და თან დასძენდნენ: „შენ უხვი ხარ“ — მაშასადამე, შეიძლება შენს ხარჯზე გავმდიდრდეთ. ისინი სცემდნენ და თან დასძენდნენ: „შენ უბადრუკი და უძლური ხარ“—მაშასადამე, შეიძლება შენი ცემა და ძარცვა დაუსჯელად. ასეთია ექსპლოატატორების კანონი—ჩამორჩენილებისა და სუსტების ცემა. კაპიტალიზმის მგლური კანონი. შენ ჩამორჩი, შენ სუსტი ხარ—მაშასადამე, შენ მართალი არა ხარ, მაშასადამე, შეიძლება შენი ცემა და დამონება. შენ ძლიერი ხარ — მაშასადამე, შენ მართალი ხარ, მაშასადამე, შენ უნდა გერიდონ.

აი რატომ აღარ შეიძლება ჩამოვრჩეთ“[3].

მხატვრული ლიტერატურის გამოყენების ბრწყინვალე ნიმუშს ვხვდებით აგრეთვე 1936 წლის 25 ნოემბერს ამხანაგ სტალინის მიერ საბჭოების სრულიად—საკავშირო მერვე საგანგებო ყრილობაზე სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ გაკეთებულს მოხსენებაში. აქ ამხანაგმა სტალინმა გაანადგურა ფაშისტური პრესისა და სხვა ბურჟუაზიულ მჯღაბნელთა კრიტიკა სსრ

---

[1] ი. სტალინი. „ლენინიზმის საკითხები“, მეცხრე გამოცემა, გვ. 353 — 354.
[2] ი. სტალინი. „ლენინიზმის საკითხები“, მეათე გამოცემა. გვ. 518.
[3] ი. სტალინი. „ლენინიზმის საკითხები“, მეთერთმეტე გამოცემა. გვ. 412.

კავშირის კონსტიტუციის პროექტის წინააღმდეგ და შეადარა ისინი დიდი რუსი მწერლის—სალტიკოვ-შჩედრინის ხეპრე, თავნება, გონებაჩლუნგ ბიუროკრატის ტიპს, რომელმაც მოინდომა რეზოლუციით ამერიკის კვლავ დახურვა. ამასთანავე სტალინმა აღნიშნა:

„რა შეიძლება ითქვას ასეთ, უკაცრავად პასუხია, კრიტიკოსებზე? ერთერთ თავის ზღაპარ-მოთხრობაში დიდი რუსი მწერალი შჩედრინი იძლევა თავნება ბიუროკრატის ტიპს, რომელიც ძალიან შეზღუდულია და გონებაჩლუნგი, მაგრამ უაღრესად დარწმუნებული თავის-თავში და ფიცხი. მას შემდეგ, რაც ამ ბიუროკრატმა მისდამი „რწმუნებულ“ ოლქში „წესრიგი და სიწყნარე“ დაამყარა, რისთვისაც ათასობით მცხოვრებნი გაჟლიტა და ათობით ქალაქები გადასწვა, მან ირგვლივ მიმოიხედა და ჰორიზონტზე ბენიშნა ამერიკა, რასაკვირველია, ნაკლებადცნობილი ქვეყანა, სადაც თურმე, არის რაღაც თავისუფლებები, რომლებსაც ხალხში შფოთი შეაქვთ, და სადაც სახელმწიფოს სხვა მეთოდებით მართავენ. ბიუროკრატმა ამერიკა შენიშნა და აღშფოთდა: ეს რა ქვეყანაა, საიდან გაჩნდა იგი, რომელი ასეთი საბუთით არსებობს იგი? რა თქმა უნდა, იგი შემთხვევით აღმოაჩინეს რამდენიმე საუკუნის წინათ, მაგრამ განა არ შეიძლება მისი კვლავ დახურვა, რომ მისი ხსენებაც აღარ იყოს? და, სთქვა თუ არა ეს, დაადო რეზოლუცია: „კვლავ დაიხუროს ამერიკა!“.

... ადებდა რა რეზოლუციას იმის შესახებ, რომ კვლავ დახურულიყო ამერიკა, შჩედრინის ბიუროკრატმა, მიუხედავად მთელი თავისი სიჩლუნგისა, მაინც მონახა თავის-თავში რეალურის გაგების ელემენტები, ჩაილაპარაკა რა იქვე თავისთვის: „მაგრამ მგონი, საქმე ესე ჩემზე არ არის დამოკიდებულიო“. მე არ ვიცი, ეყოფათ თუ არა ჭკუა ვაჟბატონებს გერმანული ოფიციოზიდან მიხვდნენ, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს „დახურვა“ ქაღალდზე მათ, რასაკვირველია, შეუძლიათ, მაგრამ თუ სერიოზულად ვილაპარაკებთ, „საქმე ესე მათზე არ არის დამოკიდებული“[1].

იმავე მოხსენებაში აღნიშნავს სტალინი დასკინის რა უცხოეთის პრესის ისეთ კრიტიკოსებს, რომლებმაც სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი დაახასიათეს როგორც „ძვრა მარჯვნივ“, როგორც „ხელის აღება პროლეტარიატის დიქტატურაზე“ და სხვ. ამბობს: „ამ შემთხვევის გამო არ შეიძლება არ გავიხსენოთ შინაყმა „გოგო“ პელაგია—გოგოლის „მკვდარი სულებიდან“. მან, როგორც გოგოლი მოგვითხრობს, ერთხელ როგორღაც იკისრა გზა ეჩვენებინა ჩიჩიკოვის მეეტლე სელიფანისათვის, მაგრამ, რადგან ვერ შესძლო გაერჩია გზის მარჯვენა მხარე მისი მარცხენა მხარისაგან, დაიბნა და უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი კრიტიკოსები პოლონური გაზეთებიდან, მთელი მათი ამბიციის მიუხედავად, მაინც ბევრად ვერ გასცილებიან „მკვდარი სულების“ შინაყმა „გოგო“ პელაგიას გაგების დონეს. თუ გაიხსენებთ, მეეტლე სელიფანმა საჭიროდ ჩასთვალა დაეტუქსა პელაგია იმისათვის, რომ მან ერთმანეთში აურია მარჯვენა და მარცხენა, და უთხრა მას: „ეჰ, შე შავფეხავ... არ იცი, სად არის მარჯვენა და სად მარცხენა“. მე მგონია, მართებული იქნებოდა ასევე დაგვეტუქსა ჩვენი ჭკუამოკლე კრიტიკოსები და გვეთქვა მათთვის: „ეჰ თქვე ვაი-კრიტიკოსებო... არ იცით, სად არის მარჯვენა და სად მარცხენა“[2].

---

[1] ი. სტალინი. „ლენინიზმის საკითხები“. მეთერთმეტე გამოცემა. გვ. 646 — 647.

[2] იქვე. გვ. 650 — 651.

ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1937 წლის 11 დეკემბერს ამხანაგი სტალინი, ეუბნებოდა ამომრჩეველებს, მოსთხოვონ თავიანთ დეპუტატებს, რომ ისინი დარჩნენ თავიანთი ამოცანების სიმაღლეზე, რომ ისინი თავიანთ მუშაობაში არ დაეშვნენ პოლიტიკური ობივატელების დონემდე, რომ ისინი დარჩნენ ლენინის ტიპის პოლიტიკურ მოღვაწეთა პოსტზე, ამბობდა: „ათასნაირი ადამიანია ამ ქვეყნად, ათასნაირი მოღვაწეა ამ ქვეყნად. არიან ადამიანები, რომლებზედაც ვერ იტყვი, ვინ არის იგი, კარგია თუ ცუდი, მამაცია თუ მხდალი, ბოლომდე ხალხის მხარეზეა თუ ხალხის მტრების მხარეზე... ასეთი გამოურკვეველი ტიპის ადამიანებზე, იმ ადამიანებზე, რომლებიც უფრო გვაგონებენ პოლიტიკურ ობივატელებს, ვიდრე პოლიტიკურ მოღვაწეებს, ასეთ გამოურკვეველი, ჩამოუყალიბებელი ტიპის ადამიანებზე საკმაოდ მოსწრებულად სთქვა დიდმა რუსმა მწერალმა გოგოლმა: „გამოურკვეველი ადამიანებია, არც ეს არიან, არც ისა, ვერ გაიგებ, რა ხალხია, არც ბოგდანია ქალაქში და არც სელიფანი სოფელში“. ასეთ გამოურკვეველ ადამიანებზე და მოღვაწეებზე აგრეთვე საკმაოდ მოსწრებულად ამბობს ჩვენი ხალხი. „არის რაღა,—არც წყალია და არც ღვინო, არც ღვთისა და არც ეშმაკისა“[1].

ამხანაგ სტალინს მხატვრული ლიტერატურიდან მხოლოდ უარყოფითი სახეები როდი მოჰყავს, მის თხზულებებში ჩვენ ვხვდებით აგრეთვე ნათელ, დადებით სახეებს. ასეთია, მაგალითად, ამხანაგ სტალინის მიერ გამოყენებული გმირი ანთეოსის სახე, ძველი ელადის მშვენიერი ლეგენდიდან.

1937 წლის 5 მარტს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე თავის საბოლოო სიტყვაში დიდმა ბელადმა სთქვა: „ძველ ბერძნებს თავიანთი მითოლოგიის სისტემაში ჰყავდათ ერთი სახელგანთქმული გმირი—ანთეოსი, რომელიც, როგორც მითოლოგია გადმოგვცემს, იყო პოსეიდონის — ზღვათა ღმერთისა, და გეის—მიწის ქალღმერთის შვილი. იგი კანსაკუთრებულ სიყვარულს განიცდიდა თავისი დედის მიმართ, რომელმაც იგი ჰშობა, გამოჰკვება და გამოზარდა. არ იყო ისეთი გმირი, რომელიც არ დაემარცხებინოს მას — ამ ანთეოსს. იგი უძლეველ გმირად ითვლებოდა. რაში მდგომარეობდა მისი ძალა? იგი მდგომარეობდა იმაში, რომ ყოველთვის, როდესაც მას მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში გაუჭირდებოდა, იგი ეხებოდა მიწას, თავის დედას, რომელმაც ჰშობა და გამოჰკვება იგი, და ახალ ძალას ღებულობდა. მაგრამ მას მაინც ჰქონდა თავისი სუსტი ადგილი—ეს იყო მიწისაგან რამენაირად მოწყვეტის საშიშროება. მტრები ითვალისწინებდნენ მის ამ სისუსტეს და უდარაჯებდნენ მას. და აი გამოჩნდა მტერი, რომელმაც გამოიყენა ეს მისი სისუსტე და დაამარცხა იგი. ეს იყო ჰერკულესი. მაგრამ როგორ დაამარცხა მან იგი? მან მოსწყვიტა იგი მიწას, აიყვანა ჰაერში, დაუკარგა მას მიწის შეხების საშუალება და ამრიგად დაახრჩო იგი ჰაერში.

ვფიქრობ, რომ ბოლშევიკები მოგვაგონებენ ბერძნული მითოლოგიის გმირს, ანთეოსს. ისინიც, ისევე როგორც ანთეოსი, ძლიერნი არიან იმით, რომ კავშირი აქვთ თავის დედასთან, მასებთან, რომლებმაც ისინი ჰშობეს, გამოჰკვებეს და გამოზარდეს! და სანამ მათ კავშირი აქვთ თავის დედასთან, ხალხთან, მათ ყველა შანსი აქვთ იმისა, რომ უძლეველი დარჩნენ“[2].

---

[1] ი. ბ. სტალინი, სიტყვა ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე. გვ. 7 — 8.

[2] ი. სტალინი, „პარტიული მუშაობის ნაკლოვანებების შესახებ“, 1937. გვ. 61 — 62.

ამხანაგმა სტალინმა 1946 წლის 13 მარტს თავის ინტერვიუში „პრავდის" კორესპონდენტთან, ჩერჩილის სიტყვის გამო, ინგლისის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ჩერჩილი დაახასიათა როგორც ომის გამჩაღებელი, როგორც ანტისაბჭოური ბრბოვანი თეორიის პირწავარდნილი მქადაგებელი, როგორც საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ „14 სახელმწიფოს" სამხედრო ლაშქრობის მომწყობი. იმის ნათელსაყოფად, თუ რა ბედი ეწია ჩერჩილის ინტერვენციას წარსულში და რა მოელის მას მომავალში, ამხანაგმა სტალინმა მოხდენილად გამოიყენა სერვანტესის უკვდავი რომანის, ბეჩავი რაინდის—დონ-კიხოტის სახე, დონ-კიხოტი მოუფიქრებლად იქნევს ხმალს და ჭრილობას აყენებს თავის თავს, დონ-კიხოტს სინამდვილე სასტიკად უგებს შურს, მას ყველგან და ყოველთვის თავს ატყდება ცემა და ქირდვა. ამხანაგმა სტალინმა ჩერჩილის მოქმედება შეაფასა როგორც დონ-კიხოტური საქციელი. ამხანაგმა სტალინმა სთქვა:

„რა თქმა უნდა, ბ-ნ ჩერჩილს არ მოსწონს მოვლენათა ასეთი განვითარება და იგი განგაშს სტეხს, ძალას მიმართავს. მაგრამ მას არ მოსწონდა აგრეთვე საბჭოთა რეჟიმის გაჩენა რუსეთში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. იგი ასევე სტეხდა განგაშს მაშინ და მოაწყო „14 სახელმწიფოს" სამხედრო ლაშქრობა რუსეთის წინააღმდეგ, როცა მიზნად დაისახა უკუღმა დაეტრიალებინა ისტორიის ჩარხი. მაგრამ ისტორია ჩერჩილის ინტერვენციაზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა და ბ-ნ ჩერჩილის დონკიხოტურმა საქციელმა ის გამოიწვია, რომ იგი მაშინ სავსებით დამარცხდა. მე არ ვიცი, მოახერხებენ თუ არა ბ-ნ ჩერჩილი და მისი მეგობრები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოაწყონ ახალი სამხედრო ლაშქრობა „აღმოსავლეთ ევროპის" წინააღმდეგ. მაგრამ თუ მათ ეს მოახერხეს,—რაც ნაკლებ დასაჯერებელია, რადგან მილიონობით უბრალო ადამიანები მშვიდობიანობის საქმის სადარაჯოზე დგანან,—დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ისინი ისევე დამარცხდებიან, როგორც დამარცხდნენ წარსულში—26 წლის წინათ".

ლიტერატურული ნაწარმოების სტალინური ანალიზი სრულყოფილად გვაცნობს მის შინაარს და გვაგებინებს მხატვრული ქმნილების სრულ ღირებულებას.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ მხატვრული ნაწარმოების ანალიზი არ უნდა წარმოადგენდეს მის ღირსება-ნაკლოვანებათა ზერელე რეგისტრაციას. ლიტერატურულმა კრიტიკამ მხატვრული ნაწარმოები უნდა გაარჩიოს მისი დადებითისა და უარყოფითის, მისი ღირსებისა და ნაკლის საფუძვლიანი შეცნობით.

ლიტერატურის პარტიულობის ლენინურ-სტალინურმა პრინციპებმა განსაკუთრებით ნათელი გამოხატულება ჰპოვეს საკავშირო კ. პ. (ბ)ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებში ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე და ამხანაგ ჟდანოვის მოხსენებაში ჟურნალების „ზვეზდისა" და „ლენინგრადის" შესახებ.

საბჭოთა ლიტერატურა ყველაზე იდეური, ყველაზე მოწინავე, ყველაზე რევოლუციური ლიტერატურაა მსოფლიოში, იგი გამოხატავს ლენინ-სტალინის პარტიის იდეებზე აღზრდილ მამაც და კეთილშობილ ადამიანებს. საბჭოთა ლიტერატურამ განსაკუთრებული მსოფლიო მნიშვნელობა მოიპოვა. ჩვენი ლიტერატურის სახელოვანი წარმომადგენლები ცნობილი არიან საზღვარგარეთ. შექმნილია შესანიშნავი ნაწარმოებები, რომლებიც ფართოდ გავრცელებულია ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. „საბჭოთა ხალხს უყვარს და აფასებს ხელოვნებასა და მხატვრულ ლიტერატურას, რომლებიც სოციალისტური რეალიზმის

მეთოდის საფუძველზე მართლად ასახავენ ჩვენი ქვეყნის მდიდარ მჩქეფარე ცხოვრებას, საბჭოთა ადამიანების—კომუნიზმის მშენებლების დაძაბულ და თავდადებულ შრომას“ (მალენკოვი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მწერლები ყოველ ნაბიჯზე გრძნობენ ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის ზრუნვას, პირადად დიდი სტალინის განუწყვეტელ მამობრივ ზრუნვას. ეს ზრუნვა ყველა საბჭოთა მწერალს აღაფრთოვანებს, ამხნევებს, უფრო თავდადებით იმოღვაწეოს დიადი სტალინური ეპოქის ღირსი ახალი ბრწყინვალე ნაწარმოებების შესაქმნელად, ეხმარება მას კიდევ უფრო ნათლად ხედავდეს ჩვენს ცხოვრებას, კიდევ უფრო ღრმად გრძნობდეს და გაიცდიდეს მას, რომ კიდევ უფრო სწორად, მაღალიდეურად, მაღალმხატვრულად წარმოგვისახოს სოციალისტური სინამდვილე.

მხატვრული ლიტერატურის ბოლშევიკური პარტიულობის პრინციპის თანმიმდევრულად განხორციელება და სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ოსტატურად მომარჯვება, საშუალებას მისცემს ჩვენს მწერლებს პირნათლად შეასრულონ ამხანაგ სტალინის ბიერ მათ წინაშე დასახული ამოცანა,—გახდნენ „ადამიანთა სულის ინჟინრები“.

ლენინმა და სტალინმა მოგვცეს ბოლშევიკური კრიტიკის ბრწყინვალე ნიმუშები. ლიტერატორები და ლიტერატურის კრიტიკოსები მუდამ უნდა ეამყარებოდნენ ლენინისა და სტალინის შრომებს, რომლებშიც გენიალურად დამუშავებული და დასაბუთებულია მეცნიერული ანალიზის პრინციპი, ლიტერატურულ ნაწარმოებთა სწორად შეფასების პრინციპი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პეტრე ბახტურიძე

ბელადის სახე ქართულ საბჭოთა პოეზიაში

★

სტალინი! რა უსაზღვრო სიყვარული, რამდენი სითბო და უსპეტაკესი გრძნობა არის დაკავშირებული ამ დიად სახელთან! ეს სახელი წარმოადგენს დიდი ხნიდან სანუკვარ ოცნებად ქცეულ მოწინავე საკაცობრიო იდეების, უკეთილშობილესი მიზნების, საუკეთესო მისწრაფებათა განხორციელების ძლევამოსილ საბრძოლო დროშას, რომელიც არასოდეს ძირს არ დახრილა, მრავალ განსაცდელსა და ისტორიულ ქარტეხილებში გამოვლილ დროშას, რომელიც წინ მიუძღვის კომუნიზმის მშენებელთა გმირ თაობას სიხარულისა და ბედნიერების სხივმოსილ გზაზე.

ისტორიის არც ერთ პერიოდში შემოქმედების არც ერთ დარგს ისეთი დიდი, ამმაღლებელი და ამაღელვებელი თემა არა ჰქონია, როგორიც არის ხალხთა ბრძენი ბელადის, მეგობრისა და მასწავლებლის ი. ბ. სტალინის ცხოვრება და რევოლუციური მოღვაწეობა. ეს წარმტაცი და შთამაგონებელი თემა მთელი საბჭოთა შემოქმედების ქვაკუთხედი გახდა იმიტომ, რომ დიდი სტალინის სახელთან და მის ხელმძღვანელ როლთან არის უმჭიდროესად დაკავშირებული თვითეული მომენტი ჩვენი ხალხის, მრავალმილიონიანი მშრომელი მასების ცხოვრების, მათი კეთილდღეობისათვის გმირული ბრძოლისა და ბრწყინვალე წარმატებების დიად გზაზე, დაწყებული რევოლუციის გარიჟრაჟიდან, კომუნიზმის გრანდიოზული მშენებლობის ეპოქამდე, მისი საბოლოო გამარჯვების ეპოქამდე.

ეს წარმტაცი და შთამაგონებელი თემა ქვაკუთხედად დაედო მთელ საბჭოთა ხელოვნებას და მხატვრულ ლიტერატურას იმიტომ, რომ დიდი სტალინის სახელი, ცხოვრება და გენიალური მოღვაწეობა შემტკიცებული და განუყრელად დაკავშირებულია თვითეულ გამარჯვებასთან, რაც კი საბჭოთა ქვეყანას მოუპოვებია სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების ყველა უბანზე, გარეშე თუ შინაურ მტერთან მედგარ ბრძოლაში, სამოქალაქო ომის, უცხოეთის ინტერვენციისა და შინაური კონტრრევოლუციის შემოტევის მკაცრი განსაცდელის წლებში, მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის დროს, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში, მტერზე მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ახალი სტალინური ხუთწლედის წარმატებით განხორციელებისათვის თავდადებული შრომის პათოსით აღსავსე დღეებში.

ეს წარმტაცი და შთამაგონებელი თემა ქვაკუთხედი გახდა ყოველი ქართველი ხელოვანისათვის, საბჭოთა შემოქმედისათვის იმიტომ, რომ „ამიერ-

კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მთელი ისტორია, ამიერკავკასიისა და საქართველოს მთელი რევოლუციური მოძრაობა მისი ჩასახვიდან პირველი დღეებიდანვე განუყოფელად არის დაკავშირებული ამხანაგ სტალინის მოღვაწეობასთან და სახელთან" (ლ. პ. ბერია).

მრავალი თვალსაჩინო ნაწარმოები შეიქმნა ქართულ საბჭოთა პოეზიაში, რომლებიც თემატიკურად და სუბიექტურად დაკავშირებული არიან ამხანაგ სტალინის სახელთან, მის რევოლუციურ მოღვაწეობასთან, დიად სახელმწიფოებრივ მშენებლობასთან. ამ ნაწარმოებთა საერთო განწყობილება შთაგონებულია დიდი სტალინისადმი ღრმა სიყვარულის გრძნობით, მთელი პროგრესული კაცობრიობის მხსნელისა და კაშკაშა იმედისადმი უდიდესი მადლობის გრძნობით. ამ მოვლენამ მთლიანად შეაპირობა ის გარემოება და უაღრესად საყურადღებო ფაქტი, რომ „საბჭოთა საქართველოს ლიტერატურა ჩადგა სსრ კავშირის მოწინავე მოძმე ლიტერატურათა რიგებში.

პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ, რომლებიც მუდმივი მზრუნველობითა და ყურადღებით ეკიდებიან მწერლებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს, რეჟისორებს, აქტიორებს, ხელოვნების ყველა მუშაკს, უზრუნველჰყვეს მათი განუხრელი იდეური და შემოქმედებითი ზრდა. აღიზარდნენ მხატვრული სიტყვის, თეატრის, კინოს, მუსიკის დიდი ოსტატები.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში ქართული ხელოვნების აყვავება, ბრწყინვალე დადასტურებაა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სისწორისა, რომელმაც საშუალება მისცა განთავისუფლებულ ქართველ ხალხს სავსებით გაეშალა თავისი მდიდარი შემოქმედებითი ნიჭი" (ლ. პ. ბერია).

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ არ არის საბჭოთა მწერლის მიერ არც ერთი თანამედროვე აქტუალურ საკითხზე შექმნილი ნაწარმოები, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ არ შეიცავდეს დიდი სტალინის სახელთან დაკავშირებულ თემას, ვინაიდან ყველაფერი, რაც კი ჩვენს ცხოვრებაში ხდება, შუქმოსილია სტალინური სიბრძნით, მისი გენიალური ხელმძღვანელობით და მხედართმთავრობით.

პოეტი აკადემიკოსი გიორგი ლეონიძის პოემის „ბერშოულას" მთავარი გმირი მოხუცი მეწისქვილე ასეთი აღფრთოვანებით მიმართავს დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს:

„შე ღმერთკაცო, შე ლომკაცო,
სანათლე-კაცს გეძახიან.
ყველგან შენი მადლით ჰყვავის,
სადაც ყანა, ვენახია!
დუღაბურად აგებულო,
შენ ფოლადი მისთვ-ს გქვიან,
რომ კაცს შენით მოიმედეს,
ვერ გაატანს ვერსად ტყვია! ..."

მოხუცი ბერო მთელი სისავსით გამოხატავს ხალხის აზრს და გრძნობას თავისი უდიდესი მოამაგისა და მზრუნველისადმი, ცხოვრების დიადი გარდამქმნელის ბრძენი სტალინისადმი, როცა მგზნებარე გულით, წრფელი გულით შესძახებს :

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შენ სათავე ხალხისა ხარ,
შენებრ კაცი არსად არი,
შენებრ ბრძენი და მოყვარე,
მხნე, ვაჟკაცი და სარდალი!
შენი თავი გვიდღეგრძელოს,
რაღა გითხრა ამის მეტი?
ჩვენი ვარდი შენზედ პყვავის,
ზეც შენა ხარ და იმედიც!..“

სამარადისოდ გადაეცემა თაობიდან თაობას სიყვარული და პატივისცემა იმ პატარა სახლისადმი, სადაც დაიბადა სოსო ჯუღაშვილი, სადაც ფეხი აიდგა მან და პირველად ფოლადის ზარივით დაიწკრიალა ამ საყვარელი ყრმის მართალმა ხმამ. ეს პატარა სახლი, საიდანაც „მშრომელის შვილმა, ფარაჯიანთა გენიამ ხმელეთი გადაანათა“, დარჩება ისტორიის საგანძურში როგორც უძვირფასესი საუნჯე. სწორედ ამ პატარა სახლში დაირწა ბელადის აკვანი, ქართველი დედა ნანასთან ერთად ბავშვს რძესავით შეაწოვებდა ქოხმახების ბკვიდრთა სიყვარულს, მათი კეთილდღეობისათვის მებრძოლის მტკიცე ნებას და სულისკვეთებას. ამ დიდი ადამიანის დაბადება ისტორიული შემობრუნების უღელტეხილს წარმოადგენს. ამიტომ ამბობს პოეტი თავის პოემაში „ბავშვობა და ყრმობა“ ასეთი აღტაცებით:

„ნაცეცხლური გატაცუნდა,
ქოხში ყველას ტკბილად სძინავს...
დილა ბრწყინავს... საქართველოს
მოქალაქე შეეძინა!
გიხაროდეთ, ქოხმახებო,
აღდგა თქვენი ნარისხვალი,
დიდ მუხაში დაბინავდა
დასაჭექად ქარიშხალი!“

ქალაქი გორი ჩვენი ხალხის საამაყო ადგილი, უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მქონე კუთხეა. იგი წმინდა და საყვარელია ყველა მშრომელისათვის იმიტომ, რომ აქ, ქართლის შუაგულში, დაიბადა დიდი სტალინი. ჩვენი სამშობლოს ამ სვებედნიერი კუთხით მოხიბლული და აღფრთოვანებულია ყველა, ვისთვისაც კი ძვირფასია სოციალისტური ქვეყანა, მისი წინსვლა და აყვავება, ხალხთა კეთილდღეობა, გრანდიოზული კომუნისტური მშენებლობა, მშრომელი კაცობრიობის იმედი და ჩირაღდანი, დიდი ბელადი. სწორედ ამით არის გამოწვეული და შთაგონებული პოეტ სიმონ ჩიქოვანის ლექსის სტრიქონები; პოეტი აღფრთოვანებულია იმით, თუ

„როგორ გაუჩნდა ღარიბ კერიას
ბავშვი ბრძენი და არწივის გვარი,
როგორ უმღერდნენ ბავშვის გენიას
ხელოსნები და მუხნარის ქარი;
როგორ შეირგო დედის ძუძუთი
ქართლის სიტკბო და წიაღი, თითქო
გორის ციხე და მტკვარის დუდუნი
და რუსთაველის სტრიქონის სითბო“.

გორთან, გორის ციხესთან, მის მიდამოებთან დაკავშირებულ წარმოდგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაში პირველ რიგში უთუოდ დაიხატება იმ პატარა სახლის კერა და აკვანი, სადაც მზეობდა ბელადის ყრმობა. პოეტის სიტყვით,

„ბელას გვქონია სოფლის ჯაგანი
და საალერსო ცეცხლი კერიის,
მაგრამ სხვა არის დიდი აკვანი,
მთამგონებელი ხალხის გენიის“.

დიადმა სტალინურმა ეპოქამ ბედნიერება და ნეტარება დაამკვიდრა ჩვენს ქვეყანაში. ეს მომენტი აქვს ასახული პოეტს თავის სტრიქონებში:

„მშობელი სახლიც ჩანდა ბარტყივით,
ბელადის მიერ აღზრდილ მხარეში,
და გორის ციხეს, მგზავრობით დაღლილს,
მშვიდად ეძინა სინეტარეში“.

საბალხო პოეტი აკადემიკოსი გალაკტიონ ტაბიძე ბელადის სახის დასახატავად მიმართავს პარალელს ილია ჭავჭავაძის ცნობილი ლექსიდან „ბაზალეთის ტბა“. უკვე განხორციელდა ხალხის რწმენა და იმედი, რომ ბაზალეთის ტბის ძირას ოქროს აკვანში იზრდებოდა ძალა, რომელიც ქვეყანას მოუტანდა თავისუფლებასა და ბედნიერებას. სწორედ ამ აკვნიდან აფრინდა მძლავრი არწივი, რომლის ფრთების სილაღე ქარიშხალს დაედარება. ეს არწივი ასცილდა „დიდებულს მთასა მყინვარსა“. იგი მძლავრი ფრთებით ძლევამოსილად ჰკვეთს სივრცეებს, მის წარმომშობ მხარეს არასოდეს არა სცოდნია „მტერთან კრთომა და რიდება“, რადგან მედგარ ბრძოლებში მას გზის მანათობელ ვარსკვლავად წინ მიუძღვის დიდი სტალინის უძლეველი დროშა — ჩვენი სიმტკიცის, ჩვენი სიმართლისა და დიდების სიმბოლო. პოეტი გულგალაღებით დასძახის:

„სტალინის დროშამ ვაჟკაცად გვზარდა,
ის არის ჩვენი გზის დამსახველი,
და როცა მტერი გააბეზარდა —
ჩვენ დავამიწეთ მტრისა სახელი!“

გათაკეხედებული მტრის — ფაშისტთა ურდოების წინააღმდეგ გმირულ ბრძოლებში საბჭოთა ქვეყანამ გაიმარჯვა იმიტომ, რომ ამ ბრძოლებს ხელმძღვანელობდა დიდი სტრატეგი და გენიალური მხედართმთავარი ამხანაგი სტალინი, გაიმარჯვა იმიტომ, რომ მას წინ უძღოდა სტალინის დროშა, სტალინის ძლევამოსილი და საყვარელი სახელი:

„მტერი ვინ არი, ცდა ვის უცდია,
ვინ გვნახოს გულით სისხლის მწველთავი,
განა ქართლის მზეს არ გაუზრდია
ის ლომი, ჭანგებდაუცვეთავი,
ვინც მოგვიტანა თავისუფლება,
ვინც სჭედავს ხალხის ბედნიერებას
და ვისი დროშაც წინ მიუძღვება
დღეს განახლებულ ქვეყნიერებას?!“

ჭეშმარიტების სხივი და მისი აელვარებული ციმციმი უკვდავია. ამ სხივით არის გაშუქებული თვითეული საქმე და სიტყვა კომუნიზმის მშენებელთა

გმირი თაობისა, იმ თაობისა, რომელიც აღიზარდა და გამოიწვრთა დიდ სტალინურ ეპოქაში, ლენინ-სტალინის პარტიის ყოველისმძლე [illegible] ციპებზე. ამ თაობის მიერ შექმნილი შრომის სიმფონია მომჯადოებელ [illegible] ნად გაისმის მთელ მსოფლიოში. ამ სიმფონიით გამოწვეულ მგზნებარე ღაღადისად ჩაითვლება პოეტის სიტყვები:

„დღეგრძელობა და ვაშა სტალინს!
დიდება სტალინს!
მას კომუნიზმის მიჰყავს გემი
გენიის სინჯვით,
ჭაბუკურ ნებით და ჭარმაგის
სიბრძნე-სიდინჯით!“

ყველაფერს საუკეთესოს, რაც კი შექმნილა და იქმნება ჩვენს სამშობლოში, ხალხი უკავშირებს დიდი სტალინის სახელს, მის სიბრძნეს, მის გენიალურ შორსმჭვრეტელობას. ქვეყნის აღორძინება, მისი აყვავება და შეუფერხებელი განვითარება ბელადის სიბრძნით არის ნაკარნახევი და მისი ხელმძღვანელობით განხორციელებული. ჩვენი სამშობლოს სიმტკიცე და შეუდრეკელობა უზრუნველყოფილია, რადგან მას მართავს კაცობრიობის გენია — დიდი სტალინი. პოეტი ალიო მირცხულავა თავის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში „ჰიმნი სამშობლოს“ უმღერის საბჭოთა ქვეყნის შრომის დიდებას, მისი ცხოვრების ახალ განთიადს და ამბობს:

„როგორ იქნება შედრკეს ქვეყანა,
პატარა, ბაგრამ მარჯვე წელისა,
რომელმაც შობა გმირი სტალინი,
დამამხობელი ქვეყნად ბნელისა,
როგორ დაჭნება მთების მშვენება
ან სურნელება მინდორ-ველისა,
როგორ იქნება — ჩაუქრობელი
ჩაქრეს ნათელი რუსთაველისა?!“

თავის მეორე ლექსში „დაბადება“ პოეტი აგვიწერს გორს, გორის ციხის ძირში აღმართულ პატარა სახლს იმ ღამით, როცა ბესო ჯუღაშვილის ოჯახს შეეძინა ვაჟი, როცა პატარა გორის ჭერქვეშ დაიბადა ადამიანი, რომელმაც ქვეყანას უნდა მოაშოროს „ამ ცხოვრების გასაჭირი“. ამიტომ არის გორი უწმინდესი ადგილი, საითკენაც მიპყრობილია ყველას თვალი და გულისყური. მის სანახავად მოილტვიან მსოფლიოს ყველა კუთხიდან. ისინი ისწრაფვიან, „რომ ნახონ გორი, პატარა გორი, ნატვრისთვალივით ქართლში ჩამჯდარი“. და როცა ჩვენს სამშობლოს მტერი დაემუქრა, როცა დუშმანმა განიზრახა ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შემუსვრა, სოციალისტური სამშობლოს ღირსების დასაცავად ერთსულოვნად დაირაზმა საბჭოთა კავშირი. იმ მრისხანე ჟამს გორში

„თექვსმეტმა გმირმა, დროშებთან ერთად შემოაფრინა თექვსმეტი რაში...
მოსულან ერთად ქარში, წვიმაში, როგორც კი ომის იელვა კვერთხმა,
რომ აქ, ბელადის აკვნის წინაშე, დედა-სამშობლოს შეჰფიცონ ერთხმად.
შეჰფიცონ სტალინს, — ლენინის დროშას, ერთხმად უმღერონ და უღალადონ,
რომ ბრძოლის დროსაც, ვით შრომის დროსა, ძმებმა ერთმანეთს არ უღალატონ“.

ასეც მოხდა. ჩვენი ქვეყნის ძლიერება უძლეველ ციხესიმაგრედ აღიმართა ფაშიზმის წინააღმდეგ. მტერმა სასტიკი დამარცხება იგემა [illegible] საქართველო. [illegible]

საბჭოთა კავშირის სამამულო ომი დიდი გამოცდა იყო ჩვენი ხალხისათვის. ამ ომში მთელი სისავსით გამოვლინდა სტალინური წრთობის ადამიანთა თაობის გმირული სული, მისი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ერთსულოვანი შერკინება მტერთან, რომელმაც ვერაგულად დაარღვია ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანობა, ჩვენი საამური და ბედნიერი ცხოვრება. მაშინ როცა საბჭოთა კავშირში უდიდესი ენთუზიაზმით იყო გაჩაღებული კომუნიზმის მშენებლობა, როცა ჩვენი სამშობლო დიდი სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით წარმატებას წარმატებაზე აღწევდა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასასვლელად, მაშინ, როცა ჩვენი სახელოვანი მეცნიერები ახალ-ახალ გამოგონებებს ქმნიდნენ მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი განვითარებისათვის, ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის, ფაშიზმი აბჯარს ისხამდა ჩვენს წინააღმდეგ გამოსალაშქრებლად, მთელი მოწინავე კაცობრიობის წინააღმდეგ ომის გასაჩაღებლად. ეს მომენტი აქვს გადმოცემული პოეტ ირაკლი აბაშიძეს ლექსში „ომის წინ“.

„მოსკოვის კრემლი არის მშვიდი, როგორც ბუნება,
მოსკოვის კრემლში სტალინთან დგას ბოგომოლეცი.

მოუთხრობს დინჯად მეცნიერი ბელადს საყვარელს
მრავალ უახლეს აღმოჩენას, ახალ ძიებას;
ბელადიც ექიმს მშობლიურად სთხოვს და ავალებს
კაცთა სიცოცხლის, წუთისოფლის გახანგრძლივებას.

შორს კი, ბერლინზე, იქუფრება ცა ალმაცერი,
„დამიანთა ყლეტას ბრძანებს რაიხსკანცლერი“.

ამხანაგ სტალინის სახელი, ბრძოლა და მოღვაწეობა განუყრელად არის დაკავშირებული დიდი ლენინის სახელთან, ბრძოლასთან და მოღვაწეობასთან, აგრეთვე იმ დიდ რევოლუციონერთა სახელებთან, ბრძოლასა და მოღვაწეობასთან, რომლებიც ბელადთან ერთად იბრძოდნენ თვითმპყრობელობის დასამხობად, რევოლუციის გამარჯვებისათვის, მშრომელთა განთავისუფლებისათვის, სასიხარულო და ბედნიერი ცხოვრების დამკვიდრებისათვის. ამხანაგი ლ. პ. ბერია თავის ნაშრომში „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ ამბობს:

„საქართველოსა და ამიერკავკასიაში ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ფუძემდებელი არის ამხანაგი სტალინი ამხ. ა. წულუკიძესთან, ლადო კეცხოველთან და თბილისში მყოფ რუს სოციალ-დემოკრატებთან (ვ. კურნატოვსკი და სხვ.) ერთად“.

ამ თემას ეხმაურება ირაკლი აბაშიძის პოემა „წულუკიძის სიკვდილი“. მასში მხატვრული დამაჯერებლობით არის მოცემული ალექსანდრე წულუკიძის დაკრძალვა, რომელიც „გადაიქცა გრანდიოზულ პოლიტიკურ დემონსტრაციად თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ამხ. წულუკიძის დაკრძალვაზე ამხანაგი სტალინი გამოვიდა ბრწყინვალე სიტყვით, რომელშიც მან, საშა წულუკიძის მუშაობის შეფასებასთან ერთად, გადაშალა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მუშათა და გლეხთა რევოლუცი-

ური ბრძოლის ამოცანები და სურათი. ამხანაგ სტალინის სიტყვას უდიდესი ბოლშევიკური გამარეგვოლუციურებელი მნიშვნელობა ჰქონდა“ (ლ. ბერია).

აი ამ მომენტის ერთ-ერთი ამსახველი ადგილი ირაკლი აბაშიძის „ბერ-ბერ“ ხსენებული პოემიდან:

„კობა დახედავს თანამებრძოლს ხელდაკრეფილი,
ორთავ თვალები ენთებიან, წყვილად კრთებიან.
თმებზე რიგრიგად მოჰყვებიან წვიმის წვეთები,
ღაწვებს ჩარბიან, მერე ყელში ინასკვებიან.
დგას და დუმილში გამოჩნდება, კლდეს მიკირული,
შორი მეტეხი, კეცხოველის ბნელი საკანი.
აღარც ის არის, მუხთლის ტყვიით გულგანგმირული
ქართლის მიწაში სამუდამოდ წევს სამთავანი.
ორი დაეცა, ორი მუხა, ორი არწივი,
ორი მებრძოლი, ურყევი და მტრისგან დევნილი;
კობა გასცქერის — გამოჩნდება შორი მანძილი
და ჩრდილოეთში გაიელვებს სახე ლენინის.
მაშინ გმირულად ჩაუძახებს ხალხს სამთავანი,
დასძრავს მდინარეს, ისევ რაზმებს დაუბრუნდება.
აფრიალდება ქვეყანაზე დროშა მაღალი
და სამყაროში ძლევის ჰანგი აგუგუნდება“.

უსაზღვრო და განუზომელია ხალხის სიყვარული თავისი ბრძენი ბელადისადმი. ამ სიყვარულს ხალხთა მასები მრავალნაირად გამოჰხატავენ. ისინი უდიდესი მადლობის გრძნობით არიან აღვსილი მსოფლიოში ყველაზე უფრო დემოკრატიული კონსტიტუციის შემოქმედისადმი, ახანაგ სტალინისადმი. ხალხის ეს სოლიდარობა და ერთსულოვანი სიყვარული ბელადისადმი მეღავნდება ყოველდღიურად, ყოველწუთიერად, საბჭოთა ქვეყნის თვითეული მოქალაქის შრომითს გმირობასა და მამაცობაში, იმ უდიდეს ენთუზიაზმში, რომლითაც იგი აშენებს კომუნიზმს და შეუნელებლად იბრძვის საყვარელი სამშობლოს ძლიერებისა და კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობისათვის. ბელადისადმი ეს უდიდესი სიყვარული საბჭოთა ხალხმა გამოჰხატა საყოველთაო სახალხო არჩევნების დღეს, როცა მან ერთსულოვნად მისცა ხმა პირველ დეპუტატს, ჩვენი ეპოქის უდიდეს მოქალაქეს ამხანაგ სტალინს. პოეტი აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი თავის ლექსში „წერილი ბელადს ჩემი უბნიდან“ ამბობს:

„მე აქ ვიქნები... და თბილისიდან
მივაწვდი ჩემს ხმას ბელადს პირველად,
ვინც გამარჯვების სამშობლოს ჰქმნიდა
მთელი მსოფლიოს გასაკვირველად...“

პოეტი აღტაცებულია იმით, რომ ამხანაგმა სტალინმა დარაზმა მილიონობით ადამიანები სოციალისტური სამშობლოს კეთილდღეობისათვის საბრძოლველად, აღტაცებულია იმით, რომ ამხანაგმა სტალინმა ნამდვილად აღადგინა რუსთაველის სიტყვის ბუნება, რომ მზე მიწაზე ჩამოიყვანა და ლალის ფერი მიანიჭა გიშერს. პოეტი ბელადს უწოდებს ხალხის სიმღერას, ნატვრის თვალს, ხალხის გულსა და ტვინს. ამიტომ იგი ხალხთან ერთად შთაგონებით უმღერის ამხანაგ სტალინს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შენ ერთი დაკვრით გვაჩვენე მარჯვედ
ის, რაც აქამდე არვის ენახა,
გვჯერა, ყოველთვის იქ გავიმარჯვებთ,
სადაც შენა ხარ, სადაც შენა ხარ!“

ხალხს ღრმად სწამს და სჯერა, რომ იქ, სადაც არის ამხანაგი სტალინი, გამარჯვება უზრუნველყოფილია. სტალინი და გამარჯვება ხალხის შემეცნებაში უკვე სინონიმებად იქცნენ. ამიტომ ადიდებს სტალინის სახელს მთელი ქვეყანა, ამიტომ უწოდებს მას ხალხთა გულის მესაიდუმლეს, სილამაზის, სიხარულისა და ბედნიერების შემქმნელს, ამიტომ უმღერის პოეტი ხალხთან ერთად დიდ ბელადს:

„დიდება ბელადს, ვინც კრემლის ცაზე
უკვდავ ვარსკვლავად ბრწყინავს და ელავს.
ვინც მოგვიტანა ეს სილამაზე, —
დიდება ბელადს!“

ჩვენს ქვეყანას გმირული ისტორიული წარსული აქვს. მრავალი შესანიშნავი წინაპარი ჰქმნიდა ამ სახელოვან წარსულს თავიანთი ბრძოლისა და შემოქმედების გზაზე. ჩვენს წინაპრებს წინ უძღოდათ მათი დიდებისა და სახელის გამომხატველი დროშები. ეს დროშები ამჟამად მუზეუმში არიან დასვენებული, ახალ ეპოქას, დიად სტალინურ ეპოქას თავისი დროშა მიუძღვის წინ, „სტალინის დროშა ძირს დაუხრელი, სტალინიანი დროშა წითელი“. „შავი ქალაქის გაზაფხულის“ ავტორი პოეტი გრიგოლ აბაშიძე უმღერის ამ დროშას, რომლისადმი პატივისცემით და მოკრძალებით ჩვენი ისტორიული დროშებიც არიან აღვსილნი. პოეტი უმღერის სტალინის დროშას, რადგან

„მან გაგვინათა დიდი ნათელით
საბედნიეროდ გზა დასახული.
ყველა ვაჟკაცი, ყველა ქართველი
სტალინის დროშის გახდა მსახური“.

ყოველი სახელმწიფოებრივი ღონისძიება, რაც კი საბჭოთა ქვეყანაში ხორციელდება, შუქმოფენილია ბელადის აზრით, მისი ფიქრით და გონებით. ამ ღონისძიებებში სჩანს ცხოვრების ჭეშმარიტება, სიბრძნე და ადამიანური სიმართლე. ამიტომ მიმართავს პოეტი ასე მგზნებარედ დიდ ბელადს:

„ომის ძნელ დღეთა გასაჭირშიაც,
უმძიმეს ჟამსაც, მშვიდობის დროსაც,
უკვდავმა ხალხმა შენ აგირჩია,
როგორც ბელადი და როგორც დროშა.
ფრთას შენსკენ შლიან ტაშები გუნდად,
შენ გიგზავნიან ათას მადლობას.
შენ დაგვანახვე, თუ როგორ უნდა
უკვდავი ხალხის მთავარსარდლობა“.

საბჭოთა ხალხის გულში მტკიცედ არის ჩასახული რწმენა კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისა. ეს ღრმა რწმენა შთაგონებულია ლენინ-სტალინის პარტიის პრინციპებით, ხორცშესხმული იდეებით, გრანდიოზული პრაქტიკული საქმეებით, ყოველდღიური მიღწევებით და წარმატებებით. ეს მიღწე-

ვები და წარმატებანი მოპოვებულია სტალინური წრთობის ადამიანების მიერ დიდი სტალინის ხელმძღვანელობით და მხედართმთავრობით. სტალინის სიბრძნის ნათელი, ღამის ბურუსის წინააღმდეგ მებრძოლი და სიცოცხლის სხივის დამანთებელი, მუდამ გამარჯვების საწინდარია. სტალინის სიბრძნით შეიქმნა ჩვენში შრომა დიდების, მამაცობისა და ღირსების საქმედ. ვიდრე ამ უდიდესი მონაპოვარით აღორძინდებოდა სოციალისტური სამშობლო, ჩვენმა გმირმა ხალხმა მრავალჯერ განვლო ბრძოლის ქარცეცხლი. ამ ბრძოლებში იწრთობოდა იგი როგორც კომუნიზმის მშენებელი. ამ ბრძოლებსა და შემოქმედებითს შრომაში საბჭოთა ხალხს წინ უძღოდა სტალინის სახე, როგორც ძლევამოსილი დროშა. ამ განწყობილების გამომხატველია პოეტ ალექსანდრე აბაშელის ლექსი „სტალინის დროშა", რომელშიც ვკითხულობთ:

„ქვეყანას დიდხანს ემახსოვრება
რა ცეცხლიანი გზა გავიარეთ,
როგორ განათდა ჩვენი ცხოვრება,
რა სიხარული გავიზიარეთ!
ეს დრო წარსულის ანდერძს ამართლებს.
მოაქვს დიდება მომავალ დროსაც,
რადგან სტალინის სახე ანათებს
მარად უძლეველ სამშობლოს დროშას".

ძლიერი და განუზომელია . დამრაზმავი ძალა ლენინ-სტალინის პარტიის ცხოველმყოფელი იდეებისა. ამ იდეების განხორციელებით გახდა საამური ჩვენი ცხოვრება. ამ იდეების განხორციელებით გახდა ჩვენი სამშობლო მიუდგომელი ციხესიმაგრე, რომლის ფოლადისებურ კედლებზე ულმობლად იმსხვრევიან სოციალიზმის ყველა რანგისა და ჯურის მტერთა შავბნელი ზრახვები. ლენინ-სტალინის პარტიის იდეების განხორციელების ნათელ დიდ გზაზე საბჭოთა ხალხს დროშად წინ მიუძღვის ბრძენი ბელადის სახელი. მოწოდებად გაისმის პოეტ ილო მოსაშვილის ხმა ლექსში „სამშობლო".

„შემოვერტყათ მის დროშას, როგორც რკინის კედელი,
კოლმეურნე მფრინავი, პოეტი და მჭედელი, —
მთელი ჩვენი ქვეყანა აიმართოს სალივით!
გვინათებდეს მზესავით
ჩვენი მამა,
სიამაყე,
ჩვენი დიდი სტალინი".

გულწრფელი ლირიკული სითბოთია აჟღერებული პოეტის ნაწარმოები „ჩემი ოცნება ბელადზე", რომელიც ასე მთავრდება:

„სდგას, იგონებს თავის ყრმობის არჩევანს,
დედის ლეჩაქს, მამის ქართულ ჩოხასაც...
აიღებს და, — კაცის გადახარჩენად
ქვეყნის რუქას სიყვარულით მოხაზავს".

ოცდაერთი დეკემბერი ბრწყინვალე და უსაყვარლესი თარიღია ყველა საბჭოთა მოქალაქისათვის, მთელი მშრომელი კაცობრიობისათვის. ამ დღეს

დაიბადა ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი. ეს ისტორიული დღე და რიცხვი საყვარელი თემაა ყველა ჭეშმარიტი შემოქმედისათვის. აი, ერთი და ორი მგზნებარე სტრიქონი მიუძღვნეს ამ თარიღს ჩვენმა პოეტებმა. მათ შორის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად ითვლება პოეტ კარლო კალაძის ლექსი „გორი, დეკემბრის ოცდაერთი". ეს ლექსი ავტორმა მიუძღვნა ბელადის სიყრმის მეგობრებს პეტრე კაპანაძეს და გრიგოლ გლურჯიძეს. პოეტი გადმოგვცემს იმ სიხარულსა და ნეტარებას, რასაც განიცდიან ამ დღეს ბელადის მშობლიურ ჯუღაანთ ქოხთან შეკრებილნი — ხნიერი თუ ახალგაზრდა, ქალი თუ მამაკაცი, ვაჟი თუ გოგონა; ისინი ანთებულ კერასთან გარშემომსხდარან, გორის წარსულზე მოგონებებს ეძლევიან და

„ვვისურათდება წარსული გორის,
ვუცქერ და უცებ თვალი მიდრკება, —
უცებ ამ ნაცნობ სურათებს შორის
თვითონ სტალინი წარმომიდგება!"

ამავე თემას — გორის მიდამოებს, პატარა, უბრალოდ ნაჩუქურთმევ სახლს, მასში ბელადის დაბადებას ეხება პოეტ გიორგი კაჭახიძის ლექსიც „აქ ბელადი დაიბადა".

როცა ჭაბუკმა პირველად შეიცნო ცხოვრების ავ-კარგი, ერთმანეთისაგან გაარჩია „დღის ნათელი, ნაღვლიანი ბნელი ღამე",

„ღამე დაჰგმო, სიზმრებს ფიქრი აარიდა,
ევწროვა ეს ჰერი და დედის კალთა...
მხარგაშლილი ის გავიდა ამ კარიდან
და ქვეყანა მზედშობილმა გაანათა".

გორი და კრემლი! რა რთული, მძიმე ბრძოლებით, ძნელად დასაძლევი მკაცრი განსაცდელით აღსავსე გზა იყო გასავლელი მათ დასაკავშირებლად. ამ მძიმე ბრძოლების შედეგად ამობრწყინდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მზე, ქვეყნად ჩაგვრისა და მონობის დამამხობელი, მშრომელთა განმათავისუფლებელი მარადის შეუჩაუქრობელი მნათობი. პოეტი კონსტანტინე ჭიჭინაძე ლექსში „ხალხთა ბელადს" ხალხის ნატვრის გამომსახველს უწოდებს ამხანაგ სტალინს და ასე მიმართავს:

„დე სამუდამოდ იყოს ქებული
და წარუშლელი დარჩეს მარადის
გზა ელვასავით განათებული
გორის ციხიდან კრემლის კარამდის".

პოეტი სანდრო ეული ეპიკური ჟანრის თავის ნაწარმოებებში „გზა შორეული" და „ეპოქის ავტორი" ასწერს ამხანაგ სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის ეპიზოდებს.

მშვენივრად არის გამოხატული პოეტ შალვა აფხაიძის ლექსში „შენ მოგელოდა ხალხის ოცნება" ხალხის საუკუნეობრივი ფიქრი და იმედი იმის შესახებ, რომ ქვეყნად წარმოიშობოდა გმირი, რომელიც დაამხობდა ხალხთა მონობას, დაამხობდა წვდიადს და ამოიყვანდა თავისუფლების მზეს და აი ახდა ხალხის ოცნება, რომელსაც იგი ათასი წლების მანძილზე გულით დაა-

ტარებდა. დაიბადა ეს სანატრელი გმირი, რომელშიც განსახიერებულია ძალა, სიმართლე, სიბრძნე, მშვენება და მგზნებარება. ეს გმირი ... ... სტალინი. ამიტომ უმღერიან მან ასეთი გატაცებით და სიყვარულით.

ხალხზე დაუღალავმა ზრუნვამ, ადამიანთა კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის სტალინურმა ზრუნვამ შეაყვარა ხალხს ცხოვრება, თავისი აწმყო და მომავალი. ამის გამო წერს პოეტი სანდრო შანშიაშვილი:

„მოვმართე ჩანგი და მსურს შენთვის ავახმიანო,
შენ გიმღერ, სტალინ!
შენ, გულმართალო, ხელმართალო ადამიანო!“

საკაცობრიო იდეალების, ჩვენი ეპოქის მეცნიერული აზროვნების ორი ტიტანი — ლენინი და სტალინი სხივმოსილ მწვერვალებად არიან აღმართულნი. ლენინი უკვდავია. იგი ცოცხლობს საბჭოთა ხალხის ყოველდღიურ საქმეებში, კომუნიზმის გრანდიოზული მშენებლობის ყოველ უბანზე, სტალინურ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის გმირულ ბრძოლებში. პოეტი ნიკოლოზ ნადირაძე ლექსში „სტალინი“ შთაგონებით ამბობს:

„მარად ცოცხალი, ბუმბერაზი წინამორბედი
მას სიყვარულით გადმოხედავს, — რადგანაც იცის,
იცის, თუ ვისაც ჩააბარა მსოფლიო ბედი —
კაცს დაუძლეველს, შემსრულებელს დიადი ფიცის.
და როცა, ღამით, იგი ჩვენზე ფიქრში გართული,
შენიშნავს ღია ფანჯარასთან მომდგარ ალიონს,
შეხედავს ლენინს, გაუღიმებს შუბლგამართული,
მოაგონდება თავის ქოხი, მიწა ქართული
და აღელვებით მოუკიდებს ისევ ყალიონს“.

მეტად ძნელია მხატვრულ სიტყვაში ღირსეულად გამოაქანდაკოს მწერალმა ისეთი საპასუხისმგებლო თემა, როგორიც არის ბელადის თემა. ამ ამოცანის სიძნელე კარგად აქვს შეგნებული ნიჭიერ ახალგაზრდა პოეტს იოსებ ნონეშვილს, როცა აბობს:

„მის ქებას უნდა რუსთველის ჩანგი,
უნდა აჯობო ლერწამის ყელსაც,
მე კი რას გავხდე უღონო ფანქრით,
როგორ შევკადრებ სიმღერას ჩემსას“.

პოეტი იმედოვნებს, რომ პოეზიაში მოვა ჩვენი დროის რუსთაველი, რომელიც ოქროს ლარებიან მზის ჩანგზე შესძლებს აღწეროს შესაფერისად დიდი სტალინის პიროვნება, მისი ცხოვრება, მოღვაწეობა, სიბრძნე და მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის საქმეები.

მხატვრული ლიტერატურა ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. იგი ასახავს კომუნიზმის მშენებელ ადამიანთა ყოფას, მათ სულიერ სამყაროს, იმ უდიდეს ძვრებსა და გარდაქმნებს, რაც მოხდა და ყოველდღიურად ხდება ჩვენში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად. საბჭოთა ლიტერატურა ყველაზე მოწინავე ლიტერატურაა მსოფლიოში იმიტომ, რომ მისი მხატვრული სიმართლე გამომდინარეობს ჩვენი ცხოვრების შეუნელებელი წინსვლისა და განვითარების მთავარი ხაზიდან, იგი მოწინავეა იმიტომ,

რომ მისი შემოქმედებითი მეთოდი სოციალისტური რეალიზმია. საბჭოთა შემოქმედი მოვლენებს უცქერის ჯანსაღი თვალით, განსჭვრეტს მათი განვითარების პერსპექტივას, ნათლად წარმოიდგენს ხვალინდელ დღეს. საბჭოთა ლიტერატურისათვის უცხოა ბურჟუაზიული მწერლობისათვის დამახასიათებელი მარაზმი, არაჯანსაღი ტენდენცია და მისტიკური ბუნდოვანება. პოეტი სიკო ფაშალიშვილი, ითვალისწინებს რა ამ გარემოებას, მიმართავს დიდ ბელადს:

„შენ ჩვენი ლექსის სიტყვავ მართალო,
ჩვენი სიმღერის ხმის დაბადებავ,
ცეცხლო — ქართლის მზის ჩამონათალო,
შუქით სამყაროს გადანათებავ!“.

საბჭოთა პოეტის, ჭეშმარიტი შემოქმედის ლექსის მართალი მგზნებარე სიტყვა დიდი სტალინის გენიალობით არის შთაგონებული, სიმღერის ხმაც ბელადის სიბრძნის გავლენამ უკარნახა პოეტს.

ლექსში „ასეთი იყო დასაწყისი განთიადისა“ პოეტი ალექსანდრე გომიაშვილი მხატვრულ სახეებში აგვიწერს საბჭოთა ხალხის გმირობას სამამულო ომში:

„დამთავრდა ომი და მოსკოვი მზეში კაშკაშებს,
დიდი სტალინი ეგებება რჩეულ ვაჟკაცებს“.

ამ სიტყვებით ამთავრებს ლექსს პოეტი და გამოხატავს ბელადის სიყვარულს საბჭოთა პატრიოტებისადმი, ჩვენი მამაცი მეომრებისადმი.

მხატვრული დამაჯერებლობით და მაღალი პათოსით არის აღბეჭდილი პოეტ ვიქტორ გაბესკირიას ლექსის სტრიქონები „ბელადის სადღეგრძელო“.

განსვენებული პოეტი გიორგი ქუჩიშვილი ჩვეულებრივი მგზნებარებით უმღეროდა დიდ სტალინს და მისი ლექსების ყოველი სტრიქონი გამთბარი იყო ბელადისადმი სიყვარულით.

დიდი ბელადისადმი, საბჭოთა ქვეყნის გამარჯვებისადმია მიძღვნილი აგრეთვე პოეტ რევაზ მარგიანის ლექსები „სიმღერა კომუნიზმისა“.

არა ერთი და ორი ამაღელვებელი სტრიქონი უძღვნეს პოეტებმა რაჟდენ გვეტაძემ, ალექსანდრე ქუთათელმა და დავით გაჩეჩილაძემ ამ დიად თემას.

მტკიცე და შეურყეველია საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტი. ეს ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზარდა და ამაღლდა დიდი სამამულო ომის ჩვენი გამარჯვებით დამთავრების შედეგად. საბჭოთა კავშირის გამარჯვება მოპოვებულ იქნა ამხანაგ სტალინის ბრძნული მხედართმთავრობით. მსოფლიო ისტორიული მონაპოვარია აგრეთვე ხალხთა სტალინური მეგობრობა მთელი მშრომელი კაცობრიობა იმედის თვალით შეჰყურებს საბჭოთა კავშირს, ჩვენი ეპოქის უდიდეს მოქალაქეს ამხანაგ სტალინს. ამაზე მეტყველებენ სოლომონ თავაძის ლექსის სტრიქონები:

„შენ — კაცთა დიდო იმედო, ამმაღლებელო სულისა,
მაისის დილით შობილო, ნათელო გაზაფხულისა,
შენა ხარ ჩვენი დიდება, აზრი და სიტყვა მართალი,
ქართულ კერასთან შობილი სწორუპოვარი სარდალი!“

ნათელი და უკაეშნოა საბჭოთა ქვეყნის ადამიანის ცხოვრების გზა. ამ გზას შუქს ჰფენს კომუნიზმის ჩირაღდანი, რომელიც მომავლის ჰორიზონტზე ძალავრად კაშკაშებს. ამ მომავლისადმი მტკიცე რწმენა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეს ნიშანდობლივი თვისებაა. ეს რწმენა მთელ მის ბუნებაში, ფიქრსა და გრძნობებში არის გამჯდარი. ამაზე მღერიან გულწრფელი მგზნებარებით თავიანთ ლექსებში ქართველი საბჭოთა პოეტები გრ. ცეცხლაძე და ხ. ვარდოშვილი, ოთარ ჭელიძე და ვ. ჟურული, ალეკო შენგელია და გიორგი შატბერაშვილი, ბონდო კეშელავა, და ალიო ადამია, მარიჯანი და მაყვალა მრევლიშვილი, კ. ბობოხიძე და ვ. გორგაძე, მარ. ბარათაშვილი, მარ. მიქელაძე, ა. თევზაძე, შ. ამისულაშვილი, ილ. ხოშტარია, ვ. შუბლაძე, ვ. გორგანელი, ანა კალანდაძე, გ. ჯაბუშანური, ს. ახვლედიანი, სტ. არღუნელი, უფროსი თაობის თუ ახალგაზრდა პოეტები.

იმ დროს, როცა ინგლის-ამერიკის იმპერიალისტთა ბანაკში ახალი მსოფლიო ომისათვის ისტერიული გაფაციცებით ემზადებიან, საბჭოთა კავშირს სამშვიდობო პოლიტიკის თანმიმდევრულად განხორციელებით ახალ მწვერვალებზე აჰყავს სოციალისტური ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტი. საბჭოთა კავშირისაკენ — მშვიდობის დამცველ ციხესიმაგრისაკენ მოპყრობილია მთელი მშრომელი კაცობრიობის თვალი და მისგან მოელის ხსნასა და შველას. მთელი მსოფლიოს მშრომელები სიხარულით ოცნებობენ იმ დღეზე, როცა მათ საშუალება მიეცემათ თავიანთი ცხოვრების მიმართ გაიმეორონ ამხანაგ სტალინის სიტყვები, 1902 წლის 1 იანვარს გარიჟრაჟზე რომ წარმოსთქვა ბათუმის არალეგალური სოციალდემოკრატიული ორგანიზაციის ჩამოყალიბების დროს:

— აგერ განთიადიც! მალე მზე ამოვა. ეს მზე ჩვენთვის იკაშკაშებს.

ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხის ჰანგი გაისმის ბელადისადმი მიძღვნილ სიმღერებში. თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და სვანეთის ზვიად მთებში, ზღვის წარმტაც სანაპიროზზე, ქართლ-კახეთის მომხიბლავ ველებსა და ხეობებში, დასავლეთ საქართველოს ზურმუხტოვან მინდვრებსა და წალკოტებში, უხვ საკოლმეურნეო მინდვრებსა და ბარაქიან ზვრებში, სოციალისტურ საწარმოთა გაშლილ საამქროებში იბადებიან ბელადისადმი მიძღვნილი დიდებისა და სიყვარულის ხმები. ლაღი და თავისუფალია ყოველი სიტყვა ამ სიმღერებისა, რადგანაც თავისუფლებისა და ბედნიერების ქვეყანაში იქმნებიან ისინი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგი ჭილაია

ი. ბ. სტალინი ქართულ საბჭოთა პროზაში

★

დიდი სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მხატვრული გამოსახვა არის საბჭოთა ლიტერატურის, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ლიტერატურის დიდი და საპატიო საქმე. ქართულმა საბჭოთა მწერლობამ, მრავალერიანი საბჭოთა მწერლობის ოჯახის ამ ერთ-ერთმა მოწინავე რაზმმა, სტალინის თემაზე შექმნა მეტად მდიდარი და სრულფასოვანი მხატვრული ნაწარმოებები, ნაწარმოებები, რომელთაც საყოველთაო აღიარება და საკავშირო რეპუტაცია მოიპოვეს. საკმარისია ითქვას, რომ დიდი სტალინის თემაზე დაწერილ ნაწარმოებთა შორის პირველი სტალინური პრემია ქართველმა მწერალმა დაიმსახურა (მხედველობაში გვაქვს გიორგი ლეონიძის „სტალინი. ბავშვობა და ყრმობა“).

სტალინის სახელს უკავშირდება საბჭოთა ქვეყნის ყოველი მიღწევა. ლენინთან ერთად სტალინმა შექმნა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო. ლენინის შემდეგ სტალინი გაუძღვა ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს და ყველა ჯურის მტრებთან ბრძოლაში მიუვალ ციხე-სიმაგრედ აქცია ჩვენი დიადი სამშობლო. სტალინი და სამშობლო, სამშობლო და სტალინი — ეს ორი განუყრელი ერთი აზრისა და გრძნობის აღმძვრელი სახელებია. სტალინი! — ჩვენი სამშობლოს — მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს საბრძოლო დროშაა, მისი სიდიადისა და ძალის გამომხატველი.

სტალინი! — ეს სახელი გამარჯვების დროშად მიუძღოდა ჩვენს ხალხს სოციალისტური, სტალინური ხუთწლედების გრანდიოზული მშენებლობის წლებში. სტალინი! — ეს სახელი გამარჯვების დროშად წარუძღვა ჩვენს ხალხს სამამულო ომის მძიმე წლებში და ამ დროშით დაიცვა ჩვენმა ხალხმა სისხლით, ბრძოლითა და შრომით მოპოვებული თავისუფლება, ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლო. სტალინმა გადაარჩინა და იხსნა კაცობრიობა ფაშიზმის შავი ჭირისაგან. სტალინი უდგას დღეს სათავეში მსოფლიოს დემოკრატიის ძალებს, მშვიდობის ძალებს. სტალინი არის ინდი კაცობრიობისა მსოფლიოს ყველა პატიოსანი მშრომელისა.

სტალინის დროშით მტკიცედ მიდის ჩვენი ქვეყანა მისივე სიბრძნით განათებული კომუნიზმის გზით. სტალინის სახელს უკავშირდება უკლებლივ ყველა დიდი მონაპოვარი ჩვენი ქვეყნისა. კარგად ამბობს პოეტი

„არ არის ჩვენში მიწის მტკაველი,
შენი ღვაწლი რომ ზედ არ ეფინოს,
არ არის ქვეყნად ხალხის ტკივილი,
შენ რომ გულით არ გეტარებინოს“.

სტალინის სახელთანაა დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის არა მარტო ეკონომიური და პოლიტიკური მონაპოვრები, არამედ ჩვენი კულტურის, ჩვენი ხელოვნების, ჩვენი მწერლობის დიდი აყვავება. ამიტომაც ასეთი დიდი მადლიერების გრძნობით, სიყვარულით, შთაგონებით და პასუხისმგებლობის გრძნობით სატავს ამ დიდი ადამიანის ცხოვრებას ჩვენი მწერლობა. სოციალისტური სახელმწიფოს დიდი მშენებელისა, ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის ნამოქმედარის მხატვრულმა გამოსახვამ უაღრესად გამანაყოფიერებელი გავლენა მოახდინა მხატვრულ ლიტერატურაზე. მან გამოიწვია ქართული მწერლობის იდეური და მხატვრული აღმავლობა. ამ თემამ არა მარტო გაამდიდრა ჩვენი ნაციონალური კულტურის სალარო, მაღალი მხატვრული ნაწარმოებების რიცხვით, არამედ გააფართოვა მწერალთა შემოქმედებითი ჰორიზონტი, გამოიწვია მათი იდეური გარდაქმნა და მტკიცე ნიადაგი შეუქმნა ქართულ ლიტერატურაში სოციალისტურ რეალიზმს, როგორც საბჭოთა მწერლობის მხატვრულ მეთოდს, და ეს სრულიად ბუნებრივი იყო. ლენინისა და სტალინის ცხოვრებისა და ბრძოლის თემას, მის მხატვრულ გამოსახვას არ შეიძლებოდა არ გამოეწვია ჩვენი მწერლობის დიდი იდეური აღმავლობა. ლენინისა და სტალინის ნაწარმოებნი, მათი ცხოვრებისა და ბრძოლის ისტორია, ჩვენი პარტიის, ჩვენი სახელმწიფოს სახელოვანი ისტორიაა. და ის ვინც მუშაობს ამ დიდ მასალის მხატვრულ გამოსახვაზე, ის ვინც სწავლობს ლენინისა და სტალინის ცხოვრებას და ცდილობს ამ დიდი ადამიანების მხატვრულად გამოსახვას, თვით გამსჭვალულია მარქსიზმის დიდი იდეების ზემოქმედების ძალით. ლენინ-სტალინის მოძღვრების გავლენით იდეურად მაღლდებოდა, იდეოლოგიურად და პოლიტიკურად იწრთობოდა ჩვენი მწერლობა. ლენინისა და სტალინის თემამ მოახდინა საბჭოთა მწერლობის იდეურ და მხატვრულ გარდაქმნაზე უდიდესი შთამაგონებელი გავლენა.

ამ დებულების საილუსტრაციოდ შეიძლება რამდენიმე მაგალითი მოვიტანოთ.

როგორც ცნობილია, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ალ. აბაშელის შემოქმედებას ძველი, ნაციონალისტური მხატვრული იდეების აშკარა კვალი ანინდა. სოციალისტური მშენებლობის წარმატების შედეგად ალ. აბაშელი მტკიცედ დადგა საბჭოთა მწერლობის პოზიციებზე, მან გადაჭრით უკუაგდო ძველი ნაციონალისტური შეხედულებები. პირველი ლექსი, რომლითაც ალ. აბაშელმა საბჭოთა მწერლის მაღალი სახელი მოიპოვა, იყო ამხანაგ სტალინისადმი მიძღვნილი ლექსი — „ფოლადაური". ალ. აბაშელი აქ განახლებულ და აღორძინებულ მთაში ხედავს სტალინის სიბრძნის ნათელ გამოხატულებას. აქ არც ისაა შემთხვევითი, თუ ჩვენ მოვიგონებდით ალ. აბაშელის ერთ ადრინდელ ლექსს, რომ ალ. აბაშელმა სწორედ ვაჟა-ფშაველას მთის სამყარო აირჩია ამ ახალი იდეების გამოსახატავად. აქ დახატული სურათების მიხედვით აშკარაა ის დიდი იდეური გარდაქმნა, რომელიც სტალინის თემასთან დაკავშირებით მოხდა ალ. აბაშელის შემოქმედებაში. პოეტი გულწრფელად წერს:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოგესალმებით, ქედებო,
ნაკურთხნო ვაჟას კალმითა,
დამდგარნო სადარაჯოზე
ფარ-ხმალიანის მკლავითა,
...იცით, დრო დადგა ახალი,
ძველი დაეშვა კისრითა,
წაიღო ბნელ სამარეში
კუბო შეკრული ფიცრითა;
ჩვენს დროს ვერ გამაადგებით
მამაპაპეულ ისრითა, —
ახალს ბახტრიონს იშენებთ,
ახალის წესით იბრძვითა,
იმსჭვალვით ჩვენი დროების
მინდიას უკვდავ სიბრძნითა, —
დიდი ბელადის — სტალინის
საკაცობრიო მიზნითა".

ავიღოთ მეორე მაგალითი. ჩვენი ეპოქის ნიჭიერი პოეტი გიორგი ლეონიძე წლების განმავლობაში ვიწრო კამერული და დეკადენტური ხმის პოეტი იყო. გ. ლეონიძემ ძველ იდეურ ტვირთს თავი დააღწია და გაარღვია კამერულ პოეზიის ჩარჩოები სწორედ დიდი სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის თემების მეოხებით. გ. ლეონიძის პირველი საბჭოთა ლექსი სტალინის თემით არის შთაგონებული. სწორედ სტალინის თემამ მოუპოვა მას მოწინავე პოეტის მაღალი სახელი. დაახლოვებით იგივე ითქმის კონსტანტინე გამსახურდიას შესახებ. კ. გამსახურდიამ საბოლოოდ დეკადენტურ იმპრესიონისტურ-მისტიკურ თემებს თავი დააღწია მოთხრობით „ბელადი". ეს იყო პირველი წიგნი, რომლითაც კ. გამსახურდიამ გულწრფელად და შეგნებით გაწყვიტა კავშირი წარსულ, დეკადენტურ მწერლობასთან და გადმოვიდა საბჭოთა მწერლის პლატფორმაზე. ყოველივე ამის გამო არ შეიძლება კიდევ ერთხელ ხაზი არ გაესვას იმ დიდ როლს, რომელიც სტალინის თემამ შეასრულა ქართული საბჭოთა ლიტერატურის აღმავლობის საქმეში.

ცნობილი მწერალი ანრი ბარბიუსი ამხანაგ სტალინის შესახებ წერდა „მისი ცხოვრების ისტორია—საშინელ წინააღმდეგობათა წყებაზე გამარჯვებათა განუწყვეტელი წყებაა"-ო. ამ სიტყვების ჭეშმარიტებას მთელი ჩვენი სახელოვანი სახელმწიფოს ისტორია ადასტურებს. ქართულმა მწერლობამ სცადა რაც შეიძლება სრულყოფილად დაეხატა ამ დიდი ადამიანის ცხოვრება. ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში არ დარჩენილა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი პოეტი, თუ პროზაიკოსი, დრამატურგი თუ მკვლევარი, რომელსაც თავისი სიტყვა არ ეთქვას ამ თემაზე.

დიდი სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის მხატვრულად ასახვის საქმეში საბჭოთა მწერლობას ფასდაუდებელი დახმარება გაუწია ამხანაგ ლ. პ. ბერიას წიგნმა „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის", რომელშიაც სტალინური სტილის სიცხადით და სიღრმით არის ნაჩვენები ამხანაგ სტალინის როლი, როგორც საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური მარქსიზმის ფუძემდებლისა და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მშენებელისა. ქართველ საბჭოთა მწერლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისათვის ამხანაგ ლ. პ. ბერიას წიგნი გახდა შემოქმედებითი შთაგონების უმრეტი წყარო. ამ წიგნის უშუალო შთაგონებით არის შექმნილი ქართულ ლიტერატურაში საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებები.

*
* *

ქართულმა საბჭოთა პროზამ დიდი სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თემაზე მრავალი საყურადღებო ნაწარმოები შექმნა. ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში სტალინის თემაზე დაწერილ პროზაულ ნაწარმოებებს თუ ისტორიული თვალსაზრისით განვიხილავთ, ერთგვარ ქრონოლოგიურ პრინციპზე დავალაგებთ, მაშინ პირველ სერიოზულ მხატვრულ ნაწარმოებთა რიცხვში დემნა შენგელაიას „ფიცი" უნდა დავასახელოთ. „ფიცი" ისეთი დოკუმენტალური პროზაული ნაწარმოებია, რომელიც არასოდეს დაკარგავს თავის უდიდეს მხატვრულ გავლენასა და ძალას მკითხველზე.

1924 წლის 21 იანვარს გორკაში გარდაიცვალა დიდი ლენინი, ბოლშევიკური პარტიის დამაარსებელი და მსოფლიოს მშრომელთა ბელადი. ეს იყო უდიდესი დანაკლისი პარტიისათვის, მსოფლიოს მუშათა კლასისათვის. ლენინი ფიზიკურად წავიდა ჩვენგან, მაგრამ ლენინიზმი დარჩა. ლენინის დროშა, ბოლშევიკების პარტიის დროშა, მაღლა აღმართა და წინ წარუძღვა ლენინისა და სტალინის მიერ გამოწრთობილ ბოლშევიკების პარტიას სტალინი.

26 იანვარს გაიხსნა საბჭოების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობის სამგლოვიარო სხდომა. ამ სხდომაზე სიტყვით გამოვიდა და ბოლშევიკების პარტიის სახელით ფიცი დასდო დიდმა სტალინმა. ეს უდიდესი ისტორიული ამბავია აღწერილი დ. შენგელაიას „ფიცში". მწერალი ახერხებს შეუნარჩუნოს ამ უდიდეს ფაქტს თავისი ისტორიული ძალა.

იშვიათია მეორე ისეთი ნაწარმოები, რომელიც ასე ძლიერი ექსპრესიით, მხატვრული ტაქტით, სიტყვიერი მასალის უაღრესი ეკონომიითა და ჭედადობით გადმოგვცემდეს იმ მღელვარებას და განცდას საბჭოთა ხალხისა, რაც ლენინის გარდაცვალებამ და სტალინის მიერ ლენინის კუბოსთან დადებულმა ფიცმა გამოიწვია. საერთოდ ასეთი დიდი ისტორიული მოვლენის გადმოცემა ძნელია. იშვიათად ახერხებს სიტყვა მის ადეკვატურ ასახვას. ამ სიძნელის მიუხედავად, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ დ. შენგელაიამ შესძლო ამ რთული ამოცანის გადაწყვეტა.

როგორც ცნობილია ამხანაგი სტალინი არის ფუძემდებელი რევოლუციურ, ისკრული ორგანიზაციებისა ამიერკავკასიაში. 1901 წლის ნოემბრის დამლევს თბილისის კომიტეტის დავალებით სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შესაქმნელად ამხანაგი სტალინი ბათუმში ჩადის. ამხანაგი სტალინი აქ ამყარებს კავშირს მოწინავე მუშებთან, პირადად ხელმძღვანელობს სოციალ-დემოკრატიულ წრეებს, აწყობს არალეგალურ სტამბას, წერს, ბეჭდავს და ავრცელებს მგზნებარე რევოლუციურ ფურცლებს. უშუალოდ ხელმძღვანელობს როტშილდის და მანთაშოვის ქარხნების მუშათა გაფიცვებს. ამხანაგი სტალინი ბათუმის მუშებს ზრდის ლენინურ, ისკრულ იდეებზე, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, რაზმავს და აქცევს მათ მრისხანე ძალად

ცარიზმის წინააღმდეგ. ბათუმის მუშებმა უკვე მაშინვე უწოდეს ამხანაგ სტალინს მუშათა მასწავლებელი.

ამ ცნობილი ისტორიული ამბების გადმოცემას ისახავს მიზნად ბატონ ჩხიკვაძის მოთხრობა „სწორუპოვარი". ეს ნაწარმოები ექვსი ეპიზოდისაგან შედგება. ამ ეპიზოდებს აერთიანებს ამხანაგ სტალინის რევოლუციური მოღვაწეობა ბათუმში. აქ დიდი მხატვრული ტაქტით და საქმის ცოდნითაა აღწერილი ამხანაგ სტალინის ჩასვლა მატარებლით აჭარაში, აქ მუშებთან კავშირის დამყარება და მათი მეოხებით რევოლუციური მუშაობის გაჩაღება ბათუმში. ამხანაგმა სტალინმა ბათუმის მუშათა კლასი აღზარდა რევოლუციური მარქსიზმის სულისკვეთებით, წინააღმდეგ აქ მანამდე თავმოყრილი მენშევიკების ოპორტუნისტული საკვირაო სკოლების პრინციპებისა. ამხანაგ ლ. პ. ბერიას ცნობილი წიგნის უშუალო შთაგონებით დაწერილი ეს მოთხრობა სწორ წარმოდგენას აძლევს მკითხველს ამხანაგ სტალინის ამ უდიდეს როლზე.

ამხანაგ სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ბათუმის პერიოდს ასახავს როდიონ ქორქიას ცალკე წიგნად გამოსული მოთხრობა „მზე წითლად ამოდიოდა". წიგნში სწორად არის ნაჩვენები ამხანაგ სტალინის მიერ შექმნილი რსდმპ ლენინურ-ისკრულ მიმართულების ბათუმის ორგანიზაციების რევოლუციონური ხასიათი, სტალინის ხელმძღვანელობით მოწყობილი პოლიტიკური გაფიცვები, ბათუმის მუშების ბრძოლა კაპიტალისტებისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

როგორც ცნობილია, რევოლუციურ-პრაქტიკული მუშაობის პირველი სკოლა ამხანაგმა სტალინმა თბილისის მოწინავე პროლეტართა შორის გაიარა. „მე მაგონდება, — ამბობდა სტალინი, — 1898 წელი, როდესაც პირველად ჩავიბარე რკინიგზის სახელოსნოების მუშათა წრე... აქ ამ ამხანაგების წრეში, მე მაშინ მივიღე ჩემი პირველი საბრძოლო რევოლუციური ნათლობა... ჩემი პირველი მასწავლებლები თბილისის მუშები იყვნენ". ეს ცნობილი ეპიზოდი დიდი სტალინის რევოლუციური ცხოვრებისა აქვს აღებული მოთხრობის თემად ე. ზედგინიძეს „განთიადის წინ". აქ აღწერილია თბილისის მთავარ სახელოსნოს მუშების ის პირველი წრე, რომელსაც ამხანაგი სტალინი ჩაუდგა სათავეში. ამხანაგი სტალინი ეცნობა მუშების ცხოვრებას. აქ უკავშირდება ის მოწინავე მუშებს ახალგაზრდა ხარატ ვანო სტურუას, მემანქანის თანაშემწეს ზაქრო ჩოდრიშვილს, მიხა ბოჭორიძეს და სხვ. მუშები მოუთხრობენ თავის ახალგაზრდა მასწავლებელს პროლეტარიატის მძიმე და გამოუვალ ცხოვრების შესახებ. ამხანაგი სტალინი კი უმარტავს მათ, თუ როგორ შეიძლება მუშებმა დააღწიონ თავი სიდუხჭირეს, სიღარიბეს და უუფლებობას.

ელ. ზედგინიძე ახერხებს ამ მოთხრობაში გვაჩვენოს, თუ როგორ ზრდიდა ამხანაგი სტალინი თბილისის მუშებს რევოლუციონური იდეებით, თუ როგორ სწავლობდა თვით მუშებისაგანაც, მათ ცხოვრებას, და შემდეგ მეოცე საუკუნის პირველ გაზაფხულზე, თბილისის მუშებმა ამხანაგ სტალინის მეთაურობით როგორ ააფრიალეს ბრძოლისაკენ მომწოდებელი წითელი დროშა. თბილისის მუშების პირველი რევოლუციური ნათლობა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით იქცევა უდიდეს გაკვეთილად მათი შემდგომი ბრძოლის გზაზე. ე. ზედგინიძე ისტორიულად ცნობილი პირების თავგადასავალს ლიტერატურულად გამოგონილ გმირებით ავსებს და ამით მოთხრობის სუჟეტს მეტ ხელოვნურ ძალას აძლევს.

ცარიზმი გრძნობდა, რომ სტალინის სახით მას საქმე აქვს უდიდეს რევოლუციონერ მოღვწესთან, და ყოველნაირად ცდილობდა მოესპო სტალინისათვის

რევოლუციური მუშაობის წარმოების შესაძლებლობა. დაპატიმრება, საპყრობილე და გადასახლება ერთი მეორეს მოსდევდა. 1902 — 1913 წლებში სტალინი დააპატიმრეს შვიდჯერ, ის გადასახლებაში იყო ექვსჯერ, — გადასახლებიდან გამოიქცა ხუთჯერ, ვერც კი მოასწრებდნენ მეფის ოპრიჩნიკები სტალინის მოთავსებას გადასახლების ახალ ადგილას, რომ იგი კვლავ გამოიქცეოდა და კვლავ „თავისუფლად მყოფი“ ჰედდა მასების რევოლუციურ ენერგიას.[1]

ამხანაგ სტალინის ტყვეობიდან გამოქცევის ერთი ეპიზოდია აღწერილი შალვა დადიანის ესკიზში, რომელსაც ჰქვია „ქარ-ბუქი“. შ. დადიანი დიდის ოსტატობით ახერხებს გადმოგვცეს გამოქცევის სცენა. შორეულ ციმბირიდან ქარ-ბუქის ჯოჯოხეთურ თარეშში, თოვლსა და ყინვაში, საშინელ ამინდში მოდის მეფის ოპრიჩნიკებისაგან თავდაღწეული ამხანაგი სტალინი. ის მოდის ტაიგასა და ტუნდრებში, რომელსაც უთანასწორო ბრძოლას უმართავს სასტიკი ქარ-ბუქი. ამინდი თითქოს მეფის რუსეთის პოლიციელების დამხმარე ძალად ქცეულა. სტალინი მაინც განაგრძობდა თავის გზას მტკიცედ და შეურყევლად. ბრძოლა მაინც გრძელდებოდა. ბრძოლა არა თანასწორი. სტალინსაც ჰყავდა ამხანაგები, ყავდა ხალხი, ყავდა დიდი მასწავლებელი, მხოლოდ ამ ჟამად შორს იყვნენ მისგან. ახლა ამათი სიყვარული ათბობდა მის ვაუკაცურ გულს. ამიტომაც ვერავითარმა ძალამ ვერ სძლია სტალინის ნებისყოფა, იგი ვერ გასტეხა ბუნების საშინელმა სტიქიამ. სტალინი იმარჯვებს ბნელ ძალაზე. ეს მოთხრობა ცნობილ კონკრეტულ სინამდვილეზე აგებული ისეა განზოგადოებული და ოსტატურად ამაღლებული, რომ მას უაღრესად სიმბოლიური მნიშვნელობა ეძლევა ამხანაგ სტალინის რევოლუციური წარსულისა და ბრძოლის დახასიათებისათვის; ბუნების სტიქიის წინააღმდეგ ამხანაგ სტალინის ბრძოლა არის სიმბოლიურ სახედ ქცეული და გამოხატავს მთელი იმ ბრძოლის შინაარსს, რომელსაც სტალინი ეწეოდა ბნელეთის მოციქულების, მეფის რუსეთის შავ ძალებთან. მისი გამარჯვება კი ბუნების ამ სტიქიასთან ბრძოლაში ასევე გამოხატავს სიმბოლურად და განზოგადოებულად ამხანაგ სტალინის იდეის გამარჯვებას, ლენინ-სტალინის დროშის გამარჯვებას ფეოდალურ კაპიტალისტური რუსეთის კონტრრევოლუციურ ძალებზე.

ასეთივე ესკიზური ხასიათისაა ლეო ქიაჩელის „სტალინი“, რომელშიც ნათლადაა დახატული, თუ როგორ ზრუნავს ამხანაგი სტალინი ადამიანების ბედზე. იგი არა მარტო უდიდეს პრობლემებს სწყვეტს, არამედ ნახულობს დროს ყველ წვრილმანში ჩაერიოს. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში ამხანაგ კიროვს, როდესაც იგი წერდა: „... და არა მარტო ეს დიდი საკითხები, არამედ თითქოს მესამე ხარისხოვანი და თვით მეათეხარისხოვანი საკითხებიც აინტერესებს მას. თუ კი ისინი ეხებიან ჩვენი ქვეყნის მუშებს, გლეხებს და ყველა მშრომელს“.

ქართულ ლიტერატურაში სტალინის თემაზე დაწერილ ნაწარმოებთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკუთვნის, კონსტანტინე გამსახურდიას „ბელადს“. გამოცდილი ოსტატისა და ნიჭიერი მწერლის კალმით დახატა მან დიდი სტალინის ცხოვრების ბავშვობის წლები. ეს რომანი ტრილოგიის სახითაა მოფიქრებული, დღემდის დაბეჭდილია მხოლოდ პირველი ნაწილი ამ ტრილოგიისა, სადაც სტალინის ბავშვობისა და მოწაფეობის წლებია აღწერილი. რომანი, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს იმით, რომ მწერალმა

[1] ოსვალ ბესარიონის-ძე სტალინი, მოკლე ბიოგრაფია.

სტალინის ბავშვობის დღეები დაუკავშირა ქართველი ხალხის დიდ კულტურულ ტრადიციებს, მის ისტორიულ წარსულს და იმ მძიმე სოციალური ცხოვრების ეპიზოდებს, რომლის მოწმე სტალინი ბავშვობაში იყო. აქ—თავისებურად, კონტრასტების სახით წარმოდგენილია, ერთის მხრით, თავადაზნაურული გორი, ამილახვრების სასახლეებისა და განცხრომითი ცხოვრების ფონზე, მეორე მხრით, ნაჩვენებია ღარიბი ხალხის მძიმე ცხოვრება, მთიელი მეცხვარის—უფლისა არაბულისა, ხელოსნის ბესარიონ ჯუღაშვილისა და მუშა-მენახშირის მამუკა არაბულის თავგადასავალის ფონზე.

მტკიცე და შეუდრეკელი, ამხანაგებისათვის თავდადებული და მეგობრის მოსიყვარულე, მჩაგვრელების მოძულე — აი როგორია პატარა სოსო ამ რომანის მიხედვით. რომანში მოვლენათა განვითარების, სუჟეტის თანდათანობითი მსვლელობის ყოველ ცენტრალურ მომენტში პატარა სოსო გამოჩნდება ხოლმე როგორც ყველაზე მიხვედრილი, გაბედული, პირდაპირი და გულადი ყმაწვილი.

რომანში იმ პერიოდის სოციალური და პოლიტიკური ცხოვრება ჩვენი ხალხისა, არ არის მკვეთრად წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა უნდა ითქვას, რომ გამსახურდიას ნაწარმოებთა შორის ყველაზე უფრო რეალისტური და თანამედროვეობის აზრით გამსჭვალული უთუოდ ეს მოთხრობაა და ამაშია მისი უპირველესი ღირსებაც.

ამ ნაწარმოების ღირსება ისიც არის, რომ იგი თავისუფალია გამსახურდიასათვის დამახასიათებელ არქაისტულ ხელოვნური ენობრივი არტახებისაგან. რეალისტური სტილი და ბუნებრივი ენა აძლევენ ამ ნაწარმოებს დიდ სინათლესა და სიცხადეს.

სტალინის ბავშვობისა და ყრმობის პერიოდს გვისურათებს დ. შენგელაიას „ყრმობა“ და ს. კლდიაშვილის „შემთხვევა ძველ გორში“, აქვე უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე ქეთო ელისაბედაშვილის ნიჭიერად დაწერილი მოთხრობა—„ყრმობა“, სტალინის ბავშვობის მეგობრის—პეტრე კაპანაძის „ბელადის ბავშვობა და ყრმობა“ და დ. კასრაძის „პატარა სოსო“.

ამ მოთხრობებში დიდი უშუალობით, საქმის ცოდნით და სიყვარულით არის გადმოცემული სოსოს ბავშვობის წლების, მისი გარემოსა და სოციალური წრის ეპიზოდები, ქართველი ხალხის ისტორიულ და კულტურულ ცხოვრების ფონზე.

ცალკე უნდა აღინიშნოს ალ. ქუთათელის „მენავე“, აკ. ბელიაშვილის „პოეტის ოცნება“ და ბ. ჩხეიძის „ძვირფასი თვალი“.

ალექსანდრე ქუთათელის მოთხრობა „მენავე“ — გვიხატავს საბჭოთა არმიელების დახმარებით დასავლეთ უკრაინის და დასავლეთ ბელორუსიის განთავისუფლებას კაპიტალისტებისა და ფეოდალების მონობისაგან. საბჭოთა ქვეყანას ნოწყვეტილი დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელები წლობით ელოდებოდნენ განთავისუფლების ჟამს. იმათ საბჭოთა არმიის, ამხანაგ სტალინის დახმარებით მიაღწიეს ამ ნანატრ დღეს. ა. ქუთათელი კონკრეტული მასალის ფონზე ხატავს ამ ისტორიულ ვითარებას.

აკ. ბელიაშვილის მოთხრობაში „პოეტის ოცნება“ აღწერილია დიდი საზოგადო მოღვაწისა და ცნობილი მწერლის ილია ჭავჭავაძის შეხვედრა ხუთმეტი წლის ჭაბუკთან სოსოსთან. აკ. ბელიაშვილი ახერხებს მხატვრულად ამაღლებულ სურათში დახატოს შეხვედრის ეს სცენა. მწერალი მოხერხებულად იყენებს ამ მიზნით ჭაბუკი პოეტის ახალგაზრდა სოსოს ცნობილ ლექსს „რაფიელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვრისთავს". კარგად ნოფიქრებული თემა ფრიად ორიგინალურად არის გადაწყვეტილი.

ბორის ჩხეიძის მოთხრობა „ძვირფასი თვალი" გვიხატავს, თუ როგორ იტანჯებოდა ქართველი ხალხი მენშევიკების ბატონობის მძიმე წლებში; სტალინის მიერ გამოზრდილი წითელ პარტიზანელების თავდადებული ბრძოლით, დიდ რუსი ხალხის დახმარებით, თუ როგორ განთავისუფლდა ჩვენი ხალხი მენშევიკების ბატონობისაგან და როგორ გაეხსნა მათ სოციალიზმისაკენ ფართო შარაგზა.

რაჟდენ გვეტაძის რომანში „გზაზე" დახატულია ეპიზოდური სურათი იმ შესანიშნავი რევოლუციური გამოცდილებისა, კონსპირატიული მუშაობისა, რომელსაც ამხანაგი სტალინი ნერგავდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე.

*

* *

დიდი სამამულო ომი უდიდესი გამოცდა იყო ჩვენი ხალხის მატერიალური და სულიერი ძალებისა. საბჭოთა ხალხმა ბრწყინვალედ გაუძლო ამ გამოცდას და უდიდესი გამარჯვება მოიპოვა გერმანელ და იაპონელ იმპერიალისტებზე. სამამულო ომის ამ მრისხანე დღეებში საბჭოთა გმირი ხალხი სამშობლოს დროშით, სტალინის დროშით თავდადებულად იბრძოდა. მათში რწმენას აღვივებდა და აფოლადებდა სტალინი. საბჭოთა ხალხს სწამდა და პოეტთან ერთად იმეორებდა „კაცობრიობას გადაარჩენს გმირი სტალინი".

— „ეს ჩვენი ბედნიერება იყო, რომ ომის მძიმე წლებში წითელ არმიას და საბჭოთა ხალხს წინ მიუძღოდა საბჭოთა კავშირის ბრძენი და ნაცადი ბელადი — დიდი სტალინი. გენერალისიმუს სტალინის სახელით ჩვენი ქვეყნის ისტორიასა და მსოფლიოს ისტორიაში შევა ჩვენი არმიის სახელოვანი გამარჯვებანი". [1]

საბჭოთა ხალხის დიდი ისტორიული დამსახურება კაცობრიობის ისტორიის წინაშე არა მარტო იმაში გამოიხატება, რომ მან მსოფლიოს პირველად უჩვენა სოციალიზმის გზა, პირველად შექმნა და განამტკიცა საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილება, საბჭოთა სახელმწიფო, არამედ იმაშიაც, რომ „საბჭოთა ხალხმა თავისი თავდადებული ბრძოლით იხსნა ევროპის ცივილიზაცია ფაშისტ დამრბევთაგან" (ი. სტალინი).

ქართველმა მწერლებმა უდიდესი მადლიერების გრძნობით დახატეს დიდი ბელადი, ამხანაგი სტალინი მთავარსარდლის როლში.

„სტალინისათვის, სამშობლოსათვის"—სახელოვანი საბჭოთა არმიის მებრძოლებმა ასეთი ლოზუნგით გაანადგურეს ჩვენი ხალხის უბოროტესი და ვერაგი მტერი—ფაშისტური გერმანია და გამარჯვების დროშა ააფრიალეს ბერლინში.

სტალინისათვის, სამშობლოსათვის — ასეთი ლოზუნგით საბჭოთა არმიის და სამხედრო საზღვაო ფლოტის მებრძოლებმა გაანადგურეს იმპერიალისტური იაპონია და უშიშარჰყვეს საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრები შორეულ აღმოსავლეთში.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე საინტერესო მოთხრობაში „უსახელო მაღლობი" აღწერს, თუ როგორ თავდადებით იბრძვის ქართველი ჯარისკაცი სტალინის

[1] გ. მ. მ ო ლ ო ტ ო ვ ი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 28-ე წლისთავი.

სახელით გერმანელ ურდოების წინააღმდეგ. ის ამ უთანასწორო ბრძოლაში ეცემა როგორც გმირი, სამშობლოსათვის თავდადებული რაინდი, გმირმა, ტარმეძელმაც სტალინური სარდლობის დავალება შეასრულა, სასიკვდილოდ დაჭრილ ქართველ ჯარისკაცს ვაშალომიძეს სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში თვალწინ უდგას დიდი სტალინის შთამაგონებელი სახე. ამ სახელმა აღძრა მასში ზღაპრული გმირობისა და ვაჟკაცობის ძალა. სტალინისათვის, სამშობლოსათვის, ბრძოლაში დაეცა იგი გმირულად. ეს შეუდარებელი რაინდული სული, უტეხი ნებისყოფა, სამშობლოსათვის სტალინისათვის თავდადებული ერთგულება აძლევს მას საბჭოთა მეომრის ზოგადი ტიპიური სახის მნიშვნელობას. კ. ლორთქიფანიძე გვაძლევს გმირ ქართველ ჯარისკაცის მხატვრულ განზოგადოებულ სახეს.

ჩვენ აქ დავასახელეთ მხოლოდ ის ნაწარმოებები, რომელთა თემა უშუალოდ ამხანაგ სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციურ მოღვაწეობის მხატვრულ გადმოცემას ისახავდა მიზნად და არაფერი გვითქვამს იმ მოთხრობების შესახებ, სადაც ამხანაგი სტალინი არაპირდაპირ, ერთგვარი მოიარების გზით ნაწარმოების კომპოზიციურ გადაწყვეტაში გვევლინება ცენტრალურ სახედ. ასეთი ნაწარმოების რიცხვი საკმაოდ დიდია. და არც შეიძლება სხვანაირად იყოს. ჩვენი სამშობლოს ყოველი მიღწევა განუყრელად დაკავშირებულია ამხანაგ სტალინის სახელთან, ამიტომაც საბჭოთა მწერალი, რომელიც ჩვენი სინამდვილის მხატვრულ გადმოცემას ისახავს მიზნად, გვერდს ვერ აუვლის ამ სინამდვილის შემომქმედს, მის ავტორს დიდ სტალინს.

ჩვენი მწერლები უდიდესი სიყვარულითა და პასუხისმგებლობის გრძნობით უმღერიან დიდ სტალინს. მათ შემოქმედებაში გამოხატულია ჩვენი ხალხის უდიდესი და უსაზღვრო ერთგულება თავისი დიდი ბელადის, მასწავლებლის, ძეგობრისა და მხედართმთავრისადმი. როგორც ზევით ვნახეთ, ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართველმა პროზაიკოსებმაც. მათ ნაწერებში ყველგან გამოჭვივის გულწრფელი პატრიოტული მისწრაფება: რაც შეიძლება სრულყოფილად დახატონ დიდი სტალინის ცხოვრება და მოღვაწეობა; მიუხედავად ამისა, თუ ქართული პროზის ნიმუშებს განვიხილავთ იმ დიდი მოთხოვნილების თვალსაზრისით, რომელსაც საბჭოთა ხალხი უყენებს მწერლობას, პირდაპირ უნდა ითქვას რომ ქართველი პროზაიკოსები ამ მხრივ ისევ ვალში არიან საბჭოთა მკითხველების წინაშე.

უდავოა, რომ ქართველი პროზაიკოსები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა მოიხადონ თავიანთი პატრიოტული ვალი საბჭოთა ხალხის წინაშე და შექმნიან ნაწარმოებთ, რომლებშიც მაღალ-მხატვრულად წარმოსახავენ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ამშენებლისა და მეთაურის, ხალხთა ბელადის, კაცობრიობის იმედის დიდი სტალინის სახეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა კვასხვაძე

ი. ბ. სტალინი ქართულ სახვით ხელოვნებაში

★

საბჭოთა სახვითი ხელოვნება მსოფლიოში ყველაზე მოწინავე, პროგრესული და სინამდვილის დიდი მხატვრულობით ამსახველი ხელოვნებაა.

მისი ძალა, მის ხალხურობაშია. მას ასაზრდოებს ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირი და იგი უქმნის მას მტკიცე ნიადაგს შემოქმედებითი შთაგონებისათვის.

ჩვენი, საბჭოთა სახვითი ხელოვნება, ისევე, როგორც ჩვენი ხელოვნების სხვა დარგები, ცხოვრობს ხალხის ძოთხოვნილებით, მას ემსახურება. იგი, უპირველეს ყოვლისა, იმის შემოქმედებით ასახვას ახდენს, რაც ხალხს უყვარს და რითაც ხალხი ცხოვრობს. იგი უდავოდ ჩვენი საერთო საქმეა და მას სხვა ინტერესები არა აქვს გარდა სახალხო ინტერესებისა.

თანამედროვე ხელოვნებაში,—პოეზიაში იქნება ეს, მუსიკაში, ფერწერაში, ქანდაკებაში, გრაფიკაში, თეატრსა თუ კინოში,—ბელადის თემა, ყველაზე უფრო შთამაგონებელი და საყურადღებო თემაა. კაცობრიობის უკეთესი და მოწინავე ადამიანები თავისი სიცოცხლის აზრსა და დანიშნულებას დიდი სტალინის პროგრესულ და ცხოვრების გარდამქმნელ მსოფლმხედველობასა და მოღვაწეობას უკავშირებენ.

ბელადის თემა სახვითი ხელოვნებაში, ყველაზე რთული თემაა, რადგან მისი გამოსახვისათვის, მისი მხატვრულ შემოქმედებითი სრულქმნისათვის მილიონთა აზრისა, წარმოსახვისა, განცდისა და სიყვარულის, შემოქმედებითი სინთეზია საჭირო. აქ საჭიროა უდიდესი ადამიანის, ხალხთა დიდი მეგობრის, შეუდრეკელი ნების, ბრძენი თეორეტიკოსის, მეცნიერისა, სიტყვის მეუფის, რკინის ლოგიკის, უებროდ და უჩვეულოდ გასაგებ მოაზროვნის, ადამიანური სითბოთი აღსავსე პიროვნების ყოველ თვისებათა გაცნობიერება, წარმოსახვა; ყოველივე ამის ხორცშესხმა პლასტიკის საშუალებებით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ რეალისტური სახვითი ხელოვნების შენუშავებისა, გაფურჩქვნისა და არსებობისათვის, ისევე, როგორც ხელოვნების სხვა დარგებისათვის, განსაკუთრებული და ხელსაყრელი პირობები შექმნა. ამ დროიდან მოკიდებული, ქართულ სახვით ხელოვნებაში, ლიტერატურაში, მუსიკისა და სათეატრო ხელოვნების სფეროში, შემონახულმა და გადარჩენილმა დიდმა ძველმა ტრადიციამ, ტრადიციამ ცხოვრების რეალისტურ ასახვისა, კვლავ მოიდგა ფეხი, გაბატონდა და წამყვანი გახდა.

რეალისტური სახვითი ხელოვნების შემუშავებისა და განვითარებისათვის, მისი ხალხურობის გზით წარმართვისათვის და ერთგვარი რომანტიკული ემოციურობითა და მგზნებარე რევოლუციური სულით გაჟღენთილობისათვის უდიდესი და, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი როლი ითამაშა ამხანაგ ლ. პ. ბერიას ისტორიულმა ნაშრომმა — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის". განსაკუთრებით კი, ამ შრომამ ქართველ მხატვართა ცხოვრებაში გარდამწყვეტი როლი შეასრულა. ამ შრომამ გაანათა თავის დროზე უახლესი ხანის ქართული სახვითი ხელოვნების შემუშავების და განვითარების გზები. ეს შრომა მომავალშიაც გაუნათებს გზას ქართული სახვითი ხელოვნების მუშაკებს, მათი შემოქმედებითი ძიების გზაზე. ამ დღიდან, ქართული სახვითი ხელოვნების მუშაკთა წინაშე, ახალი ამოცანები დაისვა. ამხანაგ ლ. პ. ბერიას შრომამ ქართველ მხატვრებს შეუმზადა ნიადაგი და მიეცა საშუალება დიდი რეალისტური, ხალხური ხელოვნების შექმნისათვის; ჩვენს ხელოვნებაში მხოლოდ ამის შემდეგ დაინერგა ახალი,—აქამდე შემთხვევითი ხასიათის — ჟანრი ისტორიულ-რევოლუციური ფერწერისა.

ამ ნაშრომის გამოქვეყნების დღიდან, ქართული სახვითი ხელოვნების მუშაკებმა განსაკუთრებით დაინახეს მუშათა მოძრაობის დიადი ხასიათი, ხასიათი იმ ადამიანთა, რომელნიც ამ მოძრაობას ხელმძღვანელობდნენ. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ამხანაგ ლ. პ. ბერიას ზემოთხსენებულმა ნაშრომმა, ქართული სახვითი ხელოვნება გაამდიდრა, გაამრავალფეროვანა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ნაშრომმა აღავსო მხატვრები შემოქმედებითრომანტიკული პათოსით და ცხოვრების ღრმა სიყვარულით. ეს შრომა დაედო საფუძვლად მხატვართა შემოქმედებითს, ცხოვრებისადმი დამოკიდებულების რეალისტურსა და რომანტიკულ ასპექტს.

ამხანაგ ლ. პ. ბერიას ნაშრომმა ყველასათვის ნათელი გახადა ისტორიული ჟანრის აუცილებლობა და მისი შემეცნებითი მხატვრულ-აღმზრდელობითი როლი. ხსენებულმა ნაშრომმა მხატვრებს დიდი თვალნათლივობით დაანახვა არსი სოციალისტური რეალიზმისა. ეს შრომა, ამ მხრივაც, უდავოდ უდიდეს თეორიულ შრომად დარჩება მოცავალშიაც. ამ შრომის მნიშვნელობა ქართული ხელოვნებისათვის განსაკუთრებით დიდია. ამ შრომამ გაუნათა გზა, როგორც თეორიულმა განზოგადოებამ ქართველ ხელოვანთა პრაქტიკას. ქართველი მხატვრების მუშაობის ნაყოფი, საბჭოთა საზოგადოებრიობამ ა/კ. ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ისტორიისადმი მიძღვნილ, ქართველ მხატვართა იმ დიდ გამოფენაზე ნახა, რომელიც ჯერ კიდევ 1936 წელს იყო მოწყობილი. ა/კ. ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ისტორიისადმი მიძღვნილი ქართველ მხატვართა გამოფენა, როგორც თითოეული მხატვრის, ასევე მთლიანი კოლექტივის შემოქმედებაში მომხდარ დიდ გარდატეხას აჩვენებდა და ყოველ ქართველ მხატვარს, მონაწილეს გამოფენისა, მოწინავე საბჭოთა მხატვრების რიგში აყენებდა.

გამოფენილი ნაწარმოებები, უპირველეს ყოვლისა, ხასიათდებოდა ღრმა სოციალური აზრით და მოვლენათა ფართო ასახვით. ამ გამოფენით ქართველმა მხატვრებმა საბჭოთა ხელოვნებაში ა/კ. ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ისტორიის ფართო შემოქმედებითი ასახვის ნიმუში მისცეს ჩვენი დიდი სამშობლოს ხელოვნების ყველა დარგის მუშაკს.

ქართულმა სახვითმა ხელოვნებამ პირველმა ასახა პლასტიკის საშუალებებით ამ ორგანიზაციათა ისტორია, მისი ხელმძღვანელების ცხოვრება; კერძოდ კი ამ ორგანიზაციათა შემქმნელ-ჩამომყალიბებელის, მისი ბელადის ამხანაგ ი. ბ. სტალინის ცხოვრება და მოღვაწეობა.

ქართული ფერწერისა, ქანდაკებისა და გრაფიკის ოსტატებმა, შთაგონებულებმა ამხანაგ ლ. პ. ბერიას ნაშრომით, მხატვრულად ასახეს ამხანაგი სტალინის ცხოვრება, ასახეს მისი ხელმძღვანელობით საქართველოსა და ამიერკავკასიაში წარმოებული შეურიგებელი ბრძოლა მარქსიზმ-ლენინიზმის მტრებთან და ამ ბრძოლის მაღალი აზრი; უპირველეს ყოვლისა — ქართველ „ლეგალურ მარქსისტებთან“ ბრძოლისა. ჩასახვა, წარმოშობა და განვითარება ბოლშევიკური ორგანიზაციებისა ჩვენს ქვეყანაში. ასახეს თუ ამხანაგი სტალინი ა/კ. მენშევიკებთან ბრძოლაში როგორ იცავდა და ასაბუთებდა რევოლუციის ლენინურ თეორიას, პროლეტარიატის დიქტატურის ბოლშევიკური სტრატეგიის ლოზუნგს, ბურჟუაზიული დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდის აუცილებლობას და პროლეტარიატის პრაქტიკულ ამოცანებს. ქართველმა მხატვრებმა მხატვრულად ასახეს ა/კ. რევოლუციური მარქსიზმის პირველი ლენინური „ისკრული“ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისა და მისი ფუძემდებლის ამხანაგი სტალინის ბრძოლები და ცხოვრება. ცხოვრება. პირადიც, რომელსაც თავისთავად უდიდესი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. მათ მხატვრულად ასახეს იმ ბრძოლების ისტორია, რომელსაც აწარმოებდნენ ამხანაგი სტალინის ხელმძღვანელობით ა/კ. და საქართველოს ბოლშევიკები. ქართველმა მხატვრებმა პარტიის ისტორია ბელადის ცხოვრებაში, ხოლო ბელადის ბიოგრაფია პარტიის ისტორიაში დაინახეს. ეს დანახული, ნაგრძნობი და გაგებული მათ თავიანთ შემოქმედებაში ასახეს სოციალისტური რეალიზმის მეთოდის გამოყენებით. ამიტომაა, რომ ეს ისტორია მათ ასახვაში მეტყველი და ზედმოქმედია. ემოციურია და სავსეა რევოლუციის რომანტიკით. ქართულ სახვით ხელოვნებაში, პლასტიკის მეშვეობით, აქ პირველად გამოისახა „მგზნებარე კოლხიდელისა“ და „მთის არწივის“ დიდი, მეგობრული, პოლიტიკური და მსოფლმხედველობრივი ერთიანობა, ერთიანობა, განათებული და შთაგონებული პროლეტარიატის, მსოფლიო მშრომელთა სიყვარულით.

მართალია, ამ დიდი თემის მხატვრულ შესრულებას, გამოფენილ სურათების მიხედვით საგრძნობი ნაკლოვანებანიც გააჩნდათ, წმინდა ფორმალურ პროფესიულ ხასიათისა. მართალია მაშინ, ეს სურათები დიდ უმრავლესობაში, ვერ იყო თემისათვის შესაფერისი მხატვრულ-პროფესიულ სიმაღლემდე აყვანილი, მაგრამ მათი ნნიშვნელობა მაინც განუზომელად დიდი იყო ჩვენი საზოგადოებრივ-მხატვრულ ცხოვრებისათვის. ამ თემის შექმნით, ქართულ ხელოვნებაში რეალისტური ხელოვნება, დიდი ეპიური ხელოვნება მტკიცდებოდა. მისით იწყებოდა დიდი ერა ქართული ხელოვნებისა. ამდენად მისი მნიშვნელობა, მნიშვნელობა ამ გამოფენისა. განუხრელად დიდი იყო საბჭოთა კავშირის მასშტაბითაც. ჩვენს ხელოვნებაში ამ თემის შემოტანით ე. წ. რევოლუციურ რომანტიზმსაც მტკიცე საფუძველი ეყრებოდა.

ამხანაგ სტალინის პიროვნებამ, მისმა ცხოვრებამ და მოღვაწეობამ, მთელი მისი სიცოცხლის მიხედვით, დაწყებული ბავშვობიდან, ვიდრე დღემდე, ფართო მხატვრული ასახვა პოვა ქართულ სახვით ხელოვნებაში. პირველ გამოფენიდან ვიდრე დღემდე, ქართული სახვითი ხელოვნების მუშაკები დიდი სიყვარულით, ენთუზიაზმით, ენერგიით, გულისყურით და შეუნელებლად მუშაობენ ამ დიდი თემის ღირსეულად ასახვისათვის. თუ ამ დიდ გზაზე არის ხოლმე ცალკეული შემთხვევები, არა სრულყოფილ, ზოგჯერ სუსტ ნაწარმოებთა შექმნისაც, ეს, ასეთი შემთხვევები ზრდისა და განვითარების თანდაყოლილი თვისებაა

და ყოველ შემთხვევაში, ქართველი მხატვრები ამ დიდი თემის მხატვრულ ასახვის საქმეში თავის შემოქმედებით პრაქტიკით, ყოველდღიურ ... ბას, ზრდასა და სრულყოფისაკენ სწრაფვას აჩვენებენ.

ბელადის თემა გამოძახილს და გამოხმაურებას ქართულ სახვით ხელოვნებაში ნახულობს არა მარტო პორტრეტსა, ისტორიულ-რევოლუციურ, ბატალურ, საყოფაცხოვრებო და საპეიზაჟო ჟანრებში, არამედ სახვითი ხელოვნების ყველა დარგში და ყველა სფეროშიაც. ჩვენი სახვითი ხელოვნების დღევანდელი დღე და მისი შემოქმედებითი პარაქტიკის ყველა მიღწევა ბელადითაა შთაგონებული, მისი დიდი იდეებითაა სხივმოფენილი.

ახალი სოციალისტური წყობით გარდაქმნილი და სახეგამოცვლილი საბჭოთა საქართველოს პეიზაჟის ასახვისას, ქართველი მხატვრები განა ამ დიდ იდეებსა და სინამდვილეს არ ასახავენ და უმღერიან? არ უმღერიან მას, რასაც უშუალო კავშირი აქვს ბელადის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან? ამასვე ასახავს ქართული ახალი არქიტექტურული პეიზაჟიც. ქართველი მხატვრები ამ შემთხვევაში ბელადის საქმედქცეულ სიტყვას ასახავენ პლასტიკის მეშვეობით. მაგრამ, ჩვენი წერილის მიზანს, უშუალო თემას ბელადის პიროვნების, ცხოვრებისა და მოღვაწეობის ქართულ სახვითი ხელოვნებაში მხატვრული ასახვის მიმოხილვა წარმოადგენს. მიმოხილვა მისი: ქანდაკებისა, გრაფიკისა და მცირე-გამოყენებით-ხელოვნების სფეროთა მიხედვით. ჩვენ აქ უშუალოდ იმ მხატვრების ნამუშევრებზე შევჩერდებით, რომლებშიაც თვითონ ბელადია ასახული, მისი ცხოვრების რომელიმე პერიოდის მიხედვით.

ფერწერაში, ამ თემაზე უმუშავნიათ და მუშაობენ, როგორც უფროსი, ასევე უმცროსი თაობის ყველა მხატვარი.

ბელადის თემაზე უფროსი თაობის ფერმწერლებიდან ნაყოფიერად მუშაობს მხატვარი მ. თოიძე. მას ეკუთვნის სურათები „ყრმა ჯუღაშვილის ქართლელ გლეხებზე გამოსარჩლება“,—„ამხანაგი სტალინი უკითხავს ჭიათურელ მემაღაროელთ კომუნისტურ მანიფესტს“, „ამხანაგი სტალინი ესაუბრება იმერელ გლეხებს წყალტუბოში“, „ლენინი და სტალინი გორკაში“, „ამხანაგი სტალინი ტრიბუნაზე“, „ამხანაგ სტალინის გამოსვლა ქ. ხონში 1905 წელს, საშა წულუკიძის დასაფლავებაზე», «ამხანაგი სტალინი და კალინინი თბილისის რკინიგზის სახელოსნოში“, და სხვა.

„წულუკიძის დასაფლავების“ ესკიზში, მხატვარი ფიგურულ თუ საპეიზაჟო კომპოზიციით, მისი ფერწერით, თემის ზოგადი მოხაზვის მიხედვით, აჩვენებს ისტორიული ამბავის რეალისტური გამოსახვის კარგ ნიმუშს. იგი პეიზაჟის ტიპიურობით და ადამიანთა ხასიათის ტიპიური გადმოცემით, მათი რეალისტური ფერმწერლური გადაწყვეტით, ისტორიულ ტენდენციას მხატვრულად ხსნის.

ამხანაგ სტალინის ყრმობის ამსახველ სურათში, თოიძე ფონად ქართლისათვის დამახასიათებელ ლანდშაფტს იღებს, სურათის ფიგურულ აგებას მის მთავარ შინარსს უმორჩილებს და დრამატიზირებულად გამოსახავს, ტიპიურად აჩვენებს. სურათში ნათლადაა გამოხატული ხალხის ჩაგვრა და აღშფოთება. ნათლადაა გამოხატული მომავალი ბელადის ბუნების ძირითადი ნიშანი, იგი აქ დამცველია დაჩაგრულთა და დამონებულთა. სურათში ახალგაზრდა ჯუღაშვილი აღშფოთებული ხალხის ცენტრია, მისი გეზის მიმცემი, მისი სული და გულია. ეს სურათი რომანტიკული ელფერითაა შემოსილი და ცხოვრების მხატვრული ასახვა წარსული ბრძოლების და თავდადების ჰეროიკით, პათოსითაა სხივმოფენილი. აქ. მომავალი ბელადი ბავშვობიდანვე ხალხისათვის

თავდადებულადაა გამოსახული. თოიძის „ჭიათურის მემაღაროელები“ ამხანაგ სტალინს აჩვენებს, როგორც დიდ ორგანიზატორს ა/კ. მუშათა ეროვნულ-ლუციურ მოძრაობისა, მის სულისჩამდგმელს. გამოსახვის სამუალებანი გამოყენებული აქვს თოიძეს შესაფერისად და დამაჯერებლად. განსაკუთრებით საინტერესოა თოიძის „ამხანაგი სტალინი ესაუბრება იმერელ გლეხებს წყალტუბოში“; ეს მრავალფიგურიანი სურათი ბელადისა და მასების ურთიერთ სიყვარულის ასახვისადმია მიძღვნილი. სურათში საინტერესოდაა შეტანილი ქართველი ბოლშევიკების ხელმძღვანელის გამობრძმედილი სტალინელის, გულისხმიერი ადამიანის, მხატვართა დიდი შთამგონებლის ლ. პ. ბერიას ფიგურა. იგი სურათის დედააზრთან, ორგანიულად არის დაკავშირებული. სურათის ფონი დიდი დამაჯერებლობით გადმოსცემს ამხანაგ ბერიას ხელმძღვანელობასა და მოღვაწეობას ჩვენში. მთლიანი სურათის მოვერცხლისფერო გამმა მაჟორულად ჟღერს და ოპტიმისტურია. აქ მხატვარი საქმედქცეულ სიტყვას აჩვენებს. იგი ეპოქის ადამიანების, ბუნებისა და სიტუაციის ფართო დახასიათებას იძლევა. ყურადღებას იქცევს მისივე სურათი „ლენინი და სტალინი გორკაში“, რომელშიც მხატვარი ამ ორი დიდი ადამიანის ურთიერთობის მხატვრულ გადმოცემის გარდა, ცალცალკე მათი ბუნების სიდიადესაც ახასიათებს. მისი „სტალინი ტრიბუნაზე“ ერთგვარი ცდაა მხატვრისა ბელადის ფართო, ყოველმხრივი დახასიათებისათვის.

უფროსი თაობის მხატვრებიდან ბელადის თემაზე ბევრი უმუშავია აგრეთვე აწ გარდაცვალებულ მხატვარს ვ. სიდამონ-ერისთავს. იგი ამხანაგ სტალინის მოღვაწეობის იმ ხანას ასახავს, როცა ბაქო ა/კ. ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ბურჯად, ლენინური პარტიის აუღებელ ციხე-სიმაგრედ იქცა და სტალინი თვითონ მოღვაწეობდა ბაქოში. ამ სურათში მხატვარი, სტალინს მუშათა გარემოცვაში გამოსახავს. სურათის მთლიანი გადაწყვეტა ხაზს უსვამს ამხანაგ სტალინის როლსა და მნიშვნელობას; იმავ დროს გვიჩვენებს მას, მასებით გარემოცულს. ფონი და დაბალი ჰორიზონტი განსაკუთრებით უსვამს ხაზს ფიგურის მონუმენტალობას და მიუხედავად პლანისა მთლიან შთაბეჭდილებას აძლიერებს. უფროსი თაობის ფერმწერლებიდან ბელადის თემაზე სურათი აქვს შესრულებული პეიზაჟის მხატვარს ა. ციმაკურიძეს. მისი „სტალინის არალეგალური დაბრუნება თბილისში გადასახლებიდან გამოქცევის შემდეგ“ უდავოდ საინტერესო თემაა. ნაგრამ მხატვარს იგი ვერ აქვს სათანადო მხატვრულობით გადაწყვეტილი. მისი ფიგურული კომპოზიცია, ნახატი, საჰაერო სივრცე მხატვრის გადმოცემაში ვერ არის ნაპოვნი. მაგრამ მიუხედავად ამისა ნაინც საყურადღებოა.

მხატვარ ვ. ვეფხვაძეს ეკუთვნის ისეთი სურათები, როგორიცაა „ამხანაგ სტალინის გამოსვლა ლიბერალთა წინააღმდეგ 1905 წელს“, „სტალინის გამოსვლა ალ. წულუკიძის დასაფლავებაზე“, „ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის შეხვედრა ტამერფორსში“, „თბილისის დეპოს მუშების გამოსვლა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით“, „ამხანაგი ი. ბ. სტალინი ავალებს ამხანაგ ლ. პ. ბერიას კავკასიის დაცვას“ და სხვა.

ზემოდხსენებულ სურათებში ი. ვეფხვაძე განწყობილებით გადმოგვცემს ისტორიულ ამბებს, ახასიათებს ამხანაგ სტალინს სიტუაციათა მიხედვით. მაგრამ ყველაზე საინტერესოდ მის სურათებს შორის უდავოდ აღიარებულ უნდა იქნას სურათი „ამხანაგი სტალინი ავალებს ამხანაგ ბერიას კავკასიის დაცვას“. ეს დიდი ზომის სურათი დიდი დამაჯერებლობით გადმოსცემს შინაარსს, მის

ამაღლებულ აზრს. მოქმედების გააზრების მხრივ მხატვარს გამოსახული აქვს თათბირის დასასრულის მომენტი: ბელადი ავალებს მის უერთგულეს თანამებრძოლს და თანამებრძოლიც იღებს დავალებას. პორტრეტულ დახასიათებაში, ფიგურების დაყენებაში და ყოველ დეტალში შესანიშნავად აქვს მხატვარს გადმოცემული მომენტის ამაღლებული, საზეიმო ხასიათი, განსაკუთრებით ბელადის ფიგურაში იგრძნობა დიდი ამაღლებულება, ბერიას ფიგურა დახასიათებულია მომენტის ღრმა შეგნებით, ამოცანის სერიოზულობით და იმის რწმენით, რომ „ჩვენ გავიმარჯვებთ". თვითეული ფიგურა ფსიქოლოგიურად ღრმად და ნათლადაა დახასიათებული მხატვრის მიერ. ვეფხვაძე ამ სურათში დიდი ეპოსის ენით ლაპარაკობს.

სტალინის თემაზე განსაკუთრებული ნაყოფიერებით მუშაობს მხატვარი უჩა ჯაფარიძე. მას ეკუთვნის ამხანაგ სტალინის რამდენიმე პორტრეტი და ისტორიულ-რევოლუციურ ჟანრში შესრულებული ისეთი სურათები, როგორიცაა: „აპრილის კონფერენცია 1917 წ.", „ამხანაგი სტალინი, კეცხოველი და წულუკიძე", „ახალგაზრდა სტალინი „ივერიის" რედაქციაში ილია ჭავჭავაძესთან", „ამხანაგ სტალინის გამოსვლა წითელ მოედანზე მოსკოვში 1941 წლის 7 ნოემბერს", „პირველი მაისის დემონსტრაცია ქ. თბილისში 1901 წელს. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით", „ამხანაგი სტალინი, მოლოტოვი, ბერია და მიქოიანი შავი ზღვის სანაპიროზე" და სხვა. ამ სურათებში უ. ჯაფარიძე დიდი მხატვრულობით ასახავს თემას. მისი სურათების თხრობითი აგება უაღრესად ემოციურია და მეტყველი. ჯაფარიძის სურათი „საპირველმაისო დემონსტრაცია" მთლიანად თემის სურათოვნულ გადაწყვეტას ემყარება, როგორც თემის გახსნის, ასევე კომპოზიციის, ფერწერისა თუ თემის მხატვრულ განზოგადოების მხრივაც. მთლიანი სურათის მოტივს წარმოადგენს იდეა, რევოლუციურ მოძრაობის ზრდისა და რწმენა მისი საბოლოო გამარჯვებისა; სწორედ ეს რწმენა გამარჯვებისა იყო და არის დამახასიათებელი ბოლშევიკური პარტიისათვის და მისი ბელადისათვის—ამხანაგ სტალინისათვის. ეს იდეა, ეს რწმენა ამხანაგ სტალინისა, სურათის, როგორც საპეიზაჟო, ასევე ფიგურულ კომპოზიციის აგებაში, ძალზე ნათლად და მეტყველადაა გამოვლენილი. მხატვარს, თვით კომპოზიციური სქემა, შეთანხმებული აქვს თემის ხასიათთან. მხატვარი სურათის კომპოზიციური გააზრებით, სახალხო მოძრაობის, რევოლუციური მოძრაობის ზრდისა და წინსვლის შესაძლებლობას გამოხატავს, მისი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი სურათში ამხანაგი სტალინია. კომპოზიციის ყველა პერსონაჟი კონკრეტულადაა დახასიათებული და დამაჯერებელია. ნახატი, მოძრაობა, ფსიქოლოგიური დახასიათება, დიდი რეალისტური ალლოთია გადმოცემული. სურათის ფერწერა მთლიანია და ერთ კოლორიტშია მოქცეული. სურათი ქართული ფერწერების ბრწყინვალე გამარჯვებაა და დასრულებული ნაწარმოებია.

დიდად ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს ტემპერამენტიანი ფერმწერალი ა. ქუთათელაძე. მის ფუნჯს ეკუთვნის ცნობილი სურათები: „საპირველმაისო დემონსტრაციის გარეკვა", „სტალინური წრეები 1902 წ." „ბაქოს გაფიცვა". „მუშათა დემონსტრაცია ქ. ბათუმში 1902 წ. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით", „ამხანაგი სტალინი ესაუბრება აჭარელ გლეხებს", „ამხანაგი ლენინი და სტალინი სტოკჰოლმის კონფერენციაზე", „სტალინი წითელ რაზმელებს შორის 1905 წელს", „ლენინი და სტალინი სმოლნში", „ამხანაგი სტალინი დედასთან სტუმრად თბილისში", „სტალინი ჭიათურაში 1905 წელს" და სტალინის პორტრეტების მრავალი ვარიანტები. თავის სურათებში ქუთათე-

ლაძე დიდი ამაღლებული განწყობილებით გადმოსცემს რევოლუციური მოძრაობის რომანტიკას, მის მომხიბვლელობას და განსაკუთრებით იმ დიდ მთამაგონებელ როლსა და მნიშვნელობას, რომელიც აქვს ამხანაგ სტალინის დიად მოღვაწეობას დიდი რუსეთის მუშათა კლასის ისტორიისათვის. ქუთათელაძის სურათებში დიდი მხატვრულობითაა გადმოცემული ის საერთო, ახლობელი და ძმობლიური, რასაც მუშათა კლასი ყოველთვის ხედავდა სტალინში, როგორც თავის ხელმძღვანელსა და ბელადში. ქუთათელაძის სურათებისათვის უდავოდ დამახასიათებელია რომანტიული ტონი და რევოლუციურ-ჰეროიკული ელფერით ჟღერა. მისი სურათებისათვის ამ ჟანრში დამახასიათებელია ბუნებისა და თემის, მისი შინაარსის ურთიერთ შეთანხმება. ქუთათელაძე თავის კომპოზიციებს, თითქმის ყოველთვის ლირიკული პლანით ქმნის; მისი კომპოზიციები ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თემაზე უაღრესად ნათლად აჩვენებენ მხატვრის ალღოსა და ცოდნას ფიგურათა კომპონირების საქმეში, განსაკუთრებით კი დიდ მხატვრულობამდე ადის პეიზაჟისა, აქსესუარისა, ფერწერისა და პერსონაჟთა გამთლიანების საქმე, თემის მთავარი იდეის შესაფერისად გაქართვის მხრივ. ქუთათელაძის სურათები თავისებური ეპოსია ოდნავ ლირიკით შეფერილი.

ამხანაგ სტალინის მხატვრული პორტრეტთა შექმნაში ქართველი მხატვრებიდან განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას მხატვარი ქალი ქ. მაღალაშვილი. დაუვიწყარია მისი „ამხანაგ სტალინის პორტრეტი" (1905 წ.), სადაც შესანიშნავი მხატვრული სახეა შექმნილი. ამ პორტრეტის დიდ ღირსებას სახის მხატვრულ-ფსიქოლოგიურ გახსნასთან ერთად, მისი ფერწერული ღირსებები და გაბედული არტისტული იერით წერა შეადგენს.

ნაყოფიერად მუშაობს ფერმწერალი ს. ნადარეიშვილი. მას ეკუთვნის სურათები „ამხანაგი სტალინი ჭიათურელ წითელ რაზმელთა შორის" (1905 წ.), „ამხანაგი სტალინის გამოსვლა ჭიათურაში მენშევიკების წინააღმდეგ", „ამხანაგი სტალინის დაკითხვა ბათუმის ციხის კანცელარიაში", „ამხანაგ სტალინის გამოსვლა ხიდისთავში" და სხვა მრავალი.

ნადარეიშვილი თავის სურათებში სიდინჯით და დახვეწილი ფსიქოლოგიური დახასიათებით ქმნის არა მარტო ბელადის მხატვრულ სახეს, არამედ სურათის სხვა პერსონაჟთა სახეებსაც. უმეტეს შემთხვევაში სურათი გარემოსა და მოქმედ პერსონაჟთა განწყობილების კონკრეტულ გააზრებაზეა აგებული, იგი ამით თითქოს ხაზს უსვამს შინაარსის ხასიათს. ნადარეიშვილის სურათების ღირსება—მოქმედ პირთა თბრობითი პლანით გააზრება და მათი ამ თვალსაზრისით პლასტიკური დახასიათება ძალზე საინტერესოა ასეთი დიდი თემისათვის. ს. ნადარეიშვილის სურათები ოსტატობით მოგვითხრობენ და გვაჯერებენ ხოლმე.

კ. სანაძეს ეკუთვნის სურათები—„ამხანაგი სტალინის დაპატიმრება 1902 წ.", „სტალინის პორტრეტი 1902 წ.", „ბათუმის პირველი სტალინური ტიპოგრაფია", „ამხანაგ სტალინის გამოსვლა სოფელ კუხში", „დიდი ამბების წინა ღღეს" და სხვა. ყველა ეს სურათი სანაძის ტემპერამენტს და ფერწერის გრძნობას მოწმობენ. იგი ამ დიდი თემის შინაგან ცეცხლსა და სიდიადეს გადმოსცემს. ფერწერული, ფიგურული კომპოზიციის აზრი თემისადმია დამორჩილებული და მის გამოსახვას ემსახურება. სტალინის თემა მის შემოქმედებაში ყოველთვის რომანტიკური ელფერითაა მოსილი, ამისთვის მოიხმარს იგი ფერწერის საშუალებებს და ჩრდილ-სინათლეს.

შ. მაყაშვილის უკანასკნელი სურათი „ამხანაგი სტალინი და ამხანაგი ბერია წყალტუბოში ესაუბრებიან იმერელ გლეხებს“, სავსეა იმ დიდი სიყვარულით, რაც ქართველ ხალხს ახასიათებს დიდი ბელადისა და მისი თანამებრძოლის ქართველი ხალხის საყვარელი შვილის—ბერიასადმი. მისი ფიგურული კომპოზიცია ბუნებრივია და ძალდაუტანებელი. კარგია გარემოც და ურთიერთობის ასახვა. სურათის ფერწერა თბილია და კოლორიტული იმერეთის ბუნებისათვის.

ქართველი ფერმწერლებიდან ბელადის თემა სახვით ხელოვნებაში განსაკუთრებულ სიძაღლეზე აიყვანა მხატვარმა ი. თოიძემ. ამ თემაზე შესრულებულ სურათებიდან ყურადღებას იქცევს მისი „ი. ბ. სტალინი რიონჰესში“, „ამხანაგი სტალინი თბილისის რკინიგზის სახელოსნოს მუშებს შორის“ და სხვა. პირველ სურათში ფიგურული კომპოზიცია გაწონასწორებულია და მასში ფიგურები მონუმენტალურადაა ჩაწერილი. დამახასიათებელი იმერული პეიზაჟი და რიონჰესის ჯებირი მხატვრულად ანზოგადოებენ თემას სურათში წარმოდგენილი ბელადის მხატვრული დახასიათება და იმერელი გლეხების გამოსახვა, დიდი სითბოთია ნაგრძნობი მხატვრის მიერ. ი. თოიძეს მრავალი საინტერესო ნაწარმოები აქვს ამ დარგში. განსაკუთრებით საყურადღებო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის პორტრეტი, სადაც ამხანაგი სტალინი ახალი კულტურის გენიალური შემოქმედი, თავისებურადაა დაკავშირებული ჩვენი კულტურის უდიდეს წარმომადგენელთან, პოეტ შოთა რუსთაველთან.

წარმატებით მუშაობს სტალინის თემაზე ფერმწერალი კ. ხუციშვილი.

ბევრი სურათი აქვს ამ თემაზე მხატვარ შერპილოვსაც. მას ეკუთვნის სურათები: „სტალინი ქუთაისის ციხეში“, „ამხანაგი სტალინი გორელ გლეხებთან“, „ლენინი და სტალინი სმოლნში“, „კრეისერ მოლოტოვის ეკიპაჟის შეხვედრა ამხანაგ სტალინთან“ და სხვ. ეს უკანასკნელი სურათი ასახავს ძალზე საინტერესო თემას. მისი კომპოზიცია და ფერწერა საყურადღებოა და მხატვრის ნიჭსა და გემოვნებას აჩვენებს. მხატვარი აქ დიდი ტაქტით გამოსახავს მასისა და დიდი მასწავლებლის ურთიერთ სიყვარულსა და გაგებას.

საყურადღებო პორტრეტები და კომპოზიციები ეკუთვნის ფერმწერალ კ. კიკნაძეს. მისი „ამხანაგი სტალინი ზაჰესის მშენებლობაზე“ დიდად საყურადღებო მომენტს ასახავს. მისი კომპოზიცია მეტყველია და ნათელი, ფერწერა მშვიდი და ღია.

ახალგაზრდებიდან ყურადღებას იქცევენ: ვ. ტორტაძე, ვ. ჩირინაშვილი, ბანძელაძე, ა. ვეფხვაძე, ა. ურუშაძე და სხვები. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ჩირინაშვილის და ვეფხვაძის სურათები.

სტალინის ყრმობის წლების ამსახველი სურათებიდან ყურადღებას იქცევენ ისეთი მხატვრები, როგორიც არიან გრძელიშვილი, თაგორაშვილი და სხვ.

ქართული ფერწერის ოსტატებს არც ქართული გრაფიკის ოსტატები ჩამორჩებიან ამ დიდი თემის ღირსეული ასახვის საქმეში. გრაფიკის დარგში ცდა მრავალ ფერმწერალსაც მოეპოვება.

გრაფიკის ოსტატებმა ბევრი რამ გააკეთეს ამ მხრივ, წიგნის მხატვრული გაფორმების საქმეშიც. პირველ რიგში ყურადღებას იქცევს მხატვარი ქალის აბაკელიას გრაფიკული ნამუშევრები ამხანაგ სტალინის ბავშვობისა და ყრმობის, და ახალგაზრდობის ადრეული ხანის ამსახველნი. ეს გრაფიკული ნა-

მუშევრები მხატვარს ჩაფიქრებული აქვს როგორც ერთგვარი სიუიტა. ამ სურათებში დიდი სითბო და სიყვარულია გამომჟღავნებული. მათთვის დახასიათებელია რომანტიკული ხილვა და კომპოზიციის მეტყველი აგება.

უდავოდ საყურადღებოა გრაფიკული სურათების ციკლი, შექმნილი მხატვარ ი. გაბაშვილის მიერ. მისი „ახალგაზრდა სტალინი გორში", „სტალინი გორის ციხეზე", „სტალინი გაზეთ „ბრძოლის" რედაქციაში", „სტალინი სემინარიაში", „სტალინი ლენინთან სტუმრად რაზლივში", „სტალინი კრეისერ მოლოტოვზე", და სხვ. მეტყველი ფურცლებია დიდი ბიოგრაფიისა, დიდი ცხოვრებისა. ეს გრაფიკული სერია ჩვენი დროის ადამიანის სიყვარულსა და გრძნობებს გადასცემენ მომავალ თაობებს.

ყურადღებას იქცევს დ. გაბაშვილის გრაფიკული სერია, შესრულებული საკმაოდ გაწაფული ხელით. მათთვის ნიშანდობლივია მხატვრული სახის მახვილი დახასიათება. მნიშვნელოვანია ს. კეცხოველის შრომა ამ დარგში. გრაფიკის შესანიშნავ ოსტატს ს. ქობულაძეს ეკუთვნის დიდი ტილო „ბათუმის დემონსტრაცია". სურათის ცენტრალური ფიგურა ამხანაგი სტალინია. კომპოზიციის დიდი მხატვრული გრძნობით აგება, ფიგურების უაღრესად მეტყველი და დინამიური გამოსახვა ამ სურათის ღირსებაა. ბელადი მუშათა მოძრაობის გარიჟრაჟზე ქობულაძის მხატვრულ დახასიათებაში წარმოდგენილია როგორც ამ დიდი მოძრაობის ყოველგვარი სიმძიმის მტვირთველი, მისი გამარჯვებამდე მიმყვანი. განსაკუთრებით კარგია მხატვრის გადმოცემაში წარმოდგენილი შინაგანი სითბო, გულისყური და ადამიანზე ზრუნვა ბელადისა. მონუმენტალობა მთლიანი კომპოზიციისა.

ქართული გრაფიკა უდავოდ ვრცელსა და საინტერესო ნასალას შეიცავს ჩვენი თემისათვის. იგი მოწმობს ჩვენი მხატვრების დიდ მოქალაქეობრივ შეგნებასთან ერთად, მათ დიდ მხატვრულ ალღოს, შემოქმედებით ძალას და რაც მთავარია — საქმის სიყვარულს.

ამ დიდი თემით ცხოვრობს ქართული ქანდაკება. ქართველ მოქანდაკეთა სამი თაობისათვის შემოქმედებითი შთამგონებელი წყარო ბელადის ცხოვრება და მოღვაწეობაა.

ი. ნიკოლაძის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ბელადის თემას. მოქანდაკე ამ თემას მრავალგზის უბრუნდება. მის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ამხანაგ სტალინის მხატვრული პორტრეტის შექმნის პრობლემა. ნიკოლაძე ბელადის ცხოვრების ძირითად საფეხურებს მისდევს. პირველად მან შექმნა „დიდი ჭაბუკი", შემდეგ „სტალინი 1905 წ.", შემდეგ კი მონუმენტალური კომპოზიციები, სადაც ბელადი მოქმედებაში და საზოგადოებრივ გარემოცვაშია ასახული. მისი გორელიეფები „ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელი ა/კ. მუშათა მოძრაობისა" და „ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი" საინტერესო ცდაა მოქანდაკისა.

ი. ნიკოლაძე ამხანაგ სტალინის ჭაბუკობის ხანას ასახავს პორტრეტში „დიადი ჭაბუკი". ამ ბიუსტის კომპოზიცია, მისი დამუშავების და გამოსახვის სა-

შუალებანი, დიდი გარკვეულობით აჩვენებენ მოქანდაკის მიზანდასახულობასა და გეძოვნებას. „დიადი ჭაბუკის“ სახე აღბეჭდილია ღრმა რწმენით მომავლისადმი. იგი დახასიათებულია სიდინჯით და შეუდრეკელობით. ეს პორტრეტი გამოხატულებაა სიმშვიდისა, სიბრძნისა, და გაბედულებისა; აქ ყველა ეს თვისებანი ერთ მხატვრულ სახეშია სინთეზირებული. ქანდაკებაში ფერწერული ელემენტების შეტანით ნიკოლაძე პორტრეტს იმ მხატვრული ელფერით მოსავს, რაც ყოველი ჩვენგანის წარმოდგენაში თან სდევს „დიადი ჭაბუკის“ დიად სახეს.

ნიკოლაძეს ეკუთვნის აგრეთვე „სტალინის პორტრეტი—1905 წ“. ეს პორტრეტი დღემდე შექმნილ ამ პერიოდის ამსახველ საქანდაკო პორტრეტთა შორის მთელს კავშირში ერთი უკეთესთაგანია. ისე, როგორც „დიად ჭაბუკში“, აქაც დიდი ოსტატობითაა გადმოცემული ახალგაზრდა სტალინის ბუნების შინაგანი სიღრმე.

ბელადის თემაზე დიდის ნაყოფიერებით მუშაობს მოქანდაკე ს. კაკაბაძე. მისი „ახალგაზრდა სტალინი“, რომელიც ბრძენი ჭაბუკის მხატვრული სახის შექმნისადმია მიძღვნილი, ცნობილია ჩთელს საბჭოთა კავშირში და დიდი პოპულარობით სარგებლობს. მასში დიდი მხატვრული სისადავითაა გამოქანდაკებული მხატვრული სახე. ს. კაკაბაძეს ეკუთვნის ამხანაგ სტალინის მონუმენტი ქალაქ თბილისში, სტალინის სახელობის სანაპიროზე აღმართული. ფიგურის დაყენება გადმოცემულია მონუმენტალურად, მხატვრულად და განზოგადოებულია, პორტრეტული მსგავსება დაჭერილია და შეთანხმებული მთლიანი მხატვრული სახის მონუმენტალურ გადმოცემასთან. ეს ნაშრომი სტალინური პრემიით იქნა აღნიშნული. კაკაბაძის მეორე მონუმენტი, დადგმული აბაშაში, გამოსახავს ამხანაგ სტალინს — გენერალისიმუსს. აქ ბელადი ნაჩვენებია, როგორც საბჭოთა ხალხის დიდი წინამძღოლი, როგორც სტრატეგი და გამარჯვებათა შთამგონებელი.

ბელადის მხატვრულ სახეზე ქანდაკების დარგში ნაყოფიერად მუშაობს მოქანდაკე ნ. კანდელაკი. მის შემოქმედებაში საპატიო ადგილი უჭირავს ბელადის თემას. მათ შორის აღსანიშნავია სტალინის პორტრეტი გამოკვეთილი ქვაში. ამ პორტრეტში მოქანდაკე კამერულ ქანდაკებისათვის შესაძლო და დასაშვებ ფარგლებში პორტრეტულ მონუმენტალურ გადაწყვეტის ცდას იძლევა. პორტრეტის ანფასი და პროფილი დიდ გარეგნულ მსგავსებასთან ერთად, გარეგან პლასტიკურ ფორმების გადმოცემასთან ერთად ბელადის შინაგან ბუნებასაც თვალწინ უშლის მნახველს. საყურადღებოა აგრეთვე ბელადის მხატვრული სახის შექმნისადმი მიძღვნილი მონუმენტალური ფიგურა ჩიბუხით ხელში.

უდავოდ ნაყოფერად მუშაობს მოქანდაკე კ. მერაბიშვილი, მას აქვს საყურადღებო პორტრეტები ამხანაგ სტალინისა. მაგრამ განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს მისი ორფიგურიანი მონუმენტალური კომპოზიცია „სტალინი და წულუკიძე“ და „სტალინი და ლენინი ტამერფორსში“. ორთავ კომპოზიციაში მერაბიშვილი ამხანაგ სტალინის მეტყველ, მხატვრულ და ძალდაუტანებელ სახეს ქმნის.

განსაკუთრებული მიღწევა აქვს ბელადის მხატვრული სახის შექმნის საქმეში მოქანდაკე შ. მიქატაძეს, რაიც თავის მოხსენებაში აღნიშნა ქართველი ბოლშევიკების ხელმძღვანელმა კ. ნ. ჩარკვიანმა.

მიქატაძე ხალხთა დიდი ბელადის ი. ბ. სტალინის მონუმენტის შექმნაზე რამდენიძე წელს მუშაობდა. ეს მონუმენტი დღეს ამშვენებს საქართველოს ხუთ ქალაქებს, როგორიცაა ქუთაისი, ლანჩხუთი და ოზურგეთი. ამ მონუმენტში შ. მიქატაძეს ამხანაგი სტალინი გამოსახული ჰყავს საძამულო ომის პერიოდის გარეგნობის მიხედვით. აქ მოქანდაკე დიდი დამაჯერებლობით და ექსპრესიით ასახავს ბელადს. ჩვენს წინაშეა ჩვენი ეპოქის უდიდესი ადამიანი, სარდალი და სახელმწიფო მოღვაწე, უდიდესი ბრძენი და საყვარელი მამა. ამ მონუმენტში მხატვრული გამოსახვის ყველა საშუალება მოქანდაკეს მოხმარებული აქვს იმისათვის, რომ შექმნას მხატვრულად დამაჯერებელი სახე ბელადის სიდიადისა.

საყურადღებო მოვლენაა მოქანდაკე ვ. თოფურიძის მონუმენტი, რომელიც აღმართულია ქალაქ სტალინირში.

მონუმენტალურ ქანდაკების დარგში ასევე საყურადღებოა ახალგაზრდა მოქანდაკის რ. შეროზიას—სტალინის ფიგურა და სესიაშვილის ორფიგურიანი კომპოზიცია „სტალინი და დაჭრილი დემონსტრანტი“.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ი. ოქროპირიძის კომპოზიცია „სტალინი გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში ი. ჭავჭავაძეს თავის ლექსს უკითხავს“. ეს საინტერესო თემა მოქანდაკეს კარგად აქვს გადაწყვეტილი და შესრულებული. ყურადღებას იქცევს აგრეთვე თ. ჯაფარიძის მიერ ბარელიეფში შესრულებული კომპოზიციები სტალინის ყრმობის წლების თემაზე.

ახალგაზრდა მოქანდაკეებს: ნიკოლაძეს, სიხარულიძეს, ქუთათელაძეს, ბილანიშვილს, ავალიშვილს, მაღრაძეს და სხვებს ეკუთვნით საინტერესო პორტრეტები ამხანაგი სტალინისა. ახალგაზრდების ნამუშევრებში განსაკუთრებით საინტერესოა თემისადმი მიდგომის სიახლე.

ქართული სახვითი ხელოვნების მუშაკები, ფერმწერლები, გრაფიკოსები და მოქანდაკეები ამ დიად თემაზე მომავალშიაც დიდი სიყვარულით და შემოქმედებითი მთაგონებით იმუშავებენ. ისინი უდავოდ ეტყვიან მთამომავლობას შესაფერ მხატვრულ სიტყვას საყვარელ ადამიანზე, მასწავლებელსა და ძმრომელი კაცობრიობის განმანთავისუფლებელზე,—დიდ ბელადზე—ამხანაგ ი. ბ. სტალინზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პეტრე მარია

ზოგიერთი საკითხი სტალინის მოძღვრებისა ერის შესახებ

★

ერის საკითხი თეორიულ ასპექტში არც კი დასმულა მარქსამდელ სოციოლოგიაში. და ეს არა მარტო იმიტომ, რომ მარქსამდელი სოციოლოგია ნამდვილ მეცნიერებას არ წარმოადგენდა, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ როგორც ეს კლასიკური სიცხადით გაარკვია ი. ბ. სტალინმა თავის გენიალურ შრომაში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი" (1912 წ.), თვითონ ერთა ფორმირება კაპიტალიზმის დროს მოხდა, და რამდენად კაპიტალიზმს მისი განვითარების პირველ პერიოდში, როგორც ეს უდავოდ დადგენილია ლენინისა და სტალინის მიერ, ერთა გაერთიანების ტენდენცია უფრო ახასიათებს, ნაციონალურ საკითხს არ შეეძლო ისეთი აქტუალური ხასიათი მიეღო, რომ მიეპყრო კაპიტალისტური საზოგადოების მკვლევართა ყურადღება. მარქსიზმის ფუძემდებლებმა—მარქსმა და ენგელსმა, აღმოაჩინეს რა პირველად საზოგადოებრივ-ისტორიული პროცესის ობიექტური კანონზომიერება (მათ მიერ შემუშავებულ ერთადერთ მეცნიერული მსოფლმხედველობის — დიალექტიკური მატერიალიზმის—საფუძველზე), მთავარი ყურადღება მიაქციეს კაპიტალისტური საზოგადოების ზოგად კანონზომიერების ყოველმხრივ ანალიზს, რათა დაესაბუთებიათ კომუნიზმის ისტორიული გარდუვალობა, ე. ი. შეემუშავებიათ მეცნიერული კომუნიზმი. მართალია, მათი მოღვაწეობის პერიოდში ადგილი ჰქონდა სერიოზულ ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას თვით ევროპაში (პოლონელები, ჩეხები, ირლანდიელები და სხვ.), რასაც ისინი დიდი ყურადღებით გამოეხმაურნენ, მაგრამ ნაშინ ნაციონალურ საკითხს მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში ისეთი სერიოზული მნიშვნელობა არ ჰქონდა, რომ მათ მისი თეორიული დამუშავება სპეციალურ ამოცანად დაესახათ.

ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მათ სახელმძღვანელო მითითებები არ მოუცია ნაციონალურ საკითხშიაც — ასეთ მითითებებს არა მხოლოდ საერთოდ იძლევა ერთადერთი მეცნიერული სოციოლოგია — ისტორიული მატერიალიზმი, არამედ ისინი მოცემულია მარქსისა და ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტში" და სპეციალურ პუბლიცისტურ გამოსვლებშიაც ზემოთაღნიშნული ერების ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა შესახებ — მაგრამ ერის მარქსისტული თეორიის შექმნა მომავლის ამოცანად რჩებოდა, როცა ამას თვით ობიექტურ-ისტორიული ვითარება მოითხოვდა. ამდენად უკვე თავისთავად ერის მარქსისტული თეორიის შექმნა მარქსიზმის შემ-

დგომ განვითარებას ნიშნავდა. ცნობილია, რომ ამ ამოცანის შესრულებაც წილად ხვდათ ბოლშევიზმის დიდ ბელადებს — ლენინსა და სტალინს.

ცნობილია ისიც, რომ ლენინიზმის იდეებზე დაყრდნობით და ლენინის უშუალო დავალებით ერის მარქსისტულ-ლენინური თეორია შექმნა და ყოველმხრივ დაამუშავა ი. ბ. სტალინმა. ამ მხრივ მის კლასიკური თხზულება „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი" ისეთივე ადგილი უჭირავს მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში, როგორც მაგალითად, ენგელსის „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობას", რომელშიაც მარქსიზმის ზოგად თეორიულ პრინციპებით გაშუქებულია საზოგადოებრივი განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხი.

ნაციონალური საკითხის აქტუალობა მეოცე საუკუნის დასაწყისში არა მხოლოდ იმით აიხსნებოდა რომ, მაგალითად, რუსეთის ყველაზე მოწინავე რევოლუციურ მუშათა მოძრაობას უხდებოდა გაშლა და განვითარება მრავალეროვან სახელმწიფოში, არამედ იმითაც, რომ იმპერიალიზმისთვის დამახასიათებელი (პირველად ლენინის მიერ აღმოჩენილი) არათანაბარი, ნახტომისებური განვითარება კაპიტალიზმისა საერთოდ ართულებს ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და მას პროლეტარულ რევოლუციისათვის ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კვანძად ხდის. კიდევ უფრო რთულდება ნაციონალური საკითხი მას შემდეგ, რაც მსოფლიო ისტორიაში ახალი ერა დაიწყო ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციით, რომელმაც ჩაგრული ერების ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა უშუალოდ დაუკავშირა მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციის საკითხს. ამხანაგი სტალინი 1924 წ. დეკემბერს სპეციალურად აღნიშნავდა, რომ „ნაციონალური მოძრაობის ხვედრითი წონა გაცილებით უფრო სერიოზული აღმოჩნდა, ხოლო ეროვნებათა გაერთიანების გზა—გაცილებით უფრო რთული, ვიდრე ეს შეიძლებოდა გვგონებოდა წინათ; ომამდელ პერიოდში, ანუ ოქტომბრის რევოლუციამდელ პერიოდში" [1].

დაედო რა საფუძვლად ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას, ერის სტალინური თეორია თვითონ ვითარდებოდა და მდიდრდებოდა მის პრაქტიკულ განხორციელებაში და ეს გამდიდრება და განვითარება განზოგადოებას პოულობდა ი. ბ. სტალინის ისტორიულ მოხსენებებში ბოლშევიკური პარტიის და საბჭოების ყრილობებზე, კომუნისტური ინტერნაციონალის სათანადო სექციების სხდომებზე, და მისივე სპეციალურ სტატიებში და ცალკეულ შენიშვნებში. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს 1929 წ. დაწერილ, მაგრამ 1948 წელს პირველად გამოქვეყნებულ ნაშრომს „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი" [2]. და ფინეთის დელეგაციის მიღების დროს წარმოთქმულ სიტყვას 1948 წ. აპრილში [3].

ამრიგად ერის სტალინური თეორია იმდენად ფართოა თავისი მოცულობით, იმდენად მდიდარი და ღრმაა თავისი შინაარსით, რომ მისი თუნდაც ზოგადი ღახასიათებისთვის საჭიროა არა ერთი წერილი, არამედ მთელი ვრცელი მონოგრაფია. ამიტომ მე გამოვყოფ მისგან რამდენიმე საკითხს, რომელნიც უფ-

---

[1] ი. სტალინი, თხზულ. ტ. 3 გვ. 34.

[2] იხ. И. Сталин. Соч., т. II.

[3] იხ. „Правда" 13. IV — 1948 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო აღსანიშნავად მეჩვენება როგორც ზოგად-თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

მე უკვე აღვნიშნე, რომ ნაციონალური საკითხის თეორიული გაშუქება და მისი პრაქტიკული განხორციელება სხვადასხვა სტადიას გადის და, მაშასადამე, სხვადასხვა კონკრეტულ-ისტორიულ შინაარსს ღებულობს. მაგრამ საკითხის ლენინურ-სტალინურ დაყენებისა და გადაწყვეტისათვის ყოველთვის დამახასიათებელია ერთი ძირითადი პრინციპი: ნაციონალური საკითხის დაქვემდებარება პროლეტარულ რევოლუციის და სოციალიზმის მშენებლობის ინტერესებისთვის. ჯერ კიდევ 1903 წელს, პოლონეთის სოც. დემოკრატებთან კამათში ლენინმა წამოაყენა შემდეგი ურყევი დებულება: „სოციალ-დემოკრატია, როგორც პროლეტარიატის პარტია თავის დადებით და მთავარ ამოცანად სახავს არა ერთა და ეროვნებათა თვითგამორკვევას, არამედ თვითეული ერის პროლეტარიატის თვითგამორკვევას. ჩვენ ყოველთვის და უსათუოდ უნდა მივისწრაფოდეთ ყველა ერის პროლეტარიატის მეტად მ ჭ ი დ რ ო გაერთიანებისაკენ, და მხოლოდ ცალკეულ, გამონაკლის შემთხვევებში შეგვიძლია ჩვენ წამოვაყენოთ და აქტიურად მხარი დაუჭიროთ მოთხოვნებს, რომელთაც მივყევართ ახალი კლასობრივი სახელმწიფოს დაარსებისაკენ ან სახელმწიფოს სრული პოლიტიკური ერთიანობის შეცვლისაკენ უფრო სუსტი ფედერატიული ერთიანობით და სხვ.“ [1]. როგორც ვხედავთ, ბურჟუაზიული წყობილების ფარგლებში ნაციონალურ თვითგამორკვევას ლენინი განიხილავს როგორც ახალი კლასობრივი სახელმწიფოს დაარსებას და, მაშასადამე, სხვადასხვა ერთა პროლეტარების ერთიანობის ასეთუ ისე შესუსტებას, რისი მხარის დაჭერა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ეს იძლევა რაიმე მნიშვნელოვან პოლიტიკურ პლუსს საერთო პროლეტარულ მოძრაობისთვის. ამიტომ ლენინი იქვე უფრო გადაჭრით აღნიშნავს, რომ „ამ ბრძოლის (პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის—პ. შ.) ინტერესებს უნდა დ ა ვ უ მ ო რ ჩ ი ლ ო თ ჩვენ ნაციონალური თვითგამორკვევის მოთხოვნა“ [2] სავსებით იმავე პრინციპს იცავს ი. ბ. სტალინი თავის ცნობილ ადრინდელ სტატიაში „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი“, რომელშიაც ჩანასახის ფორმით უკვე ჩამოყალიბებულია ერის სტალინური თეორიის მთავარი დებულებანი. „ნაციონალური საკითხი“ სხვადასხვა დროს ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ინ ტ ე რ ე ს ებ ს ე ბ ს ა ხ უ რ ე ბ ა, სხვადასხვა ელფერს იღებს იმისდამიხედვით თუ რ ო მ ე ლ ი კ ლ ა ს ი და რ ო დ ი ს წამოაყენებს მას“ [3]. მაშასადამე„ თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ ა ღ ე ბ უ ლ ს ეგრეთწოდებულ „ნაციონალურ ინტერესებს“ და „ნაციონალურ მოთხოვნებს“ არა აქვთ განსაკუთრებული ფასი, ...ეს „ინტერესები“ და „მოთხოვნები“ ყურადღების ღირსია მხოლოდ იმდენად რამდენად ისინი წინ სწევენ ან შეუძლიათ წინ წასწიონ პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნება, მისი კლასობრივი განვითარება“ [4].

ამასთან ერთად აღსანიშნავია ნაციონალური საკითხის ლენინურ-სტალინური დაყენების მეორე მხარე: რამდენად ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არსებითად ბურჟუაზიულია, მისი ძალა და გაქანება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად უჭერს მას მხარს პროლეტარიატი, ე. ი. ამ საკითხ-

---

[1] В. И. Ленин. соч., т. 6, 4 изд. стр. 414.

[2] იქვე, გვ. 414.

[3] ი. სტ ა ლ ი ნ ი, თხზულ. კრებული. ტომი 1 გვ. 32..

[4] იქვე. გვ. 42.

შიც ბურჟუაზია ცდილობს, სხვისი ძალღონით უზრუნველყოს თავისი კლასობრივი ინტერესები: ჯერ კიდევ 1904 წელს, დაახასიათა რა ქართული ბურჟუაზიის ნაციონალიზმის მიზანი, ამხანაგი სტალინი დასძენს: „რა თქმა უნდა, რომ ამ მიზნის განხორციელებას ძალა უნდოდა, ხოლო ძალა—პროლეტარიატშია. მარტო პროლეტარიატს შეეძლო სული ჩაედგა ბურჟუაზიის გამოფიტული „პატრიოტიზმისათვის“ [1]. იგივე აზრი სხვა სახით განმეორებულია ი. ბ. სტალინის უფრო გვიანდელ შრომაში: „ნაციონალური მოძრაობის ძალა განიზომება იმით, თუ რამდენად მონაწილეობენ ამ მოძრაობაში ერის ფართო ფენები, პროლეტარიატი და გლეხობა“[2]. სწორედ ამიტომ ხშირი იყო შემთხვევა, როცა მუშათა კლასის წარმომადგენლები ბურჟუაზიული ნაციონალიზმით ავადდებოდნენ ან ნიჰილისტურად უყურებდნენ ნაციონალურ განმათავისუფლებელ მოძრაობას. მხოლოდ ლენინურ-სტალინურ რევოლუციურ დიალექტიკას შეეძლო გაერკვია მუშათა კლასი ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობის საკითხებშიაც, როგორც რევოლუციურ ბრძოლის სხვა საკითხებში.

ბოლშევიზმის ტაქტიკა ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, როგორც საერთო ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მოძრაობის კერძო მხარეში. ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციის პერიოდის მისი საერთო ტაქტიკის კერძო გამოხატულებაა. ისევე, როგორც ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ინტერესების გარკვეულ დროებითს ერთიანობას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში არ უნდა მიეჩქმალა მათი ინტერესების პრინციპული წინააღმდეგობა, მათი ინტერესების დროებითს (და პირობითს) ერთიანობას ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაშიც (რაც იმავე თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იყო მიმართული) არ უნდა მიეჩქმალა ამ საკითხშიც მათი ინტერესების პრინციპული წინააღმდეგობა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ბურჟუაზიას კი არ უნდა გამოეყენებია პროლეტარიატი როგორც ბრმა იარაღი. რასაც მენშევიკების ტაქტიკა მოითხოვდა, არამედ პროლეტარიატს უნდა გამოეყენებია ბურჟუაზიის ოპოზიციურობა თვითმპყრობელობის მიმართ თავისი კლასობრივი ბრძოლის მიზნებისათვის. ამიტომ პროლეტარიატს მხარი უნდა დაეჭირა მხოლოდ ისეთ ნაციონალურ განმათავისუფლებელ მოძრაობისთვის, რომელიც ასე თუ ისე მის საბოლოო მიზანს ემსახურებოდა. თავისთავად ცხადია, რომ მარქსისტულ-ლენინურ დიალექტიკის თვალსაზრისით თვით ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობის დადებითი ან უარყოფითი მნიშვნელობა განისაზღვრება იმ ისტორიულ ვითარებით და კონკრეტი პირობებით, რომლებშიაც ის მიმდინარეობს. ამაში იყო ბოლშევიკების პრინციპული განსხვავება არა მარტო ნაციონალ-დემოკრატებისაგან, არამედ მეორე ინტერნაციონალის ყველა ჯურის ოპორტუნისტებისაგან, რომლებთან დაუნდობელ ბრძოლაშიაც მუშავდებოდა ნაციონალური საკითხის სტალინური თეორია.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მეოცე საუკუნის დასაწყისში, რუსეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციის მოახლოებასთან დაკავშირებით, ნაციონალურმა საკითხმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიიღო. მის დიდ აქტუალობას პრაქტიკულ-რევოლუციურ ბრძოლისთვის ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ საერთოდ ლიკვიდატორობის გაძლიერებამ 1907—1912 წ. წ. რეაქციის პერიოდში გამოხატულება ჰპოვა აშკარა ნაციონალიზმში. „რუსეთში

[1] ი. სტალინი, თხზ. ტ. 1 გვ. 34.
[2] ი. სტალინი თხზულ. ტ. 2 გვ. 330.

კონტრრევოლუციის პერიოდს მოჰყვა,—წერდა ამხანაგი სტალინი,—არა მარტო „ელვა-ქუხილი“, არამედ მოძრაობაზე გულისგატეხაც, საერთო ძალებისაკმი რწმენის დაკარგვა. სწამდათ „ბრწყინვალე მომავალი“,—და იბრძოლნენ ერთად, განურჩევლად ეროვნებისა: საერთო საკითხები უწინარეს ყოვლისა! გულში ეჭვი შეეპარათ,—და ხალხმა ნაციონალურ ბინებში წასვლა-წამოსვლა იწყო: თვითეულს თავისი თავის იმედი ჰქონდესო! „ნაციონალური პრობლემა“ უწინარეს ყოვლისა“ [1].

რუსი ლიკვიდატორები ემყარებოდნენ იმ ოპორტუნისტულ „თეორიას“ ნაციონალურ საკითხში, რაც ე. წ. ავსტრო-მარქსისტებმა—ბაუერებმა, შპრინგერებმა და სხვ. შეიმუშავეს. ამიტომ ბოლშევიკებს მოუხდათ ერთადერთი სწორი პოლიტიკური ლოზუნგების წამოყენებასთან ერთად მთლიანი თეორიის შემუშავება ერის შესახებ, რომელიც ერთის მხრით, გააცამტვერებდა ბაუერების და შპრინგერების ოპორტუნისტულ თეორიას, და, მეორეს მხრით, საფუძვლად დაედებოდა ბოლშევიკების ტაქტიკას მომავალ რევოლუციაში. როგორც აღვნიშნეთ, ამ დიდი ამოცანის შესრულება წილად ხვდა ი. ბ. სტალინს.

რაში მდგომარეობს ერის სტალინური თეორიის ძირითადი ნიშნები? უპირველეს ყოვლისა იმაში, რომ სტალინმა ამხილა „ავსტრო-მარქსისტების“ მეტაფიზიკურობა და იდეალიზმი და მატერიალისტურ დიალექტიკის თვალსაზრისით გაარკვია ერის ცნება.

ერი, არა როგორც ბ უ ნ ე ბ რ ი ვ-ი ს ტ ო რ ი უ ლ ი (რასიულ-ტომობრივი და სხვა), არამედ როგორც ს ო ც ი ა ლ უ რ-ი ს ტ ო რ ი უ ლ ი კატეგორია; აქედან—მისი განმსაზღვრელი—არა ფ ს ი ქ ი უ რ-ე თ ნ ო გ რ ა ფ ი უ ლ ი („ნაციონალური სული“ ანუ „ხასიათი“), არამედ ს ო ც ი ა ლ უ რ-ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი თავისებურება—ასეთია ერის სტალინური თეორიის ამოსავალი პრინციპი. „ერი ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობაა და არა რასობრივი და ტომობრივი... ბაუერის თვალსაზრისი, რომლითაც ერი გაიგივებულია ნაციონალურ ხასიათთან, ერს ნიადაგისგან წყვეტს და მას რაღაც უხილავ, თვითკმარ ძალად აქცევს, გამოდის არა ერი ცოცხალი და მოქმედი, არამედ რაღაც მისტიკური, მიუწვდომელი და იმქვეყნიური რამ“ [2]. როგორც ვხედავთ. აქ ერის მიმართ გამოყენებულია ის მთავარი მეთოდოლოგიური პრინციპი, რითაც მარქსი აკრიტიკებდა საერთოდ ბურჟუაზიულ-აპოლოგეტურ მეცნიერებას და კერძოდ ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიას. სახელდობრ—ს ო ც ი ა ლ უ რ-ი ს ტ ო რ ი უ ლ ი პრინციპი წინააღმდეგ „ბუნებრიობის“ და „მარადიულობის“ პრინციპისა, რითაც ბურჟუაზიულ-მეტაფიზიკური მეთოდოლოგია ხელმძღვანელობს.

თუ ერი ადამიანთა ისტორიული ერთიანობაა, მაშინ, ცხადია, რომ ის საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე უნდა წარმოშობილიყო. „ერი უბრალო ისტორიული კატეგორია კი არ არის, არამედ განსაზღვრული ეპოქის, აღმავალი კაპიტალიზმის ეპოქის ისტორიული კატეგორიაა [3]. აქედან ცხადია, რომ ერის წარმოშობა დაკავშირებულია კაპიტალიზმის განვითარებასთან. ეს სავსებით გასაგებია, ვინაიდან ადამიანთა ნამდვილი, მყარი ერთიანობა მხოლოდ წარმოებითი ურთიერთობის პროცესში შეიძლება ჩამოყალიბდეს,

---

[1] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი. თხზულ. ტ. 2, გვ. 312.
[2] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი. თხზულ. კრებ. ტ. 2, გვ. 315, 324.
[3] იქვე, გვ. 326.

ხოლო წარმოების საზოგადოებრივ ხასიათს ავითარებს უმთავრესად კაპიტალისტური წყობა. აკრიტიკებს რა თავისი კორესპონდენტების თვალსაზრისს, ამხანაგი სტალინი სწერს: „თქვენ ამტკიცებთ, რომ ერები წარმოშობილნი ... სებობდნენ ჯერ კიდევ კაპიტალიზმამდე, მაგრამ როგორ შეიძლოთ ერებს წარმოშობილიყვნენ და ეარსებათ კაპიტალიზმამდე, ფეოდალიზმის პერიოდში, როცა ქვეყნები დაქუცმაცებული იყვნენ ცალ-ცალკე სამთავროებად, რომელნიც არა თუ არ იყვნენ დაკავშირებულნი ერთმანეთთან ნაციონალური კავშირებით, არაშედ გადაწყვეტით უარყოფდნენ ასეთი კავშირების საჭიროებას? წინააღმდეგ თქვენი მცდარი მტკიცებებისა არ იყვნენ და არც შეიძლება ყოფილიყვნენ ერები წინაკაპიტალისტურ პერიოდში, ვინაიდან ჯერ კიდეც არ იყვნენ ნაციონალური ბაზრები, არ იყვნენ არც ეკონომიური და არც კულტურული ნაციონალური ცენტრები, არ იყვნენ მაშასადამე ის ფაქტორები, რომელნიც სპობენ ამათუ იმ ხალხის მეურნეობრივ დაქუცმაცებას და ამჭიდროებენ ამ ხალხის მანამდე დაქუცმაცებულ ნაწილებს ერთ ნაციონალურ მთლიანობად“ [1], მაშასადამე, ნაციონალური გაერთმთლიანების მთავარი პირობა ყოფილა ეკონომიური კავშირი, რაც ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი პრინციპის ბრწყინვალე კონკრეტიზაციას წარმოადგენს ერის საკითხში.

მაგრამ ამხანაგი სტალინის ამ უაღრესად დიალექტიკურ დებულებას დიალექტიკური გაგება ესაჭიროება, წინააღმდეგ შემთხვევაში ადვილად შეიძლება დეზორიენტაცია არამხოლოდ ისტორიული წარსულის მიმართ, არამედ ისტორიული პერსპექტივის მიმართაც, რისი მაგალითი, სამწუხაროდ, არც ისე იშვიათია ჩამორჩენილ ისტორიკოსთა წრეში. იმ უდავო, სტალინური დებულებიდან, რომ ერი, როგორც გარკვეული სოციალურ-ისტორიული კატეგორია, ჩნდება ალმავალ კაპიტალიზმის ეპოქაში, სრულიად არ გამომდინარეობს, რომ ხალხთა ყველა ნაციონალური თავისებურებაც ჩნდება მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალიზმის ეპოქაში. სტალინის ზემოთმოყვანილი დებულების ამგვარი გაგება იქნებოდა პირდაპირი უგულებელყოფა მის მიერვე მოცემული კლასიკური განმარტებისა, რომ ერის მაფორმირებელია არა ერთადერთი ნიშანი, თუნდაც ისეთი გადამწყვეტი, როგორიც ეკონომიური ნიშანია, არამედ მთელი ოთხი ძირითადი ნიშანი, რომელნიც თანდათან ყალიბდებიან ხალხთა ისტორიულ განვითარების პროცესში. ერი, როგორც ახალი და სრულიად გარკვეული ისტორიული კატეგორია, იმიტომ ფორმდება კაპიტალიზმის ეპოქაში, რომ სწორედ კაპიტალიზმი ქმნის მთავარ და გადამწყვეტ ნიშანს—ეკონომიურ ერთიანობას. მაგრამ აქედან ოდნავადაც არ გამომდინარეობს, რომ კაპიტალიზმამდე არავითარი ნაციონალური განსხვავება არ ახასიათებდა ხალხებს, რომ მანამდე ისინი ამორფულ, კოსმოპოლიტურ მასას წარმოადგენდნენ. ამგვარი შეხედულება იქნებოდა მარქსისტულ-ლენინურ ისტორიზმის პრინციპის ყველაზე უხეში დამახინჯება. ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ მიმართავენ სტალინის ცნობილ დებულებას, რომ ერს ქმნის ოთხივე ძირითადი ნიშანი მათს განუყრელ ერთიანობაში, რომ არა მხოლოდ ცალ-ცალკე, არამედ ერთი რომელიმე ნიშანის გამოკლებით ვერ ქმნიან ისინი ერს. მარქსისტულ-ლენინური დიალექტიკის თვალსაზრისით აქედან მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ კაპიტალიზმამდე ხალხები არ არსებობდნენ, როგორც ერები ამ თერმინის გარკვეული ისტორიული მნიშვნელობით, მაგრამ ისინი მაინც როგორც ს ხ ვ ა დ ა-

[1] И. Сталин, соч., т. 11, стр. 336.

სხვა ხალხები არსებობდნენ და მათი განსხვავების საფუძველს სწორედ ის ნიშნები შეადგენდნენ, რომლებიც კაპიტალიზმის განვითარების ეპოქაში შექმნილი ახალი, ძირითადი ნიშნის საფუძველზე (უკეთ რომ ვთქვათ, მასთან ერთიანობით) ქმნიან ერს. სწორედ ამას გულისხმობს ამხანაგი სტალინი, როცა სწერს: „რა თქმა უნდა ერის ელემენტები—ენა, ტერიტორია, კულტურული ერთიანობა და სხვ.—არა ზეციდან ჩამოვარდნენ, არამედ ჩნდებოდნენ თანდათან, წინაკაპიტალისტურ პერიოდში“ [1].

ზოგიერთი ვაი-ისტორიკოსის შეხედულებით კი ამხანაგი სტალინის დებულებიდან თითქოს გამომდინარეობს, რომ კაპიტალიზმამდე ხალხთა შორის ურთიერთობანი (მტრული თუ მეგობრული) არავითარ ნაციონალურ ნიშნებს არ ატარებდნენ, რომ მანამდე არ იქმნებოდა არავითარი ნაციონალური კულტურა და ტრადიცია, რომ ყოველივე ის, რითაც ესათუ ის ერი ამაყობს, მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალიზმმა შექმნა. მათ მხედველობიდან ეპარებათ, რომ ასეთი თვალსაზრისი სრულიად გაუგებარს ხდის ხალხთა სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას კაპიტალიზმამდე [2], რასაც ეწირებოდა მათი საუკეთესო შვილები და ხშირად მათი უშუალო მატერიალური კეთილდღეობის ინტერესებიც. არა მგონია საჭირო იყოს ამისი მაგალითების მოყვანა, ვინაიდან ზოგიერთი ხალხის, მათ შორის ქართველი ხალხის, თითქმის მთელი ისტორია ამის მაგალითს წარმოადგენს [3]. აღსანიშნავია, რომ ზემოდხსენებული თვალსაზრისის მომხრენი ბედავენ ერის სტალინურ თეორიაზე დაყრდნობას და ამავე დროს თავსაც არ იწუხებენ სტალინის ცალკეულ დასკვნითი ფორმულირებების დაზეპირებას გასცილდნენ და მთელი მისი მოძღვრება შეისწავლონ. თავის ერთ-ერთ შენიშვნაში ლენინიზმის მტრების წინააღმდეგ ამხანაგი სტალინი ამბობს: „დაეყრდნო ლენინს რომელიმე ერთ ნაწილში და არ ისურვო დაეყრდნო მას მთლიანად — ეს ნიშნავს დაამახინჯო ლენინი“. [4]

---

[1] И. Сталин, соч., т. 11, стр. 336.

[2] მართალია, ჩვენ არ უნდა ავრიოთ ერთმანეთში წინაკაპიტალისტური და კაპიტალისტური სახელმწიფო ერთეულები, რამდენად უკანასკნელთა თავისებურება არის ცენტრალიზებული სახელმწიფო ხელისუფლება (რაც ეკონომიური პროცესის — ნაციონალური ბაზრის გაფორმების — პოლიტიკური გამოხატულებაა), იმ დროს როცა წინაკაპიტალისტური სახელმწიფო ერთეულები უკეთეს შემთხვევაში ცოტად თუ ბევრად მსხვილ სამთავროებს და საჭერცოგოს არ სცილდება (თუმცა ხშირად სამეფოს სახელწოდებას ატარებდნენ, როგორც, მაგალითად საქართველოში). მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ თავდაცვითი ამოცანები თურქების, მონღოლების და სხვ. შემოსევისაგან, როგორც ეს გენიალურად გაარკვია ამხანაგმა სტალინმა (იხ. თხზულ. ტ. 5, გვ. 16), იწვევდნენ აღმოსავლეთ ევროპაში ცენტრალიზებული სახელმწიფოების შექმნას კაპიტალიზმის განვითარებამდეც, ოღონდ ამგვარად ცენტრალიზებული სახელმწიფოები, როგორც წესი, მრავალეროვნიანები უნდა ყოფილიყვნენ, განსხვავებით ცენტრალიზებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებისაგან. მიუხედავად ამ განსხვავებისა, განა ცხადი არ არის, რომ მრავალეროვანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს ბირთვი ერთი რომელიმე კონსოლიდირებული ხალხი უნდა ყოფილიყო, რომლის კონსოლიდირების საფუძველი მხოლოდ მისი ნაციონალური თავისებურება (სხვებისაგან განსხვავება) შეიძლებოდა ყოფილიყო.

[3] აღნიშვნის ღირსია, რომ ამხანაგი სტალინი თავის თხზულებაში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ ქართველი ერის ჩამოყალიბების გარკვევისას შენიშნავს, რომ რეფორმის წინა პერიოდში ქართველები „არსებითად ერთ ერს შეადგენდნენ“ (თხზ., ტ. 2, გვ. 317). თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ სტალინი თავის კლასიკურ განმარტებებში ყოველგვარი ზედმეტი სიტყვების მტერია, სიტყვას „არსებითად“ სწორედ ის მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, რაზედაც ზემოთაა ლაპარაკი.

[4] И. Сталин, соч., т. 11, стр. 163.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ზოგიერთი ინტერპრეტატორი იღებს ამხანაგი სტალინის ცნობილ ფორმულებს ერის შესახებ იზოლირებულად, და მიტომ მოსდის მარცხი.

აღძრულ საკითხს მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ისტორიულ წარსულში ორიენტაციისთვის, არამედ ახალ, სოციალისტური ერების ჩამოყალიბების გენიალური სტალინური მოძღვრების გაგებისთვის. ცნობილია, რომ თავის ახლახან გამოქვეყნებულ კლასიკურ ნაშრომში „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი", რომელიც ნაციონალური საკითხის თეორიული გაშუქების ახალ საფეხურს წარმოადგენს, ამხანაგი სტალინი იმით ანსხვავებს სოციალისტურ ერებს კაპიტალისტური ერებისაგან, რომ ისინი წარმოიშვნენ და განვითარდნენ ძველი, ბურჟუაზიული ერების ბაზაზე კაპიტალიზმის ლიკვიდაციის შედეგად, სოციალისტური სულისკვეთებით მათი ძირეული გარდაქმნის შედეგად [1]. ნუ თუ ცხადი არ არის, რომ საბჭოთა კავშირის ძველი ერების (რუსების, უკრაინელების, ბელორუსების, უზბეკების, ყაზახების, ქართველების, აზერბაიჯანელების, სომხების და სხვ.) ნაციონალური თავისებურებანი მხოლოდ კაპიტალიზმის შედეგი რომ ყოფილიყო, ლაპარაკიც ზედმეტი იქნებოდა ახალი, სოციალისტური ერების ჩამოყალიბების შესახებ, რომ ეს მოვლენა ხელოვნური და ისტორიულად გაუმართლებელი იქნებოდა? ნამდვილად კი, ამხანაგი სტალინის გენიალური განმარტებით, სოციალისტური ერების წარმოშობა უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენაა, რომ სოციალისტური ერები „გაცილებით უფრო შემჭიდროებულნი და სიცოცხლისუნარიანები არიან, ვიდრე რომელიც გინდა ბურჟუაზიული ერი" [2].

ერის სტალინური თეორიის სიდიადე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის ერთა ასიმილაციის მეთოდს მიუღებლად აღიარებს არა მხოლოდ კაპიტალისტური წყობის ფარგლებში, არამედ სოციალისტური მშენებლობის და სოციალისტური საზოგადოების პირობებშიაც. ამასთან ასიმილაციის პრინციპი უარყოფილია არა აბსტრაქტულ-მორალისტური თვალსაზრისით, არამედ ისტორიული აუცილებლობის და რევოლუციური მიზანშეწონილობის თვალსაზრისით. განა ცხადი არ არის, რომ კულტურული რევოლუცია, როგორც შედეგი სოციალისტური რევოლუციისა, თავის მხრივ ერთერთი მთავარი პირობათაგანია სოციალიზმის წარმატებითი მშენებლობისა, ხოლო კულტურული რევოლუცია წარმოუდგენელია, მაგალითად, ჩამორჩენილ ხალხთა მშობლიური ენის გამოყენების გარეშე (ასიმილაციის მეთოდი ხომ კულტურული რევოლუციის ვადას ერთი ათად გაზრდიდა, თუ აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ის ნაციონალური მეგობრობისა და ნდობის ნაცვლად, რაც ერთ-ერთი საყრდენია სოციალისტური სახელმწიფოს სიმტკიცისა, ნაციონალურ უნდობლობას და შუღლს დათესავდა ხალხებს შორის) „ვინ იფიქრებდაო, — ამბობდა ამხანაგი სტალინი თავის ისტორიულ მოხსენებაში აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის ამოცანებისადმი მიძღვნილ მოხსენებაში 1925 წელს,—რომ მეფის ძველი რუსეთი სულ ცოტა 50 ერსა და ეროვნულ ჯგუფს წარმოადგენდა? მაგრამ ოქტომბრის რევოლუციამ ძველი ბორკილები გაგლიჯა და ასპარეზზე გამოიყვანა მთელი რიგი დავიწყებული ხალხები და ეროვნებანი, რითაც მისცა მათ ახალი ცხოვრება და ახალი განვითარება" [3]. ხომ არ

[1] И. Сталин, соч., т. 11, стр. 339.

[2] იქვე, გვ. 340.

[3] ი. სტალინი, თხზულ., ტ. 7, გვ. 153.

უნდა ვიფიქროთ, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა „დავიწყებულ ხალხებს“ ახალი ცხოვრება და ახალი განვითარება“—ე. ი. სკოლა, ლიტერატურა და ხელოვნება მშობლიურ ენაზე მხოლოდ იმიტომ, რომ არ „ეწყენინებია“ მათთვის? განა ცხადი არ არის, რომ სხვა გზა არ არსებობდა მათი სოციალისტური განვითარებისათვის? და ეს ეხება აგრეთვე საბჭოთა კავშირის წინათ სავსებით ჩამოყალიბებულ ერებს, რომელთა სოციალისტურ ერებად გარდაქმნა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ამ ისტორიული აუცილებლობის გარეშე მნიშვნელოვნად დაკარგავდა აზრს.

ამრიგად სოციალისტური კულტურის ნაციონალური ფორმა არა მხოლოდ კაპიტალიზმის ცუდი მემკვიდრეობის არასასიამოვნო შედეგია, არამედ საერთო ისტორიული გზაა სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობისათვის, რაც პირველად მისთვის ჩვეული გენიოსობით გაარკვია ამხანაგმა სტალინმა. როგორც ქვემოთ დავინახავთ, კულტურის საერთო შინაარსის და მისი მრავალფეროვნების საკითხი კომუნისტურ კულტურასაც ეხება, და ეს იმიტომ, რომ საზოგადოებრივ-ისტორიულ პროცესის დიალექტიკურობა არა მხოლოდ კაპიტალიზმის წინაისტორიაში, ე. ი. კლასობრივ საზოგადოების პერიოდში, არამედ მის ნამდვილ ისტორიის, ე. ი. კომუნიზმის პერიოდშიც, ინტეგრაციადიფერენციაციის ერთიანობას გულისხმობს. ამ ინტეგრაცია-დიფერენციაციას კლასობრივ საზოგადოებაში აქვს ა ნ ტ ა გ ო ნ ი ს ტ უ რ ი ხასიათი, უკლასო კომუნისტურ საზოგადოებაში—ჰ ა რ მ ო ნ ი უ ლ ი. ეს განსხვავება, როგორც ეს გენიალურად გაარკვია ამხანაგმა სტალინმა, ემყარება მათი ეკონომიური საფუძვლის პრინციპულ განსხვავებას. „თუ კერძო საკუთრება და კაპიტალი აუცილებლად აცალკევებენ ადამიანებს, აღვივებენ ნაციონალურ შუღლს და აძლიერებენ ნაციონალურ ჩაგვრას, კოლექტიური საკუთრება და შრომა ასევე აუცილებლად აახლოვებენ ადამიანებს, ძირს უთხრიან ნაციონალურ შუღლს და სპობენ ნაციონალურ ჩაგვრას. კაპიტალიზმის არსებობა ნაციონალური ჩაგვრის გარეშე ისევე წარმოუდგენელია, როგორც წარმოუდგენელია სოციალიზმის არსებობა ჩაგრული ერების განთავისუფლების გარეშე. ნაციონალური თავისუფლების გარეშე“[1].

სწორედ ამ პრინციპზე დამყარებით გაარკვია ამხანაგმა სტალინმა, ჯერ კიდევ 1912 წ., რომ „ნაციონალური მოძრაობის საბოლოო დაცემა შესაძლებელია მხოლოდ ბურჟუაზიის დაცემასთან ერთად“, რომ „მხოლოდ სოციალიზმის სამეფოში შეიძლება სრული მშვიდობიანობის დამყარება“ [2].

თუ თავის თხზულებაში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ ი. ბ. სტალინმა თეორიულად გაარკვია ერის ბუნება, მისი ისტორიული წარმოშობის პირობები, ნაციონალური საკითხის გადაწყვეტის ფორმები ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციის ვითარებაში და ბოლშევიკური პარტიის ტაქტიკა ამ პერიოდის ნაციონალურ განმათავისუფლებელ მოძრაობაში, თავის შემდგომ შრომებში ამხანაგი სტალინი არკვევს ნაციონალური საკითხის ბუნებას ახალ ისტორიულ ვითარებაში, მსოფლიოს ორ მოპირდაპირე სისტემად—სოციალისტურ და კაპიტალისტურ სისტემად—გაყოფის პერიოდში, შლის ბოლშევიკური ნაციონალური პოლიტიკის შინაარსს სოციალისტური რევოლუციის და სოციალიზმის მშენებლობის სხვადასხვა ეტაპზე და ამუშავებს სოციალისტურ

[1] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულ. ტ. 5 გვ. 20 — 21.

[2] ი. სტალინი, თხზულ. ტ. 2 გვ. 335.

სახელმწიფოში ერთა სახელმწიფოებრივი და ეკონომიურ-კულტურული თანამშრომლობის ისტორიულ ფორმებს.

ჯერ კიდევ თავის ყველაზე ადრინდელ შრომას ერის შესახებ, ამხანაგი სტალინი იწყებდა დიალექტიკის მთავარი დებულებით: „ყველაფერი იცვლება... იცვლება საზოგადოებრივი ცხოვრება და მასთან ერთად იცვლება „ნაციონალური საკითხიც“. სხვადასხვა დროს სხვადასხვა კლასები გამოდიან ბრძოლის მოედანზე — ყველა კლასს კი თავისებურად ესმის „ნაციონალური საკითხი“ [1]. მას შემდეგ თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე, კაცობრიობის ცხოვრებაში უმაგალითო ისტორიული გარდატეხის ვითარებაში ამხანაგი სტალინი საზოგადოებრივი განვითარების სხვა ძირეულ საკითხების თეორიულ გაშუქებასა და პრაქტიკულ გადაწყვეტასთან ერთად, იძლევა ნაციონალური საკითხის დიალექტიკური გაშუქების და პრაქტიკული გადაწყვეტის უბადლო მაგალითს. უკვე 1917 წ. თებერვლის რევოლუციის პირველივე თვეებში, ლენინის გენიალური „აპრილის თეზისების“ პერიოდში, ამხანაგი სტალინი შეცვლილ ისტორიულ ვითარებასთან შეფარდებით (პროლეტარულ რევოლუციისათვის ბრძოლის პერიოდი ნაცვლად ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციისათვის ბრძოლის პერიოდისა, როცა იწერებოდა „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“) ახლებურად აყენებს ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობის საკითხს [2]. თავის მოხსენებაში პარტიის აპრილის კონფერენციაზე ერთა თვითგამორკვევის ზოგადი ლოზუნგის ნაცვლად ამხანაგი სტალინი აყენებს ერთა სახელმწიფოებრივი გამოყოფის უფლების პრინციპს [3], რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პროლეტარული რევოლუციის რეზერვად გადაქცევის საქმეში. ამავე დროს ამხანაგი სტალინი კვლავ ეხება ერის უ ფ ლ ე ბ ი ს ა და მისი მ ო ვ ა ლ ე ო ბ ი ს დიალექტიკური ურთიერთობის საკითხს, რაც ცოტა სხვა ასპექტით (არა ერის, არამედ მუშათა კლასის რევოლუციური პარტიის მოვალეობის თვალსაზრისით) უკვე გარჩეულია შრომაში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“, და დაასკვნის, რომ ერის უფლების საკითხი ნაციონალურ ჩაგვრის პროცესში შექმნილ მტრობის და უ ნ დ ო ბ ლ ო ბ ი ს მოსპობის საკითხია, ხოლო ერის მოვალეობის საკითხი—პრაქტიკულ-რევოლუციურ მიზანშეწონილობის საკითხია [4]. აქედან ცხადია, რომ ერის უფლებების პრაქტიკულად განხორციელების საკითხი სოციალიზმის ინტერესებს უნდა დაუმორჩილდეს. ამხანაგ სტალინის ამ ზოგადთეორიული დებულების უდიდესი მნიშვნელობა მალე და ბრწყინვალედ დაადასტურა სოციალიზმისათვის ბრძოლის ისტორიულმა პრაქტიკამ კერძოდ უკრაინის კონტრრევოლუციური რადის მაგალითზე. თავის მოხსენებაში სრულიად რუსეთის საბჭოების მესამე ყრილობაზე 1919 წ. იანვარში ამხანაგმა სტალინმა დაუნდობლად ამხილა საერთოდ განაპირა მხარეების კონტრრევოლუციური „მთავრობების“ ნაციონალური ნიღაბი მათს ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, კერძოდ უკრაინის რადის კონტრრევოლუციური ბუნება და განმარტა, რომ ბოლშევიკური

---

[1] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ. ტ. 1, გვ. 32.

[2] ლაპარაკია ნაციონალური საკითხის პრაქტიკულ გადაწყვეტაზე და არა ერის სტალინურ თეორიაზე, რაც ურყევი რჩება და სწორედ ედება საფუძვლად პარტიის პოლიტიკას ნაციონალურ საკითხში.

[3] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულ. ტ. 3, გვ. 61.

[4] იხ. ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულ., ტ. 3, გვ. 57.

პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ყველა ლოზუნგი სოციალიზმს ეშველება და არა კონტრრევოლუციას. ეს ბრწყინვალე ნიმუშია ფორმისა და შინაარსის დიალექტიკური ერთიანობისა. რევოლუციური ლოზუნგი, ბრწყინვალე მის გამპირობებელ კონკრეტ ისტორიულ შინაარსს შეიძლება კონტრრევოლუციის მიზნებისათვის იყოს გამოყენებული.

ამხანაგმა სტალინმა წამოაყენა და ბევრჯერ გაუვსა ხაზი დებულებას, რომ ნაციონალური მოძრაობა თავისი ა რ ს ე ბ ი თ ყოველთვის ბურჟუაზიულია[1], მაგრამ ამავე დროს ყოველთვის აღნიშნავდა, რომ მისი პროგრესულობა ან რეაქციულობა დამოკიდებულია კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებაზე. თუ რუსეთში საბჭოთა რევოლუციის და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ნაციონალური მოძრაობა მის საკუთარ (ძველი რუსეთის) ფ ა რ გ ლ ე ბ შ ი რეაქციული ხდება, სწორედ ოქტომბრის დიდი რევოლუციის შემდეგ თვით საბჭოთა სახელმწიფოს გ ა რ ე შ ე ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა განსაკუთრებით კოლონიურ და ნახევრად კოლონიურ ქვეყნებში, უფრო აშკარად გამოხატულ რევოლუციურ ხასიათს ღებულობს. „ოქტომბრის გადატრიალებამ ბოლო მოუღო ძველ, ბურჟუაზიულ-განმათავისუფლებელ ნაციონალურ მოძრაობას და დასაწყისი მისცა ჩაგრულ ეროვნებათა მუშებისა და გლეხების ახალი, სოციალისტური მოძრაობის ერას, მოძრაობისა, რომელიც მიმართულია ყოველგვარ, — მაშასადამე, ნაციონალურ, — ჩაგვრის წინააღმდეგ, „თავისი“ და სხვისი ბურჟუაზიის ძალაუფლების წინააღმდეგ, საერთოდ იმპერიალიზმის წინააღმდეგ“[2]. ეს ასე ხდება იმიტომ, რომ „რუსეთის რევოლუციამ პირველმა დააყენა ფეხზე აღმოსავლეთის ხალხები იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად“[3]. ამით ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ გააერთიანა დასავლეთის სოციალისტური მოძრაობა და აღმოსავლეთის (კოლონიებისა და ნახევრადკოლონიების) ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ეს ფრიად მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა გენიალურად გააშუქა ამხანაგმა სტალინმა ნაციონალურ საკითხისადმი მიძღვნილ თავის გამოსვლებში და სტატიებში 1917 — 1923 წ. წ., რაც სტალინისათვის ჩვეული კლასიკური სიცხადით შეჯამებულია მის წერილში „ნაციონალური საკითხის დაყენებისათვის“ (1921 წ.). „იმპერიალისტურმა ომმა გვიჩვენა, ხოლო უკანასკნელი წლების რევოლუციურმა პრაქტიკამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ: 1) ნაციონალური და კოლონიური საკითხები შეუძლებელია გამოეყოს კაპიტალის ძალა-უფლებისაგან განთავისუფლების საკითხს; 2) იმპერიალიზმს (კაპიტალიზმის უმაღლეს ფორმას) არ შეუძლია არსებობა არასრულუფლებიანი ერებისა და კოლონიების პოლიტიკური და ეკონომიური დამონების გარეშე; 3) არასრულუფლებიანი ერები და კოლონიები არ შეიძლება განთავისუფლებულ იქნან კაპიტალის ძალაუფლების დაუმხობლად; 4) პროლეტარიატის გამარჯვება არ შეიძლება მტკიცე იყოს იმპერიალიზმის უღლისაგან არასრულუფლებიან ერების და კოლონიების განთავისუფლების გარეშე“[4].

საბჭოთა სახელმწიფოს შიგნით ნაციონალური საკითხის გადაწყვეტა სხვადასხვა შინაარსს ღებულობს საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და სო-

---

1 ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, ტ. 2, გვ. 326 — 336.
2 ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულ. 4, გვ. 326 — 336.
3 იქვე, გვ. 187.
4 ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულ.. ტ. 5, გვ 61

ციალისტური მშენებლობის ზოგად და მთავარ ამოცანებთან დაკავშირებით. თუ საბჭოთა ხელისუფლების პირველ პერიოდში ძირითადი ამოცანა იყო ერის ლენინურ-სტალინური თეორიის პრინციპების ფაქტიური განხორციელება ერთობ და ხალხთა ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ გამიჯვნის სფეროში, მეორე პერიოდში ძირითადი ამოცანა ხდება უკვე ტერიტორიულ-ადმინისტრატიულად გამიჯნულ ერთა სამხედრო-პოლიტიკური და სამეურნეო თანამშრომლობის საკითხი, რესპუბლიკათა სახელმწიფოებრივი გაერთიანების საკითხი ნებაყოფლობითი კავშირის სახით. ამით ხორციელდება ლენინურ-სტალინური დიალექტიკა გამოყოფილთა გაერთიანების შესახებ, ე. ი. ერთა გაერთიანების სიმტკიცის პირობაა მათი გამოყოფა [1]. სწორედ ამიტომ ხდება, რომ საბჭოთა სინამდვილეში ერების გაერთიანება მათს ერთიმეორეში გათქვეფას არ ნიშნავს [2], რომ სახელმწიფოებრივი გაერთიანება ნებაყოფლობითი კავშირის სახით მხოლოდ ზღუდავს და არ აუქმებს ერთა სახელმწიფოებრივ დამოკიდებულებას. „ზოგიერთები წმინდა სქოლასტიკურ კითხვას იძლევიანო, — ამბობდა ამხანაგი სტალინი თავის მოხსენებაში პარტიის მე-12 ყრილობაზე,—როგორ? გაერთიანების შემდეგ რესპუბლიკები განა დამოუკიდებელნი რჩებიანო? — ეს სქოლასტიკური კითხვაა. მათი დამოუკიდებლობა იზღუდება, ვინაიდან ყოველი გაერთიანება ერთგვარი შეზღუდვაა წინად ქონებული უფლებებისა იმათთვის, ვინც გაერთიანდა. მაგრამ დამოუკიდებლობის ძირითადი ელემენტები უეჭველია, რჩება თვითეულ რესპუბლიკას თუნდაც იმიტომ, რომ თვითეულ რესპუბლიკას აქვს კავშირის შემადგენლობიდან ცალმხრივი გამოსვლის უფლება“ [3].

მაგრამ ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკაში მთავარი როდია ნაციონალური საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფოებრივი წყობის ასპექტით, ე. ი. უფლებრივი თანასწორობის უზრუნველყოფა, ვინაიდან ეს უფლებრივი თანასწორობა ცარიელ ფორმად დარჩება სათანადო ეკონომიური საფუძვლის გარეშე. ამიტომ ბოლშევიკურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას სიმძიმის ცენტრი გადააქვს ერთა ფაქტიურ, ეკონომიურ თანასწორობის უზრუნველყოფაში, რაც უმთავრესად ინდუსტრიულ განვითარებაში გამოიხატება. განმარტავდა რა ნაციონალური საკითხის არსებას პარტიის მე-10 ყრილობაზე, ამხანაგი სტალინი ამბობდა, რომ უნდა „მოვსპოთ ზოგიერთი ერის ის ფაქტიური ჩამორჩენილობა (სამეურნეო, პოლიტიკური, კულტურული) რომელიც მათ მემკვიდრეობად გადმოეცათ წარსულისაგან, რომ საშუალება მივცეთ ჩამორჩენილ ხალხებს დაეწიონ ცენტრალურ რუსეთს სახელმწიფოებრივადაც, კულტურულადაც და მეურნეობრივადაც“[4]. ამავე საკითხს აქცევს მთავარ ყურადღებას ამხანაგი სტალინი თავის მოხსენებაში პარტიის მე-12 ყრილობაზე. „უფლებრივი თანასწორობა ჩვენ გამოვაცხადეთ და ვახორციელებთ მას, მაგრამ უფლებრივი თანასწორობა, რომელსაც თავისთავად უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა რესპუბლიკების განვითარების ისტორიაში, მაინც დიდად დაშორებულია ფაქტიურ თანასწორობას“ [5].

ერთა სწორედ ამ ფაქტიური თანასწორობის ურყევი თანდათანობითი უზ-

---

[1] იხ. სტალინი, თხზულ. ტ. 6, გვ. 168.
[2] იხ. სტალინი, თხზულ. ტ. 5, გვ. 23—25.
[3] იქვე, გვ. 268 — 269.
[4] ი. სტალინი. თხზულ., ტ. 5, გვ. 42.
[5] იქვე. გვ. 273

რუნველყოფით შესძლეს ბოლშევიკურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენი მრავალერიანი სახელმწიფოს ასეთი განმტკიცება, რომლის მსგავსი ისტორიამ არ იცის და რაც პრინციპულად მიუწვდომელი და მიუღწეველია ექსპლოატატორული წყობისათვის.

მეორე ომის შემდგომი ისტორიული ვითარება კიდევ უფრო ართულებს და ამწვავებს ნაციონალურ საკითხს. თუ რამდენიმე ათეული წლის წინ ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მოიცავდა უმთავრესად აღმოსავლეთს, ხოლო თვით დასავლეთში ნაციონალური პრობლემა ეხებოდა სულ რამდენიმე ერს (უმთავრესად აღმოსავლეთ ევროპაში, თუ ირლანდიას განზე დავტოვებთ), რომელნიც მონარქიულ მრავალერიან ცენტრალიზებულ სახელმწიფო მარწუხებში მოექცნენ [1], დღეს კაპიტალისტურ ბანაკში ნაციონალური ჩაგვრა ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ ვრცელდება თითქმის ყველა ევროპულ ხალხებზე თვით ინგლისელების, ჩამორჩენილ ხალხთა ამ საუკუნოვანი და დახელოვნებული მჩაგვრელების, ჩათვლით. ამას ხელი შეუწყო არა მარტო განვითარების ნახტომისებურ არათანაბრობამ, რაც ახასიათებს იმპერიალიზმის ხანის კაპიტალიზმს, ან და კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ სფეროების „ამოწურვამ", არამედ იმ ახალმა კანონზომიერებამ, რომელიც გახსნა კაცობრიობის ისტორიაში ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ. სწორედ ოქტომბრის რევოლუციამ და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ დედამიწის ერთ მეექვსედზე შთაბერა უძლეველობის სული კოლონიებისა და ნახევარკოლონიების ნაციონალურ განმათავისუფლებელ მოძრაობას, რასაც ლენინურ-სტალინური მოძღვრების თანახმად სათავეში უნდა ჩასდგომოდა თვით ამ ქვეყნების ყველაზე რევოლუციური ელემენტი—მუშათა კლასი. ეხებოდა რა ინდოეთის ტიპის კოლონიების ანტიიმპერიალისტურ მოძრაობას, ამხანაგი სტალინი 1925 წ. ამბობდა: „რევოლუციური ანტიიმპერიალისტური ბლოკის შექმნა და ამ ბლოკში პროლეტარიატის ჰეგემონიის უზრუნველყოფა—ასეთია ამოცანა" [2]. ეს ამოცანა უშუალოდ გამომდინარეობს ამხანაგ სტალინის მიერ ჯერ კიდევ 1918 წელს ფორმულირებული ზოგადი პრინციპიდან, რომ ოქტომბრის რევოლუციამ ცხადი გახადა, „რომ ჩაგრულ ეროვნებათა მშრომელი მასების განთავისუფლება და ნაციონალური ჩაგვრის მოსპობა წარმოუდგენელია იმპერიალიზმთან კავშირის გაუწყვეტლად, „თავისი" ნაციონალური ბურჟუაზიის დაუმხობლად და თვით მშრომელი მასების მიერ ძალაუფლების აუღებლად" [3]. სტალინის ამ ბრძნული იდეით ხელმძღვანელობდა ჩინეთის სახელოვანი კომუნისტური პარტია თავისი განთქმული და გამოჩენილი ბელადის მაო-ძე-დუნის წინამძღოლობით და ამიტომ შეეძლო მას ღირსეულად ჩასდგომოდა სათავეში ჩინეთის ხალხის ანტიიმპერიალისტურ და დემოკრატიულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რაც დაგვირგვინდა ბრწყინვალე გამარჯვებით, ჩინეთში სახალხო-დემოკრატიული წყობის დამყარებით და, ამრიგად, ჩინეთის 475 მილიონიანი ხალხის გამოვარდნით იმპერიალიზმის ორბიტიდან აღმოსავლეთის სწორედ იმ ზონაში, რომელიც დასავლეთ ევროპასა და ამერიკის იმპერიალისტებს თავიანთ მუდმივ სათარეშოდ მიაჩნდათ. რა რიგ ბეცებიც არ

---

1 ისტორიული ვითარება, რომელმაც ამ პროცესს შეუწყო ხელი, გენიალურად გააშუქა ამხანაგმა სტალინმა თავის თეზისებში პარტიის მე-10 ყრილობისათვის (იხ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულ. ტ. 5, გვ. 18).

2 ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულ., ტ. 7, გვ. 163.

3 ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულ., ტ. 4, გვ. 177.

უნდა იყვნენ იმპერიალიზმის მესვეურნი, მათ არ შეუძლიათ ცოტათი მაინც არ მიხვდნენ, რომ სახალხო-დემოკრატიული ჩინეთი დიადი საბჭოთა კავშირის გვერდით წინასწარ სწყვეტს დადებითად ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობის ბედს აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, რაც ჩრდილით მოსავს მათში იმპერიალისტური თარეშის პერსპექტივას. ამიტომ რა გასაკვირველია, რომ ისტორიული პირობების გამო ყველაზე გაძლიერებული იმპერიალისტური ქვეყანა ხელჰყოფს უკვე თავის საკმაოდ მოსუსტებულ „პარტნიორებს". განაცხადი არ არის, რომ ამერიკული იმპერიალისტების მსოფლიო ბატონობისკენ მისწრაფება მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკური გამოხატულებაა მათი ზრახვისა—კაპიტალისტური ევროპის ყველა ქვეყანა თავის საექსპლოატაციო არენად გაიხადოს, რაც ნაციონალური ჩაგვრის გარეშე წარმოუდგენელია. დღეს უკვე მხოლოდ ბრმებს თუ გამოეპარებათ, რომ სწორედ აღნიშნული გზით მიდის ამერიკული იმპერიალიზმის სტრატეგია ეკონომიურ („მარშალის გეგმა"), პოლიტიკურ (მსოფლიო მთავრობა) და იდეოლოგიურ (კოსმოპოლიტიზმი) სფეროში. „მსოფლიო ბატონობაო—წერდა ლენინი,—არის, მოკლედ რომ ვთქვათ, შინაარსი იმპერიალისტური პოლიტიკისა, რომლის გაგრძელებას წარმოადგენს იმპერიალისტური ომი"[1]. იმპერიალისტური კოსმოპოლიტიზმი იმიტომაა აუცილებელი ნაციონალიზმის შებრუნებული მხარე, რომ ის ერთად-ერთი ერის შეუზღუდველი უფლებების აღიარებაა ყველა დანარჩენ ერთა უფლებების ხარჯზე. ის არის საერთოდ კაპიტალიზმის იმ ორი ანტაგონისტური ტენდენციის უკიდურესი გამოხატულება, რაც მას საერთოდ ახასიათებს და რაც პირველად აღნიშნეს ლენინმა და სტალინმა. „განვითარებაში მყოფმა კაპიტალიზმმაო,—წერდა ლენინი,—იცის ნაციონალურ საკითხში ორი ისტორიული ტენდენცია. პირველი: ნაციონალური ცხოვრების და ნაციონალური მოძრაობის გამოღვიძება, ბრძოლა ყოველგვარ ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ, ნაციონალური სახელმწიფოების შექმნა. მეორე: ერთა შორის ყოველგვარ მიმართებათა განვითარება და გაბშირება, ნაციონალური კედლების მსხვრევა, კაპიტალის, საერთოდ ეკონომიური ცხოვრების, პოლიტიკის, მეცნიერების და სხვ. ინტერნაციონალური ერთიანობის შექმნა. ორივე ტენდენცია კაპიტალიზმის მსოფლიო კანონს წარმოადგენს. პირველი სჭარბობს მისი განვითარების დასაწყისში, მეორე ახასიათებს მომწიფებულს, სოციალისტურ საზოგადოებად გადაქცევისაკენ მიმავალ კაპიტალიზმს"[2]. ახასიათებს რა ამ ტენდენციებს, ამხანაგი სტალინი აღნიშნავს: „იმპერიალიზმისთვის ეს ორი ტენდენცია შეუერიგებელ წინააღმდეგობას წარმოადგენს, ვინაიდან იმპერიალიზმს არ შეუძლია ცხოვრება უექსპლოატაციოდ და „ერთიანი" მთელის ფარგლებში კოლონიების ძალდატანებითი შენარჩუნების გარეშე, ვინაიდან იმპერიალიზმს ერების დაახლოება შეუძლია მხოლოდ ანექსიისა და კოლონიური დაპყრობის გზით, ურომლისოდაც ის, საერთოდ რომ ვთქვათ, წარმოუდგენელია"[3].

უნდა აღინიშნოს, რომ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს არაფერი აქვს საერთო ნამდვილ პატრიოტიზმთან, ვინაიდან „სამშობლოს, ხალხისა და რისაც გინდა ინტერესებზე უფრო მაღლა კაპიტალი აყენებს „ყველა ქვეყნის კაპიტალისტთა კავშირის დაცვას მშრომელების წინააღმდეგ"[4]. ნაციონალური სახელმწიფო

---

[1] В. И. Ленин, соч., т. XIX, стр. 201.
[2] В. И. Ленин, соч., т. XVII, стр. 139—140.
[3] ი. სტალინი, თხზულ., ტ. 6, გვ. 169.
[4] В. И. Ленин, соч., т. XXIII, стр. 4.

მხოლოდ ბაზაა იმპერიალისტური ბურჟუაზიისთვის მასების ექსპლოატაციის უზრუნველსაყოფად როგორც სახელმწიფოს შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზე. მას ჩალის ფასად უღირს თავისი ქვეყნის კულტურულ-ისტორიული ტრადიცია, მთელ „თავის“ ხალხს და მის ისტორიას სიამოვნებით გაყიდის თავისი ძოგების თუნდაც ნახევარი პროცენტით აწევის გულისათვის.

სანამ ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციით გამოწვეული საერთო კრიზისი კაპიტალიზმისა უაღრესად არ გაამწვავებდა მის შინაგან და გარეგან წინააღმდეგობებს, სანამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარება და განმტკიცება ჩვენს ქვეყანაში არ გააერთმთლიანებდა ნაციონალ-განმათავისუფლებელ და პროლეტარულ მოძრაობას, ბურჟუაზიას ასეთუისე შეეძლო ნაციონალური მოძრაობის ბელადად მოეჩვენებია თავი, მაგრამ დღეს მსოფლიოს ორ მოპირდაპირე ბანაკად გაყოფის პერიოდში, სოციალიზმის ბანაკის უწყვეტი და განუხრელი განმტკიცების და იმპერიალიზმის ბანაკის ისევე უწყვეტი და განუხრელი დასუსტების ვითარებაში, ბურჟუაზია საბოლოოდ ამეღავნებს თავის რეაქციულ არსობას საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა სფეროში და ის უკვე გამოუსადეგარია იმ როლისთვისაც, რასაც ის წინათ ასრულებდა. დღეს არა მარტო ჰოლანდიის, ბელგიის, შვეიცის, ფინეთისა და სხვა პატარა და საშუალო კაპიტალისტური ქვეყნების ბურჟუაზია, არამედ იტალიის, საფრანგეთის და ინგლისის ბურჟუაზიაც მზადაა ხელი აიღოს ნაციონალურ სუვერენიტეტზე და თავის უფროს „პარტნიორს“—ამერიკის ბურჟუაზიას ემსახუროს, ოღონდ კი შეინარჩუნოს თავისი ეკონომიური პოზიცია. ასეთივე ბედი უნდა სწვეოდათ მის ერთგულ აგენტურას მუშათა მოძრაობაში—მემარჯვენე სოციალისტებს, რომელთაც თუ წინათ, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე, შეეძლო თავის შენიღბვა სოციალური დემაგოგიით და დამახინჯებული მარქსიზმით, დღეს უკვე იძულებულნი არიან ნიღაბი აიხადონ და პირდაპირ გაილაშქრონ მარქსიზმის წინააღმდეგ, მუშათა კლასის ინტერესების წინააღმდეგ. ამიტომაა, რომ სწორედ მემარჯვენე სოციალისტები გამოდიან ამერიკული იმპერიალიზმის მსოფლიო ბატონობის იდეოლოგიის — კოსმოპოლიტიზმის—მთავარ პროპაგანდისტებად. ინგლის-ამერიკული იმპერიალიზმის ასეთივე სამსახურში აღმოჩნდა ტიტოს ხროვა იუგოსლავიაში, რომელსაც თურმე „შრომის განაწილებით“ დაევალა ახალი სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მუშათა პარტიებში შეძრომა და მათი შიგნიდან გახრწნა. როგორც უკვე გამორკვეულია, ინგლის-ამერიკული იმპერიალისტების მთავარი დაკვეთა ტიტოს ხროვისათვის იმაში მდგომარეობდა, რომ მას მოეწყვიტა ახალი დემოკრატიული ქვეყნები საბჭოთა კავშირისაგან, რომ ეწარმოებია ძირგამომთხრელი მუშაობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. სწორედ ამის გამო დასახა მიმდინარე წლის ნოემბერში შემდგარმა კომუნისტური პარტიების ინფორმაციული ბიუროს თათბირმა დაუნდობელი ბრძოლა ტიტოს ხროვის წინააღმდეგ ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიის ინტერნაციონალურ მოვალეობად. მაგრამ საზიზღარ გამცემლებს ტიტოს ხროვიდან „ბედმა უმტყუნა“ და როგორც თვითონ ხროვა, ისე მისი აგენტურა ახალი დემოკრატიის ქვეყნებში მხილებულია და ნიღაბაგლეჯილი თავისი საზიზღარი სახით სდგას მსოფლიოს პროგრესიული აზრის სამსჯავროს წინაშე.

შემთხვევითი როდია, რომ ისევე როგორც პროლეტარიატია ჰეგემონი ყველა ანტიიმპერიალისტური მოძრაობისა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში, მისი ავანგარდი, კომუნისტური პარტია წარმოადგენს დღეს კაპიტა-

ლისტურ ქვეყნებში ყველა ანტიიმპერიალისტურ, პროგრესიულ ელემენტთა მეთაურს, რომ ის იცავს აგრეთვე ხალხთა სუვერენულ უფლებებს წინააღმდეგ უთვისტომო კოსმოპოლიტიზმისა. თავისთავად ცხადია, რომ დიადი საბჭოთა კავშირი წარმოადგენს ურყევ ბაზას მსოფლიოს ყველა თანამედროვე ნამდვილად პროგრესიული მოძრაობისა, რომ საბჭოთა კავშირი მეთაურობს ბრძოლას იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ ხალხთა თავისუფლებისა და ნაციონალური სუვერენიტეტის დასაცავად. სწორედ ამიტომაა უთვისტომო ბურჟუაზიული კოსმოპოლიტიზმი თავისი მთავარი მახვილით მიმართული საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, სწორედ ამიტომ ცდილობს იმპერიალისტური ბურჟუაზია დემაგოგიურად გამოიყენოს საბჭოთა ინტერნაციონალიზმი თავისი აგენტურის შესანიღბავად, როგორც ეს გამოირკვა ჩვენს თეატრალურ და ლიტერატურულ კრიტიკაში, აგრეთვე მეცნიერების ზოგიერთ დარგში შემძვრალ უთვისტომო კოსმოპოლიტების მხილების დროს.

საბჭოთა ინტერნაციონალიზმი, როგორც გამოხატულება ლენინურ-სტალინური მოძღვრებისა ნაციონალურ საკითხში, პრინციპულად ეწინააღმდეგება ბურჟუაზიულ კოსმოპოლიტიზმს. საბჭოთა ინტერნაციონალიზმი ემყარება არა ნაციონალურ ნიჰილიზმს, არამედ უაღრეს შეფასებას ყველა იმ ნაციონალური თავისებურებისა და ტრადიციისა, რაც კი არ ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ პროგრესს, არამედ მის ელემენტს შეადგენს. „ნაციონალური ნიჰილიზმი—ამბობდა ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ 1918 წ.,—მხოლოდ ვნებს სოციალიზმის საქმეს და ხელს უწყობს ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს“ [1]. საბჭოთა ინტერნაციონალიზმის პოზიციიდან ანადგურებდა ამხანაგი სტალინი კონტრრევოლუციურ ტროცკიზმს, რომელიც ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის უარყოფით ნაციონალური ნიჰილიზმის გამოხატულებასაც წარმოადგენდა, აგრეთვე იმათაც, ვინც ნაციონალურ კარჩაკეტილობას მოითხოვდა და წყვეტდა სოციალისტური რევოლუციის ამოცანებს ჩვენს ქვეყანაში მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ამოცანებისაგან [2]. „საბჭოთა კავშირის „ნაციონალური“ და ინტერნაციონალური ამოცანები — ამბობს ამხანაგი სტალინი—ირწყმებიან (сливаются) კაპიტალიზმისაგან ყველა ქვეყნის პროლეტარების განთავისუფლების საერთო ამოცანად... ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის ინტერესები მთლიანად სავსებით ირწყმებიან ყველა ქვეყნის რევოლუციურ მოძრაობის ინტერესებთან ყველა ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ერთ საერთო ინტერესად“ [3]. საბჭოთა ინტერნაციონალიზმი ედო და უდევს საფუძვლად ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს სტალინურ საგარეო პოლიტიკას.[4] ამიტომ გასაგებია, რომ დაუნდობელი ბრძოლა ბურჟუაზიული კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ მთელი ჩვენი საბჭოთა ინტელიგენციის ერთ-ერთ მთავარ იდეოლოგიურ ამოცანას წარმოადგენს.

ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ ამხანაგი სტალინი ავითარებდა თავის თეორიას ნაციონალურ საკითხში ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის და მსოფლიო პროლეტარულ და ნაციონალურ განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცდილების განზოგადოების საფუძველზე. ასე წარმოიშვა სტალინური ჰოძღვრება სოციალისტური ერების შესახებ, რომელმაც კლასიკური გამოხა-

---

[1] იხ. ი. სტალინი, თხზულ. ტ. 4, გვ. 99.

[2] იხ. ი. სტალინი, თხზულ. ტ. 7, გვ. 184 — 186

[3] И. Сталин, сочин., т. 9, стр. 27.

[4] იხ. ი. სტალინი, თხზულ. ტ. 7, გვ. 187

ტულება ჰპოვა შრომაში „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი". „მუშათა კლასი და მისი ინტერნაციონალისტური პარტია, — ამბობს ამხანაგი სტალინი აღნიშნულ შრომაში, — წარმოადგენენ იმ ძალას, რომელიც ამჭიდროებს (скрепляет) ამ ერებს და ხელმძღვანელობს მათ. მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის კავშირი ერთა შიგნით კაპიტალიზმის ნაშთების ლიკვიდაციისთვის და სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობისათვის; ნაციონალური ჩაგვრის ნაშთების მოსპობა ერთა და ნაციონალურ უმცირესობათა თანასწორუფლებიანობისა და თავისუფალი განვითარებისათვის; ნაციონალიზმის ნაშთების მოსპობა ხალხთა შორის მეგობრობის დამყარებისთვის და ინტერნაციონალიზმის განმტკიცებისთვის; ერთიანი ფრონტი ყველა ჩაგრულ და არათანასწორუფლებიან ერთა ბრძოლაში დაპყრობათა პოლიტიკის და დამპყრობელი ომების წინააღმდეგ, ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ — ასეთია ამ ერთა სულიერი და სოციალურ-პოლიტიკური სახე" [1].

თუ ჯერ კიდევ 1924 წ. ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ ნაციონალური მოძრაობა აღმოჩნდა გაცილებით უფრო სერიოზული, ვინემ ეს ოქტომბრის რევოლუციამდე სჩანდა, სოციალისტური საზოგადოების აშენების პრაქტიკამ შემდეგში კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა მიანიჭა ნაციონალურ მომენტს სოციალისტურ მშენებლობაში და სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებაში. ამან გამოხატულება ჰპოვა ამხანაგი სტალინის გამოსვლაში ტაჯიკეთისა და თურქმენეთის მოწინავე კოლმეურნეობათა თათბირზე პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან. „საბჭოთა ხალხთა შორის არსებული მეგობრობა, — თქვა ამხანაგმა სტალინმა, — დიადი და სერიოზული მონაპოვარია. ვინაიდან სახამ ეს მეგობრობა არსებობს, ჩვენი ქვეყნის ხალხები თავისუფალნი და უძლეველნი იქნებიან. არავინ არაა საშიში ჩვენთვის, არც შინაგანი, არც გარეგანი მტრები, სანამ ეს მეგობრობა ცოცხლობს და დღეგრძელობს" [2]. ეს კიდევ ახალი მომენტია სტალინურ მოძღვრებაში ერის შესახებ. განა ცხადი არ არის, რომ ხალხთა ამ სტალინური მეგობრობის საფუძველი არის სწორედ სოციალისტური ერების ჩამოყალიბება ჩვენს ქვეყანაში, ე. ი. ხალხთა სრული თავისუფლება და ნებაყოფლობითი კავშირი, უაღრესი ურთიერთი პატივისცემა ხალხთა ნაციონალური კულტურისა და ტრადიციისადმი, რისი მთავარი გამოხატულებაც არის სოციალისტური კულტურის ნაციონალური ფორმა.

შემდეგ, თავის მოხსენებაში პარტიის XVIII ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა ხალხთა მეგობრობა განსაზღვრა, როგორც ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ერთ-ერთ მამოძრავებელი ძალა. რა თქმა უნდა, ესეც ახალი მომენტია ერის სტალინური თეორიის განვითარებაში.

ასეთივე ახალს და მეტად მნიშვნელოვან მომენტს ნაციონალური საკითხის თეორიულ გაშუქებაში წარმოადგენს ამხანაგი სტალინის გამოსვლა ფინეთის დელეგაციის მიღების დროს, 1948 წლის აპრილში. „საბჭოთა ადამიანებს მიაჩნიათ, — განაცხადა ამხანაგმა სტალინმა, — რომ ყოველ ერს — სულ ერთია დიდია ის თუ პატარა, გააჩნია თავისი თვისობრივი თავისებურებანი, თავისი სპეციფიკა, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნის და რომელიც სხვა ერებს არ გააჩნია. ეს თავისებურებანი წარმოადგენენ იმ წვლილს, რომელიც შეაქვს თითოეულ ერს მსოფლიო კულტურის საერთო საგანძურში, და რითაც ავსებს და

[1] И. Сталин, соч., т. 11, стр. 339

[2] ი. სტალინი, თხზულ., ტ. 3, გვ. 34

ამდიდრებს მას"[1]. ამ დებულებას უდიდესი თეორიული მნიშვნელობა აქვს ერთა არა მხოლოდ წარსული როლის, არამედ მათი ისტორიული მომავლის გარკვევისათვის. აქედან ცხადად გამომდინარეობს, რომ ნაციონალური ტრადიცია, რაც საუკუნეების მანძილზე თანდათანობით იქმნებოდა ხალხების (და არა ცალკეული პირების!) მიერ, გარდა უარყოფითისა, რაც თანდათანობით უნდა გაუქმდეს სოციალიზმის მშენებლობის დროს[2], აგრეთვე დადებით მხარეებს შეიცავს, რაც მსოფლიო კულტურის საგანძურში შედის.

ჯერ კიდევ 1925 წელს ამხილა ამხანაგმა სტალინმა სოციალ-გამცემელ კაუცკისა და სხვათა შეხედულება, თითქოს ნაციონალური ენა უნდა გაუქმდეს უკვე სოციალიზმის პერიოდში[3]. ხოლო თავის შემდგომ შრომაში „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი" უფრო ყოველმხრივ და ამომწურავად გააშუქა ეს საკითხი. მისთვის ჩეული გენიალური ანალიზის საფუძველზე ამხანაგი სტალინი იმ დასკვნამდე მიდის, რომ სოციალისტური სისტემის მთელს მსოფლიოში დამყარების შემდეგ, როცა უკვე საკმაოდ განმტკიცდება მსოფლიო ეკონომიური ერთიანობა სოციალიზმის საფუძველზე, მოსალოდნელია ნაციონალურ ენათა კვდომა და ყველასათვის საერთო მსოფლიო ენის შექმნა[4]. აქედან ზოგიერთს გამოყავს ისეთი დასკვნა, თითქოს სტალინის შეხედულებით მომავალი მსოფლიო კომუნისტური კულტურა ცალკეულ ხალხთა კულტურის თავისებურებათა სრულ ბოსპობას ნიშნავს. ჯერ ერთი, ენა არის თუმცა მთავარი, მაგრამ არა ერთად-ერთი გამოხატულება კულტურის ნაციონალური ფორმისა, მეორეც, ნაციონალურ ენათა კვდომა გულისხმობს, უწინარეს ყოვლისა, მათი სახელმწიფოებრივი სამეურნეო და ზოგად კულტურულ ფუნქციების ამოწურვას კომუნიზმის მსოფლიოში გამარჯვებისა და განმტკიცების შემდეგ და არა მათი გარკვეული სახის მხატვრულ-კულტურული ფუნქციების ამოწურვას. წინააღმდეგ შემთხვევაში კომუნიზმი კულტურის არა გამდიდრება, არამედ მისი გაღარიბება იქნებოდა, რაც ძირიანად ეწინააღმდეგება მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრებას კომუნიზმზე. მართალია, აღნიშნულ შრომაში ამხანაგი სტალინი ლაპარაკობს ნაციონალურ ენებთან ერთად ნაციონალურ განსხვავებათა კვდომაზეც[5], მაგრამ ამ შემთხვევაში იგულისხმება ისეთ განსხვავებათა კვდომა, რომელთაც მყარი მხატვრულ-კულტურული ღირებულება არ გააჩნიათ და თავისთავად ისპობიან ხალხთა კულტურულ ურთიერთგავლენის პროცესში. ამხანაგი სტალინი ლაპარაკობს აგრეთვე ერთა სრულ შერწყმაზე (слияние)[6], მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ აქ უპირველეს ყოვლისა

---

[1] „Правда" 13. IV. 1948 წ.

[2] „თანდათანობით" იმიტომ რომ ზოგჯერ სოციალისტურ ხელისუფლებას პირველ ხანებში უხდება უარყოფითი ტრადიციების დროებითი გამოყენება საბოლოო ანგარიშში მათივე მოსპობის მიზნით, ვინაიდან ნაციონალური ტრადიცია იმდენად ახლოა ხალხის გულთან, რომ მისი თუნდაც უარყოფითი მხარის უხეშად შელახვა სერიოზულ წინააღმდეგობას იწვევს მათი ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესების გამომხატველ ღონისძიებათა მიმართაც. ამის ისტორიულ მაგალითს წარმოადგენს ამხანაგი სტალინის განცხადება შარიათის შესახებ მის გამოსვლაში დაღისტნის ხალხთა ყრილობაზე 1920 წ. ნოემბერში (იხ. ი. სტალინი, თხზულ. ტ. 4, გვ. (431, 438).

[3] იხ. ი. სტალინი, თხზულ., ტ. 7, გვ. 152 — 153.

[4] იხ. И. Сталин, соч., т. 11. стр. 348 — 349.

[5] იქვე, გვ. 349.

[6] იქვე, გვ. 345 — 346.

გულისხმება სახელმწიფოებრივ-ადმინისტრატიული და სამეურნეო-ეკონომიური სფერო, და არა მთლიანად ხალხთა სულიერი კულტურის სფერო.

შეიძლება იფიქრონ, რომ ინდივიდუმთა კულტურული გაფურჩქვნა კომუნიზმის დროს, მათი განსხვავებული და მრავალფეროვანი ბუნებრივი დაჯილდოების საფუძველზე, ზედმეტს გახდის იმ როლს, რომელიც ისტორიულად ნაციონალური ტრადიციის სახით იქნებოდა, მაგრამ ჯერ ერთი — კომუნიზმი, უარყოფს რა სახელმწიფოებრივ ცენტრალიზაციას, სრულიადაც არ უარყოფს გარკვეულ ორგანიზაციულ ფორმებს — წინააღმდეგ შემთხვევაში კომუნიზმი ანარქიზმს გაუტოლდებოდა. ცნობილია, რომ ლენინისა და სტალინის მოძღვრების თანახმად კომუნისტური საზოგადოება (კომუნიზმის მსოფლიო გამარჯვების შემდეგ) თვითმმართველ კომუნების (самоуправляющиеся коммуны) სახით იარსებებს. განა ბუნებრივი არ არის ვიგულისხმოთ, რომ ასეთი კომუნების ორგანიზაციისას კულტურულ-ეთნოგრაფიული მომენტი გარკვეულ როლს ითამაშებს? შეიძლება შეგვნიშნონ: ეთნოგრაფიული განსხვავება ხომ ნაციონალური განსხვავება არ არისო—ეს თავისთავად ცხადია ერის, როგორც კაპიტალისტური კატეგორიის გაგებით, მაგრამ როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სტალინის თეორიის მიხედვით ერი, როგორც აღმავალი კაპიტალიზმის ეპოქის კატეგორია, მზამზარეულად არ ჩამოვარდნილა ზეციდან [1]. ის შეიქმნა იმ ნაციონალურ ელემენტებიდან, რომელნიც კაპიტალიზმამდე (ხშირად მრავალ საუკუნეების მანძილზე) ფორმდებოდნენ. ცხადია, ზედმეტი იქნებოდა დავა იმის შესახებ, რომ კომუნიზმის დროს მოისპობიან ის ნაციონალური ნიშნები, რომლებიც კაპიტალიზმის პერიოდში იქმნება. უკვე სოციალისტური ერების წარმოშობა ჩვენს ქვეყანაში ძველი, კაპიტალისტური ერების ბაზაზე გულისხმობს ძირითადად ამ ნიშნების მოსპობას. საკითხი ეხება ერის იმ სპეციფიკურ თავისებურებებს, რომლებზედაც ლაპარაკობდა ამხანაგი სტალინი ფინეთის დელეგაციის მიღების დროს, და რომლებიც ხალხთა მთელი ისტორიული არსებობის მანძილზე იქმნებიან.

მეორეც, კომუნიზმის დროს ნაციონალურ თავისებურებათა ინდივიდუალური თავისებურებით შეცვლის პრინციპი პირდაპირ ეწინააღმდეგება ფინეთის დელეგაციის მიღებაზე ამხანაგი სტალინის გამოსვლის დედააზრს, რომ ნაციონალური თავისებურებანი „წარმოადგენენ იმ წვლილს, რომელიც შეაქვს თითოეულ ერს მსოფლიო კულტურის საერთო საგანძურში, და რითაც ის ავსებს და ამდიდრებს მას“. ხომ არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს საგანძური არქივი ან მუზეუმი იქნება, რომელიც ნაციონალურ თავისებურებათა რელიკვიებს მიიბარებს? მაშინ ხომ მსოფლიო კულტურის „შევსებაზე და გამდიდრებაზე“ ზედმეტი იქნებოდა ლაპარაკი!

ფინეთის დელეგაციის მიღებაზე ამხანაგი სტალინის მიერ წამოყენებული დებულების აქ მოცემული ინტერპრეტაცია, მის მიერვე პარტიის მე-16 ყრილობაზე წამოყენებულ დებულებას, რომ ჩვენ ვართო მომხრენი „მომავალში ნაციონალურ კულტურათა შ ე რ წ ყ ი ს ა (слияния) ერთ საერთო (ფორმითაც და შინაარსითაც) კულტურად, ერთი საერთო ენით“ [2], ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება და აი რატომ. ჩვენს სინამდვილეში დღეს არსებული ნაციონალური ფორმა სოციალისტური კულტურისა არ

[1] И. Сталин, соч. т. II. стр. 336.
[2] И. Сталин. соч., т. 12. стр. 369.

ამოიწურება იმ ნაციონალური თავისებურებებით, რითაც თვითეული ერი „ავსებს და ამდიდრებს“ მსოფლიო კულტურას, არამედ ის გულისხმობს მთელ რიგ ისეთ ნაციონალურ ელემენტებს, რომელნიც სოციალისტური კულტურის არა განვითარების, არამედ მისი მხოლოდ ისტორიულად აუცილებელი არსებობის პირობაა, რამდენადაც ისინი საერთოდ ნაციონალური თავისებურებათა დიდი გამძლეობის (устойчивость) გამო[1] ინერციით განაგრძობენ არსებობას. გავიხსენოთ, რას ლაპარაკობდა ამხანაგი სტალინი შარიათის შესახებ დაღესტნის ხალხთა ყრილობაზე 1920 წ.[2]. თუ შარიათს ასეთი სერიოზული მნიშვნელობა აქვს დაღესტნის ხალხისათვის, ის უნდა დარჩესო, — განაცხადა ამხანაგმა სტალინმა. რას ნიშნავს ეს, თუ არა იმას, რომ საბჭოთა ხელისუფლებას დროებით ისეთი ჩამორჩენილი ადათიც უნდა გამოყენებია, როგორც შარიათი იყო, ვინაიდან შარიათის არსებობა მის ასეთუისე გამოყენებას ნიშნავდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ თავისი მიზნებისთვის. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ანალოგიაა, მაგრამ საკმაოდ არკვევს წამოყენებულ აზრს. ის, რაც სოციალისტური კულტურის ნაციონალური ფორმით არსებობის, და არა განვითარების პირობაა, დროთა ვითარებაში უნდა გაქრეს, ხოლო ის, რაც ამ განვითარების პირობაა, თვითონაც ვითარდება და იფურჩქნება. გარდა ამისა სოციალისტური კულტურის ნაციონალური არსებობის ფორმაში სახელმწიფოებრივი და ტერიტორიალურ-ადმინისტრატიული მომენტიც შედის, რომელიც, თავის თავად ცხადია აგრეთვე წარმავალია. ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ კომუნიზმის დროს ზოგად კულტურის შინაარსის და კერძო, ე. ი. ნაციონალური, ფორმის შესახებ ლაპარაკი უაზრობა იქნებოდა. ის ნაციონალური თავისებურებანი, რომლებითაც, ამხანაგი სტალინის შეხედულებით, თვითეული ერი ავსებს და ამდიდრებს საკაცობრიო კულტურას, ნაციონალური ფორმით კი არ იარსებებენ კომუნიზმის დროს, ვინაიდან მაშინ იხსნება საერთოდ ნაციონალური გაფორმება საზოგადოებრივი სტრუქტურის მხრით, არამედ ისინი ერთიანი კომუნისტური კულტურის (ფორმითაც და შინაარსითაც) შინაგან მრავალფეროვნებაში ჰპოვებენ გამოხატულებას, ე. ი. თვითონ ისინიც ფორმითაც და შინაარსითაც კომუნისტური იქნებიან. ეს ცხადი უნდა იყოს თუნდაც იქიდან, რომ ის ნაციონალური თავისებურებანი, რომელნიც სოციალისტური კულტურის არა მხოლოდ არსებობის, არამედ განვითარების პირობასაც წარმოადგენენ, თანდათან შინაარსითაც სოციალისტური, უკეთ რომ ვთქვათ, კომუნისტური უნდა გახდნენ საერთოდ განვითარების დიალექტიკური პრინციპის მიხედვით. ეს იმას ნიშნავს, რომ როგორც გენიალურად განმარტავს ამხანაგი სტალინი, კომუნისტური კულტურა ყალიბდება არა იმგვარად, რომ ჯერ განვითარდება ნაციონალური კულტურა და შემდეგ განვითარდება საკაცობრიო კულტურა, არამედ საბჭოთა კავშირის სოციალისტურ ერებთან ერთდროულად ვითარდება ნაციონალური კულტურაც და საკაცობრიო კულტურაც და სწორედ ამაშია სოციალისტური შინაარსის და ნაციონალური ფორმის დიალექტიკა[3]. ამას გულისხმობს სტალინის გენიალური დიალექტიკური ფორმულა: ნაციონალურ კულტურათა აყვავება მომავალში მათი ერთიან კომუნისტურ კულტურაში შერწყმისათვის[4].

---

[1] И. Сталин, соч., т. 11, стр. 347.

[2] ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 431.

[3] И. Сталин, соч., т. 10, стр. 350.

[4] იხ. И. Сталин, соч., т. 12, стр 369.

სოციალისტური ერების წარმოშობა და ხალხთა მეგობრობის საბოლოო განმტკიცება და გაღრმავება ჩვენს ქვეყანაში სრულიადაც არ გამორიცხავს დიდმპყრობელური შოვინიზმის და ადგილობრივი ნაციონალიზმის ცალკეული გამოვლენის შესაძლებლობას ჩვენი ინტელიგენციის წრეებში, რომელნიც (შოვინიზმი და ნაციონალიზმი) ამხანაგ სტალინის მოძღვრების თანახმად ერთიდაიმავე მახინჯი მოვლენის ორ მხარეს წარმოადგენენ და ერთიმეორეს ბადებენ[1]. სწორედ ამ მიმართულებით უფრო „გამძლეა" კაპიტალიზმის ნაშთები ადამიანთა ცნობიერებაში. ჯერ კიდევ 1923 წელს ამხანაგი სტალინი ხაზს უსვამდა[2], რომ ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ორივე ფორმა—დიდმპყრობელური შოვინიზმი და ადგილობრივი ნაციონალიზმი — საბჭოთა ხელისუფლების ვითარებაში შეიძლება ნიღაბი გახდეს ყოველგვარი ანტისაბჭოური განწყობილების გამოსახატავად. ნუ დაგვავიწყდება, რომ გარდა განადგურებული ბურჟუაზიული ინტელიგენციის ნაშთების არსებობისა ჩვენს ქვეყანაში, რომელნიც ან უთვისტომო კოსმოპოლიტიზმს, ან მის შებრუნებულ მხარეს, შოვინიზმსა და ნაციონალიზმს მიმართავენ ხოლმე საბჭოთა იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ჩვენი ქვეყანა იმყოფება კაპიტალისტურ გარემოცვაში, რომელიც თუნდაც ოდნავი შესაძლებლობითაც სარგებლობს იმისათვის, რათა თავისი გამხრწნელი გავლენა მოახდინოს ჩვენი ხალხის ცალკეულ იდეურად და პოლიტიკურად ჩამორჩენილ ელემენტებზე. დაუნდობელი ბრძოლა შოვინიზმის და ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოვლენის წინააღმდეგ არამარტო ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების, არამედ ყოველი პატიოსანი საბჭოთა ადამიანის ამოცანას და მოქალაქეობრივ ვალს შეადგენს.

მე შევეხე. და ისიც მოკლედ, ნაციონალურ საკითხში სტალინური მოძღვრების მხოლოდ ზოგიერთ საკითხს. მთელი მოძღვრების დალაგება-დახასიათება ვრცელ მონოგრაფიაშიც კი შეუძლებელია. ამ მოძღვრების სისწორე და სიდიადე თუნდაც იქიდან ჩანს, რომ სწორედ მისი მთავარი პრინციპები დაედო საფუძვლად ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალურ პოლიტიკას, წინააღმდეგ ავსტრო-მარქსულ, მენშევიკურ - ლიკვიდატორულ „კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიის" პრინციპისა, რაც გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ამხანაგმა სტალინმა ჯერ კიდევ 1912 წელს. სტალინური მოძღვრების პრინციპების პრაქტიკულ განხორციელებაზე აშენდა ისტორიაში უმაგალითო მეგობრობა ხალხთა შორის, განმტკიცდა და გაკაჟდა ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო, შეიქმნა საბჭოთა საზოგადოების ურყევი და ურღვევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, რამაც უდიდესი როლი შეასრულა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის მსოფლიო ისტორიული გამარჯვების საქმეში.

სტალინის მოძღვრებით ხელმძღვანელობენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მთავრობები ნაციონალური პრობლემების წარმატებითი გადაწყვეტაში და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის და კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რის გაღვივებას ამ ქვეყნებში ცდილობენ გაცოფებული იმპერიალისტები, რომელნიც ვერ შერიგებიან იმ გარემოებას, რომ დიდი საბჭოთა კავშირის დახმარებით და ხელმძღვანელობით ეს ქვეყნები გამოვარდნენ იმპერიალიზმის სა-

[1] იხ. ი. სტალინი, თხზულ. ტ. 5, გვ. 207 — 208.

[2] იხ. იქვე, გვ. 340 — 341.

თარეშო ორბიტიდან და მჭიდროდ შეუერთდნენ სოციალიზმის და დემოკრატიის ბანაკს.

სტალინის მოძღვრებით ხელმძღვანელობენ მოძმე კომუნისტური პარტიები კაპიტალისტურ და კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ქვეყნებში, უდგანან რა სათავეში ყოველგვარ მოძრაობას,—მათ შორის ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობასაც, რაიც მიმართულია იმპერიალისტური აგრესიის და თვით ლპობადი კაპიტალისტური წყობის წინააღმდეგ. ეჭვს გარეშეა, რომ იგივე სტალინური მოძღვრება დაედება საფუძვლად მსოფლიოში კომუნისტური წყობის აშენებას, რომელიც გარდუვალად გაიმარჯვებს, რადგანაც მსოფლიო რევოლუციურ მოძრაობას წინ მიუძღვის ლენინ-სტალინის უძლეველი დროშა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლ. გორგილაძე

ი. ბ. სტალინი განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ საქართველოში

★

ი. სტალინის ადრინდელი პერიოდის ნაშრომებს, რომლებიც შემოქმედებითი რევოლუციური მარქსიზმის კლასიკურ ნიმუშებს წარმოადგენენ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ საქართველოში განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის სწორად გაგებისა და შესწავლისათვის.

ი. სტალინის შრომებში მოცემული დებულებები და მითითებანი, აერთებენ რა მეცნიერულობას რევოლუციურობასთან, წარმოადგენენ ქართული საზოგადოებრივი აზრისა და საქართველოში მარქსიზმის წარმოშობის ისტორიის მარქსისტულ-ლენინურ გაშუქების სახელმძღვანელო პრინციპებს.

ამხანაგმა სტალინმა გვიჩვენა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი ეტაპები და მათ შესაბამისად ქართული საზოგადოებრივი აზრის ძირითადი პერიოდები, ნათელჰყო ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამომწვევი მიზეზები და ცვალებადობა, კლასობრივი საფუძველი და სამოქმედო პროგრამა, განსაზღვრა, როგორც პროლეტარული მოძრაობის ადგილი ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ისე ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელობა პროლეტარული მოძრაობისათვის.

საქართველოში განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის ყველა ამ საკვანძო საკითხის სწორად გაგებისათვის უწინარესყოვლისა გათვალისწინებული უნდა იქნას საქართველოს ერად ჩამოყალიბების ისტორიული პროცესი.

ი. სტალინის კლასიკურ ნაშრომში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ მარქსისტულ ლიტერატურაში პირველად არის მოცემული ერის მეცნიერული განსაზღვრა, რომლის თანახმად „ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა“ (ტ. 11, გვ. 319).

მხოლოდ ერის სტალინური განსაზღვრების საფუძველზე შეიძლება სწორად იქნას გათვალისწინებული ქართველი ერის გაჩენის ისტორიული პროცესი.

თვით ამხანაგი სტალინი ერის განსაზღვრისას, როგორც ისტორიულ მაგალითს, საქართველოსაც ასახელებს.

ერის დამახასიათებელი ელემენტები — ენისა, ტერიტორიისა და კულტურის ერთობა ჩანასახ მდგომარეობაში წინაკაპიტალისტურ ხანაში უკვე არსებობდნენ, მაგრამ ისინი ქმნიდნენ ქართველი ერის წარმოშობის შესაძლებლობას, რომელიც სინამდვილედ მხოლოდ XIX საუკუნის II ნახევარში იქცა, როცა ფეოდალიზმის ლიკვიდაციისა და კაპიტალიზმის განვითარების პირობებში წარმოიშვა შინაგანი ეკონომიური კავშირი, რომელმაც ქართველი ერის ცალკეული ნაწილები ერთ მთლიანად გააერთიანა.

მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეთა განმავლობაში ქართველები საერთო ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ და ერთი კულტურით საზრდოობდნენ, ერთ ერს არ წარმოადგენდნენ, ვინაიდან ერთმანეთისაგან მოწყვეტილ სამთავროებად დანაწილებულნი, სამეურნეო ნატურალური კარჩაკეტილობის პირობებში ცხოვრობდნენ და ერთმანეთს ებრძოდნენ. მართალია, აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, ზოგიერთი იღბლიანი მეფე ახერხებდა ხოლმე საქართველოს გაერთიანებას, მაგრამ ეს იყო ეფემერული და შემთხვევითი გაერთიანება, რომელიც ზედაპირულ-ადმინისტრატიულ სფეროს ეხებოდა და ადვილად ირღვეოდა მთავრების ჟინიანობითა და გლეხთა გულგრილობით. „საქართველო, როგორც ერი, მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა, როცა ბატონყმობის გაუქმებამ და ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ზრდამ, გზების განვითარებამ და კაპიტალიზმის წარმოშობამ დაამყარა შრომის განაწილება საქართველოს ოლქებს შორის, საბოლოოდ შეარყია სამთავროთა სამეურნეო კარჩაკეტილობა და ერთ მთლიანად შეაკავშირა ისინი“ (იქვე, გვ. 318).

ამგვარად, როცა საქართველო მეფის რუსეთს შეუერთდა ერთ მთლიან ერად მისი წარმოქმნის ხანგრძლივი ისტორიული პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. მან ვერ მოასწრო ეკონომიურად მთლიან ერად კონსოლიდაცია. რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოხდა საქართველოს ერად ჩამოყალიბება. მაგრამ ქართველი ერის წარმოშობა არ ნიშნავდა ამავე დროს მის დამოუკიდებელ ნაციონალურ სახელმწიფოდ გადაქცევას. რუსეთის საეროვნებათაშორისო სახელმწიფოს, სათავეში ედგა ველიკოროსული ძლიერი თავადაზნაურული სამხედრო ბიუროკრატია, რომელიც მხეცური და ბარბაროსული მეთოდებით ანხორციელებდა თავის ბატონობას. რაც თავის მხრივ დამოუკიდებელ ცხოვრებისათვის გამოღვიძებულ ქართველ ერს, რომელიც უკვე ველარ ყალიბდება დამოუკიდებელ ნაციონალურ სახელმწიფოდ, ბრძოლისკენ აქეზებდა.

ბუნებრივია, რომ მრავალეროვანი სახელმწიფო, რომელიც ემყარებოდა კერძო საკუთრებასა და კლასობრივ უთანასწორობას, არ შეიძლებოდა არ გადაქცეულიყო ნაციონალური ჩაგვრის კერად და ნაციონალური მოძრაობის სარბიელად.

ამგვარად, ჩვენში ნაციონალური საკითხის აქტუალობის მიზეზები, ნაციონალური მოძრაობის მიზეზები, როგორც ი. სტალინი გვასწავლის, უნდა ვეძიოთ აღმოსავლეთ ევროპაში ეროვნული სახელმწიფოს წარმოშობის თავისებურ წესში.

საქართველოში ობიექტურად პროგრესიული ტენდენცია განხორციელდა თავისებური ფორმით. ნაციონალური კარჩაკეტილობის მოსპობის სამეურნეო გაერთიანების, ერთი სიტყვით ახალი ცხოვრების მატერიალური წინამძღვრების მომზადების ობიექტურად პროგრესიული პროცესი ვითარდებოდა ქართველი ხალხის დამორჩილების და ექსპლოატაციის ფორმით, ძალმომრეობის წესით, ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის გზით. ეს იწვევდა აღშფოთებისა და ბრძოლის გაძლიერებას იმპერიალისტურ-კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის. ეს ბრძოლა ქართველი ხალხის ახალი ცხოვრებისათვის სულიერ წინამძღვრებს ამზადებდა.

ასეთია ორი მხარე, ორი ტენდენცია ნაციონალურ საკითხში, რომელიც ეროვნული პრობლემის დიალექტიკას გამოხატავს.

საქართველოში მეფის რუსეთთან შეერთებისთანავე იჩინა თავი ნაციონალურმა მოძრაობამ. დაიწყო ფეოდალურ-მონარქიული ნაციონალისტური მოძრაობა. ქართველმა თავადაზნაურობამ საქართველოს რუსეთთან შეერთების შედეგად დაჰკარგა ძველი ძლიერება და „უბრალო ქვეშევრდომად“ იქცა. მან არაერთხელ სცადა შექმნილი მდგომარეობის დარღვევა და ძველი, დაკარგული დიდების აღდგენა. „მას უნდოდა „საქართველოს“ ხათავეში ქართველი მეფეები და თავადაზნაურობა დაეყენებინა და, ამგვარად მათთვის გადაეცა ქართველი ხალხის ბედიღბალი!“ (სტალინი).

აფასებდა რა ფეოდალურ-მონარქიული, ნაციონალური მოძრაობის მნიშვნელობას საქართველოს საზოგადოებრივ ისტორიაში, ი. სტალინი მიუთითებდა, რომ „ვერც ერთი შესამჩნევი კვალი ვერ დააჩნია ამ „მოძრაობამ“ ქართველების ცხოვრებას, ვერც ერთი ფაქტით ვერ ისახელა მან თავი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართველი თავად-აზნაურების ზოგიერთ შეთქმულებას რუსი მმართველების წინააღმდეგ კავკასიაში“ (ტ. 1, გვ. 33).

ი. სტალინს მხედველობაში აქვს 1832 წლის შეთქმულება, რომლის კლასობრივი საფუძველი და სამოქმედო პროგრამა ფეოდალურ-მონარქიული, თავადაზნაურული იყო (გამონაკლისს არ ქმნიან არც ის შეთქმულნი, რომლებმაც რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ახალი სოციალური მოძრაობის გარკვეული გავლენა განიცადეს).

1832 წლის შეთქმულება ობიექტურად ერთგვარ მნიშვნელობას არ არის მოკლებული (მიუხედავად შეთქმულთა შეხედულებათა მონარქისტული, ფეოდალური, თავადაზნაურული ხასიათისა), ვინაიდან იგი მიმართული იყო ცარიზმის წინააღმდეგ, რომელიც „ხალხთა საპყრობილესა“ და „საერთაშორისო ჟანდარმს“ წარმოადგენდა და „ევროპის რევოლუციური მოძრაობის ყველაზე უფრო საშიში მტერი იყო“ (სტალინი).

ფეოდალურ-მონარქიულ ნაციონალიზმს არ ჰქონია მტკიცე ნიადაგი რეალურ ცხოვრებაში. კაპიტალიზმის განვითარებამ, ახალმა კლასობრივმა ანტაგონიზმმა და გლეხთა აგრარულმა მოძრაობამ ძირიანად დაანგრია ისედაც სუსტი „ფეოდალურ-მონარქიული ნაციონალიზმი“. ქართველი თავადაზნაურობა მალე გამოეთხოვა ფეოდალურ-მონარქიულ საქართველოს აღდგენაზე ოცნებას, ხელი გაუწოდა რუსეთის ცარიზმს და მისი ერთგული მსახური გახდა.

60-იან წლებში იწყება ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი და მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების

ახალი პერიოდი. თერგდალეულთა სახით სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის, დიდი რუსი რევოლუციური დემოკრატების იდეებზე აღზრდილი ქართველი ინტელიგენციის ახალი თაობა.

ეს ის დრო იყო, როცა დემოკრატიზმი და სოციალიზმი ჯერ კიდევ გათიშული არ იყო და, განუყოფელ ერთეულს წარმოადგენდა. ქართველი განმანათლებლები ბატონყმობისა და ცარიზმის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში, მხურვალედ იცავდნენ მშრომელი მასის, უმთავრესად გლეხობის ინტერესებს. მათ (მათში განსაკუთრებით ილ. ჭავჭავაძემ) გამოხატეს ხალხის, უმთავრესად გლეხობის განწყობილება. მათ გულწრფელად სწამდათ და გულწრფელადვე სწადდათ ქართველი ხალხის საყოველთაო კეთილდღეობა და ბედნიერება.

XIX საუკუნის II ნახევრის მოწინავე ქართველი მწერლების (ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ი. გოგებაშვილი და სხვ.) მიერ ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში, ერად ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ქართველი ხალხის სულიერ თავისებურებათა (ქართული ენისა და ლიტერატურის, ეროვნული კულტურის) მხურვალე დაცვა, გამტკიცება და განვითარება, ნაციონალური თანასწორუფლებიანობის იდეის წამოყენება და მისი განხორციელებისათვის თავდადებული ზრუნვა, ნიადაგს ამზადებდა ახალი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ახალი პოლიტიკური მოძრაობისათვის საქართველოში.

საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში კაპიტალიზმის განვითარებამ წამოაყენა ბურჟუაზიის ნაციონალური საკითხი. ი. სტალინმა მოგვცა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მოძრაობის დახასიათება, გვიჩვენა მისი წარმოშობის მიზეზები, გამოააშკარავა მისი ტაქტიკა, ხასიათი და მიზნები.

ჩვენში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მოძრაობა სუსტი და უძლური იყო. ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მიმდინარეობებს შორის ყველაზე ძლიერი — სოციალ-ფედერალიზმიც კი ბურჟუაზიული და თავადაზნაურული ინტელიგენციის მცირერიცხოვან ჯგუფად დარჩა. მშრომელი მასა ვერ დაიპყრო და მასიურ პარტიად ვერ იქცა.

ამას თავისი გარკვეული მიზეზები ჰქონდა. ჯერ ერთი, ქვეყნის ეკონომიური განვითარება ეკონომიურად და პოლიტიკურად ქართველ ბურჟუაზიას რუსეთის ბურჟუაზიასთან აკავშირებდა და ნიადაგს აცლიდა მის „ნაციონალურ-განმათავისუფლებელ“ მისწრაფებებს; მეორეც, მედგარმა კლასობრივმა შეჯახებებმა და ქართველი მარქსისტების დაურიდებელმა იერიშებმა „თავზარი დასცა ჩვენს ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს და ბრძოლის კელიდან გააძევა ისინი“ (სტალინი).

ამიტომ იყო, რომ განსხვავებით დასავლეთ ევროპისა, სადაც ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ბურჟუაზია მეთაურობდა, საქართველოში ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ბურჟუაზიის ხელმძღვანელობით ვერ წარიმართებოდა. ამ როლის შესრულება ქართველ პროლეტარიატს უნდა ეკისრა. ი. სტალინი მიუთითებდა, რომ „მხოლოდ მუშათა კლასია საიმედო ბურჯი ნამდვილი დემოკრატიისა“, მხოლოდ მას შეუძლია „ჩაუდგეს სათავეში, გაუწიოს წინამძღოლობა საერთო დემოკრატიულ მოძრაობას“ და „გაუძღვეს მას ყველასათვის სანატრელი გამარჯვებისკენ!“ (ტ. 1, გვ. 28).

90-იან წლების პირველ ნახევარში საქართველოში იწყება სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა და არსდება პირველი მარქსისტული ორგანიზაცია —

„მესამე დასი", სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის ახალი თაობა, რომელიც მკაცრად აკრიტიკებს ქართული ინტელიგენციის ფეოდალურ-აზნაურულ და ხალხოსნურ იდეურ მიმართულებებს და ქართულ ლეგალურ პრესაში მარქსიზმს ქადაგებს. ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში ამ თაობამ („მესამე დასის" უმრავლესობა) 1893 — 1898 წლების პერიოდში ერთგვარი დადებითი როლი ითამაშა. მაგრამ იგი, წარმოადგენდა და „ლეგალური მარქსიზმის" ჯგუფს, ამახინჯებდა მარქსიზმს, ავულგარებდა და ნაციონალისტურ ელფერს აძლევდა მას.

საქართველოში მარქსიზმის შემოტანისა და გავრცელების საქმეში რუსი მარქსისტების როლია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. მეფის მთავრობის მიერ რუსეთის ცენტრალურ რაიონებიდან საქართველოში გადმოსახლებული რუსი სოციალ-დემოკრატები მოწინავე მუშათა და რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდობაში მარქსიზმის დაუღალავ პროპაგანდას ეწეოდნენ. მათი ისტორიული დამსახურების გასაგებად საკმარისია აღინიშნოს, რომ სწორედ ამიერკავკასიაში მცხოვრებ რუსი მარქსისტების არალეგალურმა ჯგუფებმა მოახდინეს დიდი გავლენა ი. სტალინზე და ამხანაგ სტალინს შეაყვარეს არალეგალური მარქსისტული ლიტერატურა.

XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დამდეგს საქართველოში განმათავისუფლებელი მოძრაობა თვისობრივად ახალ საფეხურზე ავიდა და მისი შესაბამისად საზოგადოებრივი აზრის პრინციპულად სრულიად ახალი ხანა დაიწყო.

ი. სტალინის გაზ. „ბრძოლაში" გამოქვეყნებულმა წერილებმა („რეაქციისაგან" და „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები") გვაუწყებს ახალი ხანის—მუშათა კლასის აშკარა პოლიტიკური ბრძოლის დაწყება და დასაბამი მისცეს საზოგადოებრივი აზრის განვითარების ახალ, მარქსისტულ-ლენინურ საფეხურს საქართველოში. ეს იყო ნამდვილი რევოლუციური გადატრიალება ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში.

რევოლუციური მარქსისტული მიმდინარეობა ჩაისახა და წარმოიშვა უმთავრესად ქართულ ლეგალურ მარქსიზმთან — მუშათა მოძრაობის მთავარ მტერთან, — შეურიგებელ ბრძოლაში. მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი ნიადაგის გაწმენდა ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის შექმნისათვის საქართველოში.

ამ ამოცანის განხორციელების როგორც მნიშვნელობა, ისე სირთულე და მასთან დაკავშირებული სიძნელეები, ნათელი გახდება თუ გავითვალისწინებთ მენშევიზმის როლსა და ხვედრით წონას, მის სოციალურ საფუძველსა და კლასობრივ ბაზას საქართველოში.

ერთი მხრივ ნაციონალური შემადგენლობის სიმდიდრე და მრავალფეროვნება, რაც ეროვნულ შუღლის პირობებში, მეტად „მარჯვე" ვითარებას ქმნიდა კლასობრივი ბრძოლის ნაციონალური სამოსელითა და ნაციონალური დროშებით დაფარვისათვის. მეორე მხრივ, ეკონომიური ჩამორჩენილობა და კლასობრივი ბრძოლის დაუხვეწელობა და სისუსტე, რაც შეთანხმებებისა და კომპრომისების ხელსაყრელ ატმოსფეროს ქმნიდა—ასეთია როგორც ამხანაგი სტალინი აღნიშნავს რევოლუციამდელი საქართველოსა და ამიერკავკასიის ორი დამახასიათებელი თვისება, რომელიც გარკვეულ საფუძველს უქმნიდა ჩვენში ოპორტუნისტულ მიმდინარეობას და აფერხებდა რევოლუციურ მოძრაობას.

ქართულმა მენშევიზმმა თავისი სოციალური დასაყრდენი ნახულობდა მარტო წვრილბურჟუაზიის ფენებში და საქართველოს მუშათა კლასის ბამორჩენილ ნაწილში, არამედ აგრეთვე თავადაზნაურულ და ბურჟუაზიულ წრეში. ბურჟუაზიული მიმდინარეობანი შესცვალა ფაქტიურად ქართულმა მენშევიზმმა, რომლის საშუალებითაც იჭრებოდა ყოველი ანტიმარქსისტული, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური გავლენა მუშათა კლასში. „თავისი ჩასახვის დასაწყისიდანვე ქართული მენშევიზმი, ჟორდანიას მეთაურობით, აყალბებდა მარქსიზმს და უგუებდა მას ბურჟუაზიულ ნაციონალიზმსა და ბურჟუაზიულ დემოკრატიზმს“ (ლ. ბერია).

რუსეთში პლეხანოვისა და მისი „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის შეცდომების გასწორება და მუშათა მოძრაობასთან მარქსიზმის შეერთების ამოცანა გადასჭრა ლენინმა. საქართველოში ნ. ჟორდანიასა და მისი ჯგუფის ლეგალურ-მარქსისტული, ოპორტუნისტული შეხედულებების მხილება და მუშათა მოძრაობასთან მარქსიზმის შეერთება განახორციელა ი. სტალინმა.

ამ ხანაგი ლ. ბერია ი. სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისის შესახებ ამბობს:

„ლენინის წაწარმოებთა შესწავლამ განსაზღვრა ის გზა, რომელსაც დაადგა ამ ხანაგი სტალინი თავის რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისიდანვე. ეს იყო გზა პროლეტარიატის ნამდვილი რევოლუციური პარტიის შექმნისა და განმტკიცებისა, მუშათა კლასის ამკარა პოლიტიკური ბრძოლის ორგანიზაციისა თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის ბატონობის დასამხობად...

ამ ხანაგ სტალინის პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით იყო მარქსიზმის შესწავლა, მარქსისტულ-რევოლუციური თეორიის გაწმენდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური და სხვა ნაგავისაგან, რაც იქ შეტანილ იქნა მენშევიზმის დედაბოძების—ჟორდანიას, ჩხეიძისა და სხვ. ლიტერატურული ნაშრომებით, რომლებსაც მუშებს შორის ავრცელებდნენ ლეგალურ-მარქსისტული ორგანოების საშუალებით...

მისი მეორე ნაბიჯი იყო მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთების პრაქტიკული განხორციელება. სტალინმა მეცნიერული სოციალიზმის თეორია შეიტანა მუშათა მასებში, დაუკავშირა რა მარქსიზმის პროპაგანდა არამარტო რუსეთის რევოლუციური მოძრაობის საერთო საკითხებს, არამედ ამიერკავკასიის პირობებში მუშათა რევოლუციური ბრძოლის ორგანიზაციის კონკრეტულ საკითხებსაც“ (ლ. ბერია, „თანამედროვეობის უდიდესი ადამიანი“. ჟურ. „ბოლშევიკი“ № 12, 1939 წ.).

ი. სტალინმა და მის გარშემო შემოკრებილმა „მესამე დასის“ უმცირესობამ არა მარტო ეს გადამწყვეტი მნიშვნელობის ამოცანა შეასრულა. მან გააკეთა ისიც, რაც ისტორიულად მანამდე უნდა გაკეთებულიყო, მაგრამ რასაც ვერ გააკეთებდა ლეგალური მარქსიზმის პოზიციებზე მდგომი ნ. ჟორდანიას ჯგუფი. „მესამე დასის“ უმცირესობამ პირველმა მოგვცა ნაროდნიკულ, თავადაზნაურულ და ბურჟუაზიულ მიმდინარეობათა ნამდვილად მარქსისტული კრიტიკა და ამით გზა გაუკაფა რევოლუციურ მარქსიზმს საქართველოში.

„მესამე დასის“ უმცირესობა იცავდა საქართველოს მუშათა კლასის და საზოგადოდ, ქართველი ხალხის რევოლუციური ბრძოლის განუყოფელ ნაწილად შირს მთელი რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლასთან. ი. სტალინმა გაზ. „ბრძოლის“ პირველსავე ნომერში განაცხადა: „ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა არ წარმოადგენს კერძო, მარტო ქართველ მუშათა მოძრაობას საკუთარი პროგრამით. ის ხელიხელგადახვეულია მთელი რუსეთის მოძრაობასთან და, მაშასადამე, ექვემდებარება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას“ (ტ. 1, გვ. 6).

აქედან ცხადია, რომ საქართველოშიც განვითარების იმავე ძირითად პროცესებთან გვქონდა საქმე და იგივე ძირითადი ამოცანები იდგა, რაც საერთოდ რუსეთში. მაგრამ არ შეიძლებოდა დავიწყებული ყოფილიყო საქართველოს ვითარების თავისებურებანი, რომელთაც რევოლუციურ მარქსისტთა სამოქმედო პროგრამაში თავისი გამოხატულება უნდა ენახათ.

ი. სტალინმა ოსტატურად გამოიყენა მარქსიზმი საქართველოს თავისებურ პირობებში და პასუხი გასცა იმ საკითხებზე, მოწინავე ქართულმა საზოგადოებრივმა აზრმა რომ წამოაყენა, მაგრამ რომელიც თვით ვერ გადასჭრა.

„ბედი ქართლისა“ — აი ის რაც ასე აღელვებდა მოწინავე ქართველ საზოგადო მოღვაწეებს. ისინი ებრძოდნენ ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას და განახლებულ, დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოზე ოცნებობდნენ, მაგრამ ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებას არ შეეძლო განვითარების კანონები აღმოეჩინა და ნამდვილი გამოსავალი ეჩვენებინა. ამას არ შეეძლო არც ის, რომ სოციალური და ნაციონალური ჩაგვრის არსი განემარტა და არც იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალის გამონახვა, რომელიც შესძლებდა ძველი წყობილების მესაფლავე და ახალი ცხოვრების შემოქმედი გამხდარიყო.

ი. სტალინმა გამონახა მძლავრი, რევოლუციური ძალა. მან განსაზღვრა მუშათა კლასის როლი, როგორც საზოგადოების მოწინავე რევოლუციური ძალისა. მუშათა კლასი, თავისი მდგომარეობით ყველაზე მოწინავე და ერთადერთი თანმიმდევრულად რევოლუციური კლასი იმისთვის იყო მოწოდებული, რომ რევოლუციურ მოძრაობაში ხელმძღვანელი როლი ეთამაშა. ამხანაგი სტალინი წერდა, რომ „მხოლოდ რევოლუციური პროლეტარიატი არის ისტორიიდან ამორჩეული როგორც განმათავისუფლებელი კაცობრიობისა და ქვეყნად ბედნიერების დამამყარებელი“. ი. სტალინი რევოლუციონერების ამოცანას იმაში ხედავდა, რომ მათ მთელი თავიანთი ყურადღება და მეცადინეობა მოეხმარათ მუშათა კლასის მარქსიზმის პრინციპებით იდეურ ერთიანობისა და მატერიალურ-ორგანიზაციულად დარაზმვისათვის.

ი. სტალინმა ქართველ ხალხს უჩვენა ნამდვილი გამოსავალი, დაუსახა ნათელი მიზანი და განუსაზღვრა ბრძოლის სწორი გზა. ამხანაგი სტალინი მიუთითებდა სხვადასხვაგვარი რევოლუციური მოძრაობათა (საერთო-დემოკრატიული, გლეხურ-დემოკრატიული, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი და პროლეტარული მოძრაობათა) ერთ მძლავრ საერთო რევოლუციურ ნაკადად შეერთების აუცილებლობაზე, საერთო რევოლუციური ფრონტის შექმნის აუცილებლობაზე და ამბობდა: „იმისთვის, რომ შეაერთო ყველა, ვინც ამ მოძრაობაში მონაწილეობას იღებს, აუცილებელია დროშა ყველასათვის გასაგები და მახლობელი, დროშა, რომელიც მოითავსებს ყველას მოთხოვნილე-

ბებს. ასეთი დროშაა თვითმპყრობელობის დამხობა!“ ამხანაგი სტალინი იქვე მიუთითებდა იმაზე, რომ „მხოლოდ თვითმპყრობელობის ნანგრევებზე შეიძლება აშენდეს ის საზოგადოებრივი წყობილება“, რომელიც ხალხს გაუხსნის „თავისუფალ გზას უკეთესი მომავლისკენ, თავისუფალი ბრძოლისათვის სოციალისტური წყობილების დასამყარებლად“ (ტ. 1, გვ. 25).

ი. სტალინმა ცხადჰყო, რომ „რუსეთის შევიწროებულ ერებს არ შეუძლიათ ფიქრიც კი საკუთარი ძალით გაინთავისუფლონ თავი“ ვიდრე რუსეთის ხალხი არ გაუმართავს ბრძოლას მეფის თვითმპყრობელობას. მხოლოდ მთელი რუსეთის მუშათა რევოლუციურ ბრძოლასთან განუყრელ კავშირში, ერთობლივი ძალღონით შეიძლებოდა ცარიზმის დამხობა. მუშათა კლასმა, წერდა ამხანაგი სტალინი, ხელში უნდა აიღოს „მთელი რუსეთის დროშა და, დააწერს რა მას ზედ: „ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს დემოკრატიულ კონსტიტუციას!“ — უნდა წაიყვანოს რუსეთის ხალხი თავისუფლებისკენ“. (იქვე)

ი. სტალინმა მიუთითა რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების ძირითად ღერძზე — სოციალურ საკითხზე და ნათელჰყო, რომ მისი რევოლუციური ბრძოლით გადაწყვეტასთან, ქვეყნის სრულ დემოკრატიზაციასთან არის დაკავშირებული რუსეთის საკითხის ბედი, და მაშასადამე, ერთა „განთავისუფლების“ ბედიც რუსეთში. ი. სტალინმა ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობა მუშათა კლასის ხელმძღვანელობით რუსეთის პროლეტარულ მოძრაობას დაუკავშირა და საერთო მტრის — ცარიზმის დასამხობად მიმართა იგი.

ი. სტალინ მარქსიზმის პროპაგანდას უკავშირებს არა მარტო ადგილობრივ რევოლუციური მოძრაობის კონკრეტულ საკითხებს, არამედ ამავე დროს რუსეთის რევოლუციური მოძრაობის საერთო საკითხებს.

უკვე რევოლუციური მოღვაწეობის ადრინდელ პერიოდში, საქართველოსა და ამიერკავკასიაში მუშაობის წლებში ამხანაგი სტალინი აქტიურ მონაწილეობას იღებს საერთო-რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელობაში. ი. სტალინი ლენინის უახლოესი თანაშემწეა ახალი ტიპის პარტიის შექმნისა და ცარიზმის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის ორგანიზაციის საქმეში.

ამხანაგი სტალინი ლენინთან ერთად და ლენინის ხელმძღვანელობით ამუშავებს საერთო-სარუსეთო რევოლუციური მოძრაობის ყველა პრინციპულ თეორიულ და ტაქტიკურ საკითხს და სახავს რუსეთის მარქსისტთა ძირითად ამოცანებს.

მოვიყვანოთ ზოგი ამონაწერი გაზ. „ბრძოლაში“ გამოქვეყნებულ სტატიებიდან.

პროლეტარიატის ჰეგემონიის შესახებ დემოკრატიულ მოძრაობაში:

„რუსეთის დემოკრატიული საქმისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს — შესძლებს მუშათა კლასი ჩაუდგეს სათავეში, გაუწიოს წინამძღოლობა საერთო დემოკრატიულ მოძრაობას, თუ იგი მოძრაობას გაჰყვება კუდში, როგორც დამხმარე ძალა „ინტელიგენციისა“, ე. ი. ბურჟუაზიისა. პირველ შემთხვევაში თვითმპყრობელობის დამხობის ნაყოფი იქნება ფართო დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელიც მიანიჭებს თანასწორ უფლებებს მუშასაც, საწყალ გლეხსაც და კაპიტალისტსაც. მეორე შემთხვევაში კი ნაყოფად

დაგვრჩება ის „გაყვლეფილი“ კონსტიტუცია, რომელიც აბსოლუტიზმზე ნაკლებად არ შესძლებს მუშების მოთხოვნილების გადაქელვას და ბიანიტებს ხალხს მხოლოდ თავისუფლების აჩრდილს“ (ტ. 1, გვ. 30—31).

პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ:

„...სანამ პოლიტიკური ძალა არ გადავა პროლეტარიატის ხელში (დიქტატურა პროლეტარიატისა), შეუძლებელია შეიცვალოს არსებული წესწყობილება, შეუძლებელია მუშების სრული განთავისუფლება“ (იქვე, გვ. 18).

ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის მოწყობის აუცილებლობის შესახებ:

„სოციალ-დემოკრატიას სჭირდება ძლიერი და მჭიდროდ შეკავშირებული ორგანიზაცია, სახელდობრ, სჭირდება ორგანიზაცია პარტიისა, რომელიც შეკავშირებული იქნება მარტო სახელით კი არა, თვით ძირითადი პრინციპებით და ტაქტიკური შეხედულებებით. ჩვენი ამოცანაა ვიმუშაოთ იმ ძლიერი პარტიის შესაქმნელად, რომელიც იქნება აღჭურვილი მტკიცე პრინციპებით და გაუტეხელი კონსპირაციით“ (იქვე, გვ. 28).

რევოლუციური მარქსიზმის მუშათა მოძრაობასთან დაკავშირების შესახებ:

„ქართულმა სოციალ-დემოკრატიულმა გაზეთმა უნდა მისცეს გარკვეული პასუხი მუშათა მოძრაობით გამოწვეულ ყოველ კითხვაზე, გაარკვიოს პრინციპული საკითხები, ახსნას თეორიულად მუშათა კლასის როლი ბრძოლაში და მეცნიერული სოციალიზმის შუქით გაანათოს ყველა მოვლენა, რასაც კი ხედავს მუშა“ (იქვე, გვ. 9).

აქ მოტანილი ამონაწერები საკმაოდ ნათელს ფენენ იმას, თუ როგორ ბრწყინვალედ იცავდა და ავითარებდა ლენინურ იდეებს ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ თავის პირველსავე ნაშრომებში.

ამგვარად:

მუშათა რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე საქართველოში თბილისის მოწინავე მუშათა შორის საბრძოლო პირველი რევოლუციური ნათლობა მიიღო რევოლუციის დიდმა ოსტატმა ი. სტალინმა.

1926 წლის 8 ივნისს პასუხად თბილისის რკინიგზის მთავარ სახელოსნოების მუშების მისალმებაზე, ამხანაგმა სტალინმა სთქვა: „მე მაგონდება 1898 წელი, როდესაც პირველად ჩავიბარე რკინიგზის სახელოსნოების მუშათა წრე... აქ, ამ ამხანაგების წრეში, მე მივიღე ჩემი პირველი საბრძოლო რევოლუციური ნათლობა... ჩემი პირველი მასწავლებლები თბილისის მუშები იყვნენ“.

მარქსიზმ-ლენინიზმის მტრების წინააღმდეგ შეურიგებელი და გადამწყვეტ ბრძოლაში ი. სტალინმა შექმნა ბოლშევიკური პარტიის ერთერთი უდიდესი და უძლიერესი რაზმი — ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაცია და დარაზმა ამიერკავკასიის ხალხები ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლისათვის.

დიდი სტალინის ადრინდელი პერიოდის ნაწარმოებები, რომლებიც დაწერილია იმ დროს, „როდესაც ლენინიზმის იდეოლოგიისა და პოლიტიკის გამომუშავება ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული“, წინ სწევენ და შემდგომ ავითარებენ მარქსიზმს კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში.

პირველად ამხანაგმა ლ. ბერიამ გვიჩვენა ი. სტალინის ადრინდელ პერიოდის ნაწარმოებების მნიშვნელობა, როგორც რევოლუციური მარქსიზმის ისტორიისათვის საქართველოში ისე საერთო-სარუსეთო რევოლუციური მოძრაობისათვის.

ამხანაგ ლ. ბერიას ისტორიულმა ნაშრომმა „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ სტალინურ პრინციპზე დაყრდნობით პირველმა მოგვცა საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობისა და პარტიული ორგანიზაციების ისტორიის ბოლშევიკური გაშუქება.

ამხანაგი ლ. ბერიას შესანიშნავი ნაშრომი გვასწავლის იმას, თუ რა სერიოზულად და საქმიანად, სიყვარულითა და შეუპოვრობით უნდა ვიმუშაოთ საქართველოში რევოლუციური მოძრაობის, მარქსიზმის წარმოშობის და განვითარების, ბოლშევიკური ორგანიზაციების ჩასახვისა და ჩამოყალიბება-გამტკიცების ისტორიაზე, რომელიც „პირველი დღეებიდანვე განუყრელად დაკავშირებულია ამხანაგ სტალინის მუშაობასთან და სახელთან“ (ლ. ბერია).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი აბაშიძე

სტალინს უმღერიან*

★

მსოფლიოს მოწინავე კაცობრიობა დიდი საბჭოთა ქვეყნის ხალხებთან ერთად ზეიმით აღნიშნავს დიად თარიღს: — იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაბადებიდან 70 წლისთავის შესრულების დღესასწაულს, როგორც ყველა პროგრესული ადამიანის დღესასწაულს.

სამოცდაათწლიან სიცოცხლის მანძილზე ამხანაგმა სტალინმა ხახევარ საუკუნეზე მეტი მშრომელთა განთავისუფლების საქმეს შეალია. მარქსის, ენგელსისა და ლენინის დიად საქმეთა განმგრძობი, ლენინის მეგობარი და თანამებრძოლი, ორმოცდაათწელზე მეტხანს იბრძოდა და იბრძვის მსოფლიოში კომუნიზმის გამარჯვებისათვის, მშრომელთა ბედნიერებისათვის.

„ამხანაგ სტალინის სახელი ყველაზე ძვირფასი სახელია ჩვენი ხალხისთვის, ასობით მილიონი მშრომელისათვის მთელ დედამიწაზე. სტალინი ყველა მშრომელისა და ჩაგრულის ნათელი იმედია. სტალინი მთელი კაცობრიობის ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლის, კაპიტალისტური მონობის წინააღმდეგ, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისთვის, სოციალიზმისთვის ბრძოლის დროშაა... სტალინის გენია, სტალინის სიბრძნე, სტალინის ნება კაცობრიობის ისტორიაში შევიდნენ, როგორც მძლავრი სასწაულმომქმედი ძალა, რომელიც რაზმავს მასებს, გარდაქმნის მსოფლიოს“. (საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. პროპ. და აგიტ. განყ. და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-სთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის მიმართვიდან).

დიდი სტალინის დაბადების დღე გადაიქცა მთელი მოწინავე მსოფლიოს ნამდვილ სახალხო დღესასწაულად. როგორც დიდ საბჭოეთში ისე ახალი სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში თვეების მანძილზე მიმდინარეობდა წინასწარი სამზადისი ამ თარიღის ღირსეულად შეხვედრისათვის. წინასწარ შექმნილი მთავრობის კომისიები ორგანიზებულად რაზმავდნენ მშრომელთა ფართო მასების შეუნელებელ სწრაფვას ზეიმში მონაწილეობისათვის. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო თავის სპეციალურ მიმართვაში სწერდა:—სტალინის სახელი განუყრელადაა დაკავშირებული პოლონეთის მუშათა კლასის გულთან და გონებასთან, ერთიანობის ცხოვრებაში სამშობლოს ორჯერ განთავისუფლებასთან, — მეფისა და კაიზერების მონობისა და ჰიტლერული მონობისაგან. სტალინის სახელი გა-

* მოხსენება წაკითხული ი. ბ. სტალინის დაბადებიდან 70 წლისადმი მიძღვნილ საქ. საბჭოთა მწერლების საზეიმო პლენუმზე, ქ. გორში, 1949 წლის 22 დეკემბერს.

ნუყოფლად უკავშირდება პოლონეთის ხალხისა და რუსეთის, უკრაინის და ბელორუსიის ხალხთა შორის დამოკიდებულებაში ისტორიულ გარდატეხას. განუსაზღვრელია მისი გადამწყვეტი როლი პოლონეთის შეიარაღებულ ძალთა საფუძვლების შექმნაში, ბალტიკაში, ოდერზე და ნეისზე ჩვენი მამა-პაპეული მიწების დაბრუნებაში, ჩვენი სახალხო მეურნეობის აღდგენაში, ომისგან დანგრეულ და ნაცრადქცეული ვარშავის აღდგენაშიო.

ახალი დემოკრატიის ქვეყნების მრავალმილიონიანი ხალხები დიდი სტალინისადმი თავის უსაზღვრო სიყვარულს გამოხატავენ უამრავი ძვირფასი საჩუქრებით. მსოფლიოს მრავალი კუთხიდან გზავნიან მშრომელნი მოსკოვისაკენ საჩუქრებს.

სტალინი სიმართლის გამარჯვებაა, სტალინი სინათლის გამარჯვებაა, სტალინი გამარჯვებაა თავისუფლებისა. სტალინი რწმენა და იმედია მრავალი მილიონი დაჩაგრული ადამიანისა მთელ მსოფლიოში, დედამიწის ყოველ კუთხეში. სტალინი მშვიდობისათვის ბრძოლის დროშაა. სტალინის მიერ მშვიდობის დაცვა კიდევ უფრო მშობლიურს ხდის მის სახელს მრავალმილიონიან უბრალო ადამიანებისათვის, დედამიწის რომელ კუთხეშიაც არ უნდა ცხოვრობდნენ ისინი. „როდესაც მშვიდობის მომხრენი იკრიბებოდნენ პარიზში, პრაღაში, რომში,—იგონებს ილია ერენბურგი,—ყველგან მესმოდა სტალინის სახელი; ამ სახელს იმეორებდა უნგრელი მასწავლებელიც და რომაელი კათოლიკეც, ფრანგი მხატვარიც და მოხუცი ინდოელიც. რამდენი დედა სხვადასხვა ქვეყნებში, უცქერის რა თავის პატარა პირმშოს და იგონებს რა განვლილ საშინელებებს — საყვირების კივილს, ნანგრევებს, სისხლს—მადლობას უთვლის სტალინს, რომ იგი საშუალებას არ აძლევს მრისხანე ქარიშხალს ხელახლა გადითარეშოს გამოცოცხლებულ დედამიწაზე“.

ეს ქარიშხალი კი ყრუდ გუგუნებს დღევანდელი ამერიკის კონტინენტზე, ლამობს ოკეანის გადმოლახვას და მშვიდობის გზაზე დამდგარი ახალი ქვეყნების ხელახლა ჯოჯოხეთში მოქცევას. გამხეცებული ომის გამჩაღებელნი ითვლიან ბომბდამშენებს, დივიზიებს, ატომური ბომბების მარაგს, აიარაღებენ ფაშიზმის ნარჩენებს დასავლეთ ევროპასა და იაპონიაში, გაფაციცებით ემზადებიან ახალი ჯოჯოხეთური ომისათვის და თუ მათ რაიმე აჩერებს, ეს არის არა მარტო საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა სიძლიერე, ჩვენდამი ყველა ქვეყნის მშრომელთა ძმური თანაგრძნობა, არა მარტო უძლეველობა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმური ოჯახისა, არამედ ყველაფერ ამასთან ერთად, დიდი სტალინის ფოლადის ნება, მისი პიტალოსებრი შეუდრეკელობა.

სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით „დღითი დღე იზრდებიან და მტკიცდებიან მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ძალები. სწორედ ამიტომ ასე ცოფმორეულნი არიან და მძვინვარებენ ომის გამჩაღებელნი, ცდილობენ რა დააშინონ და თავზარი დასცენ ხალხებს, მაგრამ ისტორიის მთელი გამოცდილება—ის გარემოება, რომ ორი მსოფლიო ომის შედეგად კაპიტალიზმის სისტემას რევოლუციური გზით გამოაკლდა 800 მილიონი ადამიანი,—მოწმობს იმას, რომ ჩვენ კი არა იმპერიალისტებს უნდა ეშინოდეთ მესამე მსოფლიო ომისა.

თუ იმპერიალისტური ბანაკის მესვეურებმა გაბედეს მესამე მსოფლიო ომის გაჩაღება, ამ ომში ისინი ჰპოვებენ უკვე არა ცალკეული კაპიტალისტური სახელმწიფოების, არამედ მთელი მსოფლიო კაპიტალიზმის განადგურებასა და დაღუპვას“. (საკ. კ. პ. (ბ) ცეკას მიმართვიდან).

ჯერ კიდევ 1927 წელს ამხანაგი სტალინი წინასწარმეტყველურად სწერდა, რომ საერთაშორისო რევოლუციის შემდგომი განვითარების მსვლელობაში მეიქმნება მსოფლიო მასშტაბის ორი ცენტრი: სოციალისტური ცენტრი, — რომელიც მიიზიდავს იმ ქვეყნებს, რომელნიც მიიწევენ სოციალიზმისაკენ, და კაპიტალისტური ცენტრი—რომელიც მიიზიდავს იმ ქვეყნებს, რომელნიც მიიწევენ კაპიტალიზმისაკენ. ამ ორი ცენტრის ბრძოლა მსოფლიო მეურნეობის დაპყრობისათვის გადაწყვეტს კაპიტალიზმისა და კომუნიზმის ბედს მთელს მსოფლიოში.

რა საოცრად და როგორ მალე გამართლდა დიდი ბელადის ეს გენიალური წინასწარმეტყველება. მეორე მსოფლიო ომის მეორე დღესვე, — აგრესიული ქვეყნების: ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის დამარცხების შემდეგ, მსოფლიო აშკარა ორ ბანაკად გაიყო. თავისუფლებისმოყვარე, განახლების გზაზე დამდგარ ერებს, რომელნიც სოციალიზმისკენ მიიწევენ, ხელმძღვანელობს დიდი საბჭოთა კავშირი—სოციალისტური ცენტრი. კაპიტალიზმის ბანაკს ხელმძღვანელობს ამერიკის იმპერიალიზმი — კაპიტალიზმის ცენტრი.

„ამ ორი ბანაკის ბრძოლა შეადგენს მთელი თანამედროვე ცხოვრების ღერძს, ამ ბრძოლით არის აღსავსე ძველი და ახალი სამყაროს მოღვაწეთა ახლანდელი საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთელი შინაარსი“ (სტალინი).

ვისთან არიან ამ დროს კაცობრიობის მოწინავე ადამიანები?

ვისთან არიან ამ დროს მთელი ქვეყნის პროგრესული აზროვნების წარმომადგენელნი?

ვისთან არიან მოწინავე მწერლები?

არ არსებობს მსოფლიოში ქვეყანა, სადაც მოწინავე ადამიანები, პროგრესული ინტელიგენცია, თავისუფალი აზრის მოტრფიალე მწერლები, შემოქმედნი არ იბრძოდნენ ლენინ-სტალინის დროშით თავიანთი ქვეყნების თავისუფლებისათვის, უკეთესი მომავლისათვის. მათი ოცნება—სოციალიზმის ქვეყანა — საბჭოთა კავშირია, მათი გზის მაჩვენებელი შუქურა იოსებ სტალინი.

ლათინური ამერიკის პოეტი რაულ გონსალეს ტუნიონი პირდაპირ სწერს:

„გაყოფილია ეს ქვეყანა ორ მტრულ ბანაკად,
კვლავ ახალ ომებს ჯოჯოხეთურს ფაშიზმი ანთებს,
კვლავ ატრიალებს კალიბანი სისხლიან თათებს“.

მაგრამ ამერიკელ მგოსანს მტკიცედ სჯერა რომ თუ ხელახლა ავარდება ომის ხანძარი, კაცობრიობას ისევ იხსნის სწორედ დიდი სტალინი, იგი ასე მიმართავს სტალინს:

„მომავალ დღეთა ხარ დარაჯი. შენზე ოცნებობს
ყველა, ვინც გულით არის წმინდა, არის ალალი.
როდესაც ქვეყნად აღიმართა ომის კოცონი
და ალბატროსი ცად აიჭრა უცებ ფრთამალი,
მეხში გრიგალში აღიმართე გმირი ტიტანი
და ეს ქვეყანა დაღუპვისგან შენ იხსენ სტალინ!

სტალინი მოწინავე არგენტინელი მგოსნის მომავლის რწმენა და იმედია. ასე ამთავრებს ზემოდმოყვანილ ლექსს პოეტი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვიცით, ჩვენ ვიცით სულ ახლოა ომების ბოლო
თავისუფლება იზეიმებს, ჩვენ ასე გვჯერა,
აღსდგება შრომა, გაიხარებს მშრომელი მხოლოდ,
შრომის ქვეყანას დაუმკვიდრებ მშვიდობის ერას
შენ დიდო სტალინ, შენ მესაჭევ, შენ წინამძღოლო“.

ლათინური ამერიკის სახელგანთქმული მებრძოლი პოეტი პაბლო ნერუდა მთელი ხმით უცხადებს ბრძოლას კაპიტალიზმის ცენტრს, რომელიც თავბრუდახვეულად ისხამს იარაღს სოციალისტური ცენტრის წინააღმდეგ:

„მაგრამ იცოდეთ
ვაშინგტონო, ნიუ-იორკო,
თუ ლეგიონებს კვლავ აასხამთ საომარ ჯავშანს,
დიდი ქვეყანა სინათლისა რომ დაანგრიოთ,
თუ ჩიკაგოელ მსუქან ყასაბს საყმოდ გადასცემთ
რაც გვწამს და გვიყვარს, ჩვენს სიყვარულს და ჩვენს სიცოცხლეს,
მაშინ ამოვალთ ქვესკნელიდან, რომ გზა შეგიკრათ
და სასიკვდილოდ დაგიკოდოთ ბოროტი გული“.

მღელვარე სიყვარულით სავსე სტრიქონებით მიმართავს პაბლო ნერუდა საბჭოთა ქვეყანას:

„საბჭოთა მიწავ, საყვარელი დედა ხარ ჩვენი,
ჩვენი დაი ხარ ერთად-ერთი, მსოფლიოს მხსნელი.
შენ ხარ ქვეყანა, ჩაგვრისა და ყვლეფის მსპობელი,
სიყვარულის და იმედების გულში მშობელი,
დიად საქმეთა შემოქმედი და მშენებელი,
ნათელ მომავლის რწმენის ცეცხლის გამჩაღებელი“.

„ლენინსა და სტალინში განსხეულებულია ბელადის ახალი ტიპი, რომელიც იღებს მთელ თავის ძალას ფართო სახალხო მასებში და მიჰყავს ის ახალი ეპოქისაკენ, მშრომელი ადამიანის ეპოქისაკენ“,—სწერდა ამხანაგი სტალინის დაბადებიდან სამოცი წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით მარტინ ანდერსენ ნექსე. შორეული ჩილის მგოსანსაც ასე წარმოუდგება დიდი სტალინის სახე, სტალინი დაუღალავად შრომობს თავისი ხალხის ბედნიერებისათვის მთელი მსოფლიოს მშრომელთა კეთილდღეობისათვის.

„ძველისძველ კრემლის სამს ოთახში
ცხოვრობს ბელადი
მას სიამაყით ეძახიან
იოსებ სტალინს...
გვიან ღამითაც მის ფანჯრებში არ ჰქრება შუქი,
ქვეყნიერების მომავალზე ის ზრუნავს მაშინ
და თავის ქვეყნის სასიკეთოდ ათენებს ღამეს.
მან თვითონ შექმნა ეს ქვეყანა, თვითონ აღზარდა,
თვითონ დაიცვა არაერთი განსაცდელისგან
ის არის ამ დიდ ქვეყნისაგან განუყოფელი,
ჯანმოუღლელი როგორც მისი მშობელი ხალხი“.

პაბლო ნერუდა თავისი ქვეყნის მწარე სინამდვილის გაცნობამ თავისუფლებისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში გამოიყვანა. თავის დროზე იგი წერ-

და: მე, როგორც პოეტმა გული მივაჩვიე ესმინა ყოველი ჩქამი, რომელსაც სამყაროს წარმოშობს ღამის ოკეანეში, მიწის ქერქისა და საჰაერო მდინარეებათა უჩუმარ მოძრაობაში, მაგრამ ახლა მე არ შემიძლიან მიუძღვნა ჩემი თავი ამათ, არ შემიძლიან, რადგან მე მეძახის საომარი ნაღარის ყრუ გუგუნი, რადგან განაწამებ ადამიანთა გახშირებული ძგერა გულისა და დაქცეული სისხლის შრიალი როგორც ახალი საშინელი წყალდიდობის ტალღები აღმართულან ქვეყანაზეო.

პაბლო ნერუდას გვერდით უდგას ბრაზილიელი სახელოვანი პოეტი ჟორჟი ამადუ. იგი სოციალიზმის ქვეყანას უთბილესი სიყვარულის სტრიქონებით უმღერის:

„ღვივდება სულში სასოება ჩაუქრობელი,
ღვივდება ცეცხლი, დიდი რწმენა გამარჯვებისა,
არ გვეშინია ომის ლანდის შავი ფრთებისა
და არც ღმუილის უოლ-სტრიტის ქოფაკ მგლებისა.
შენ მთელი ქვეყნის მშვიდობა ხარ ურყევი, მტკიცე,
ომის აჩრდილნი შენს წინაშე ჰქრებიან მყისვე
და გული შენი ფოლადისა — ნაკვეთი არის
დიდი სტალინის ფოლადისგან, ვით კლდე მაგარი!
იგი მსოფლიოს საიმედო, მტკიცე გულია,
ხალხთა იმედი, მისი მზე და სიხარულია“.

ასევე აღფრთოვანებული სტრიქონებით უმღერის ლენინსა და სტალინს კარლოს აუგუსტო ლეონი—ვენეცუელადან:

„არა, არ გძინავს შენ ცოცხალი ხარ,
მავზოლეუმში შენ ისმენ ახლაც
თუ როგორ დრტვინავს კიდიდან-კიდით
აღშფოთებულთა მრისხანე ტალღა.
ფხიზლობს სტალინი, შენი მემკვიდრე,
რომ სისხლისმღვრელი აგვცდეს ომები,
მან თავის დიად ერებთან ერთად
ზღვად შეგვაერთა უცხო ტომებიც.
თუმცა სხვადასხვა სახის ხალხნი ვართ,
სხვადასხვა ენის გამომსახველნი,
მან მთელი ქვეყნის გულისთქმა იცის,
მისი ნუგეში, მისი ნაღველი“.

ამ სტრიქონების ავტორები ლათინური ამერიკის პოეტები ან გადახვეწილნი არიან საკუთარ ქვეყნიდან და ისევ დიდი სტალინის იმედით სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობენ, ან იატაკქვეშეთში არიან წასულნი, ან კაპიტალის საპყრობილეთა ჯურღმულებში ჭლექდებიან. მაგრამ ისინი სულით ძლიერნი არიან, ისინი გმირები არიან, რადგან მათთან არის დიდი სტალინი.

„საქართველოდან გვესმა შორით შენი სახელი
და უძლეველმა ოკეანეს გადმოუარე“.

სწერს რაულ ტუნიონი სტალინს.

დიდ სტალინს მოუხმობს ესნისათვის ესპანელი პოეტი პედრო გარფიასი. მისი სახით სტალინს მომართავს მრავალტანჯული ესპანელი ხალხი: გარსია ლორკას, ანტონიო მაჩადოს, მიგელ ერნანდესის ესპანეთი, რომლის შესახებაც თავის დროზე სთქვა პაბლო ნერუდამ: „არა, შენ არ მომკვდარხარ, ესპანეთო,

შენ არ მომკვდარხარ. მე ვხედავ ყველაფერს, ვხედავ შენს მკვლელს, შენს მესაფლავეს, ვხედავ შენს სევდიან თვალებს, შენს შიშველ სხეულს, გაკრულს ქედებზე, სადაც წარმოიშვა ჩვენი მშვენიერი ენა; ვხედავ შენს ტბა-ჯილობებს, საიდგანაც სდის შენი პატიოსანი სისხლი, მიწას რომ უხვად რწყავს; ვხედავ როგორ სხდებიან შენი მთების მწვერვალებზე მტაცებელი ფრინველები ბასრი ბრჭყალებითა და ნისკარტებით; ვხედავ საღამოს ბინდბუნდში შენს დაქანცულ მშვენიერ შუბლს. მაგრამ, შენ არ მომკვდარხარ, არაადამიანური გამძლეობის ესპანეთო. არა, ეს მხოლოდ ერთი წუთით შეჩერდა შენი სისხლი — იმისთვის, რომ ისტორიამ გაიგოს რას ჰკარგავს იგი, იმისთვის რომ თავისუფლებამ უცებ მარტოდ იგრძნოს თავი, იმისთვის რომ ადამიანმა გულზე იტაცოს ხელი და წამოიყვიროს: სად არის, სად არის ესპანეთი? ესპანეთი არ მომკვდარა, ის მათთან არის ვინაც ძმურად ერთმანეთს ხელს ართმევენ, ვინც მრისხანედ ჰკუმშავს მუშტებს — და ის უჩვენებს თუ როგორ უნდა თავისუფლებისათვის სიკვდილი".

ეს სტრიქონები იწერებოდა პირსისხლიანი ფრანკოს მიერ ესპანეთის დამონების მეორე დღეს.

„ო, ესპანეთი,
სამშობლო ჩემი
იმ ძველ ბორკილებს როდის დალეწავს,
როდის აღსდგება დამცირებული
და მოიშორებს ქვეყნის გარეწარს.
და როდის, როდის მოისვენებენ
საფლავში ძვლები ვაჟკაცებისა,
ვინც შეგეწირა, ჩემო ქვეყანავ,
და გამარჯვებას ვეღარ ეღირსა.
ო, მითხარ, სტალინ..
შენ შემოგცქერის
მილიონების გული მართალი,
ვისაც სწყურია თავისუფლება
შენ ხარ დიადი მათი სარდალი".

სწერს დღეს პედრო გარფიასი სამშობლოსა და კაცობრიობის განთავისუფლების ერთად-ერთი იმედის—სტალინის—მიმართ:

„ჰიტლერულ გერმანიაზე და იმპერიალისტურ იაპონიაზე საბჭოთა კავშირის მსოფლიო ისტორიულმა გამარჯვებამ, რაც მოპოვებულ იქნა ამხანაგ სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით, გადამწყვეტი პირობები შეჰქმნა იმისათვის, რომ ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების, ჩინეთის, ჩრდილოეთ კორეის ხალხებს შესძლებოდათ საკუთარ ხელში აეღოთ თავისი ბედი, დაემყარებინათ მშრომელთა ხელისუფლება მუშათა კლასის ხელმძღვანელობით, რომელიც ქალაქისა და სოფლის მშრომელთა კავშირს ახორციელებს და დასდგომოდნენ სოციალიზმის მშენებლობის გზას"... „სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ხორციელდება ლენინისა და სტალინის დიადი მეცნიერული განსჭვრეტა, პროლეტარიატის დიქტატურის საერთაშორისო მნიშვნელობისა, როგორც კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასავლის პერიოდში სხვადასხვა პოლიტიკური ფორმების არსისა". საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ს მიმართვიდან).

ექვსი წლის განმავლობაში გერმანული ფაშიზმის ჩექმით გათელილი ჩეხოსლოვაკიის ხალხი უხმობდა სტალინს, მისი განთავისუფლებისა და გადარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩენისათვის. ფრანტიშეკ გრუბინი, ჩეხოსლოვაკიის მგოსანი მთელი ხალხის სახელით ეძახდა ბელადს შველისათვის:

„არა ვარ მონად დაბადებული
და, დიდო სტალინ, შენ გევედრები.
ხალხთა ძმობაში თავდადებული
დღეს მომაშველე შენი მხედრები.
არა ვარ მონად დაბადებული,
დამიხსენ, სტალინ! შენ გევედრები“.

და როცა საბჭოთა არმიამ დახმარების ძმური ხელი გაუწოდა განაწამებ ჩეხოსლოვაკიის ხალხს და ქვეყნის დედაქალაქ პრაღაში აფრიალდა თავისუფლების წითელი დროშა, პოეტი ალტაცებით შესძახებს:

„განა ამაოდ შევთხოვდი შველას,
გულმა დარეკა იმედის ზარი,
აგერ ნაცნობი ვარსკვლავი ელავს,
პრაღისკენ მოდის სტალინის ჯარი.
განა ამაოდ შევთხოვდი შველას —
არ შეარჩინა მტერს ჩემი ჯავრი“.

და ბოლოს, მთელი თავისი სამშობლოს სახელით, ახალი, დემოკრატიული ქვეყნის სახელით მგოსანი მადლობის საგალობელს უმღერის ბელადს:

„სტალინს მადლობა! გუგუნებს ლაღად
ჩემი ქარხანა, ჩემი სახნისი,
სტალინს დიდება! გუგუნებს პრაღა
მან გამითენა მართლა მაისი“.

ჩეხოსლოვაკიის სახელოვან მგოსანს ეხმაურება მეორე განახლებული ქვეყნის, სახალხო დემოკრატიული უნგრეთის შვილი, საბჭოთა კავშირში კარგად ცნობილი პოეტი, თავისი ქვეყნის თავისუფლებისათვის გამოცდილი მებრძოლი ანატოლ გიდაში:

„ვინ მოგვაშორა მძიმე ნაღველი,
ვინ აძლევს შრომას ძალას და ხალისს?
ხალხში გუგუნებს ერთი სახელი:
დიდება სტალინს,
დიდება სტალინს“.

„ფიქრობ რა უდიდეს ეპოქაზე, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, რწმუნდები, რომ არ არსებობს მეორე ადამიანი, რომელიც თავისი ზურგით და თავისი გულით ატარებდეს ამოდენ ისტორიას, ამოდენ ბრძოლებს უბრალო ხალხის ბედნიერებისათვის, ამოდენა ჰუმანიზმსა და ადამიანობას, მისი სახელია — სტალინი... ჩვენი ეპოქა ატარებს მის სახელს. სტალინი გიგანტურ გამარჯვებათა სულისჩამდგმელია, რომელთაც გადასწყვიტეს მთელი ეპოქის ბედი: — ძლევამოსილი ოქტომბრის რევოლუციისა და ფაშისტურ კაციჭამიებთან დიადი გამარჯვებისა. მხოლოდ პირველი ბრძოლის გენიალურ ხელმძღვანელს შეეძლო მეორე ომის მოგება“. სწერდა გაზეთ „პრავდაში“ განთქმული პოლონელი პოეტი იულიან ტუვიმი.

სტალინი ყველგან არის. მან მოიარა მთელი ქვეყანა; ის მიჰყვებოდა მებრძოლებს ცენტრალურ და სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, ის მიჰყვებოდა ვაჟკაც ჩინელებს ძველისძველ პეკინში შესვლის დროს, ის მიჰყვება მათ იმპერიალისტთაგან ჩინეთის საბოლოო განთავისუფლებაში „ისტორიული გამარჯვება დიდი ჩინელი ხალხისა, რომელმაც თავისი ქვეყნის თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოიპოვა, რომელმაც სახალხო დემოკრატიის სახელმწიფო შექმნა, ადასტურებს ამხანაგ სტალინის ბრძნულ წინასწარხედვას ჩინეთში სახალხო რევოლუციის ბედისა და პერსპექტივების შესახებ". საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამ ისტორიული მიმართვის შემდეგ უფრო მკაფიოდ ჟღერს განთქმული ჩინელი პოეტის, მერვე სახალხო არმიის რიგებში ძველი მებრძოლის ემი სიაოს სტრიქონები:

„გახსოვდეს, ჩინელო ბიჭო,
შენ რომ გზა გიჩვენა ღამით,
ის მნათი ვარსკვლავი თვითონ
დიადი სტალინი არის".

სტალინი გზის მაჩვენებელი შუქურაა ყველა ხალხისთვის განმანთავისუფლებელ დიად ბრძოლებში. გერმანიის ფაშიზმთან საბჭოეთის დიდი სამამულო ომის დღეებში, ნაცისტურ ურჩხულთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების დროს, გერმანიის პროგრესული, მოწინავე აზროვნების წარმომადგენლები, ჰიტლერის სისხლიანი კლანჭებიდან თავდაღწეული ადამიანები, სტალინს შესცქეროდნენ, როგორც გადარჩენის რწმენასა და იმედს:

„მძიმე წუთებში მისმა ძალამ შესძრა სამყარო,
ბელადის სიტყვის უძლეველ ძალას ზღვარი არ ჰქონდა,—
დიად საქმისთვის მისი სიტყვა ყველგან დაჰქროდა,—
ყველა ჩვენგანში იგი იქცა გმირობის წყაროდ".

სწერდა იმ მრისხანე დღეებში გერმანელი პოეტი კომუნისტი იოჰანეს ბეხერი.

ბელადის სიტყვის უძლეველ ძალას ზღვარი არა აქვს, უძლეველია სტალინური სიმართლე, უკვდავია სოციალიზმის ლამპარი, უძლეველია სტალინის მოძღვრება, სტალინის აზრი, სტალინის წიგნი.

სტალინის წიგნი უნათებდა გზას ახალი დემოკრატიული ქვეყნების მებრძოლთ პირისისხლიან ფაშიზმთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომში, სტალინის წიგნი დროშად მიჰქონდათ მათ ხელჩართულ ბრძოლებში.

ალბანელი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლაში, ჰიტლერელების ტყვეობით ტირანასთან დაცემული გმირი პარტიზანის განუყრელი წიგნი „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ისტორიის მოკლე კურსი" ალბანელებმა დიდ სტალინს გამოუგზავნეს მოსკოვში. ეს წიგნი მტრის ტყვეობითაა გახვრეტილი. ცნობილი ალბანელი პოეტი ლაზარ სილიჩი, აღწერს რა გმირი პარტიზანის სიკვდილს, ამ წიგნზე მოგვითხრობს:

„დაეცა ...თვალებს ვეღარ გაახელს
ვეღარ მოიკრებს საომრად ძალას,
ხვალ გამარჯვებულს, ბორკილებაყრილს
ვეღარ იხილავს საყვარელ ქალაქს,
მის მკერდზე, მასთან თავგანწირული
სჩანს „მოკლე კურსი" გულგანგმირული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ არ ჰკვდება წითელი წიგნი,
ვით მისი ფერი არ შეიცვლება,
უძლეველია სიმართლის წიგნი,
მისი განგმირვა არ შეიძლება.
ჩვენც შეფიცულნი მის აზრს და ფერსა,
ჩემო ტირანავ! ვეკვეთეთ მტერსა.

ჰა, ალბანეთი თავისუფლებას
უკვე ზეიმობს დღეს აღტაცებით,
ჩემმა მამულმა, ბორკილაყრილმა,
მოსკოვს წარგზავნა თვისი კაცები,
სადაც სტალინი ცხოვრობს მზეგრძელი,
ამ უდიადეს წიგნის შემქმნელი.

წარგზავნილებმა წაიღეს წიგნი,
ჩვენი ბრძოლების თანაზიარი,
სისხლის წვეთებით ყდა-დაცვარული,
ომში ნაბრძოლი და ნატყვიარი;
დე, იქ სტალინმა იცოდეს მარად,
რომ ჩვენი ხალხიც მას უდგას ფარად".

სტალინი, — გამშრალი ტუჩებით ვჩურჩულებდით, გულებში სამუდამოდ ვინახავდით ყველაზე უფრო ადამიანურ სახელს: — სტალინი, დიდი სტალინი, — სწერს მეორე ალბანელი პოეტი ალექს ჩაჩი. ფაშისტური კალიბანების მიერ ოკუპირებული პატარა ალბანეთის გმირული ხალხი, იტალიელებში წასული მისი საუკეთესო შვილები ჰქმნიდნენ ალბანეთის კომპარტიას, რათა იგი გასძღოლოდა ქვეყანას განმათავისუფლებელ უწმინდეს ომში. მათ შეჰქმნეს კომპარტია, კომპარტია წარუძღვა წინ ქვეყანას უწმინდეს ომში.

„და სიტყვა მძლავრი
აღსდგა დროშად ცადატანილი:
ჩვენც გვაქვს პარტია,
გვაქვს პარტია დიდი სტალინის".

აღფრთოვანებით შესძახებს პოეტი. ახალგაზრდა კომუნისტური პარტია, რაზმავდა ალბანელ ხალხს პარტიზანულ ბრძოლებში, იბრძოდა მტრის სურვილში, გმირული საბჭოთა არმიის მიერ საყვარელი სამშობლოს განთავისუფლებამდე და ბრძოლებით შექმნილი ალბანეთის კომპარტია დღეს ძლევამოსილად მიუძღვის სამშობლოს წინ, კომუნიზმის გზაზე, ახალი ქვეყნის გრანდიოზულ მშენებლობაში.

„მივყვებით შენ დროშების ფრენას
ჩვენ დიდო სტალინ, მოგყვებით შენ".

ამთავრებს ახალი დემოკრატიული ალბანეთის პოეტი, თავის მშვენიერ ლექსს „სტალინი ჩვენთანაა".

სტალინისადმი მადლიერების გრძნობით, ალბანეთ, ახალი დემოკრატიის ქვეყნების ხალხები მშვიდობიან შრომაში აღიდგენენ ომისაგან გაპარტახებულ, ჰიტლერელებისაგან გაძარცვულ მშობლიურ სახალხო მეურნეობას, აგებენ ახალ გიგანტებს, აწარმოებენ ქვეყნის სოციალისტურ ნიადაგზე გარდაქმნას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„აღსდგე, გამაგრდე, წელში გასწორდე
ეს ნიშნავს — დგეხარ სტალინურ გზაზე“.

ამპობს ბულგარელი ტრაქტორისტი, ლიუდმილ სტოიანოვის ლექსში — „განთიადზე“. ბულგარელ მშრომელს სწამს, რომ ახალ გზაზე დამდგარი სამშობლოს მოსავალი წლითი-წლობით უმდიდრესი იქნება, რადგან ქვეყანას მოშორდნენ მყვლეფელები, ქვეყნის სახალხო მეურნეობა ხალხის სანდო ხელშია.

ღრმა სიყვარულით მიესალმებიან დიდ სტალინს ახალგაზრდა დემოკრატიული ქვეყნების პოეტები. ისინი სტალინის სახელში მიესალმებიან თავისსავე ნაცნობარს, საქმედქცეულ თავისუფლების ოცნებებს და ბედნიერებას. კორეელი კიმ დე გიუ სწერს:

მოგესალმები, ძვირფასო სტალინ,
და შენ დიდებულ, ნათელ სახელში
მივესალმები მე ჩემს იმედებს,
ჩემს ოცნებებს და ბედნიერებას.

ეს აღმოსავლეთელი პოეტის გამოძახილია დასავლეთის ახალი დემოკრატიის ქვეყნების მგოსანთა აღფრთოვანებულ სიმღერებთან ხმაშესაწყობად:

„ამხანაგებო, ვართ ბედნიერნი,
ჩვენი წამება გათავდა, მორჩა,
სტალინურ გზაზე მივემართებით,
თავს დაგვფრიალებს ლენინის დროშა“.

სწერს რუმინელი პოეტი გიორგი მაიორესკუ.

„არიან ადამიანები,—ამბობდა მაქსიმ გორკი, ლენინის დაბადებიდან ორმოცდაათი წლისთავის შესრულების დღეს,—რომელთა მნიშვნელობის გადმოსაცემად უძლურია კაცთა ენაო“. მსოფლიოში თითქმის ყველა ქვეყნის პოეტს უცდია ეთქვა თავისი მხატვრული სიტყვა დიდი სტალინის შესახებ. მათში, რასაკვირველია უდიდესი ხმაშეწყობილი ჰანგი საბჭოთა ქვეყნის თექვსმეტი რესპუბლიკის პოეტთა ჰანგია, მაგრამ ყოველი მგოსანი გრძნობს რომ სტალინის სახელის სიდიადის გადმოსაცემად მხატვრული სიტყვა უძლურია. პოეტურ ენას ჯერ კიდევ ვერ შეუქმნია დიდი ბელადის სახელის შესაფერი ნაწარმოები.

შინაარსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგ სტალინს — დიდ ბელადსა და მასწავლებელს, ლენინის უკვდავი საქმის განმგრძობს, — საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება . . . 3
მოსკოვი, კრემლი ამხანაგ სტალინს, — საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მისალმება 7

ხალხთა დიდ ბელადს მშობლიურ სტალინს, — მიმართვა მიღებული საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის საზეიმო პლენუმზე, ქ. გორში, 1949 წლის 22 დეკემბერს 9

დიდი სტალინისადმი მიძღვნილი ლექსები: გალაკტიონ ტაბიძე (საქართველოს სახალხო პოეტი) — სტალინს — 70 წლის შესრულების გამო; ალექსი სურკოვი (რუსეთი) — ხალხთა ბელადს, თარგმანი კარლო კალაძისა; მაქსიმ რილსკი (უკრაინა) — სიმღერა სტალინზე, თარგმ. კონსტანტინე ლორთქიფანიძისა; იაკუბ კოლასი (ბელორუსია) — სტალინი, თარგმ. ალიო მირცხულავასი; ჰამიდ ალიმჯანი (უზბეკეთი) — ბელადის დედას, თარგმ. სანდრო შანშიაშვილისა; ჯამბული (ყაზახეთი) — სიმღერა სტალინზე, თარგმ. კონსტანტინე ჭიჭინაძისა; სამედ ვურგუნი (აზერბაიჯანი) — სალამი ბელადს, თარგმ. გრიგოლ აბაშიძისა; სალომეა ნერისი (ლიტვა) — სტალინისადმი, თარგმ. ხარიტონ ვარდოშვილისა; ლეონიდ კორნიანუ (მოლდავეთი) — ხალიჩა, თარგმ. ალ. აბაშელისა; იან სუდრაბკალნი (ლატვია) — ბელადს, . თარგმ. ვასო გორგაძისა; მირზო ტურსუნ-ზადე (ტაჯიკეთი) — წერილი ამხანაგ სტალინს, თარგმ. შალვა ფორჩხიძისა და ვახტანგ ბეწუკელისა; თემირყული უმეტალიევი (ყირგიზეთი) — დიადი წიგნი, თარგმ. ნიკოლოზ ნადირაძისა; ავეტიქ ისააკიანი (სომხეთი) — დიდ სტალინს, თარგმ. ირაკლი აბაშიძისა; ჯანმურად მონტონი (თურქმენეთი) — სტალინი, თარგმ. ვ. გორგაძისა; მარტ რაუდი (ესტონეთი) — დიდება სტალინს, თარგმ. ვ. გორგაძისა; ემი სიაო (ჩინეთი) — სიმღერა სტალინზე, თარგმ. გრიგოლ იმედაძისა; იოჰანეს ბეხერი (გერმანია) — სტალინის სიტყვა, თარგმ. ს. ეული-ქურიძისა; ფრანტიშეკ გრუბინი (ჩეხო-სლოვაკია) — პრაღის მაისი, თარგმ. კონსტ. ლორთქიფანიძისა; ანატოლ გიდაში (უნგრეთი) — ჩემო უნგრეთო! თარგმ. კონსტ. ლორთქიფანიძისა; პედრო გარფიასი (ესპანეთი) — სტალინი, თარგმ. კ. ლორთქიფანიძისა; პაბლო ნერუდა (ჩილი) — იოსებ სტალინი, თარგმ. ილო მოსაშვილისა; ჟორჟი ამადუ (ბრაზილია) — სიმღერა საბჭოეთზე, თარგმ. ხ. ვარდოშვილისა; რაულ გონსალეს ტუვიონი (არგენტინა) — სტალინი, თარგმ. ირ. აბაშიძისა; კარლოს აუგუსტო ლეონი (ვენეციუელა) — ლენინი და სტალინი, თარგმ. ალიო მირცხულავასი . . . . . 13—53

დავით ფანჩულიძე — ი. ბ. სტალინი ლიტერატურის შესახებ, წერილი . . . 54
პეტრე გახტურიძე — ბელადის სახე ქართულ საბჭოთა პოეზიაში, წერილი . . . 73
სერგი ჭილაია — ი. ბ. სტალინი ქართულ საბჭოთა პროზაში, წერილი . . . 86
შალვა კვასხაძე — ი. ბ. სტალინი ქართულ სახვით ხელოვნებაში, წერილი . . . 95
პეტრე შარია — ზოგიერთი საკითხი სტალინის მოძღვრებისა ერის შესახებ, წერილი 106
ლ. გოგბილაძე — ი. ბ. სტალინი განმათავისუფლებელი მშრომელობის შესახებ საქართველოში, წერილი 128
ირაკლი აბაშიძე — სტალინს უმღერიან, წერილი 138

პასუხისმგებელი რედაქტორი ირაკლი აბაშიძე.

სარედაქციო კოლეგია: ნიკოლოზ აბიასვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ლევან ასათიანი, შალვა აფხაიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ილო მოსაშვილი, შალვა რადიანი, ლეო ქიაჩელი, სიმონ ჩიქოვანი, ოთარ ჩხეიძე, სერგი ჭილაია.